ᲒᲖᲐ
ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲛᲐᲛᲐᲗᲘᲚᲘᲐ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ
„ᲩᲔᲛᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲒᲐᲙᲝᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲡᲐᲐ“
ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲩᲐᲧᲠᲘᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ
20 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ
„ᲐᲠ ᲡᲯᲔᲠᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲠᲩᲘ“
„ᲙᲔᲚᲐᲕ ᲔᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲕᲓᲘᲕᲐᲠ...“
„ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲕᲘᲢᲐᲜ...“
ᲓᲐᲠᲑᲔᲕᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲖᲣᲠᲐ ᲡᲐᲩᲘᲙᲔ
ᲓᲐ ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲭᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ
ᲛᲝᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲧᲣᲠᲐᲓᲚᲔᲑᲝ ᲞᲝᲔᲢᲘ
ᲛᲐᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲙᲐᲚᲛᲐᲮᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲬᲧᲐᲠᲝᲖᲔ ᲐᲑᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲫᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲔᲑᲘ

საუკეთესო საჩუქარი!

საჩუქარი
რომელიც
თაობებს
დარჩება!

ბიბლიის სრული აუდიოვერსია **51** დისკზე

კითხულობს ეთი ხაჩაძე

ბიბლუსი

ბიბლია-მხოლოდ ბიბლუსის
წიგნის მაღაზიებში

თბილისი	რუსთაველის 40/1 ალმაშენებლის №121 იოსებიძის №49	ფოთი	ფარნავაზ მეფის №12
		ქუთაისი	ლ.ნუცუბიძის №1
ბათუმი	მემედ აბაშიძის №62 ზ.ბამსახურდიას №18	სამტრედია	სააკაძის №6
ზუგდიდი	რუსთაველის №92	ხაშური	რუსთაველის №69
სენაკი	რუსთაველის №241	დუშეთი	რუსთაველის №11

ბიბლია ინტერნეტ მაღაზიაში www.elva.ge

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲞᲘᲠᲐ
ᲒᲖᲐ
№28 (474)
9 - 15 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 2009 Წ.
ᲤᲐᲡᲘ 1 ᲚᲐᲠᲘ

ᲛᲐᲛᲐᲚᲘᲥᲐᲚᲘ

ᲒᲖᲘᲡ ᲬᲜᲘᲚᲔᲑᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲖᲐ ᲒᲐᲜᲒᲚᲔᲡ — ᲨᲘᲫᲘᲐ ᲗᲘᲗᲘᲡᲐᲛ ᲭᲘᲮᲘᲓᲐᲜ ᲛᲨᲕᲔᲚᲘᲡ ᲨᲐᲠᲕᲚᲘᲡᲙᲔᲜ

ᲛᲘᲥᲘᲠᲝᲛᲐᲜᲘ

39

■ ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲘᲣᲠᲔᲑᲘ
ᲩᲔᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲝᲕᲐᲠᲘ, „ᲜᲐᲮᲛᲐᲠᲘ“ ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲐᲖᲔᲗᲝ „ᲜᲝᲣ-ᲞᲐᲣ“ 5
■ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ
ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ 3 ᲗᲕᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲭᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐ 6
■ ᲨᲔᲤᲔᲑᲘ
ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲥᲘᲠᲣᲚᲘ ᲖᲚᲕᲐ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲙᲜᲝ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲘ 7
■ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ
„ᲚᲔᲕᲐᲜᲖᲔ ᲮᲔᲚᲘ ᲕᲘᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲛᲐᲠᲗᲝᲡ?!“ 9
■ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ
ᲡᲐᲙᲣᲠᲝᲠᲢᲝ ᲖᲝᲜᲐ ᲛᲐᲛᲐᲪᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ 11
■ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ
„ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲘᲐᲖᲠᲝᲗ ᲘᲡ ᲮᲔᲓᲕᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲝᲑᲐᲛᲐ ᲛᲗᲔᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲡ“ 13
■ ᲓᲐᲘᲯᲔᲡᲢ 14
■ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐ
ᲒᲝᲒᲘ ᲗᲝᲤᲣᲐᲫᲔ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ 15
■ ᲔᲠᲣᲓᲘᲢᲘ
„ᲐᲠ ᲕᲐᲠ ᲛᲖᲐᲓ, ᲕᲘᲦᲐᲪᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ ᲐᲕᲘᲢᲐᲜᲝ...“ 18
■ ᲢᲐᲜᲓᲔᲛᲘ
ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲒᲐᲠᲔᲥᲘᲡᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲗᲘᲡᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲖᲚᲣᲠᲑᲚᲗᲐᲜ ᲛᲘᲡᲣᲚᲘ ᲪᲣᲪᲐ ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ 20
■ ᲝᲯᲐᲮᲘ
ᲓᲐᲠᲑᲔᲕᲡᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲖᲣᲠᲐ ᲮᲐᲩᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲥᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ 22
■ ᲗᲔᲛᲐ
ᲠᲐᲡ ᲨᲘᲥᲠᲝᲑᲔᲜ ᲢᲔᲚᲔᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲖᲔ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲙᲝᲚᲔ�გᲔᲑᲘ 25
■ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ
ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲝᲠᲩᲘ ᲛᲝᲛᲔᲚᲔᲠᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲖᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲐᲛᲓᲔ 27
■ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ
ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲙᲐᲚᲛᲐᲮᲔᲑᲘ, ᲬᲧᲐᲚᲖᲔ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲐᲙᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲣᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲝᲚᲘᲐᲜᲐᲙᲐᲨᲘ 28
■ ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ 30
■ ᲦᲘᲛᲘᲚᲘ
ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲥᲘᲡᲝᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐ... 30
■ ᲤᲡᲘᲥᲝᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ
ᲚᲔᲘᲑᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲔᲘᲤᲘ ᲭᲐᲭᲘᲡ ᲐᲠᲧᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲑᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲒᲐᲣᲗᲮᲝᲕᲠᲐᲓ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ 32

ᲚᲔᲘᲑᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲔᲘᲤᲘ ᲭᲐᲭᲘᲡ ᲐᲠᲧᲘᲗ

„ᲛᲔ ᲓᲐ ᲞᲐᲐᲢᲐ ᲯᲘᲑᲚᲐᲫᲔᲛ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲭᲐᲭᲘᲡ ᲐᲠᲧᲘᲗ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲗᲕᲠᲔᲗ, ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲩᲐᲠᲔᲣᲚᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲫᲘᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲬᲐᲔᲧᲕᲐᲜᲐ, ᲡᲐᲥᲛᲔ ᲪᲣᲓᲐᲓ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ...“

32

ᲒᲐᲗᲮᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲖᲚᲣᲠᲑᲚᲗᲐᲜ ᲛᲘᲡᲣᲚᲘ ᲪᲣᲪᲐ ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ

„ᲔᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲨᲘ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ ᲓᲐ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲘ, ᲛᲔᲪ ᲓᲐᲕᲡᲬᲠᲔᲑᲝᲓᲘ ᲓᲐ ᲯᲝᲜ ᲛᲐᲥᲙᲔᲘᲜᲘ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲒᲐᲛᲔᲪᲜᲝ“.

20

ᲨᲐᲕᲘ ᲙᲝᲢᲔ ᲮᲔᲚᲓᲐᲮᲔᲚ ᲞᲘᲠᲨᲘ ᲔᲪᲕᲐ:

— ᲕᲐᲐᲰ! ᲛᲐᲛ ᲑᲝᲚᲝᲡᲐᲙᲔᲜ ᲢᲙᲑᲘᲚᲓᲔᲑᲘ?! ᲙᲔᲜᲬᲔᲠᲝᲨᲘ ᲒᲐᲢᲙᲑᲘᲚᲓᲔᲑᲘᲡᲝ, ᲒᲐᲛᲘᲒᲝᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲫᲘᲠᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲒᲐᲢᲙᲑᲘᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲜᲖᲔᲓ ᲒᲐᲕᲘᲒᲔ!

— ᲜᲔᲢᲐ, ᲨᲔᲜ ᲠᲐᲓᲐ ᲒᲐᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲡ! ᲐᲠᲪ ᲛᲬᲐᲠᲔ ᲮᲐᲠ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲢᲙᲑᲘᲚᲘ. ᲨᲔᲜ ᲡᲐᲪᲐ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲒᲘᲙᲑᲘᲩᲝᲡ ᲙᲐᲪᲛᲐ, ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲪᲐᲠᲘ ᲨᲐᲠᲩᲔᲑᲐ ᲒᲔᲛᲝᲖᲔ! — ᲛᲝᲘᲒᲔᲠᲘᲐ ᲛᲬᲐᲠᲔᲛ.

74

■ მოზაიკა 34
■ ჯანმრთელობა
✓ დაავადება და ფიტოთერაპია 36
✓ საინტერესო სიახლეები 37
■ ქურნალი ქურნალში
✓ ცხოვრება 39
✓ გზავნილები 55
■ სახელოსნო
პატარა მოდელების ასრულებული ოცნება 71
■ უშიშროების არქივიდან
ქაქუცასა და „შეფიცულების“ მფარველ
თამაზაშვილთა ტრაგედია 72
■ რომანი
ვაქა გიგაშვილი. ერთი ვინმე
ყაფლანიშვილი (გაგრძელება) 74
■ ტაიმ-აუტი 78
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ თუკი შარიანი მამაკაცი
თქვენთვის ძვირფასია 80
✓ სპეციალური საშუალებები კანის კვებისთვის 81
■ სასიყვარულო რომანი
სვეტა კვარაცხელია. წითელი
ფეხსაცმელი (გაგრძელება) 82
■ შთამომავლობა
ძალიან მოსიყვარულე, მაგრამ უყურადღებო
პოეტი და სარისკო საუბრები საქართველოს
თავისუფლებაზე 86
■ ვარსკვლავები
უჩვეულო ვარსკვლავური ქორწინებები 88
■ ხვედრი
ორგზის დევნილი მრავალშვილიანი
ოჯახის ტკივილი 90
■ თინეიჯერული პონტები
ყველაზე სასურველი
სასიძო-საპატარძლოები 92
■ ნამდვილი ამბავი
პოლიტმგზავრები ანუ როგორ გადაქეცა
გზა ტრაქტორმა პროტესტის ნიშნად 92
■ ბელადი
შეხვედრები სტალინთან
ფრაგმენტები ვლადიმირ კარპოვის
წიგნიდან „გენერალისიმუსი“ (გაგრძელება) 96
■ ტაქარი
რატომ მიიჩნევენ პეტრე და პავლე
მოციქულებს მოციქულთა თავებად 98
■ ასპარეზი
„მილიონერი“ ქართველის „ფრენა“ ავტომობილით
და კინოკარიერის დასაწყისი 100
■ რეპორტაჟი
გაგონილს ნანახი სჯობია ანუ
ლაშქრობა ლაგოდეხის ნაკრძალში 101
■ ავტო 103
■ სკანვორდი 104
■ ასტროლოგია 105

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქვჯია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

ნაოჭები – ქალის სილამაზის მტერი

უნდა მიმართოთ სხვადასხვა სამკურნალო საშუალებას, ფიზიოთერაპიულ პროცედურებს, ნიღბებს. გარდა ამისა, უნდა ერიდოთ მოკლე დროში გახდომას, ასევე ზედმეტად გასუქებას, გადაღლას, უძილობას; შეძლებისდაგვარად აარიდოთ თავი სტრესულ მდგომარეობას.

81

ქალიან მოსიყვარულე, მაგრამ უყურადღებო პოეტი



„მამა ძალიან მოსიყვარულეა, მაგრამ არა – ყურადღებიანი. ზოგჯერ ისიც კი არ იცოდა, რომელ კლასში ვსწავლობდი. უნივერსიტეტი რომ დავამთავრე და ასპირანტურაში ჩაბარება მოვინდომე, გაუკვირდა...“

86

ორგზის დევნილი მრავალშვილიანი ოჯახის ტკივილი

„ჩემს სახლში აფხაზები ცხოვრობენ. საერთოდ, აფხაზებს კოდორის ხეობა ძალიან უყვართ და იქ დასასვენებლად ხშირად ჩადიან. როგორც ვიცი, შარშან ზაფხულს, კოდორში დასასვენებლად პუტინიც ჩასულა“.

90

წითელი ფეხსაცმელი

– გამარჯობა, ნანა, – თავდაჭერილად შეხვდა მამაკაცი. მის ხმაში ცივმა ნოტებმა გაიჟღერა, თუმცა ნანას ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

– შენი ნახვა მინდა, იქნებ გამონახო დრო და დავსხდეთ სადმე, – გაიღიმა ქალმა და ჩაწიკწიკებული თეთრი კბილები გამოაჩინა, – გავიხსენოთ ძველი, ლამაზი დრო.

– ახლა ცოტათი დაკავებული ვარ, ნანა. ქალმა ირიბად გახედა ნიას.

82

ჩექმიანი სამოვარი, „ნახმარი" სერიალები და საგაზეთო „ნოუ-ჰაუ"

შესავლის ნაცვლად

„დალოცვილ" კომუნისტურ ხანაში, გაზეთების რედაქციებში ერთ-ერთი მთავარი პერსონა ე.წ. „ქრონიკიორი" იყო — ჟურნალისტი, რომელიც უნტერნეტობისა და საინფორმაციო სააგენტოების სიმწირის პირობებში, ახალ ამბებს „მოიპოვებდა". „ქრონიკა" ყველაზე მნიშვნელოვანი განყოფილება იყო და რედაქციები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტ და „ცინცხალ" ამბებს დაბეჭდავდა. ამიტომ, კარგი „ქრონიკიორი" ყველაზე მაღალანაზღაურებადი კადრი იყო და ხშირადაც ხდებოდა მისი გადაბირება (ანუ „ტრანსფერი") რედაქციიდან რედაქციაში.

რატომ წარვუმძღვარე დღევანდელ „პროვოკაციას" ამხელა შესავალი? იმისთვის, რათა მეჩვენებინა, თუ რა ბედნიერები ვართ, რომ იმ დროში არ ვცხოვრობთ და მოვლენების საკუთარი თვალით ნახვა შეგვიძლია.

აბა, წარმოვიდგინოთ, როგორი იქნებოდა გასული კვირის ამბების აღწერა, მე რომ „ქრონიკიორი" ვიყო:

„აშშ-ის პრეზიდენტი ბ. ობამა ორშაბათს მოსკოვში თავის კოლეგა დ. მედვედევს შეხვდა. ხანგრძლივი საუბრის შემდეგ, პრეზიდენტებმა ბრიფინგი გამართეს, სადაც ბ. ობამამ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი, რაზეც კმაყოფილება გამოთქვა ლიტვაში მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა. სამშაბათს ბ. ობამა რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვ. პუტინს ეწვია საუზმეზე. ხოლო ოთხშაბათს ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტები ერთად გაემგზავრნენ იტალიაში, მსოფლიოს „დიდი რვიანის" სამიტზე დასასწრებად".

აი, ასეთი იქნებოდა ეს „ქრონიკა" და დაიკარგებოდა მთავარი: რა საყვარელი სახე ჰქონდა მედვედევს, როდესაც ობამა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემაზე ლაპარაკობდა! როგორი, კიდევ უფრო საყვარელი (და რაც მთავარია — ინტელექტუალური) გაუხდა გამომეტყველება, როდესაც „ასოშიეიტედ პრესის" ჟურნალისტმა ობამას ჰკითხა, — კი, მაგრამ ამ კაცთან 5 საათი რაზე ლაპარაკობდი? ხომ იცი, რომ ეს „პუსტოე მესტო" არის და აქ ყველაფერს პუტინი წყვეტსო, — და ობამამ რომ უპასუხა, — პუტინთან ხვალ მივდივარ, ჩაის დასალევადო!.. იმასაც ხომ ვერ ვნახავდით, როგორი ბავშვურად გაოცებული იყო ობამა და მგონი, მედვედევზე კიდევ უფრო „საყვარელი" სახე ჰქონდა, როდესაც, პუტინთან ჩაის დასალევად მისული უყურებდა, როგორ უქიშინებდა ვიღაც წვერიანი კაცი სამოვარს შავი ჩექმით (იქვე, სუფრაზე დამჯდარი ბუზის მოკვლაც კი დაავიწყდა)!!! ანდა, ჩვენი მიშიკოს ლიტვიდან ჩართვა მხოლოდ „კმაყოფილების გამოთქმა" იყო? თვალები ისე უბრწყინავდა, გეგონებოდა, ვილნიუსიდან კი არა, ოჩამჩირიდან ლაპარაკობსო... ხომ ვერ ვიხილავდით „დიდი რვიანის" მასპინძლის — სილვიო ბერლუსკონის გაიძვერულ ღიმილს, როდესაც ამბობდა, — ბედნიერი ვარ, რომ შარშანდელი მცირე გაუგებრობის შემდეგ, ჩემი მეგობრები, რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტები ერთი თვითმფრინავით გვწვევიანო"...

მოკლედ, კარგია ამ დროში ცხოვრება და ტყუილად ვწუწუნებთ.

ახლა მსოფლიო პროცესებს თავი დავანებოთ და „მრავალფეროვან ქართულ სატელევიზიო სივრცეს (ახლა ეს სიტყვაა მოდაში, „ეთერი", „გადაცემები" და „ტელეპროგრამები" აღარ მოგვწონს...) დავუბრუნდეთ, კერძოდ — ტელეკომპანია „მზის" ინიციატივას. საერთოდ, ხომ დამეთანხმებით, რომ ბოლო წლების განმავლობაში ეს კომპანია არნახულ პროგრესს განიცდის, ყველაფერი ზედმეტი მოიშორა — ჟურნალისტებიცა და გადაცემებიც. სამაგიეროდ, დაიტოვა სერიალები; წელს სერიალების შესყიდვაზეც უარი თქვა (კრიზისია!) და უკვე „ნახმარი" სერიალების ტრიალს შეუდგა. ახლა კი საკუთარ თავსაც გადააჭარბა — სამშაბათს ასეთი ანონსი გავიდა: „მონატრებული გმირები „ჩენტო ვეტრინედან"! ყოველ ორშაბათს, ათიდან — ათამდე!" ანუ ყოველ ორშაბათს, დილის ათიდან საღამოს ათამდე, „მზის" ეთერში იქნება „ჩენტო ვეტრინეს" 12 ან 15 სერია (რამდენიც მოესწრება) — სხვა არაფერი!!! და აქ შევჩერდეთ! რატომ ვილაპარაკე ამდენი, ერთი ტელეკომპანიის (თუნდაც ასეთი მნიშვნელოვნის) ერთ ინიციატივაზე?.. აი, რატომ: გამოგონება იმის გამოგონებაა, რომ სხვამაც ისარგებლოს და ხალხს სიკეთე მოუტანოს! ჰოდა, გავა სულ ორიოდე თვე, ამ პრაქტიკას ყველა ტელეკომპანია დანერგავს და ახლა მოგახსენებთ, რა გადაცემების ნახვა შეგვეძლება ხოლმე მთელი კვირის განმავლობაში. მაშ, ასე:

„მზის" ამბავი გარკვეულია — ვინც ბოლომდე არ გადებილებულა, შეუძლია, ორშაბათს „ჩაუჯდეს" და ამ პროცესს კვირის ბოლომდე დაასრულებს.

„რუსთავი 2": ორშაბათი — ოპოზიციისა და თარგამაძის შეხვედრა ბერლინში (მთელი დღე ანუ დამთავრდება-დაიწყება, დამთავრდება-დაიწყება და ა.შ.); სამშაბათი — ბურჯანაძის შეხვედრა პინჩუკთან; ოთხშაბათი — მიშა რო „კრიშაზე" კრებას ატარებს (ვაჰ, ახლა შევამჩნიე, რა კარგად ერითმება: მიშა-„კრიშა"); ხუთშაბათი — მიშა რო ლტოლვილებს ხვდება და რო ტირის; პარასკევი — სალომე ზურაბიშვილი რო მიტინგზე მღერის; შაბათი — „შაბათის შოუ"; კვირა — „ქლაბ-შოუ".

„იმედი": ორშაბათიდან პარასკევამდე — იგივე, რაც „რუსთავი 2"-ზე; შაბათი — „შუა ქალაქში"; კვირა — „შუა ქალაქში".

პირველი არხი: ორშაბათიდან პარასკევამდე — იგივე, რაც „რუსთავი 2"-სა და „იმედზე"; შაბათი — „ხუთი ვარსკვლავი"; კვირა — „ხუთი ვარსკვლავი".

„კავკასია": ორშაბათი — აქუ და გუბაზ სანიკიძე; სამშაბათი — „ბარიერი"; ოთხშაბათი — აქუ და გუბაზ სანიკიძე; ხუთშაბათი — „ბარიერი"; პარასკევი — აქუ და გუბაზ სანიკიძე; შაბათი — „ბარიერი"; კვირა — აქუ და გუბაზ სანიკიძე.

„მაესტრო": ორშაბათი — საკანი №5; სამშაბათი — „პროფესია — ჟურნალისტი"; ოთხშაბათი — „პროფესია — ჟურნალისტი"; პარასკევი — საკანი №5; შაბათი — „პროფესია — ჟურნალისტი"; კვირა — საკანი №5 (მგონი, აქ „იაღლიში" მომივიდა, იმიტომ, რომ „მაესტროზე" ისედაც ასეთი პროგრამაა...)

P.S. **რისთვისაც განვაზოგადე „მზის" ეს ინიციატივა, გამგებმა გაიგოს: ანალოგიური რამის გაკეთება ბეჭდვით მედიაშიც შეიძლება და აბა, გამოიცანთ, რა იქნება „გზის" ყველა გვერდზე!**

პროვოკატორი

ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ 3 ᲗᲕᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲭᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐ

„როდის იყო, მთავრობა ჩვენს პრობლემებს აგვარებდა?!“

საპროტესტო აქციების დაწყებიდან უკვე 3 თვე გავიდა, მაგრამ პარლამენტის წინ საკნები ისევ დგას, ხელისუფლება კი კვლავაც მოჩვენებით სიმშვიდეს ინარჩუნებს. ბევრი ცდილობს, საკნებით სავსე ტერიტორიაზე ლუკმაპური იშოვოს — ისინი მზესუმზირას, ბურბუშელას, მიწის თხილს ყიდიან და ამავდროულად, ოპოზიციის წევრების თითოეულ გამოსვლას ისმენენ. გარე მოვაჭრეების უმეტესობა საპროტესტო აქციების დაწყების შემდეგ საკუთარი ბიზნესის ჩავარდნას უჩივის, ზოგი კი ამბობს, რომ ამის წყალობით 2 თეთრის შოვნის საშუალება მიეცა.

ᲔᲚᲔᲜᲔ ᲑᲐᲡᲘᲚᲘᲫᲔ

ᲛᲔᲠᲘ, *52 წლის:*

— მიტინგები რომ „გახურდა“, მას მერე აქ ვარ, შვილო, და თუ ხალხი მოინდომებს, აუცილებლად გვეშველება! რაც უნდა კარგი პრეზიდენტი იყო, კაცი ომს რომ წააგებ, უნდა ადგე და პოსტიდან წახვიდე. ამქვეყნად მჯობზე მჯობს რა დალევს?! მოკლედ, დიდი მოუშორებელი ჭირი გვჭირს. მის გადადგომას ქართველების ერთობა სჭირდება და აქ ამიტომაც იკრიბებიან. პარლამენტის წინ ყველანაირი კატეგორიის ხალხი დგას და მე თუ მკითხავ, ქალები უფრო დიდი აგრესიით გამოირჩევიან — თუ რაიმე არ მოეწონათ, ერთიმეორეს კაწრავენ. ნურავის ეგონება, რომ აქ მხოლოდ ოპოზიციის მომხრე ხალხი დგას, მათ შორის იმდენია ხელისუფლების მომხრე და პროვოკატორი, რომ ვერც წარმოიდგენთ. ბევრი კულტურული და ნიჭიერი ადამიანია ჩვენ გვერდით. ვფიქრობ, მთელი ელიტა ოპოზიციას უჭერს მხარს. და კიდევ, აქციონერებს შორის ბევრია სეირის მაყურებელიც...

— ამბობენ, რომ პარლამენტის წინ ბევრი მთვრალი მამაკაცი დადის...

— ხომ გითხარით, აქციაზე ხელისუფლების მხარდამჭერებიც მოდიან-მეთქი. უმეტესობა ნასვამ მდგომარეობაშია და არეულობის შემოტანას ცდილობს.

— თქვენ ნება რომ იყოს, ქვეყანაში რას შეცვლიდით?

— მე რომ პრეზიდენტი ვიყო, აუცილებლად გადავდგებოდი, ჩავატარებდი არჩევნებს და ხალხს თავისუფალი არჩევანის საშუალებას მივცემდი... როცა ადამიანი საკუთარ შეცდომებს ინანიებს, ოღონდ საქმე გაკეთდეს და ქართველები მას აუცილებლად ყველაფერს ვაპატიებთ... ვერ ვიტყვი, რომ ყველა ოპოზიციონერს ვენდობი, მაგრამ რამდენიმე მათგანის ნამდვილად მჯერა. ბევრი ადამიანი შეიძლება, პიროვნულად არც მოგწონდეს, მაგრამ როცა ის ხალხის გვერდით დგას, ამ შემთხვევაში, რაღაცებზე თვალის დახუჭვაა საჭირო.

— თქვენ აზრით, კიდევ რამდენ ხანს გასტანს აქციები და რა შედეგი მოჰყვება ამ ყველაფერს?

— ქართველების ხასიათი ხომ იცით, ყველას სკამი უნდა და ისე არიან თანამდებობებს ჩაფრენილები, რომ არა მგონია, მათი გადადგომა ადვილი საქმე იყოს... დარწმუნებული ვარ, ხელისუფლება დროს კიდევ გაწელავს და ხალხსაც დიდხანს მოუწევს აქ დგომა. მჯერა, არც ისეთი წყალწალებული ერი ვართ, რომ ერთი ჭკვიანი, მართლაც ღირსეული და პრეზიდენტობისათვის შესაფერისი ადამიანის მოძებნა გაგვიჭირდეს...

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜᲘ, *53 წლის:*

— დიდი ხანია, აქ ვაჭრობთ?

— გასული წლის ზაფხულიდან ცხოვრება ისე გაჭირდა, რომ იძულებული გავხდი, ქუჩაში გამოვსულიყავი...

— საპროტესტო აქციებს ყოველდღე ადევნებთ თვალს. როგორ ფიქრობთ, აქ მდგომ ხალხს ქვეყანაში რაიმეს შეცვლა შეუძლია?

— რატომღაც ეს ყველაფერი წყლის ნაყვა მგონია, ასე არაფერი შეიცვლება! ეს აქციები გულმოსული ხალხის პროტესტია.

— გულმოსულებში ვის გულისხმობთ?

— მათ, ვისაც ან შვილი ჰყავს ციხეში, ან ქმარი, ან სულაც, ქონება დაუყადაღეს და ა.შ. ვერ ვიტყვი, რომ მთელი საქართველო აქ დგას. პირადად მე, აქციებიდან არაფერს მოველი და საერთოდაც, ვფიქრობ, რომ ამ ყველაფრით ისევ ჩვენ ვზარალდებით. თუნდაც, ჩემი მაგალითი ავიღოთ: როცა რუსთაველის გამზირი გადაკეტილი არ იყო, გაჩერებაზე უამრავი ხალხი იდგა ხოლმე და შესაბამისად, ჩემს მზესუმზირასა და მიწის თხილსაც მეტი კლიენტი ჰყავდა. აქციებზე კი სულ ერთი და იგივე ხალხი დადის და ამათაც ამოუვიდათ ყელში ამ მზესუმზირისა და მიწის თხილის ჭამა. ჩემს ბიზნესს თავი რომ დავანებოთ, გვერდით ქაშუეთის ეკლესიაა და როცა იქ წირვა ტარდება, გარეთ ისეთი საშინელი ყაყანია, ვერაფერს გაიგონებ. ჰოდა, ასე როგორ შეიძლება?!

— როგორც გატყობთ, საპროტესტო აქციების წინააღმდეგი ხართ...

— მე ამ გზით ნებისმიერი გარდაქმნის წინააღმდეგი ვარ... არა მგონია, საპროტესტო აქციების მოწყობით რაიმე

ვფიქრობ, მთელი ელიტა ოპოზიციას უჭერს მხარს

გამოვიდეს და სიტუაცია სასიკეთოდ შეიცვალოს. ასეთი მეთოდებით ისევ საწყალი, ღარიბი ხალხი, ისევ ჩვენი სახელმწიფო და ქვეყნის ეკონომიკა ზარალდება. დღეს ადგილი 3-ჯერ გამოვიცვალე, მაგრამ მხოლოდ 4 ლარი მაქვს ნავაჭრი და ესაა საქმე?..

— თქვენი აზრით, რა კატეგორიის ხალხი დადის აქციებზე?

— ყოველი მესამე კრიმინალია! ისინი ან ნაციხარები არიან, ან — ლოთები. სულ ბნელ-ბნელი, შავებში ჩაცმული ხალხი დადის. ქალები სიგარეტს უსირცხვილოდ გვაბოლებენ ცხვირ-პირში. აქაურობა დიასახლისების ბირჟას უფრო ჰგავს. ალბათ, წასასვლელი არსად აქვთ, ჰოდა, აქ გამოდიან და თვალს წყალს ალევინებენ... ხანდახან გაჩეჩილაძე ისეთ რამეს იტყვის, რომ დაგაფიქრებს კაცს, მაგრამ მისი ნდობა მაინც ძალიან მიჭირს. რა ვიცი, შვილო, მაინც შეჩვეული ჭირი მირჩევნია შეუჩვეველს. ამ ყველაფერზე სახელმწიფომაც უნდა მოახდინოს რეაგირება, თორემ ეს უსაქმური ხალხი შეიძლება, თვეობით იდგეს აქ!

ნათელა, *68 წლის:*

— წავა სააკაშვილი და გვეშველება რამე... 2 წელია, აქ ვვაჭრობ. მართალია, საქონელი ადრე უფრო მეყიდებოდა, მაგრამ რას ვიზამთ, ოღონდ ამ ქვეყანას ეშველოს რაიმე და სულ არ გავყიდი არაფერს... 9 აპრილიდან აქ ვარ, არსად წავსულვარ და თითოეული ოპოზიციონერის გამოსვლას ვუსმენ. ისინი ხალხის საკეთილდღეოდ წვალობენ. მჯერა, რომ სააკაშვილი გადადგება. აქ იმისთანა საზოგადოება დადის, სხვას რომ ეთქვა, არ დავუჯერებდი. როგორ შეიძლება, ამდენი განათლებული ხალხი ცდებოდეს?! ყველამ ვიცით, რომ ამ ხელისუფლებამ ბევრს დაუმახინჯა ცხოვრება და როდემდე უნდა მოგვეთმინა ყველაფერი? ქვეყნის სათავეში უნდა მოვიდეს ისეთი ადამიანი, რომელიც ჩვენს ყოფას გაუმჯობესებს... თუ სააკაშვილი გადადგება, აუცილებლად გამოჩნდება ისეთი ადამიანი, რომელიც ღირსეული პრეზიდენტი იქნება. მჯერა, ღმერთი გამოგვიგზავნის ასეთ პიროვნებას...

ნაირა, *53 წლის:*

— მხოლოდ ღმერთის იმედზეც ნუ იქნები, ნათელ. ღმერთმა ისიც თქვა, ხელი გაანძრიე და გეშველებაო... რატომღაც, ყველას ჰგონია, რომ თუ ხელისუფლება შეიცვლება, გაჭირვებულ ხალხს რაიმე ეშველება! როდის იყო, მთავრობა ჩვენს პრობლემებს აგვარებდა?! არავინ მოვა და არ მეტყვის, — ნაირა, შენი ჭირიმე, გავიგე, გიჭირს და მოდი, დაგეხმარებიო. თუ თავად არ გაისარჯე, წელზე ფეხი არ დაიდგი, შიმშილით ამოგხდება სული.

— თქვენ არ გჯერათ ოპოზიციის ლიდერების?

— სააკაშვილის რომ მჯეროდა, რა მოვიგე?! ეგენიც გაინაღდებენ სკამეებს და საწყალი ხალხი ვის ხსომებია, მაგათ რომ გავახსენდეთ? როგორ უნდა მჯეროდეს ოპოზიციონერების, როცა ბევრმა მათგანმა სწორედ სააკაშვილის ხელისუფლების დროს იშოვა მილიონები?! დავიჯერო, ეს ხალხი ისეთი სულელია, რომ წარსული არ ახსოვს? ალბათ, სააკაშვილი ჩემსავით არავის სძულს, მაგრამ ამ ეტაპზე, მისი შეცვლა — თხა ვიყიდე თხა გავყიდე იქნება... საქართველო, როგორც სახელმწიფო, მეტისმეტად „დაუღვინებელია“ და ვიდრე არ მივხვდებით, რომ „გადადექი, გადადექის“ ძახილით არაფერი შეიცვლება, სიტუაცია სულ ასეთი არეული იქნება... ალბათ, მეც სხვებივით, საზღვარგარეთ წავალ და მოხუცს მოვუვლი. აბა, როდემდე ვიყო „კაპიკების“ შოვნის იმედზე?!

ლია, *46 წლის:*

— 3 თვეა, ამ ხელისუფლების გადადგომას საშველი არ დაადგა და არა მგონია, მომავალში მაინც შეიცვალოს რამე. ოპოზიციონერების მჯერა და ვიცი, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ბევრ კარგ საქმეს გააკეთებენ, მაგრამ ასე რომ მოხდეს, ჯერ სააკაშვილი უნდა გადადგეს, ის კი, როგორც ჩანს, ამ საკითხზე არც ფიქრობს. პირიქით, ოპოზიციონერებს აშანტაჟებს და ათასგვარ სიბინძურეს აბრალებს. მე ხელისუფლების არც ერთი სიტყვის არ მჯერა! იმედია, ჩემნაირად ბევრი ფიქრობს, თორემ თუ ოპოზიციონერებმა ხალხის ნდობა დაკარგეს, წასულია მათი საქმე! იმ დღეს ვიღაცამ თქვა, — აქციაზე ხალხს ფულს ურიგებენო. ასე რომ იყოს, მთელი საქართველო აქ მოიყრიდა თავს!

— არც საკნებში ჩასახლებულ ადამიანებს უხდიან ფულს?

— კი, მათ გარკვეულ თანხას აძლევენ. აბა, რა ქნან, ადამიანებს შიმშილით ხომ არ დახოცავენ?!

— საპროტესტო გამოსვლები თქვენს პატარა ბიზნესსაქმეზე როგორ აისახა?

— მას შემდეგ, რაც ეს ხელისუფლება მოვიდა, ყველანი პატრულს ვემალებოდით — მოდიოდნენ, ადგილებიდან აგვყრიდნენ და სიგარეტებსაც გვართმევდნენ. მოკლედ, სისხლს გვიშრობდნენ. ამ ბოლო დროს კი აღარავინ შეგვხვებია და შესაბამისად, ორიოდე თეთრის შოვნასაც ვახერხებთ. ■

ვამზადებთ დაჯავშნილ ყარებს, ტყვიაგაუმტარ მინებს, ხონჩას სავალუტო ჯიხურებისთვის, რეინის დამცავ ფარდა-ჟალუზებს, სეიფებს, ყოველგვარ რეინის ნაკეთობას.

შპს „გლობუსი-2“

ა. წერეთლის პროსპ. № 141ª

ტელ. 34-49-27; 8(71)41-74-33

თავისუფლებაში ჩაძირული ზღვა და უსაკნო პატიმრები

„პრეზიდენტი მსახიობიც ყოფილა, რეჟისორიც და ვინ ვართ ჩვენ?!“

მთავრობის მორიგი სხდომა აჭარაში, ზღვის შხეფებთან ახლოს გაიმართა. ბუნებრივია, ბათუმში კრიზისს გადარჩენილი მშენებლობის ფონზე ხელისუფალთა საუბარი აღმშენებლობასთან უნდა ასოცირებულიყო (ალბათ, ასეც მოხდა), მაგრამ ქვეყნის მაღალჩინოსნებმა თბილისურსა და ზოგადსაოპოზიციო პრობლემებზე ბათუმში რატომ ილაპარაკეს, ცოტა არ იყოს, გაუგებარია. ალბათ, ეს ისევ და ისევ პიარისთვის გახლდათ საჭირო. ჰოდა, პიარზე გამახსენდა: ბათუმში წინა სტუმრობისას, პრეზიდენტი სააკაშვილი კიტრი-პომიდვრის სათბურს ეწვია(!), რა თქმა უნდა, — გასახსნელად. თურქი ინვესტორის მიერ მოწყობილ სათბურში დაბალი ანაზღაურებით მომუშავე ქალბატონებმა პრეზიდენტის სტუმრობაზე არაერთი „შხეფი“ გააჟღერეს. აი, სათბურში მოსმენილი ერთ-ერთი დიალოგი, უკომენტაროდ.

ჯაბა ანანიძე

შხეფი 1-ელი:

„პრეზიდენტი მდგმურების ოთახის ლენტს არ გამიჭრის?“

— ჩემს სახლს რამდენიმე ოთახი მივუშენე, მდგუმრების მიღება მწადია და ნეტა, პრეზიდენტი არ გამიჭრის ლენტს?

— შენ ლენტი გააბი და აბა, რას იზამს?

— ყოჩაღი კაცია. სათბურში ფეხი შემოდგა თუ არა, ვიფიქრე, ერთი-ორ სიტყვას ვეტყვი-მეთქი, მარა სადაა? — გაქცეულა მეორე კუთხეში. გასცა ბრძანება: დაკრეფილი ბოსტნეული აქ დააწყვეთ და ამ კუთხიდან გადამიღეთ. აქ ვიტყვი, როგორ შენდება ეკონომიკა, იქ კიდევ — როგორ დარბის ოპოზიცია მოსისხლე მტრებთანო.

— რომ იძახიან, პრეზიდენტს უცხოელი პიარისტები ჰყავს დაქირავებულიო, ტყუილი ყოფილა. ეს შენც ხომ დეინახე? სანამ ტელევიზიები კამერებით ჩვენ გვათვალიერებდნენ, პრეზიდენტმა პირველი ჩართვის ადგილიც მოხაზა, მეორე სცენაც შეარჩია, ირეჟისორა, იმსახიობა და გაიქცა. ვკრიფოთ ახლა ჩვენ კიტრი-პომიდორი.

კაცო, პრეზიდენტი მსახიობიც ყოფილა, რეჟისორიც და ვინ ვართ ჩვენ?!

შხეფი №2:

ჩალის ქუდები, ჩალის ქვეყანა?!

ზღვის სანაპიროს მზე მოეკიდა. ზღვისპირეთელები შხეფებით გასაგრილებლად (ან პოლიტიკის დასავიწყებლად) პლაჟზე წამოწვნენ. გამოჩნდნენ მზესუმზირას, აჭარული ბაქლავის თუ შოთის გამყიდველი ქალბატონებიც, რომლებიც სულის მოსათქმელად ზღვისგან გამორიყულ, დაღვარჭნილ კუნძზე სხდებიან ხოლმე. ერთხელ, მათგან ასეთი საუბარი მოვისმინე:

— ჩვენი მთავრობა იმდენს გაიძახის, — 100%-იანი დასაქმება, დასაქმებაო, რომ აჰა, დავსაქმდი წითელდიპლომიანი ქალიც.

— არადა, რაფერ ოცნებობდი ოქროს ქვიშაზე წამოწოლას? — ჩაიქირქილა მეორემ. — საიდან იქნება დასაქმება? ომიო, უბედურებაო, ინვესტორები გარბიანო, ოპოზიციამ უცხოელები შეაშინაო და...

— მაგი მოსაკითხავია კიდევ, ვინ ვინ შეაშინა. ბოლო დროს ქემალ ფაშაში გადავდიოდი, „ტავარი“ იაფად ჩამომქონდა და ლუკმაპურს ვშოულობდი, ახლა კიდევ განბაჟება მოინდომეს.

— აბა, გლეხს და გაჭირვებულს რომ არ გაგახარებდნენ, არ იცოდი?

— თურმე, ამ ახალი განბაჟების შესახებ ჯერ არც კანონში ყოფილა გაწერილი, მაგრამ მებაჟეებს თავრობა რომ არ კიცხავს?!

— თავრობის დავალებაა და რაფერ გაკიცხავს?.. ჩემმა გოგომ სკოლა დაამთავრა და წავიდა თურქეთში. მისი ჭკუით, კაბა იაფად უნდა ეყიდა, მარა ოთუზბირი დუუჯინეს ჩვენებმა.

ქალბატონები რამდენიმე წამით, უხმოდ გაჰყურებდნენ ზღვის ჰორიზონტს ისე, თითქოს, გადაცურვას ლამობენო, მერე ჩალის ქუდები ჩამოიფხატეს თავზე და ათასგზის გავლილ, მზემოკიდებულ ნაპირს გაუყვნენ...

შხეფი №3:

მინისტრის მოადგილეს არჩევნები აღარ ახსოვს (?!)

სკოლებმა სექტემბრამდე კარი გამოიხურეს და პედაგოგები ე.წ. „საზაფხულო ხელფასს“ ელოდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სულ ტყუილად.

— მშიერი ზაფხული გვქონია წელს, მოგვატყუეს პედაგოგები, — თქვა ავტობუსში, ჩემ წინ მჯდომმა მამაკაცმა.

— გასულ წელს საპარლამენტო არჩევნები იყო დაგეგმილი. ჰოდა, ამიტომაც, მე-13 ხელფასიც მოგვცეს ზაფხულში და დაპირებაც — ყოველწლიურად იქნებაო, — გამოეპასუხა კოლეგას იქვე მჯდომი ქალბატონი.

— აჭარის განათლების მინისტრის მოადგილემ საზაფხულო ხელფასს რომ ჭორი უწოდა, ხომ უსმინე გუშინ ტელევიზორში?

— კი, ვუსმინე. მაგისთანა ჩინოვნიკები რომ გვყავს მთავრობაში, იმიტომაც ვართ ასეთ დღეში. მე შემრცხვა, კინალამ, მაგის ნაცვლად, ისე აბდა-უბდა პასუხებს იძლეოდა და მეტიც: სათქმელიც არ დაურჩა ბევრ კითხვაზე.

— ჩვენს „კარგ“ ხელფასებზე კარგად ილაპარაკა და რა ვიცი. თურმე, პედაგოგებს 250 ლარს გვაძლევენ და ეს საკმაოდ მაღალი ხელფასი ყოფილა.

— როგორ შეიძლება, პედაგოგი ასე დაამცირო? თვითონ რომ 3 ათასი ლარს იღებს ჯამაგირს, დავიჯერო, პედაგოგზე 100-ჯერ მეტ საქმეს აკეთებს?.. ეჰ, სადაა სამართალი, ღმერთო?!.

შხეფი №4:

ყაჩაღურ ბანდას ფეხმძიმე ქალი მეთაურობდა (?!)

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ხელისუფლება დაკარგული ნდობის აღდგენას ცდილობს, გასულ დღეებში თემიდამ ზღვისპირეთში კიდევ ერთხელ დახუჭა თვალი: და-ძმა შალიკაშვილებს, ჯგუფური ყაჩაღობის გამო, 11 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. მათ წინააღმდეგ საქმეში მხოლოდ დაზარალებულის და ორი მოწმის ჩვენებაა(!). მსჯავრდადებულები განაჩენის გასაჩივრებას აპირებენ.

ნათია შალიკაშვილი

თითქოს, ჩვეულებრივი სასამართლო ქრონიკა „გვარწმუნებს“, რომ 3 ათასი ლარის ძვირად ღირებული ნივთების მისაკუთრებისთვის ყაჩაღობა ჩაუდენია: 4 თვის ფეხმძიმე ქალს(!), ნათია შალიკაშვილს (რომელიც რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის ხელოვნების პედაგოგია) და მის ძმას, 18-წლიანი გამოცდილების მქონე მეზღვაურ თენგიზ შალიკაშვილს (ყაჩაღობის დღეს მის საბანკო ანგარიშზე 28 ათასი დოლარი ირიცხებოდა). დანარჩენი 3 დამყაჩაღებლის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

დაზარალებული ხელვაჩაურში მცხოვრები ციური ბაკურიძეა, რომლის ოჯახსაც გასულ შემოდგომას, 5 პირი დაესხა თავს. ეს ქალბატონი წებოვანი ლენტით მიაკრეს სკამზე და 3 ათასი ლარის ღირებულების ძვირად ღირებული ნივთები წაართვეს. პოლიციაში ანონიმური ზარის შესვლის შემდეგ, სამართალდამცავებმა ნათია შალიკაშვილის მეუღლე, ნოდარ შანიძეც დააკავეს, მაგრამ ის მოძღვრის ჩვენების შემდეგ მალევე გაათავისუფლეს. როგორც აღმოჩნდა, ნოდარი ყაჩაღობის დღეს მონასტერში ყოფილა.

გასაკვირია ბევრი რამ: თუკი დაზარალებული წებოვანი ლენტით მიაკრეს სკამზე, მასზე როგორ არ დარჩა დამნაშავეთა თითის ანაბეჭდები? საინტერესოა, როგორ ვერ შეამჩნია დაზარალებულმა, რომ თავისივე აღწერილობით, მოკლე „ტოპიკსა“ და ჯინსის შარვალში გამოწყობილი ყაჩაღი ქალი ფეხმძიმედ იყო? რომელი დამოუკიდებელი სასამართლო ენდობა მხოლოდ დაზარალებულის და 2 მოწმის ჩვენებას?...

ბურუსით მოსილი რჩება დაძმა შალიკაშვილების არასაკმარისი მტკიცებულებებით დასჯის მოტივაციაც, ვინაიდან მათ დაზარალებულთან, ისევე, როგორც პოლიტიკასთან და ბიზნესთან, არაფერი აკავშირებთ. საინტერესოა ისიც, თუ რატომ უჭირს ქართულ თემიდას გამამართლებელი განაჩენის გამოტანა?!...

ვიდრე თემიდა საქმეს გადაწყვეტდა, ნათია შალიკაშვილი დედა გახდა. კანონმდებლობის შესაბამისად, ის მას შემდეგ მოიხდის სასჯელს, როცა პატარა დემეტრეს 5 წელი შეუსრულდება.

შხეფი მე-5:

„საკრებულოს თავმჯდომარე აწამეს და რიგითებს რას უზამენ?“

წამების წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო დღე ბათუმშიც აღნიშნეს. სახალხო დამცველის ოფისში, ადამიანის უფლებათა დამცავებთან ერთად, ჟურნალისტებიც შევიკრიბეთ. ითქვა, რომ მიუხედავად საერთაშორისო კონვენციებისა და კანონის უზენაესობის აღიარებისა, დღეს-დღეობით ადამიანთა სასტიკად წამების არაერთი ფაქტი ფიქსირდება.

— ყველას კარგად გვახსოვს, თუ როგორ დაკავეს ბათუმის ცენტრალურ ქუჩაში საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე, „ნაცმოძრაობის“ აქტივისტი ბადრი ქაჯაია. ის დღისით, მზისით, საზოგადოების თვალწინ გაიგდეს წიხლქვეშ. როცა ყოფილ მაღალჩინოსანს ასე ეპყრობიან, ადვილად წარმოსადგენია, როგორ ექცევიან თუნდაც, დამნაშავეებს, ჩვენთვის უხილავ ადგილებზე, — „შხეფად“ დაუმატა შეხვედრას სახალხო დამცველის აჭარის ორგანიზაციის წარმომადგენელმა, გიორგი ჩარკვიანმა.

შხეფი მე-6:

„სამწუხაროდ, ჩვენც სინდისის პატიმრობაში ვართ“

ბათუმის სანაპირო ზაფხულობით ხალხით ივსება და ასეა ახლაც. აქ პოლიტიკასთან ერთად, ცხოვრების ფილოსოფიასაც ხშირად განიხილავენ. მაგალითად, ასე:

— რომ გაუჯიუტდი ცხოვრებას და არ გადათქვი პრინციპები, რა შეგრჩა ხელში? — ეუბნება ერთი მამაკაცი მეორეს.

— სინდისი... სინდისი შემრჩა.

— შენ რას გკიცხავ, თავადაც ვერ ვჩერდებოდი სამუშაოზე. აბა, როგორ გინდა, შავზე თეთრი თქვა, ტყუილზე — მართალი, ბოროტზე — კეთილი? უსამართლობა სამართლის სახელით კეთდება ახლაც...

— ანუ ჩვენც „სინდისის პატიმრები“ ვართ, არა?

— ჰო, ვითომ, ჩვენს ქვეყანას პატიმარი აკლდეს. ამდენი ხილული თუ უხილავი საკნის შემხედვარე, როგორ გინდა, თავისუფლებაში დარჩე?

— შეხედე თავისუფლებაში ჩაძირულ ზღვას! მისი შხეფები მასველებს მე, უსაკნოსა და უნომრო პატიმარს...

■

„ლევანზე ხელი ვინ უნდა აღმართოს?!“

ლევან და გია გაჩეჩილაძეების ოჯახის მიმართ საზოგადოების ინტერესი არა და არ ცხრება. ჯერ იყო და, გაჩნდა ინფორმაცია, რომ ლევან გაჩეჩილაძეზე თავდასხმა იგეგმებოდა, მოგვიანებით კი საზოგადოებისთვის ისიც გახდა ცნობილი, რომ ჯანმრთელობის გაუარესების გამო, უცნობმა ნ-თვიანი „პატიმრობის“ შემდეგ „საკანი“ დატოვა და გამოკვლევების ჩასატარებლად გერმანიაში გაემგზავრა. მათ ოჯახში ორი სასიამოვნო სიახლეც არის: გია — სიმამრი, ხოლო ლევანი — მამამთილი გახდა.

ამ ყველაფრის შესახებ ძმები გაჩეჩილაძეების დედა, ქალბატონი ნანა თევზაძე მოგვითხრობს.

„ვნახოთ, გერმანელი ექიმები გიას მკურნალობის როგორ კურსს დაუნიშნავენ...“

თამუნა კვინიკაძე

— ქალბატონო ნანა, გილოცავთ შვილიშვილების გაბედნიერებას! ვიდრე თქვენი ოჯახის ახალ წევრებზე დაგისვამთ კითხვას, იქნებ, გიას ჯანმრთელობის მდგომარეობაზე გვითხრათ რაიმე. ჩვენ ვიცით, რომ ის გერმანიაში იმყოფება.

— მოგეხსენებათ, 6 მაისს მან სხეულზე სხვადასხვა დაზიანება მიიღო: ხელისგულისოდენა სისხლჩაქცევები ჰქონდა, წვივზე ძვალი ამოებურცა, რაც ძალიან მტკივნეული იყო. ტემპერატურა უთამაშებდა და ბოლოს, უმადობაც დაეწყო. მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა, პროექტი მაინც არ დატოვა. უფრო მეტიც, 40-გრადუსიანი ტემპერატურით დასავლეთ საქართველოში დაგეგმილ აქციაზე გაემგზავრა. მას მეუღლეც თან ახლდა. ქუთაისში ცუდად გამხდარა, მაგრამ „სასწრაფო“ არ მისულა.

— აბა, დახმარება ვინ აღმოუჩინა?

— აქციის მონაწილეთა შორის, ექიმები ყოფილან და დახმარება მათ გაუწიეს. წამლები წაღებული ჰქონდათ. თბილისში დაბრუნების შემდეგ ექიმთა კონსილიუმი შეიკრიბა. მათ თქვეს, რომ დაჟეჟილობები ნელ-ნელა „ლაგდება“, ტემპერატურის მომატება კი ორგანიზმის რეაქციის მანიშნებელია და ამიტომაც, საშიში არ არისო. პოლიციის სამმართველოში ცემის შემდეგ, მისთვის ტკივილგამაყუჩებელი თუ დამამშვიდებელი ინიექცია გაუკეთებიათ და ის ნანემსარიც გაუმიზეზდა. ერთი სიტყვით, მძიმე მდგომარეობაში იყო. როცა ექიმმა ლოლაძემ მოინახულა და მკურნალობა საკუთარი მალამოებით დაუწყო, ყველაზე მეტად, წვივზე მიყენებული დაზიანების შეეშინდა, მაგრამ მკურნალობა შედეგიანი აღმოჩნდა — ძვლის ჰემატომა თანდათან ჩაცხრა. ბოლოს, ყველაზე მეტად, მისმა უმადობამ შემაწუხა — მთელი დღის განმავლობაში არაფერს ჭამდა, მხოლოდ სიგარეტს ეწეოდა და წონაშიც საგრძნობლად დაიკლო. დაჟინებით ვთხოვდი, გამოსაკვლევად საზღვარგარეთ წასულიყო. თავიდან მეწინააღმდეგებოდა, „საკნის“ დატოვება არ უნდოდა, მაგრამ ბოლოს ლევანმაც ურჩია, რომ ჩემთვის დაეჯერებინა. ჰოდა, 27 ივნისს, დილით, მეუღლესთან ერთად წავიდა.

— ამჟამად თავს როგორ გრძნობს?

— როგორც ნინომ მითხრა, უკეთესადაა. მართალია, გამოკვლევის პასუხი ჯერ ცნობილი არ არის, მაგრამ მადა მოუვიდა. ჯერჯერობით არც ის ვიცი, თბილისში როდის დაბრუნდებიან.

— გამოკვლევაზე გერმანიაში წასვლა რატომ გახდა საჭირო? ხომ შეიძლებოდა, მისთვის დახმარება ქართვ-

ელ ექიმებსაც აღმოეჩინათ?

— აქ გამოკვლევა ორჯერ ჩავუტარეთ, მაგრამ ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში დაასკვნეს, რომ მსუბუქი დაზიანება ჰქონდა. ეს თუ მსუბუქია, მძიმე რაღას ჰქვია — რომ მოკვდები?!

— უნდობლობის განცდა გქონდათ?

— რა თქმა უნდა! შვილისთვის ასეთ მდგომარეობაში როდემდე უნდა მეყურებინა?!

— მის მოსანახულებლად „საკანში“ ხშირად მიდიოდით?

— 6 მაისის შემდეგ ყოველდღე დავდიოდი. რომ გაიღვიძებდა, უკვე იქ ვხვდებოდი, რათა ეჭამა. გიასთან 1 საათი ვრჩებოდი და მერე მოვდიოდი... მან „საკანში“ 5 თვე და 10 დღე გაატარა.

— ფიზიკურმა სისუსტემ მორალურადაც ხომ არ დაამძიმა?

— არა. მორალურად ყველაზე მძიმედ, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გრძნობდა თავს. მთელ დღეებს საგურამოში ატარებდა, უხასიათოდ იყო, ბუნებაში დადიოდა და ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს ხშირად სტუმრობდა.

— გერმანიიდან ჩამოსვლის შემდეგ გია ისევ „საკანში“ დაბრუნდება?

— ალბათ, ასე მოიქცევა. ვნახოთ, გერმანელი ექიმები მკურნალობის როგორ კურსს დაუნიშნავენ. შესაძლოა, გადაცემის ფორმატიც შეიცვალოს.

— გია სიმამრი გახდა. ირინას მეუღლეს იცნობდა?

— დიახ, ირინას რჩეული — გიგიშა შარაშიძეა. მე მათი ურთიერთობის შესახებ მარტში შევიტყვე. ეს ამბავი თავად ირინამ მითხრა მანამ, ვიდრე ჯვრისწერის თარიღს დანიშნავდნენ. ირინა და გიგიშა გიასთან, „საკანში“ მივიდნენ. გიას უთქვამს, — ხომ ხედავთ, როგორ მდგომარეობაში ვარ და ჯვრისწერა იქნებ, ცოტა ხნით გადადოთო, მაგრამ არ დაიცადეს, ჯვარი მამა დავითის ეკლესიაში დაიწერეს. გიამ საკანი ცოტა ხნით დატოვა და შვილის ჯვრისწერას დაესწრო.

— გიგიშას შესახებ რას ამბობს?

— მგონი, ჯერ სიძედ ვერც აღიქვამს, რადგან ურთიერთობა არ აქვთ... გამორიცხულია, გია ვინმეს ვერ შეეწყოს. ის ყველა ადამიანში დადებით თვისებებს ეძებს.

— ახალდაქორწინებულები სად იცხოვრებენ?

— ამჟამად, საქორწილო მოგზაურობაში, თურქეთში არიან. არ ვიცი, მომავალს როგორ აიწყობენ.

— ცოტა ხნის წინ თქვენი კიდევ ერთი შვილიშვილი, ლევანის ვაჟი — გაგუნაც გაბედნიერდა...

— დიახ. გაგუნა 27 მარტს 20 წლის გახდა. ის ლონდონის უნივერსიტეტში სწავლობს. თბილისში არდადეგებზე ჩამოვიდა, ჩვენთან მოვიდა, მოგვიკითხა, გამოცდების ჩაბარებაზე გვესაუბრა, მაგრამ სამომავლო გეგმებზე არაფერი უთქვამს. მეორე დღეს დამირეკა და მითხრა: ბებო, ხვალ სახლში იქნებიო? — რატომ მეკითხები, მოსვლა გინდა-მეთქი? — ცოლის მოყვანას ვაპირებ და მინდა, ჩემი საცოლე გაგაცნოო. — ჯერ 20 წლის ხარ, ადრე არ არის-მეთქი? — დაგავიწყდა? მამაც 20 წლის იყო, როცა დაქორწინდაო. მეორე დღეს გაგუნამ საცოლე გამაცნო. ანო ძალიან მომეწონა. ვიცოდი, რომ ერთმანეთი 2 წლის განმავლობაში მოსწონდათ. ჯვარი სვეტიცხოველში დაიწერეს, მერე კი პარიზში წავიდნენ. ანოც სტუდენტია, იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობს.

— ლევანი როგორი მამამთილია?

— ლევანი სახლში თითქმის არ არის, მაგრამ ვიცი, ერთმანეთის გაგება არ გაუჭირდებათ. ახალდაქორწინებულები ლევანთან იცხოვრებენ. ჩემი აზრით, ბავშვი რაც უფრო დიდ ოჯახში ცხოვრობს და იზრდება, უკეთეს ადამიანად ყალიბდება.

— როგორც ვიცი, საქორწინო მოგზაურობის დროს გაგუნა პოლიციამ დააკავა...

— ემოციური ადამიანი ვარ და ყველაფერს ძალიან განვიცდი. ამიტომაც, ჩემი შვილები ყველაფერს არ მეუბნებიან. გაგუნას დაკავების ამბავი გაზეთში წავიკითხე და ვინერვიულე — რა მოხდა, რა დააშავა-მეთქი? მერე თავად მელაპარაკა: ბებო, კაფეში სიგარეტი მოვწიე. ჰოდა, ამიტომ დამაკავეს, ჯარიმა გადამახდევინეს და გამომიშვეს.

— მინდა, კახა თარგამაძისა და თქვენი შვილის შეხვედრასთან დაკავშირებითაც გკითხოთ: თქვენ იცოდით, ლევანი ბერლინში ვის უნდა შეხვედროდა?

— ვიცოდი, რომ გერმანიაში წავიდა, მაგრამ მისი შეხვედრის შესახებ ინფორმაცია არ მქონდა.

— არც ის იცით, შეხვედრა ვისი ინიციატივით მოხდა?

— თუ არ ვცდები, თარგამაძემ შეგოუთვალა, რომ მისთვის რაღაც ჰქონდა სათქმელი. გააფრთხილა, რომ მასზე თავდასხმა იგეგმება. ამ სიტყვების გამეორებაზეც ცუდად ვხდები... ლევანზე ხელი ვინ უნდა აღმართოს?! კახა თარგამაძეს ისიც შეუმჩნევია, რომ მათ შეხვედრას ვიღაც იღებდა...

— ვინ იყო, არ დაინტერესდნენ?

— არ გამოლაპარაკებიან, გარეგნობით გერმანელს ჰგავდაო...

— გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ, ოჯახის წევრებისთვის მაინც თუ გახდა ცნობილი, კახა თარგამაძის გარდა, კიდევ ვის შეხვდა?

— არა და არც ვეკითხები. მოვა დრო და ხალხს ყველაფერს თავად ეტყვის. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ლევანს ევროპაში ბევრი ნაცნობი ჰყავს. ბოლოს და ბოლოს, 3 წელი ჰოლანდიაში ცხოვრობდა. ბელგიაში, ბიზნესსკოლაში სწავლის დროსაც ბევრი წარმატებული ადამიანი გაიცნო და დაუმეგობრდა. მას ბიზნესის აწყობაში თავიდან ფრანგები დაეხმარნენ, შემდეგ საქმე თვითონაც კარგად წარმართა... 1999 წელს კი საქართველოში საუკეთესო ბიზნესმენად დაასახელეს.

— პოლიტიკაში წასვლის სურვილი რატომ გაუჩნდა?

— პოლიტიკაში ზურაბ ჟვანიას რჩევით მოხვდა. პარლამენტში შესვლის შემდეგ, სპორტის და ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა დაავალა. ბოლოს ისე მოხდა, რომ საკაშვილმა სულ ოლიგარქი ეძახა. ლექსიკონში ვნახე ეს სიტყვა და „ოლიგარქი“ სახელმწიფო სამსახურში გამდიდრებულ კაცს ნიშნავს. ლევანის ბიზნესში მხოლოდ ფრანგული ინვესტიცია იყო ჩადებული. სანამ მასსა და საკაშვილს შორის დაპირისპირება მოხდებოდა, მიშამ სთხოვა, — წამიყვანე და შენი პარტნიორი ფრანგი ინვესტორები გამაცანიო. საფრანგეთში ერთად წავიდნენ და იმ ადამიანებს შეხვდნენ... ახლა „რუსეთის კაცს“ ეძახის. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ლევანის იმიჯი შელახონ... ■

ერთმანეთი 2 წლის განმავლობაში მოსწონდათ

საკურორტო ზონა მამაცი ტურისტებისთვის

„ომის დროსაც არ მიფიქრია სოხუმიდან წასვლაზე, ახლა კი უკანმოუხედავად წავიდოდი აქედან“

სეპარატისტული აფხაზეთი ე.წ. დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსით წელს პირველად ხვდება საკურორტო სეზონს. დამოუკიდებლობის აღიარებას, ადგილობრივი მოსახლეობისთვის შვება არ მოუტანია, პირიქით, ეკონომიკური პირობებიც დამძიმდა და სოციალური ფონიც გაუარესდა. გარდა ამისა, ბაღაფშის ხელისუფლებამ ვერც ამ წელს შეასრულა დანაპირები — აფხაზეთის რეგიონში უსაფრთხოების პრობლემა ისევ მწვავედ დგას. მას შემდეგ, რაც თითქმის ყველა ქალაქში დამატებითი რუსული სამხედრო ძალები შეიყვანეს, ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა, ამის მიზეზი კი არაჯანსაღი კონკურენციაა, — იქ, სადაც რუსი სამხედროების, აფხაზი პოლიტიკოსებისა და სომეხი ბიზნესმენების ფინანსური ინტერესები იკვეთება, ნებისმიერი ბიზნესგარიგება სისხლიანი შეტაკებით სრულდება.

სასტუმროს ყველა მეპატრონეს შესყიდული აქვს პლაჟის გარკვეული ფართობი, სადაც უსაფრთხოების ზომები გამკაცრებულია

ლალი პაპასკირი

საქართველოს შავი ზღვისპირა ზოლის აფხაზეთის რეგიონი, ის ადგილია, სადაც დასვენებას ყველაზე მამაცი ადამიანები ბედავენ. იქ არსებულ არასტაბილურ გარემოზე ჯერ კიდევ 1990-იანი წლებიდან მოყოლებული წერდა რუსული პრესა. მიუხედავად ამისა, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შემდეგ აფხაზეთში დასასვენებლად ძირითადად რუსები ჩადიან და მათი უსაფრთხოება უმეტეს შემთხვევაში უზრუნველყოფილი არ არის. ოფიციალური ინფორმაციით, აფხაზეთის ერთ საკურორტო ქალაქში, ყოველ სეზონზე ტურისტებზე 200-მდე თავდასხმა ხდებოდა.... როგორ დაიწყო სეპარატისტულ აფხაზეთში წლევანდელი საკურორტო სეზონი, რამდენ კატეგორიად არის დაყოფილი საქართველოს ზღვისპირეთის ერთი ქალაქი და ვისთვის ვითარდება ტურიზმი „დამოუკიდებელ“ აფხაზეთში? — ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად, აფხაზეთის სხვადასხვა ქალაქში მცხოვრებლებს დავუკავშირდი.

ნანა ბგანბა, *გაგრა;*

— მას შემდეგ, რაც ზღვისპირა ქალაქების პრივილეგირებული ადგილები რუსი სამხედროებისა და პოლიტიკოსების, ასევე სომეხი ბიზნესმენების კუთვნილება გახდა, კრიმინოგენური სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა. სასტუმროს მეპატრონეები კონკურენტისთვის კლიენტების დასაფრთხობად ყველა გზას მიმართავენ. ეს ის ადგილია, სადაც ადამიანი დანაშაულის ჩადენისთვის არ ისჯება, უბრალოდ, ქალაქის ხელმძღვანელობა და სამართალდამცველები წილში უჯდებიან... ორ ბიჭს ვზრდი და იმის წარმოდგენაც არ მინდა, რა ქვეყანაში(!) მოუწევთ მათ ცხოვრება, როცა გაიზრდებიან, ვინაიდან იმედისმომცემი არაფერი ჩანს. ძალიან ვნანობ, ომის დაწყებამდე აქაურობა რომ არ დავტოვე და ცხოვრება სხვა ქვეყანაში არ გავაგრძელე...

— როგორი ვითარებაა ამჟამად გაგრაში?

— ბოლო ორი წლის განმავლობაში უპრეცედენტო რაოდენობის სასტუმრო გაიხსნა, ამ პატარა ქალაქში უკვე 20-ზე მეტი სასტუმრო და სანატორიუმი ფუნქციონირებს. ერთი პანსიონატი, — „სოლნეჩნი დომ“ და ერთიც, დასასვენებელი სახლი — „სერებრიანი დვორ“. მათგან ზოგი ახალია, ზოგს კი დამსვენებლების მიღება ომის შემდეგაც არ შეუწყვეტია. „ამრა“, „გაგრიფში“, „გარა“, „კრუიზ-გაგრა“ — ქალაქში ყველაზე ძვირად ღირებული სასტუმროებია, მათი უმეტესობა რუსებს ეკუთვნის. ერთთვიანი დასვენება 3-ჯერადი კვებით (შეკვეთილი მენიუ, ფრანგული, რუსული და ინტერნაციონალური საკვებით) 3 ათასი რუბლი (ქართული კურსით — 500 ლარი) ღირს. ამ თანხაში შედის ადგილობრივი მინერალური წყალი „აუდხარაც“. სასტუმროს ყველა მეპატრონეს შესყიდული აქვს პლაჟის გარკვეული ფართობი, სადაც უსაფრთხოების ზომები გამკაცრებულია, მაგრამ გარკვეული ინციდენტები მაინც ხდება.

— სასტუმროს ბინადრების უსაფრთხოებაზე დაცვის სამსახური ზრუნავს თუ იქაურობას სამართალდამცველები აკონტროლებენ?

— თითქმის ყველა სასტუმროს თავისი დაცვის სამსახური ჰყავს, ფეშენებელური სასტუმროები ისეა დაცული, სამთავრობო რეზიდენცია გეგონებათ. სასტუმროს მეპატრონეებს კლიენტების მოსაპოვებლად ომი აქვთ გამოცხადებული, ამიტომაც ერთმანეთის „ჩასაძირად“ ყველა ხერხს მიმართავენ, ძირითადი მეთოდი კლიენტების დაფრთხობაა, რაც ქართველი სპეცრაზმელებისა და პარტიზანების სახელით „მცირე“, შესაშინებელი ტერაქტების მოწყობას გულისხმობს...

— თქვენ ბრძანეთ, რომ რუსი სამხედროების შემოსვლის შემდეგ ვითარება დაიძაბა. რა არის ამის მიზეზი?

— ადგილობრივ და რუს სამხედროებს შორის დიდი დაპირისპირებაა. აფხაზ სამხედრო ჩინოვნიკებს თავიანთი ბიზნესი რომ აქვთ (ღვინის ქარხნები, მინერალური წყლის ჩამოსასხმელი ქარხანა, სასტუმროსა და რესტორნების ქსელები და დაცვის სამსახურის ოფისები), ამის შესახებ იციან ახალშემოყვანილმა რუსმა სამხედროებმა და ცდილობენ, გავლენით ისარგებლონ და აფხაზებს ბიზნესი წაართვან. ამის დათმობა კი აფხაზი სამხედროებისთვის, გარდა იმისა, რომ წამგებიანია, შეურაცხმყოფელიც არის. ლეგალური თუ არალეგალური ბიზნესი აფხაზეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან „საუბრის“ შეუცვლელი საშუალებაა. მაგალითად, შს მინისტრ ოთარ ხეციასა და საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას რამდენიმე საერთო ბიზნესი აქვთ. რადგანაც ხეცია ძალოვან სტრუქტურას მართავს და ბაღაფშის მთავრობის მაქინაციებზე ძალიან დიდ ინფორმაციას ფლობს, პრეზიდენტი იძულებულია, მას ანგარიში გაუწიოს და უამრავ დანაშაულზე თვალი დახუჭოს.

— სასტუმროების გახსნა და დასვენებისთვის არასტაბილური გარემო, ჩვეულებრივი მოსახლეობის სეზონურ შემოსავალზე როგორ აისახება?

— სასტუმროების გახსნა უბრალო მოსახლეობას საარსებო წყაროს გვაცლის, რადგანაც აფხაზეთში ჩამოსუ-

ლი ტურისტები რისკის ფასად ისვენებენ, ურჩევნიათ, უფრო მეტი თანხა გადაიხადონ და სასტუმროში უსაფრთხოდ დაისვენონ. გაგრაში ცენტრალური ქუჩები, პარკები და სკვერები გაალამაზეს. უამრავი კაფე-ბარი და რესტორანი გაიხსნა, ფასები ჩვენი ხალხისთვის მიუწვდომელია, დამსვენებლისთვის კი იაფი და ხელმისაწვდომი. გაგრაში ძირითადად, რუსები ჩამოდიან. გარშემო ქვეყანა რომ ინგრეოდეს, ისინი ყურადღებას არ მიაქცევენ: მათ ჯიში აქვთ ისეთი, სხვისი კი არა, საკუთარი ოჯახის წევრის პრობლემას არ განიცდიან. მახსოვს, 90-იან წლებში ომის დროს, პლაჟზე მიცვალებულების გვერდით იწვნენ და ირუჯებოდნენ. მაშინ უნდა გვეფიქრა, რომ ეს ხალხი ყველაფერს საკუთარი კეთილდღეობისთვის გააკეთებდა.

როზა პაპავა, *ბიჭვინთა:*

— ადგილობრივი ხელმძღვანელობა გვპირდება, რომ წინა წლებთან შედარებით, მეტი ტურისტი ჩამოვა, მაგრამ არა ობიექტების გახსნა, როგორც ადგილობრივი, ისე რუსი და სომეხი ბიზნესმენების კეთილდღეობას ემსახურება. ჩვენ პირიქით, დამსვენებლები მოგვაკლდა, მაგრამ ხალხი ისეა უმუშევრობით გამწარებული, ნებისმიერი სახის სამუშაოზე თანახმაა, ოღონდაც სახლში ცოტა ფული შეიტანოს. საქმე ის არის, რომ მათ მართლა შავი სამუშაოს შესრულება უწევთ, რადგან ბიზნესმენი, ვინც ახალ სასტუმროს ხსნის, ცდილობს, კლიენტებს კვალიფიციურად მოემსახუროს და მასაჟისტი, „შეფპოვარიც“, მიმტანიცა და მებაღეც კი რუსეთიდან ან უცხოეთიდან ჩამოჰყავს... მართალია, აფხაზეთში რუსიფიკაცია აქტიურად მიმდინარეობს, მაგრამ ადგილობრივები ყველანაირად ცდილობენ, თავიანთი შვილები ასეთ დაწესებულებებში არ ამუშაონ. ეს ამორალობად მიიჩნევა და ძნელია, აფხაზმა უყუროს, თუ როგორ უშლის სუფრას მისი ქალიშვილი ვიღაც რუსს.

— მაშ, სად საქმდებიან აფხაზი ახალგაზრდები?

ბაღაფშმა კიდევ უფრო დაამძიმა ჩვენი ცხოვრების პირობები, აქაურობას რუსები დაეპატრონნენ

მგონია, ეს ჩვენთვის შელავათი იყოს. ქალაქში უკიდურესად მძიმე კრიმინოგენური ვითარებაა, გატაცებებს, ყაჩაღობებს და მკვლელობებს, წვრილმანი დანაშაულიც ემატება და ვინც ეს უბედურებები საკუთარ თავზე იწვნია, ცდილობს, მომდევნო წელს შედარებით უსაფრთხო ადგილას დაისვენოს. შარშან დამსვენებლებს მანქანებიც კი არ შეატოვეს.

— ამ ყველაფრის უკან ვინ დგას, ადგილობრივი კრიმინალები?

— იცით, ძალიან ძნელია, გაარკვიო, დღევანდელ აფხაზეთში კრიმინალის, პოლიტიკოსისა და მაღალჩინოსნის ქმედებებში განსხვავება შეამჩნიო. ჩვენი პრეზიდენტი ამბობდა, მთავარია, ენგურის საზღვარი საიმედოდ ჩაიკეტოს და კრიმინალი შემცირდებაო. საზღვარი ჩაიკეტა, აფხაზეთში ქართული წარმოების საქონელი გაქრა, მაგრამ დანაშაული არ შემცირებულა. სინამდვილეში, ბაღაფშის მთავრობის ძირითადი მიზანი, აფხაზურ ბაზარზე ქართული საქონლის დაბლოკვა იყო, უნდოდა, ხალხი ფსოუს საზღვარს მისწყდომოდა...

— ბოლო დროს აფხაზეთში რამდენიმე ახალი სასტუმრო და საკვები ობიექტი გაიხსნა, როგორ აისახა ეს ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრებაზე?

— ახალი დასასვენებელი

— არასამთავრობო ორგანიზაციებში ან ადგილობრივი სასწავლებლების დასრულების შემდეგ, რუსეთში მიდიან.

— მათთვის ცხოვრების აწყობა იქ უფრო ადვილია?

— არც ისე, არც იქ უგებენ ფიანდაზებს, მაგრამ მშობელი შვილის წვალებას მაინც ვერ ხედავს... ახლობლის ქალიშვილი სასტუმრო „ლძიაში“ მუშაობდა ადმინისტრატორად, მაგრამ სამ თვეზე მეტხანს ვერ გაძლო. მთელი ღამე მუშაობდა და მერე გაარკვია, რომ სხვებთან შედარებით, მესამედს უხდიდნენ. ბოლო დროს, ჩვენს გოგონებს, დასასვენებლად ჩამოსულები თავიანთი პატარებისთვის ქირაობენ. სახლში, რა თქმა უნდა, ისეთ პირობებს ვერ შევთავაზებთ დამსვენებლებს, ამიტომაც ხშირად მწარედ ვხუმრობთ, — მარტოხელებისა და პენსიონერი რუსების იმედად დავრჩით-თქო... მაისში ერევნიდან ჩამოსულმა სომეხმა ბიზნესმენმა ქოჩარიანმა, ბიჭვინთის ცნობილ ფიჭვნარში კოტეჯები ჩადგა და იქაურობას მაღალი გალავანი შემოავლო. თუმცა ამას წინათ ორი კოტეჯი მაინც ააფეთქეს; საბედნიეროდ, ამ დროს დამსვენებლები ზღვაზე იყვნენ გასული და გადარჩნენ... საქმე ის არის, რომ აფხაზეთში ყველაფერი ტურისტებისთვის კეთდება, ჩვენს კეთილდღეობაზე არავინ ზრუნავს.

რუსიკო, *34 წლის, სოხუმი:*

— ახლა უცხოელმა სოხუმის ქუჩებში რომ გაიაროს, ძალიან გაუჭირდება იმის დაჯერება, რომ ეს საკურორტო ქალაქია — ყველა ცენტრალურ ქუჩაზე სამხედროები დგანან. აქაურობა ძალიან ჰგავს „ვოენი გარადოკს“. სოფელი კამანი, რომელიც ნარკოტიკებისა და არალეგალური იარაღის ბუდედ არის მიჩნეული, რუსმა სამხედროებმა და ადგილობრივმა მილიციამ ლამის ალყაში მოაქციეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს ბიზნესი იქ მაინც ყვავის. ბოლო დროს, კანონის დარღვევის გამო არავინ ისჯება... მართალია, ქალაქში რაღაცები კეთდება, რემონტდება, შენდება, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრებაზე არ აისახება, ჩვენ ისევ კაპიკებს ვითვლით, ახალგაზრდები უმუშევრად, მოხუცების კმაყოფაზე არიან, რომლებიც რუსეთიდან იღებენ პენსიას (სტაჟისა და დამსახურების მიხედვით, საშუალოდ, 200 დოლარამდე). ჩემი თაობის ხალხი კი ცდილობს, ზღვის სეზონი მაქსიმალურად გამოიყენოს, ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით, ჭილოფის ქუდსა და რეზინის ჩუსტებში გამოწყობილ, პარკებით დახუნძლულ და ზომაზე მეტად გარუჯულ ქალებს. ამას წინათ, ერთმა რუსმა ირონიულად მითხრა: საბჭოთა წლებში აქ რომ ჩამოვდიოდი, „ციგნის“ ქალები დადიოდნენ ასე გამოწყობილი, ბარემ ყავაზე მკითხაობაც ისწავლეთ და შემოსავალიც მეტი გექნებათო... ბაღაფშმა კიდევ უფრო დაამძიმა ჩვენი ცხოვრების პირობები, აქაურობას რუსები დაეპატრონნენ. ახლა ოპოზიცია გვპირდება, თუ მას დავუჭერთ მხარს, ვითომ რაღაცებს შეცვლის.

— გჯერათ მათი?

— უკვე არავისი მჯერა. რუსეთის ხელისუფლება ამდენ სამხედროს ტყუილად არ შემოიყვანდა. ამ ტანკებისა და ჯავშანტრანსპორტიორების გრუხუნმა ისე დამთრგუნა, ქუჩაში გამოსვლა აღარ მინდა. ომის დროსაც კი არ მიფიქრია ჩემი ქალაქის დატოვებაზე, ახლა კი, საბუთები რომ მქონდეს წესრიგში, უკანმოუხედავად წავიდოდი აქედან. ■

გაგრაში ძირითადად, რუსები ჩამოდიან. გარშემო ქვეყანა რომ ინგრეოდეს, ისინი ყურადღებას არ მიაქცევენ

„უნდა გავიაზროთ ის ხედვა, რომელსაც ობამა მთელ მსოფლიოს სთავაზობს“

რუსეთში ქართველების სიხარულს ნაადრევად მიიჩნევენ. ჩვენი ხელისუფლება, ოპოზიცია და პოლიტიკური ექსპერტები ერთნაირად გაახარა იმ ფაქტმა, რომ მოსკოვში ჩასულმა ბარაკ ობამამ დმიტრი მედვედევთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საჯაროდ დაუჭირა მხარი. ქართველების იმედიან განწყობილებას უსაფუძვლო უწოდა პუტინის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა იური უშაკოვმა და განაცხადა, რომ ობამა პუტინს საქართველოსთან, უკრაინასთან და მთელ პოსტსაბჭოთა სივრცესთან დაკავშირებით, რუსეთის ინტერესების გათვალისწინებას შეჰპირდა.

ხათუნა ბახტურიძე

პოლიტოლოგმა ანდრო ბარნოვმა უშაკოვის განცხადებას საიცრუე უწოდა და აღნიშნა, რომ როდესაც ობამა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობაზე ლაპარაკობს და იმასაც აღნიშნავს, — ნატოს გაფართოება სახელმწიფოების თავისუფალ არჩევანზეა დამოკიდებულიო, — სრულიად წარმოუდგენელია, პუტინთან დიალოგისას, გავლენის სფეროებზე რუსეთის პრეტენზია გაეზიარებინა.

— ბატონო ანდრო, ქართველებისთვის მაინც, რით იყო მოსკოვში ობამას ვიზიტი მნიშვნელოვანი?

— ამ ვიზიტამდე გამუდმებით იყო ლაპარაკი იმაზე, რომ რუსეთი საქართველოში ახალი აგრესიის განხორციელებას გეგმავდა. აქამდე მეც ვერ გამოვრიცხავდი, რომ ომი არ დაიწყებოდა. ახლა დავრწმუნდით, რომ უახლოეს მომავალში ომი არ იქნება, დავმშვიდდით და საშუალება მოგვეცა, გავაანალიზოთ ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

— რა გაძლევთ იმის ფიქრის საფუძველს, რომ რუსეთი უახლოეს მომავალში აგრესიას არ განახორციელებს?

— ობამამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაუშვებელია, XXI საუკუნეში ერთმა სახელმწიფომ მეორეს თავს მოახვიოს მისი სურვილები და ამის მაგალითად, სწორედ საქართველო და უკრაინა ახსენა. მან საქართველო მაშინაც ახსენა, როდესაც ტერიტორიული მთლიანობის აღიარების აუცილებლობაზე საუბრობდა. შემდეგ ისიც თქვა, — მე და პრეზიდენტი შევთანხმდით, რომ რეგიონში ახალი ომი არავის აძლევს ხელსო. ორ კვირაში თბილისში ბაიდენი ჩამოვა. ამ ყველაფრის შემდეგ, რუსეთმა ჩვენ წინააღმდეგ აგრესია რომ განახორციელოს, ეს პირდაპირ ამერიკის წინააღმდეგ მიმართული აქცია იქნება.

— დარწმუნებული ხართ, რომ რუსეთი ახალი აგრესიისთვის საბაბს ვერ იპოვის და ისევ პროვოკაციაზე არ წამოგვაგებს?

— ამ ეტაპზე ისიც ძალზე მნიშვნელოვანია, რომ „ომი გადავადდა“. ახლა ყველანაირად უნდა ვეცადოთ, პოლიტიკა ისე შევცვალოთ, რომ საფუძველშივე გამოირიცხოს რაიმე ტიპის აგრესიის საქართველოსთვის დაბრალება. საკმარისი დრო გვაქვს საიმისოდ, რომ გავაანალიზოთ როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკური პროცესები და კონფლიქტურ რეგიონებთან ურთიერთობები. აუცილებელია, რომ ამ სფეროში სრულიად ახლებული ხედვა ჩამოვაყალიბოთ. თუ ჩვენი ხელისუფლება ამ საქმეს წარმატებით გაართმევს თავს, გვექნება შანსი, რომ საქართველო რეგიონში ობამას სამშვიდობო, დემოკრატიული პოლიტიკის განმახორციელებელი გახდეს.

— როგორ ფიქრობთ — სააკაშვილის ხელისუფლებას აქვს იმის რესურსი ან ნება, რომ დღეს არსებული პოლიტიკური კურსი რადიკალურად შეცვალოს?

— ეს ყველაფერი იდეაში, შესაძლებელია და თან — აუცილებელიც. მოსკოვს არ უნდა მივცეთ საფუძველი, თქვას — საქართველო უნდა დაისაჯოს, რადგან აგრესიული, არადემოკრატიული სახელმწიფოა და არღვევს, როგორც საკუთარი მოქალაქეების, ისე ეროვნული უმცირესობების ინტერესებსო. თუ რუსეთის დესტრუქციულ ძალას არ გამოვაცალეთ ეს არგუმენტები, ადრე თუ გვიან, ისევ აგრესიას მივიღებთ. თუ საქართველო პოლიტიკის განახლებაზე უარს იტყვის, ამაზე პასუხისმგებლობა დაეკისრება, როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას. ერთხელ და სამუდამოდ, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ შედგეს რეალური დიალოგი, რადგან ეს, რომელიმე პოლიტიკური ძალის ინტერესებს კი არ ემსახურება, არამედ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეობს. ყველამ ერთად უნდა გავიაზროთ ის ხედვა, რომელსაც ობამა მარტო მოსკოვს კი არა, მთელ მსოფლიოს სთავაზობს. ალბათ შეატყობდით, რომ მან იგივე განცხადებები გააკეთა მოსკოვში, რაც კაიროში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ზესახელმწიფო თანამშრომლობისა და მშვიდობის ხელს უწვდის ყველას და მათ შორის — ჩვენც.

— ობამა და მედვედევი საქართველოს საკითხზე ვერ შეთანხმდნენ და ისიც თქვეს, რომ ეს კიდევ დიდხანს დარჩება მათ შორის აზრთა სხვადასხვაობის საგნად. როგორც ჩანს, ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარება ისევ გაურკვეველი დროით გადაიდო...

— არც ასეა საქმე. რუსეთი ამბობს, — ცხინვალისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა იმიტომ ვაღიარე, რომ აგრესორი საქართველოსგან უმცირესობების ინტერესებს ვიცავო, — და ირწმუნება, სიტყვას უკან არ წავიღებო. კი, ბატონო, აღიაროს, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ჩვენ ამ რეგიონებთან საუბარი გვეკრძალება! თუ ჩვენ შევცვლით პოლიტიკას სოხუმისა და ცხინვალის მიმართ და ამ რეგიონებს საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების სურვილს გავუჩენთ, რუსეთი იძულებული გახდება, თავისი სიტყვები უკან წაიღოს, იმიტომ, რომ მოსკოვში გამუდმებით ირწმუნებიან, — აფხაზ და ოს ხალხებს უფლება აქვთ, თავად გადაწყვიტონ, უნდათ თუ არა საქართველოსგან დამოუკიდებლად ცხოვრებაო.

— ორი პრეზიდენტის ერთობლივ პრესკონფერენციაზე სააგენტო „ასოშიეიტედ პრესის“ კორესპონდენტმა ობამას პირდაპირ ჰკითხა: რა აზრი აქვს მედვედევთან მოლაპარაკებას მაშინ, როდესაც ქვეყანას ფაქტობრივად, პუტინი მართავსო?.. რამდენად შესაძლებელია, რომ ამ ფაქტით შეურაცხყოფილმა მედვედევმა პუტინის არჩეულ პოლიტიკურ კურსს გადაუხვიოს და ეს მათ შორის დაპირისპირების მიზეზი გახდეს?

— მე თუ მკითხავთ, ამ ფაქტით შეურაცხყოფილი, პუტინი უფრო დარჩა, რადგან ამ კითხვის პასუხად, ობამამ სრულიად არაორაზროვნად განაცხადა, რომ მისი პარტნიორი არის მედვედევი და არა — პუტინი. რაც შეეხება მათ შორის შესაძლო დაპირისპირებას, — მგონია, რომ პუტინსა და მედვედევს შორის ხელისუფლებისთვის ჭიდილი კიდევ უფრო აქტიურად განვითარდება, მაგრამ ეს ბრძოლა კულუარებს არ გასცდება... ■

მედვედევის ღიმილი და „გებელსის სიფათი“

პრეზიდენტმა მედვედევმა გამოსცა ბრძანებულება — „სრულიად რუსეთის სავალდებულო და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ტელე და რადიოარხების შესახებ“, რომლის თანახმადაც, ზოგიერთი ტელე და რადიოარხი აუცილებლად, ყველა მოქალაქის სახლში უნდა „შევიდეს“. თუმცა მასობრივი პროპაგანდის საქმეში გზის გამკვლევის „დაფნის გვირგვინი“ რუსეთის პრეზიდენტს მაინც არ ეკუთვნის. უფრო მეტიც — ის ამ სასახელო საქმის არათუ მესაძირკვლე, არამედ გამგრძელებელიც კი არ არის; ის მხოლოდ მისი რეანიმატორია. ჯერ კიდევ

სახელისუფლებო ვერტიკალის დიდი მიმდევარი — ადოლფ ჰიტლერი ბრძანებდა: „მომავალში გერმანიაში სადენიანი რადიოკავშირის ორგანიზება მოხდება, რადგან საკუთარი ხალხის მოწამვლას არც ერთი გონიერი სახელმწიფო არ დაუშვებს“. მართალია, ჰიტლერს ეს ბოლომდე არ გამოუვიდა, სამაგიეროდ, ჩვენ გამოგვივა!..

ისე, „აგიტპროპი“ თითქოს სამუდამოდ ჩაჰბარდა წარსულს და მისი უკან მობრუნება სრულიად შეუძლებლადაც კი მოჩანს, მაგრამ მარჯვე ხელისა და პოლიტიკური ნების არსებობის პირობებში თურმე, მაინც ყველაფერია შესაძლებელი. და განა ჩვენ სწორედ ის „მარჯვე და გონიერი“ მთავრობა არ გვყავს, რომელიც არავის და არასდროს მისცემს საკუთარი ხალხის მოწამვლის ნებას?!.

საქმე 8 ტელეკომპანიასა და 3 რადიოარხს ეხება. პრივილეგირებული ტელეარხების სიაში შევიდა: „კულტურა“, საბავშვო-საყმაწვილო სატელევიზიო არხი, ტელეარხი „სპორტი“, „პირველი არხი“, „პეტერბურგი — V არხი“, „ვესტი“, „როსია“ და „ენტევე“. რადიარხების სიაში კი — „ვესტი ეფ-ემ“, „მაიაკი“ და „რადიო როსიი“ მოხვდა.

ბრძანებულების მოუქნელმა და ნაკლებდამაჯერებელმა სახელწოდებამ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. მასში საკვანძო — 2 სიტყვაა: „აუცილებელი“ და „საყოველთაოდ ხელმისაწვდომი“. „აუცილებელი“ არხები „რუსეთის მთელ ტერიტორიაზე გასავრცელებად იქნება გამოყენებული“, — ნათქვამია დოკუმენტში; „საყოველთაოდ ხელმისაწვდომი“ კი იმ უბრალო მიზეზის გამო გახდება, რომ საეთერო სიგნალის გადასაცემად, ეს არხები ფულს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღებენ.

ბრძანებულება მზაკვრულად ირწმუნება, რომ ეს არხები „მომხმარებლისთვის უფასო იქნება“, რაც, ცხადია, სიცრუეა. რჩეული არხების ხელმისაწვდომობისთვის ფულს სწორედაც რომ მომხმარებელი გადაიხდის, ოღონდ — არა სააბონენტო, არამედ საერთო გადასახადის სახით. განსხვავება კი მხოლოდ ის იქნება, რომ აბონენტის ყიდვით, მომხმარებელი არხებს თვითონვე ირჩევს, ხოლო არხების შესანახად და მათი რეტრანსლაციისთვის გადასახადის დაფარვისას, ის ამ არჩევანს მთავრობას ანდობს. ან, შეიძლება, არც ანდობს, მაგრამ ეს აღარავის აინტერესებს: პრეზიდენტმა მედვედევმა თავად გადაწყვიტა, რომელი არხებია კარგი და იმსახურებს სახელმწიფო უზრუნველყოფას და რომელი კიდევ, უამისოდაც გავა ფონს. და ეს მან, რაღა თქმა უნდა, „მასობრივი ინფორმაციის თავისუფლებისა და მოსახლეობის მიერ სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის უზრუნველყოფის მიზნით“ გააკეთა. მართლაცდა, რა აუცილებელია, მოსახლეობამ თავად აირჩიოს, რომელი არხების ყურება ან მოსმენა სურს, თუ მის მაგივრად ამის გადაწყვეტა ბატონ მედვედევს შეუძლია! თანაც, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ბრწყინვალე სარეკლამო პერსპექტივები უწნდება იმ მედიასაშუალებებს, რომლებიც მთელ რუსეთში უფასო რეტრანსლაციის შესაძლებლობას მიიღებს?!.

დასახელებული 11 არხიდან 8 — სრულიად რუსეთის სატელევიზიო და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომპანიას ეკუთვნის, დანარჩენ სამს კი მთავრობა არაფორმალურად აკონტროლებს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მასობრივი პროპაგანდის საშუალებებად გადაქცევის ამოცანას პრაქტიკულად, აღარც არავინ

მალავს, ხოლო აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ეს, ფაქტობრივად, უკვე მოხდა; მხოლოდ წმინდა ტექნიკური საკითხებია გადასაწყვეტი ანუ — ის, თუ როგორ უნდა მოიცვას ამ პროპაგანდისტულმა რესურსმა მთელი ქვეყანა, რუსეთში მცხოვრები თითოეული ადამიანი.

ისტორიაში მსგავსი რამ ადრეც მომხდარა. „რადიო — თითოეულ სახლში!“ — ასეთი იყო გერმანელი ნაცისტების ერთ-ერთი ლოზუნგი. 1933 წლის ზაფხულში გერმანიის 28 რადიოქარხანამ სავალდებულო წესით დაიწყო მუშაობა უბრალო, იაფი და ხარისხიანი რადიომიმღების შესაქმნელად. ასეთი მიმღები მართლაც, შეიქმნა და ხალხმა მას „გებელსის სიფათიც“ მალევე შეარქვა. „მასობრივი მიმღები“ მხოლოდ ადგილობრივი რადიოსადგურების ტალღების მიღებაზე იყო გათვლილი. იმისათვის, რათა ცნობისმოყვარე მოქალაქეებს რაღაც სხვა, არაადგილობრივი რადიოს მოსმენის ცდუნებაც არ მოსძალებოდათ, ხელისუფლებამ გამოსცა კანონი, რომლითაც საზღვარგარეთული „ხმებისთვის“ ყურისგდება უბრალოდ, აიკრძალა. ყველას, ვინც ამ კანონს არ ემორჩილებოდა, სამშობლოს ღალატში ადანაშაულებდნენ და საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნით, ციხით ანდა გამასწორებელი სამუშაოთი სჯიდნენ.

1939 წლის ბოლოს გერმანიაში უკვე 35 მსხვილი რადიოცენტრი მოქმედებდა და მოქალაქეთა სახლების 70% გახლდათ რადიოფიცირებული. მსმენელთა რაოდენობა 1933-დან 1943 წლამდე, 4-დან 16 მილიონამდე გაიზარდა. სახალხო განათლებისა და პროპაგანდის ნაცისტური სამინისტრო, რომელსაც ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ლიტერატურის დოქტორი იოზეფ გებელსი ედგა სათავეში, ყველა გადაცემის შინაარსს სრულად აკონტროლებდა. ტოტალური პროპაგანდის ასპარეზზე გებელსის თავგამოდებამ ნაცისტებს საკუთარი ლოზუნგების ქვეშ გერმანელთა კონსოლიდირების საშუალება ნამდვილად მისცა, მაგრამ საბოლოო ჯამში, ნაციონალ-სოციალიზმი გლობალური მარცხისგან მაინც ვერ იხსნა.

რაოდენ უჩვეულოდაც უნდა მოჩანდეს, საბჭოთა კავშირში კომუნისტები ტოტალური პროპაგანდის ამოცანების გადაჭრას გერმანელ ნაცისტებზე უფრო საფუძვლიანადაც კი მიუდგენენ. 1925 წელს კომუნისტური პარტიის ცეკამ მიიღო დადგენილება „რადიოაგიტაციის შესახებ“, რომლითაც რადიომაუწყებლობა პარტიულ კონტროლს დაექვემდებარა. მაუწყებლობის პოლიტიკური ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად, სპეციალური რადიოკომისია შეიქმნა. 1927 წლიდან ყველა პროგრამისა და გადაცემის გეგმებს პარტიული კომიტეტები სავალდებულო წესით განიხილავდნენ. 1933 წლიდან დაიწყო სადენიანი რადიომაუწყებლობის შექმნა, რომელმაც იმ წლებ-

გაგრძელება იხ. გვ. 106

გოგი თოფაძე ბიზნესსაქმიანობას უცხოეთში იწყებს



ხათუნა ბახტურიძე

„ქართველ ბიზნესმენებს საქართველოში აღარ დაედგომებათ“, — ამბობს ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მეწარმე, გოგი თოფაძე. როგორც „მრეწველების“ ლიდერი აღნიშნავს, საბოლოოდ გაუცრუვდა იმის იმედი, რომ საკაშვილის ხელისუფლება დანაპირებს შეასრულებს და მრეწველობის განვითარებას ხელს შეუწყობს. ირწმუნება, რომ ქართული სოფლის აღორძინებასა და სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების ჩადებას აპირებდა, მაგრამ ახლა იძულებულია, ამ გეგმებზე უარი თქვას და ფული უცხოეთში დააბანდოს.

„საზღვარგარეთ უფრო ფასდება ქართული ნიჭი“

— ბატონო გოგი, მაინც სად აპირებთ ფულის დაბანდებას?

— აზერბაიჯანსა და ყაზახეთში. ამ ეტაპზე ალმა-ატაში ვაპირებთ ლიმონათის ქარხნის აშენებას. ჩვენი ლიმონათი 16 ქვეყანაში გადის ექსპორტზე და ყველგან ძალიან პოპულარულია.

— როდესაც ჩვენს ქვეყანას ინვესტიციები ასე ძალიან სჭირდება, უცხოეთში ბიზნესსაქმიანობის წამოწყება რამდენად მართებულად მიგაჩნიათ?

— სულაც არ მიმაჩნია მართებულად, მაგრამ სხვა რა გზა მაქვს? ხელისუფლება არ მაძლევს იმის საშუალებას, რომ ბიზნესი ჩემს ქვეყანაში გავაფართოო. მართლა ძალიან ბევრი გეგმა მქონდა, სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით, მაგრამ არაფერს მაცლიან და რა ვქნა? საქართველო აგრარული ქვეყანაა, ამ მხრივ ძალიან დიდი პოტენციალი გვაქვს, მაგრამ ხელისუფლებას არ აძლევს ხელს, რომ ქართველებმა თავად აწარმოონ სოფლის მეურნეობის პროდუქტები. მერე უცხოეთიდან დაბალი ხარისხის, გენმოდიფიცირებულ პროდუქტს ვეღარ შემოიტანენ და ფულს ვერ გააკეთებენ. არადა, გული მწყდება, რომ ქართული სოფლები თანდათან ცარიელდება, ჯანსაღი მუშახელი კი ქალაქში მოდის და ელიავას „ბირჟაზე“ უსაქმურად დგას...

— რამდენიმე დღის წინ საკაშვილმა ქართველ ბიზნესმენებს, რომლებიც ფულს საკუთარ ქვეყანაში დააბანდებენ, მხარდაჭერა აღუთქვა. რამდენად გაქვთ იმის იმედი, რომ პრეზიდენტი დაპირებას შეასრულებს?

— კარგი რა, ვიღას სჯერა მაგის დაპირებების? მინდა გითხრათ, რომ ძალიან ბევრ, უცხოეთში მოღვაწე ქართველს ვიცნობ, რომელსაც საქართველოში ჩამოსვლა და ფულის აქ დაბანდება უნდა, მაგრამ იმის იმედი არ აქვს, რომ ხელისუფლება არ დაარბევს და არ აანიოკებს მის ბიზნესს. ყველამ მშვენივრად იცის, რაც საქართველოში ხდება.

— პირადად თქვენ თუ გამხდარხართ რეკეტის მსხვერპლი?

— რამდენჯერაც გინდათ... დღეს ჩემი კომპანია საქართველოში ერთადერთია, რომელიც ასი პროცენტით ქართული კაპიტალით არის შექმნილი. იმის მაგივრად, რომ ხელისუფლებამ ეს ფაქტი გაითვალისწინოს და ქართველი ბიზნესმენების წახალისების მიზნით, როგორღაც ხელი შეგვიწყოს, ისეთ კანონებს იღებს, რომ ყველანაირ პერსპექტივას გვისპობს. მინდოდა, რომ სოფელში უმუშევრად დარჩენილი გლეხი დამესაქმებინა, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ხელი შემეწყო, მაგრამ რამდენჯერაც რაიმე წარმოების შექმნა გადავწყვიტე, იმდენჯერ ახალი კანონი მიიღეს და საქმე ჩამიგდეს. მეჩვენება, რომ საკაშვილი მიზანმიმართულად ცდილობს, ქართველები ბიზნესს ჩამოაშოროს.

— კონკრეტული მაგალითის მოყვანა თუ შეგიძლიათ?

— რა თქმა უნდა, შემიძლია. „მრეწველებმა“ ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის დროს დავიწყეთ იმისთვის ბრძოლა, რომ პარლამენტს მიეღო კანონი, რომლის მიხედვითაც, საქართველოში ტყის ველური წესით ჩეხა შეწყდებოდა და დაუმუშავებელი ხის მორების გატანა აიკრძალებოდა. ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნიდან უზარმაზარი რაოდენობის ხე-მასალა გავიდა, უმოწყალოდ გაიჩეხა ტყე, რაც ჩემი აზრით, უდიდესი დანაშაულია. როგორც იქნა, პარლამენტმა ქვეყნიდან დაუმუშავებელი ხის გატანა აკრძალა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, მე და ჩემმა თანამოაზრეებმა გადავწყვიტეთ, რომ თელავის რაიონის სოფელ ფშაველში ხეტყის გადამამუშავებელი ქარხანა აგვშენებინა და ადგილობრივი მოსახლეობა დაგვესაქმებინა. ამ საქმეში მილიარდიანი ინვესტიცია ჩავდეთ, მარტო ქარხნის აშენება სამი მილიონი ლარი დაჯდა, მაგრამ რად გინდა?... ჯერ სამი წელი არ გვამუშავეს, ხან მწვანე ბილეთი არ მომცეს, ხან რაღაც სხვა მიზეზი მოგვიგონეს, მერე უცებ მთელი ტყე ჩინელებს მიჰყიდეს და დაგვტოვეს პირში ჩალაგამოვლებულები. ხელში შეგვრჩა ბანკის კრედიტი და გაჩერებული ქარხანა. ერთი პერიოდი ვიფიქრე, წარმოებას სხვა რეგიონში გადავიტან-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე. ესენი ისე აქტიურად ყიდიან ტყეებს, ვიდრე მე საწარმოს გადავიტან, საქართველოში ტყე აღარ დარჩება გაუყიდავი. დღეს ტყეების 80 პროცენტი უკვე ჩინელებს ეკუთვნის, რომლებიც დაუზოგავად ანადგურებენ ჩვენს სიმდიდრეს. არადა, უამრავი გეგმა მქონდა, ვფიქრობდი, ავეჯი და პარკეტი დაგვემზადებინა, მერე კიდევ გამიჩნდებოდა რაიმე იდეა.

— თქვენ თუ მოჭრიდით ხეს, ტყე არ გაიჩეხებოდა?

— არაფერი გაიჩეხებოდა, მე ერთ ძირ ხეს რომ მოვჭრიდი, სამს დავრგავდი. ამ ქვეყანაში ვცხოვრობ, შვილები და შვილიშვილები მყავს და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებით დაინტერესებული ვარ. ჩინელებს კი სულ არ ანაღვლებთ, ქართველები სუფთა ჰაერს ჩავისუნთქავთ თუ სულ შევწყვეტთ სუნთქვას. ფაქტია, რომ ბიზნესგარემოს ისეთი პირები აკონტროლებენ, რომლებიც ფულის გულისთვის ყველაფერზე არიან წამსვლელები.

— კონკრეტული პირის დასახელება თუ შეგიძლიათ?

— მაინცდამაინც მე უნდა დავასახელო? როგორ ფიქრობთ, ბენდუქიძე დამოუკიდებლად მოქმედებდა? ამ კაცმა ყველაფერი

თუ მიგაჩნიათ,
რომ საინტერესო
ამბავი იცით და გსურთ,
ის ყველას გააგებინოთ...

მოჰყევით
თქვენი
ამბები

ამბები.ge-ზე

გაგვიყიდა — წყალი, ხეტყე, რკინიგზა, ოქრო, მარგანეცი... ეს ხელისუფლება თან გვეუბნება, რუსეთი ჩვენი მტერიაო, თან რუსეთის მოქალაქეებს მინისტრებად გვინიშნავს. ეს კიდევ არაფერი, ყველაფერს რუსულ კომპანიებზე ყიდის. დღეს რუსულ სახელისუფლებო კომპანიებს ეკუთვნის რუსთავის ქიმიური ქარხანა, მეტალურგიული ქარხანა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა... რომელი ერთი ჩამოვთვალო. ენერგეტიკა ხომ მთლიანად მაგათ ხელშია. მარტო მაშინ არის რუსეთი ჩვენი მტერი, როცა ხელისუფლებას ოპოზიციის დისკრედიტაცია უნდა? ძალიან მაინტერესებს, ქვეყნის ღალატად არ ითვლება ის ფაქტი, რომ უცხოელ ინვესტორებს სასათბურე პირობებს უქმნიან, ქართველებს კი სრულ ტერორში ამყოფებენ? არადა, ქართველი კაცი მოუსვენარია, სოციალურად ადაპტირებულია და სულ ბორგავს, ასპარეზი სჭირდება. თქვენ შემთხვევითი მოვლენა ხომ არ გგონიათ,

უცხოეთში ჩვენები ყველა სფეროში უზარმაზარ წარმატებებს რომ აღწევენ?! საზღვარგარეთ უფრო ფასდება ქართული ნიჭი.

— ასეთი ტერორისა და განუკითხაობის პირობებში თქვენ როგორ მოახერხეთ ბიზნესის შენარჩუნება?

— ბიზნესი გამუდმებული ბრძოლით შევინარჩუნე, სულ ახალ-ახალ დაბრკოლებებსა და პრობლემებს მიქმნიან. ძალიან ბევრი მაზარალეს, მაგრამ ჯერ კიდევ მაქვს ბრძოლის უნარი და ფარ-ხმლის დაყრას არ ვაპირებ. ჩემი საქმე ძალიან მიყვარს და ვერავინ მაიძულებს, თავი დავანებო. ჯერ კიდევ 28 წლის ვიყავი, როდესაც ერთ-ერთი წარმოების ხელმძღვანელი გავხდი. მას შემდეგ ამ საქმეში ვარ.

— პირველად რომელი საწარმოს ხელმძღვანელი იყავით?

— საპნის ქარხნის.

— ლუდის წარმოება როდის დაიწყეთ?

— როდესაც დამოუკიდებლობა ახალი მოპოვებული გვქონდა, ქვეყანაში ჯერ კიდევ სრული ქაოსი სუფევდა და ყველა სახის წარმოება გაჩერებული იყო, მე და ჩემმა ყოფილმა თანამშრომლებმა ჩვენი ძველი საქმის აღორძინება გადავწყვიტეთ. ქვეყნის არევამდე „თბილლუდის“ გენერალური დირექტორი ვიყავი და ამ საქმეში საკმაოდ დიდი გამოცდილება მქონდა. შევიკრიბეთ „ძველი გვარდია“, ზოგმა მანქანა გავყიდეთ, ზოგმა — სახლი, ზოგმაც — ცოლის სამკაულები და ერთ-ერთი ლუდის ქარხანა ვიყიდეთ. საწარმო ავამუშავეთ და ყველაფერი კარგად მიდიოდა, ვიდრე მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის წარმომადგენლები არ შემოგვსივნენ ქართველებს და თავიანთი კანონები არ დაგვიწესეს. ეს ორგანიზაციები რომელ ქვეყანაშიც შევიდნენ, ყველგან მოსპეს ადგილობრივი ბიზნესი. მათი მიზანი იმ პროდუქციის გასაღებაა, რომელსაც თავად აწარმოებენ. შევარდნაძემ ისეთი საგადასახადო კოდექსი მიიღო, რომელმაც ამ ორგანიზაციების სასარგებლოდ ქართული ეკონომიკა მიწასთან გაასწორა. ძალიან ბევრს ვჩხუბობდით, ცალკე მათთან და ცალკე ჩვენს ხელისუფლებასთან, მაგრამ ვერაფერს გავხდით, მხოლოდ მერე გადავწყვიტეთ პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა. გვეგონა, პარლამენტის ტრიბუნიდან ჩვენს ხმას მეტი ჟღერადობა ექნებოდა, მაგრამ როგორც ხედავთ, შევცდით. 1993 წელს, ისევე, როგორც დღეს, ფაქტობრივად, ერთპარტიული პარლამენტი გვყავდა და ყველაფერი ისე წყდებოდა, როგორც საპარლამენტო უმრავლესობას სურდა. მათი უმთავრესი სურვილი კი მხოლოდ პირადი ინტერესების დაკმაყოფილება იყო.

— ბიზნესის წარმოება შევარდნაძის მმართველობის დროს უფრო რთული იყო თუ ახლა?

— ქართული ბიზნესის წინაშე შევარდნაძე და საკაშვილი ერთნაირად სცოდავენ. ორივე მმართველი მხოლოდ უცხოურ ბიზნესს უჭერდა მხარს.

— თქვენ ხელისუფლება არასოდეს დაგიფინანსებიათ?

— დამიფინანსებია, მაგრამ არა ნებაყოფლობით. საკაშვილმა, როდესაც სამჩაბლოში სანაკოევის „მთავრობა“ შექმნა, ნახევარი მილიონი ლარი ჩამადებინა რეგიონში. სოფლის მოსახლეობას სასუქი ვუყიდეთ, მერე რაღაც ობიექტებიც გავარემონტეთ... ყველაფერი წყალში ჩაიყარა, ამ ხელისუფლებამ თავისი პიარკამპანიისთვის გამომიყენა.

— ზოგიერთი ეკონომიკური ექსპერტის აზრით, სეპარატისტულ რეგიონებში ქართული ფულის დაბანდება და იქ საწარმოების გახსნა კონფლიქტების მოგვარებას ხელს შეუწყობს. თქვენ ასე არ ფიქრობთ?

— კი, ასე ვფიქრობ, მაგრამ ეს დადებით შედეგს მაშინ მოიტანს, თუ სტრატეგია სწორად იქნება გათვლილი და მხოლოდ პიარკამპანიისთვის არ ვიზრუნებთ. ჩვენ ცხინვალში ლუდის ქარხანა ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს ავამუშავეთ. ქალაქის ცენტრში სასტუმროც კი აღვადგინეთ. ჩიბიროვთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა მქონდა. მისი წარმომადგენლები ცხინვალშიც პატივისცემით მხვდებოდნენ და თბილისშიც ხშირად ჩამოდიოდნენ. შერიგების პროცესი უკვე დაწყებული იყო, მაგრამ ამ ხელისუფლებამ რამდენიმე პოლიტიკური ავანტიურა განახორციელა და ყველაფერი გააფუჭა. სხვათა შორის, ჩიბიროვი რუსებს ვერ იტანდა, ქართული ორიენტაციის კაცი იყო და ქართულ ენასაც შესანიშნავად ფლობდა. სულ ამბობდა, ქართველები და ოსები ერთად უნდა ვიყოთო, უბრალოდ შევარდნაძე არ მოსწონდა. მე შევარდნაძეს იმასაც კი ვეუბნებოდი, მომიწოდე და აფხაზეთში წარმოებებს გავხსნი-მეთქი. ჩემს აფხაზ კოლეგებთან საკმაოდ საინტერესო მოლაპარაკებებს ვაწარმოებდი. თავად არძინბასაც შეეხვდი და კონკრეტულ საკითხებზეც შევთანხმდით, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა.

— შევარდნაძემ აფხაზეთში საწარმოს გახსნის უფლება არ მოგცათ?

— არ აუკრძალავს, მითხრა, წადი და რაც გინდა, გააკეთეო, მაგრამ მე მოვთხოვე, რომ ქართველი მეწარმეებისთვის საჯაროდ მოეწოდებინა აფხაზეთში ეკონომიკური საქმიანობის დაწყება. ამაზე კი უარი განმიცხადა.

— მოწოდება რისთვის გჭირდებოდათ?

— აფხაზეთი ბლოკირებული იყო და მე იქ დამოუკიდებლად რომ დამეწყო ბიზნესსაქმიანობა, შევარდნაძეს როცა დასჭირდებოდა, მაშინ გამომაცხადებდა მოღალატედ. არადა, ძალიან სახარბიელო წინადადებები მქონდა. ჩვენ რომ მაშინ გვეაქტიურა, ჩვენს ჩრდილოელ „მეგობარს“ აფხაზეთში ფეხის მოკიდება ძალიან გაუჭირდებოდა. პროცესები ძალიან უცნაურად წარიმართა, მოგებული პარტია წავაგეთ... ახლაც ბევრი რამ მეჩვენება უცნაურად... მგონია, რომ ქართველები ყოველთვის იმ ტოტს ვჭრით, რომელზეც ვსხედვართ.

— თქვენი აზრით, ქვეყანაში შექმნილი პრობლემების გამო მხოლოდ ხელისუფლება აგებს პასუხს?

— აბა, კიდევ ვინ უნდა აგოს?!

— როგორც ხელისუფლება ამბობს, გამუდმებული საპროტესტო აქციები, ეკონომიკურ კრიზისს კიდევ უფრო ართულებს...

— მერე ეს კრიზისი ხელისუფლებამ არ შექმნა? კრიზისი ქართულ პოლიტიკასა და ეკონომიკაში ახლა კი არა, ჯერ კიდევ 1995 წლიდან დაიწყო. საპროტესტო აქციები თუ არ მოეწყო და ოპოზიციამ გულზე ხელები თუ დაიკრიფა, საბოლოოდ დავიღუპებით.

— დღეს ოპოზიციას, ფინანსური თვალსაზრისით ძალიან უჭირს, თქვენთვის დახმარება ხომ არ უთხოვიათ?

— მართლაც, ძალიან უჭირთ, მაგრამ მე დახმარებისთვის ვერ მომმართავენ, მათ მშვენივრად იციან, რომ ჩემი ბიზნესი გაკოტრების პირზეა და იმასაც კარგად ხედავენ, რომ ხელისუფლების ზეწოლის ქვეშ ვიმყოფები.

— ამ ყველაფრისგან დასვენებას არ აპირებთ?

— რა დამასვენებს? ამ ხელისუფლების წყალობით, იმდენი სადავიდარაბო საქმე გამიჩნდა, დიდხანს ვერ დავისვენებ.

— არც დროებით აპირებთ განტვირთვას?

— არა, ჩემო კარგო, საერთოდ ვერაღარაფრისთვის ვიცლი. ადრე თავისუფალ დროს სანადიროდ დავდიოდი, ახლა კი მოვიცლი თუ არა, მიტინგებზე გავრბივარ. იმის ხალისიც არ მაქვს, რომ რაიმე სასიამოვნო თემაზე ვისაუბრო. ■

ენერგია

[illegible]

შეგვეფერებოდა, ყმაწვილნო,
ფაფალინია და ყოველდღე,
ავადმყოფობა ბრძოლებს,
ოქროს

ენერგიაში
მოგვიხმობია!

ენერგია:

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]



[illegible]

MK

„არ ვარ მზად, ვილაცის კონტროლი ავიტანო...“

ბავშვობაში მას წასაკითხ წიგნებს დედა ურჩევდა, მაგრამ კითხვაზე მეტად, ჩანახატების წერა უყვარდა. ბოლო დროს ნაწარმოებებს რუსულ ენაზე კითხულობს. მისი საყვარელი ავტორები — გამსახურდია და რემარკი არიან. ძალიან მოსწონს ტერენტი გრანელის პოეზია. ამბობს, რომ უმეტესად ძილის წინ კითხულობს, წიგნზე არაერთხელ დასთენებია. როცა რემარკის „სამი მეგობარი“ წაიკითხა, იტირა. „კითხვის პროცესს ვერაფერს შევადარებ. ვერც კარგი მუსიკა და ვერც კარგი ფილმი ისე ვერ მიტაცებს, როგორც წიგნი“, — ამბობს მოდელი და ჟურნალისტი გვანცა დარასელია.

პრეამბულის მაგივრ

— გვანცა, დასასვენებლად წასვლას სად აპირებ?

— აგვისტოში ბათუმში მეგობრებთან ერთად წავალ... პასიური დასვენება არ მიყვარს.

— რომელ ქვეყანაში მოგზაურობაზე ოცნებობ?

— უფრო აღმოსავლური ქვეყნები მიზიდავს. ინდოეთში სიამოვნებით ვიმოგზაურებდი.

— შენს პირად ცხოვრებაში რა ხდება?

— კვლავაც ეულად დავდივარ (*იცინის*)... სიახლე არაფერია; შეყვარებული ჯერჯერობით არ ვარ. ყველა თაყვანისმცემელთან დისტანციას ვიჭერ.

— რატომ?

— არ გამოჩნდა ისეთი ადამიანი, რომელიც შემიყვარდება. თან, ამ ბოლო დროს, მივხვდი, რომ არ ვარ მზად, ვილაცის კონტროლი ავიტანო. თაყვანისმცემლებს ვეუბნები, — მირჩევნია, თავისუფალი დრო ოჯახის წევრებთან ან მეგობრებთან ერთად გავატარო, ვიდრე შენთვის დავკარგო-მეთქი.

— ეს არ სწყინთ?

— ძალიან სწყინთ და მერე თავიანთ გზას ადგებიან.

— სხვიტორში. ვის მიმართა დახმარებისთვის წრუწუნამ მულტფილმში — „წუნა და წრუწუნა“?

— ღორს.

— მგონი, სხვა მულტფილმში აგერია.

— აა! მართალს ამბობ, რატომღაც „რწყილი და ჭიანჭველა“ გამახსენდა. ვის მიმართა (*ფიქრობს*)? ვერ ვიხსენებ.

— ფიცხელას. რას მივიღებთ თუ 1-იანს 12 ნულს მივუწერთ?

— მათემატიკა კარგად არ ვიცი. 6 ნულის მიწერით, მილიონს მივიღებთ, 12 ნულის მიწერით, ალბათ ტრილიონი გამოვა, არა?

— გამოიცანი. სახვით ხელოვნებაში რა ჰქვია საღებავების შესაზავებელ ფიცარს?

— პალიტრა.

— ვინ არის „პეპი გრძელიწინდას“ ავტორი?

— ასტრიდ ლინდგრენი.

— მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა რამდენი პანთეონია თბილისში?

— 2 — მთაწმინდის და დიდუბის პანთეონები.

— რომელ ქალაქშია წმინდა სოფიას ტაძარი?

— სტამბოლში.

— ძველი არაბული ლიტერატურის ამ შედევრის სახელი არაბულად შემდეგნაირად ჟღერს — „ალფ ლაილა ვა ლაილა“. ვარაუდობენ, რომ ის IX-დან XVI საუკუნემდე იქმნებოდა. ეს ნაწარმოები მრავალ ენაზეა ნათარგმნი. დაასახელე, რომელია ის?

— ქართულადაც არის ნათარგმნი?

— დიახ.

— „ათას ერთი ღამე“.

— სად გარდაიცვალა უკრაინელი პოეტი ლესია უკრაინკა?

— არ ვიცი.

— სურამში, დაკრძალულია კიევში. ისააკ ნიუტონის 300 წლისთავის აღსანიშნავად, დიდ ბრიტანეთში საფოსტო მარკა გამოუშვეს... რა იყო მასზე გამოსახული?

— არ ვიცი.

თამუნა კვინიკაძე

— რომელმა რეჟისორმა დადგა რუსთაველის სახელობის თეატრში ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“?

— რობერტ სტურუამ.

— რა ჰქვია ზიარებისთვის განკუთვნილ პურს?

— სეფისკვერი.

— ვინ თამაშობს მარგალიტას როლს ფილმში „შერეკილები“?

— (*ფიქრობს*) ამ მსახიობს უცნაური სახელი ჰქვია, ველარ გავიხსენე, გვარად შენგელაია.

— დიახ, მას არიადნა ჰქვია. რომელ სოფელში დაიბადა აკაკი წერეთელი?

— საჩხერის რაიონში, სოფლის სახელს ვერ გეტყვი.

— წითელი ვაშლი. რას ნიშნავს „უშბა“ სვანურად?

— ვერ გიპასუხებ.

— უკარებას. რომელია დონ-კიხოტის სათავადაზნაურო ტიტული?

— იდალგო.

— ბერძნული მითოსის თანახმად, რომელი ცხოველი შესწირეს მკურნალობის ღმერთს — ასკლეპიოსს?

— (*ფიქრობს*) გველი, სწორად გიპასუხე?

— რა თქმა უნდა. რომელმა ქვეყანამ აჩუქა ამერიკას „თავისუფლების ქანდაკება“?

— არ ვიცი.

— საფრანგეთმა. როდის აღნიშნავენ ამერიკაში დამოუკიდებლობის დღეს?

— 4 ივლისს.

— წარმოშობით სადაური იყო ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი?

— ავსტრიელი.

— რომელმა ქართველმა მეფემ დადო რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატი?

— ერეკლე II-მ.

— რომელი სახელმწიფოა მოსახლეობის რაოდენობით II ადგილზე?

— ვიცი, რომ I ადგილზე ჩინეთია, II-ზე (*ფიქრობს*)...

— ის ქვეყანა, რომელშიც შენ მოგზაურობაზე ოცნებობ.

— ესე იგი, ინდოეთი.

— შოთა რუსთაველის ძეგლი თბილისში 1942 წელს გაიხსნა. ვინ არის ავტორი?

— ვერ გიპასუხებ.

— კოტე მერაბიშვილი. ვის მიუძღვნა გრიგოლ რობაქიძემ „გველის პერანგი“?

— ვერც ამჯერად გიპასუხებ.

— გოეთეს. ზოგიერთი ისტორიკოსის გადმოცემით, ამ ქალაქში უფრო მეტი ქანდაკება იყო, ვიდრე ცოცხალი ადამიანი.

— მსმენია, რომ ბევრი ქანდაკება ათენშია. ალბათ ისტორიკოსებიც ამ ქალაქს გულისხმობდნენ.

— დიახ. როგორ ისჯებოდა სპარტაში, აღმზრდელის მიერ დასმულ შეკითხვაზე მოუფიქრებელი პასუხის გაცემისთვის აღსაზრდელი?

— არ ვიცი. დასჯის რაიმე უჩვეულო ფორმა ექნებოდათ.

— აღმზრდელი მას ცერა თითზე ჰკბენდა. რომელი ცხოველი და რატომ ჩამოახრჩო ივანე მრისხანემ?

— სპილო, რადგან მის წინაშე ქედი არ მოიხარა.

— მეფეთა ერთ ჯგუფში შედიან: ალექსანდრე მაკედონელი, იულიუს კეისარი, ნაპოლეონ ბონაპარტე და ერეკლე II, ხოლო მეორე ჯგუფში — ვახტანგ გორგასალი, დავით აღამაშენებელი და პეტრე I. რის მიხედვით არიან დაჯგუფებული ეს მეფეები?

— (*ფიქრობს*) ეს მათ გარეგნობას უკავშირდება.

— დიახ.

— თუ სწორად მივხვდი, I ჯგუფში ტანდაბალი, ხოლო II ჯგუფში — ტანმაღალი მეფეები შედიან.

— ამ კითხვაზე პასუხი ჩაგეთვალა. მას დიდხელება პიანისტს, თავმდაბალ მუსიკოსსა და პატრიოტ ემიგრანტს უწოდებდნენ. ცხოვრების დიდი ნაწილი ემიგრაციაში გაატარა. მისი ყოველი გამოსვლა მილიონად ფასობდა. მიუხედავად ამისა, კონცერტზე ყოველთვის ერთი და იმავე ფრაკით გამოდიოდა. ვისზეა საუბარი?

— ჩაიკოვსკიზე.

— ცდები, სწორი პასუხია — სერგეი რახმანინოვი. ვინ აღმოაჩინა ჰავაის კუნძულები — ვასკო და გამამ, ჯეიმს კუკმა, მაგელანმა თუ კოლუმბმა?

— მგონი, ჯეიმს კუკმა.

— დიახ. რომელმა ცნობილმა მწერალმა შემოიღო პირველად მოკლე შარვალი — ე.წ. „შორტი“?

— არ ვიცი.

— ოსკარ უაილდმა. „მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზე რომ ურიგობა ნახოს რაიმე. მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე“, — ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?

— ილია ჭავჭავაძეს.

— ვინ არის კომპოზიტორი ილია ჭავჭავაძის ტექსტზე შექმნილი სიმღერისა „ჩემი კარგო ქვეყანავ“?

— რეზო ლაღიძე.

— 3000 წლის წინ, ეს საქმიანობა მამაკაცებმა თავად მოიგონეს. დღეს კი მას ქალების საქმედ მიიჩნევენ. რაზეა ლაპარაკი?

— მგონი, ქსოვაზე.

— დიახ. რაინდები ტანსაცმელს თავად იქსოვდნენ. დაასახელე სახელმწიფო, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში ამერიკული განიერი ქუდებით ვაჭრობის ცენტრი იყო.

— პანამა.

— რომელი ზღვა უერთდება ხმელთაშუა ზღვას სუეცის არხით?

— ვაიმე! გეოგრაფია კარგად არ ვიცი.

— წითელი ზღვა. რისგან იშვა სიყვარულის ქალღმერთი აფროდიტე?

— ზღვის ქაფისგან.

— რა პროფესიის ადამიანებს უწოდებდნენ ბერძნები „დროის გადამცემებს“?

— ალბათ ისტორიკოსებს.

— დიახ. „ბედის ირონია ანუ გაამოთ“ — რომელი მომღერალი ქალი ასრულებს ამ ფილმში სიმღერებს?

— ალა პუგაჩოვა.

— რომელი თვის ძველქართული სახელწოდებაა აპნისი?

— იანვრის.

— „ახლა ეს გრძნობა უფრო მეტია,/ ახლა ქარები არხევენ ტირიფს,/ მე შენ გიამბობ ჩემს ტრაგედიას/ და როგორც ბავშვი დავიწყებ ტირილს“, — ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— ჩემი საყვარელი პოეტი — ტერენტი გრანელი.

— დაბოლოს: დაასრულე შენი საყვარელი გერმანელი მწერლის — რემარკის ცნობილი გამონათქვამი: „ქალი ან უნდა გაიღმერთო, ან უნდა მიატოვო, სხვა...“

— ეს გამონათქვამი ზეპირად არ მახსოვს.

— „...სხვა ყველაფერი — სიყალბეა“.

— ამ შემთხვევაში რემარკს ვერ დავეთანხმები...

ამერიკაში გარეჟისორებული ხათუნა იოსელიანი და გათხოვების ზღურბლთან მისული ცუცა კაპანაძე

„საქართველოში ძალიან მწირ ხელფასზე გვიწევდა მუშაობა. იმის საშუალება არ იყო, რომ ნორმალურად გვეცხოვრა. ამიტომ, როდესაც შანსი მოგვეცა, ამერიკაში წავსულიყავით და იქ ჩვენი საქმე გაგვეკეთებინა, უკან არ დავიხიეთ“, — მითხრა მსახიობმა ხათუნა იოსელიანმა, რომელიც 2 წლის წინ მსახიობ ცუცა კაპანაძესთან ერთად, ოკეანის გაღმა გაემგზავრა. როგორ ცხოვრობს და რას საქმიანობს ეს ორი მხიარული ქალბატონი ამერიკაში, ინტერვიუდან შეიტყობთ.

მარეხ ჭონიმვილი

ცუცა:

— საქართველოდან წასვლა არ მინდოდა. მერჩივნა, აქ, სცენაზე ქართველი მაყურებლისთვის მეთამაშა, მაგრამ ძალიან ძნელია, დაბალ ხელფასზე მუშაობა. ერთი პერიოდი ბედი ტელევიზიაში ვცადე. მე და ჩემს მეგობრებს იუმორისტული გადაცემის გაკეთება გვინდოდა, მაგრამ ყველა ტელევიზიამ უარი გვითხრა. ამიტომ, როცა ღმერთმა შანსი მომცა, ის გამოვიყენე.

ხათუნა:

— არის ასეთი პროგრამა — „ამერიკისათვის საჭირო ადამიანები“, იქ შევიტანეთ საბუთები და, როგორც ხედავთ, ამერიკელებს დავჭირდით. მე და ცუცამ 5 თვეში ყველა საბუთი მოვამზადეთ და „მწვანე ბარათიც“ მივიღეთ. წელიწად-ნახევარში კი ამერიკის მოქალაქეები გავხდებით. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაზე უარს ვიტყვით. არავითარ შემთხვევაში!

ცუცა:

— ორივე ქვეყნის მოქალაქეები ვიქნებით. ამერიკის მოქალაქეობის მისაღებად ფიცი უნდა დავდო. მეკითხებიან: წიგნზე ხელს რომ დადებ და იტყვი, — უარს ვამბობ ჩემი ქვეყნის მოქალაქეობაზე, — ეს არ გაგიჭირდებაო? რა თქმა უნდა, გამიჭირდება და დარწმუნებული ვარ, მძიმეც იქნება, მაგრამ მარცხენა ხელში, გულის მხარეს ჯვარს დავიჭერ და თუკი ვცოდავ, ამ ცოდვას ღმერთი აუცილებლად შემინდობს. ჩემი ქვეყნის მოღალატე არასოდეს ვიქნები.

— ამერიკაში როგორ დაიწყეთ ცხოვრება?

— ამერიკა ის ქვეყანაა, რომელიც გაძლევს შანსს, ცხოვრება თავიდან დაიწყო, შეიცვალო პროფესია. იქ ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. მე ინგლისური არ ვიცოდი კარგად და იქ დავიწყე შესწავლა. ახლა ცოტას ვახერხებ (*იცინის*). ასევე სურვილი მაქვს, სამსახიობო ფაკულტეტზე ჩავაბარო.

ხათუნა:

— იქ ასეა, — თუ გინდა, წარმატებას მიაღწიო, სულ უნდა სწავლობდე. ჩასვლისას მიგვიწვიეს ქართულ სკოლაში, სადაც მოზარდ მაყურებელთა თეატრი ჩამოვაყალიბეთ. დავდგი სპექტაკლი „ნაცარქექია“, რომელიც საკმაოდ პოლიტიკური გამოვიდა. ამ სპექტაკლში ცუცაც თამაშობს. ის ჩემი მთავარი მსახიობია. კარგი სპექტაკლი გამოვიდა, რომელიც ქართული ჰიმნით დავამთავრეთ, სცენაზე ქართული დროშაც გვქონდა. ძალიან ლამაზი და ამაღელვებელი ფინალი იყო. შემდეგ კი იქ მოღვაწე ქართველ ქალბატონებთან — ირმა გვაზავასთან, მაია საბანიძესთან, ქეთი ბერიანიძესთან, თამარ კახელაძესთან ერთად, ქართული სკოლა „გრაალი“ დავაარსეთ. ამ სკოლის პრეზიდენტად მე ამირჩიეს. ცუცას 3-დან 7 წლამდე ბავშვები მივაბარე. ეს არის ქართული სახლი, სადაც იქ მცხოვრებ ბავშვებს ვასწავლით: ხატვას, სიმღერას, საქართველოს ისტორიასა და რელიგიას. ძალიან გვეხმარება და მხარში გვიდგას პაატა დავითაია. ახლა ბიბლიოთეკის გაკეთებას ვაპირებთ. ბატონი იულონ გაგოშიძე იყო ჩამოსული და წიგნები ჩამოგვიტანა; დიასპორის სამინისტრომ აგრეთვე, გაცვლითი პროგრამა შემოგვთავაზა — იქაური ქართველი ბავშვები აქ უნდა ჩამოვიყვანოთ, აქაურები კი იქ წავიყვანოთ, რომ ერთმანეთი გაიცნონ და იმეგობრონ.

ცუცა:

— იქ ჩვენს საყვარელ საქმეს ვაკეთებთ და პატარებს საქართველოს სიყვარულს ვუნერგავთ. მაგრამ გარდა ამისა, ვმუშაობ ოჯახში, სადაც ორ პატარა ქართველ ბავშვს — თამაზიკოსა და მერის ვუვლი. მათ ძალიან ვუყვარვარ. ჩემი წამოსვლის გამო რომ არ ენერვიულათ, მშობლებმა უთხრეს: ცუცას თითი სტკივა და ამიტომ ვერ მოდისო. თამაზიკოს კი უთქვამს: მოვიდეს, ბევრს ვაკოცებ და მოურჩებაო... ჩემი ლამაზები ახლა, როცა აქ ვარ, ძალიან მენატრებიან. ასევე მენატრებიან ჩემი სკოლის ბავშვები. ისინი ხშირად მირეკავენ და მეუბნებიან, მალე ჩამოდიო.

ხათუნა:

— ამერიკაში არანაირი სამუშაო სათაკილო არ არის. ასევე მნიშვნელობა არა აქვს ასაკს. აქ 30 წლის ზემოთ უკვე აღარავის სჭირდები, იქ კი, 65 წლის ვარ და ახალგაზრდად ვითვლები, იმიტომ, რომ საქმის კეთება შემიძლია.

— ქალბატონო ხათუნა, იქ სპექტაკლები დადგით... რეჟისორობა ხომ არ გაგიჭირდათ?

ამ თეატრში ეთამაშეთ ოგია იოსელიანის „ნ შინაბერა და ერთი მამაკაცი“

ვიქტორ სირელსონმა და მისმა ქართველმა მეუღლემ, ლია ბუცხრიკიძემ მანჰეტენზე ქართული თეატრი გახსნეს

— მშვენივრად მოვირგე რეჟისორის ამპლუა. რამდენიმე სპექტაკლი დავდგი. ასევე გადავიღე ფილმი-სპექტაკლი „ჰელადოს“, რომელიც ნოდარ დუმბაძის 80 წლის იუბილეს მივუძღვენით. ამ ფილმ-სპექტაკლში ემიგრანტ ბავშვებთან ერთად, მათი მშობლებიც მონაწილეობენ.

ცუცა:

— ხათუნა ისეთივე ნიჭიერი და არაჩვეულებრივი რეჟისორი გახლავთ, როგორიც მსახიობია.

— ამერიკაში ერთად ცხოვრობთ?

— ჯერჯერობით ცალ-ცალკე ვცხოვრობთ. მე ჩემს მეგობართან ვარ, მანჰეტენზე, ხათუნა — ბრუკლინში ცხოვრობს. სექტემბრიდან კი გადავწყვიტეთ, ერთად ვიცხოვროთ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, ეს როგორ მოხერხდება. მე მანჰეტენს მივეჩვიე. ამერიკაში სხვაგან ცხოვრება ვერც კი წარმომიდგენია, ხათუნა კი ოკეანეს ვერ შორდება.

ხათუნა:

— ძალიან შევეჩვიეთ ერთმანეთს. ცუცა ძალიან მიყვარს, ჩვენ ერთმანეთისთვის მოფერების და პატივისცემის მეტი არაფერი გაგვიკეთებია. აქ, საქართველოში ახლო ურთიერთობა არ გვქონდა, ამერიკამ კი დაგვამეგობრა და განუყრელებად გვაქცია.

— ამერიკაში მცხოვრებ ქართველებზე რას იტყვით? ჩვენი თანამემამულენი იქ რას საქმიანობენ?

— ზოგი რაღაც დაწესებულებაში მუშაობს, ზოგი — მომვლელად — ვისაც როგორ გაუმართლა. ამერიკაში საკმაოდ ბევრი ქართველია და ისინი ერთმანეთს მხარში უდგანან.

ცუცა:

— იქ მცხოვრები ქართველები მძიმე შრომის ფასად საქართველოში მყოფ ოჯახებსა და ახლობლებს ეხმარებიან და აქ ცხოვრებას უმსუბუქებენ.

— ეკონომიკური კრიზისი იქ რამდენად იგრძნობა?

— ეკონომიკური კრიზისი ნამდვილად იგრძნობა. ბევრი სოლიდური ფირმა გაკოტრდა. კრიზისი შეეხო არა მარტო ამერიკელებს, არამედ იმიგრანტებსაც; მარტო ქართველებს არ ვგულისხმობ. ძალიან ბევრი ამერიკელი დარჩა უმუშევარი და მათ თქვეს, — რასაც ემიგრანტები აკეთებენ, ჩვენც იმას გავაკეთებთო და მართლაც, აკეთებენ. მათ არანაირი საქმის გაკეთება არ ეთაკილებათ.

იქ მცხოვრებ ბავშვებს ვასწავლით: ხაგას, სიმღერას, საქართველოს ისტორიასა და რელიგიას

ხათუნა:

— მე პირადად იქ ეკონომიკური კრიზისი არ მიგრძნია, იმიტომ, რომ კრიზისში აქ ვიყავი და იქ ამოვისუნთქე (*იცინიან*)...

— ცუცა, როგორც ვიცი, ჯონ მაქკეინს შეხვდი...

— დიახ. ქართულმა სათვისტომომ ჯონ მაქკეინი, აგვისტოს ომის დროს გამოჩენილი მხარდაჭერისა და საქართველოსადმი დიდი სიყვარულისთვის დააჯილდოვა. ეს შეხვედრა ვაშინგტონში მოეწყო და მქონდა პატივი, მეც დავსწრებოდი და ჯონ მაქკეინი პირადად გამეცნო.

ხათუნა:

— ომის დროს მე და ცუცა ძალიან ვნერვიულობდით, სულ ვტიროდით. ასევე ძალიან მაწუხებს ის ვითარება, რომელიც ახლა საქართველოშია.

— ამერიკაში როდის მიემგზავრებით?

— 16 აგვისტოს. ორი თვით ჩამოვედით. გული მწყდება, რომ ისევ უნდა დავტოვო საქართველო, მაგრამ იქ ჩვენი საქმე და პატარები გველოდებიან. მათ ვერ ვუღალატებთ.

ხათუნა:

— სანამ ამერიკაში წავალთ, მანამდე გერმანიაში მივემგზავრებით. თეატრში — „მოდი, ნახე“ — რეჟისორმა ნუგზარ ბუცხრიკიძემ, კოროსტილოვის პიესის მიხედვით დადგმულ „ფიროსმანში“ სათამაშოდ მიმიწვია; გერმანიაში ეს სპექტაკლი მიგვაქვს, სადაც მე და ცუცა ერთად ვთამაშობთ, მე — მხატვარს, ცუცა კი — მარგალიტას. ამ სპექტაკლში აგრეთვე ჩემი შვილიშვილი — ალექსანდრე კალმახელიძე მონაწილეობს.

ცუცა:

— ბედნიერი ვარ იმით, რომ კვლავ ჩემს საყვარელ რეჟისორთან — ნუგზარ ბუცხრიკიძესთან მიწევს მუშაობა. თეატრი „მოდი, ნახე“ ის ადგილია, სადაც როგორც მსახიობმა, ფეხი ავიდგი და ბევრი საინტერესო როლიც ვითამაშე. საერთოდ, ძალიან მიყვარს თეატრი და ის ხალხი, ვინც თეატრის წარმატებისთვის ყველაფერს აკეთებს. ამერიკაში ვიქტორ სირელსონმა და მისმა ქართველმა მეუღლემ, ლია ბუცხრიკიძემ მანჰეტენზე ქართული თეატრი გახსნეს. ამ თეატრში ვითამაშეთ ოტია იოსელიანის „6 შინაბერა და ერთი მამაკაცი“. უნდა გითხრათ, რომ როლებს იოლად გავართვით თავი, რადგან ყველა, ნამდვილი შინაბერა ვთამაშობდით (*იცინის*)...

ინტერვიუს დროს ქალბატონმა ხათუნამ დაგვტოვა, მე კი განვაგრძე საუბარი ცუცასთან, რომელიც შეიძლება, მალე ამერიკაში გათხოვდეს.

— სულ ვამბობდი, — მელ გიბსონს უნდა გავყვე ცოლად-მეთქი (*იცინის*), — მაგრამ ასე არ მოხდა და მგონი, ახლა ამერიკელ კაცს მივყვები. თუმცა ჯერ არაფერი გადამიწყვეტია.

ქართულმა სათვისტომომ ჯონ მაქკეინი, აგვისტოს ომის დროს გამოჩენილი მხარდაჭერისა და საქართველოსადმი დიდი სიყვარულისთვის დააჯილდოვა

— რით მიიპყრო თქვენი ყურადღება?

— კომპოზიტორია, ბატონო (*იცინის*)... იმით მიიპყრო ჩემი ყურადღება, რომ არაჩვეულებრივი ადამიანია, თბილი, ყურადღებიანი და კარგი იუმორის მქონე. საქართველოზე ძალიან ბევრი რამ იცის. ისიც ჩემსავით, არ ყოფილა დაქორწინებული და ამ ყველაფერმა დამაფიქრა. ვიცი, რომ საზოგადოებას უკვე გათხოვილი ვგონივარ, მაგრამ გეტყვით, რომ ჩვენს ურთიერთობაში ჯერჯერობით, ფინჯანი ყავის, თეატრისა და კონცერტების გარდა, სხვა არაფერია (*იცინის*); ჯერ მხოლოდ კარგი მეგობრები ვართ.

— ამდენი ხნით მისი დატოვება რომ მოგიხდათ, არ გენატრებათ?

— აქაც ძალიან დაკავებული ვარ, ასე რომ, მონატრებისთვის ვერ მოვიცალე. ისე, ძალიან მინდოდა, ქართველზე გავთხოვილიყავი, მაგრამ ხომ იცით, — „სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი“. ჩემი ბედი კი ამერიკაში ყოფილა.

— მაინც როდის აპირებთ გათხოვებას?

— ბავშვებთან მუშაობამ ძალიან დიდი ენერგია მომცა. ასევე დამაფიქრა იმ საკითხზე, რომ შვილის გარეშე ქალის ცხოვრებას აზრი არა აქვს. მაგრამ ჯერ კიდევ ვფიქრობ, ვერ გადამიწყვეტია. მოკლედ, მე ახლა კარგი საჯიკებელი ვარ, რომ გათხოვება გადავწყვიტო.

— მერე, ქალბატონი ხათუნა რას აკეთებს, ვერ გიჯიკებთ?

— ხათუნაც და ყველა ჩემი მეგობარიც მეუბნება, — შენს ასაკში ბევრი ფიქრი არ შეიძლებაო (*იცინის*). მაგრამ რა ვქნა, ჰოროსკოპით თხის რქა ვარ — ჯიუტი — და ვყოყმანობ.

ნიუ-იორკში, კახი და ირაკლი კავსაძეებთან ერთად

დაჯილდოვებულ ზურა ხაჩიძე და ხათუნა ჟორდანიას პროტესტი

თავიდან ინტერვიუზე უარი მითხრეს: ახლა ამის განწყობილება არ გვაქვსო. არ მოვეშვი: იმ განწყობილებაზე ვილაპარაკოთ, რაც დღეისთვის გაქვთ-მეთქი... უარი აღარ გამოუვიდათ. და ჩვენი შეხვედრაც მათთან სახლში შედგა; სახლში, რომელშიც სხვა დროსაც ვყოფილვარ და მათთან არაერთი ინტერვიუ ჩამიწერია, მაგრამ ჩემი რესპონდენტები — ხათუნა ჟორდანია და ზურა ხაჩიძე ასეთი პოლიტიზებულები, მაშინ, როდესაც ისინი გავიცანი, ნამდვილად არ ყოფილან. ამას ვერც წარმოვიდგენდი.

ლალი ფაცია

— ხათუნა, შენი კოლეგებისგან განსხვავებით, ბოლო დროს არც ერთ გასართობ გადაცემაში აღარ მონაწილეობ და არც ასეთივე ხასიათის შენი ინტერვიუ წამიკითხავს სადმე. რატომ?

— მართლაც, ბევრჯერ მომიწია, ტელევიზიისთვის გასართობ გადაცემებზე უარი მეთქვა. ასევე ვერიდები გასართობ თემებზე ინტერვიუს მიცემას, რადგანაც ისეთი განწყობილება მაქვს, რომ გართობისთვის არ მცალია. თუმცა ვერავის გავიცხავ იმისთვის, რომ დღეს ემღერება ან ეცეკვება... მაგრამ მიმაჩნია, რომ დღეს ქვეყანას სერიოზულად უჭირს და ცეკვა-თამაშის დრო არ არის. მით უმეტეს, საკუთარ გარდერობსა თუ პარფიუმერიაზე ვერც ერთ ჟურნალს ვერ დაველაპარაკები. ის კი არა, 3 თვეზე მეტია მეგობრებთან ერთად, ყველანაირ „ტუსოვკაზე“ უარს ვამბობ, თავიდან ვიცილებ ასეთ შეკრებებზე მისვლის შანსს, რადგანაც არ მეხალისება. ცუდად ვგრძნობ თავს იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში სასიკეთოდ არაფერი იცვლება და თან, როგორც ვატყობ, ცვლილებებს დრო დასჭირდება. მონსტრი მმართველის მოშორება არც ისე ადვილია. ასე რომ, სანამ ყველაფერი ისე არ იქნება, როგორც ადამიანებს უნდათ, რომ იყოს, მანამდე ასე ცუდად ვიქნები.

ზურა:

— ელემენტარულია — როცა ოჯახში არეულობაა, ძალიან რთულია, იმ ოჯახთან ერთად ცხოვრება. ქვეყანაც ასეა. არეულია დღეს ჩვენი ქვეყანა, ვერა და ვერ ჩამოყალიბდა. ბიზნესი არ კეთდება, ამასთან, საერთოდ მოკვდა ჩვენი სფერო, განადგურდა... არადა, რამდენიმე წლის წინ თითქოს შოუბიზნესში რაღაც ხდებოდა: იყო კლიპების პრეზენტაციები, ალბომების ჩაწერა, სოლო კონცერტები... ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საქმის კეთების სურვილი ჰქონდათ ადამიანებს.

— როგორც ვიცი, უკვე 9 წელია, რაც ერთად ხართ. რით განსხვავდება თქვენი დღევანდელი მდგომარეობა მაშინდელისგან, როდესაც ახალგაცნობილები გერქვათ?

ზურა:

— მაშინ უფრო მოტივირებული ვიყავი, რომ საქმე მეკეთებინა. ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო აქციებში აქტიურად ჩავებმებოდი, მაგრამ, როგორც დრომ აჩვენა, ქვეყანაში ადამიანებმა თვითონ უნდა მოვაწესრიგოთ ის რაც მოსაწესრიგებელია. ყველამ უნდა გამოხატოს თავისი პოზიცია, რომ ერთხელ და სამუდამოდ, ჩვენში სამართლიანობა დამკვიდრდეს, სიტყვის თავისუფლებამ და დემოკრატიამ, ბოლოს და ბოლოს, იზეიმოს; რომ ქვეყანა ცხოვრებისა და განვითარების სწორ გზას დაადგეს, რადგანაც უკვე XXI საუკუნეა!..

ხათუნა:

— ამ ხელისუფლებამ, ისევე, როგორც მთელ ქვეყანას, პირადად ჩემს ოჯახსაც ელემენტარული შემოსავლის წყარო მოუსპო... მე ვარ ის ადამიანი, რომელსაც ეს ხელისუფლება უსამართლოდ შეეხო.

— რას გულისხმობ?

— რას და ჩემი ძმის — მერაბ ჟორდანიას დაჭერას. სახელმწიფოსგან ნული დაფინანსების პირობებში, თუ ის ქართული ფეხბურთის უკუსვლის მიზეზი იყო, ახლა ხომ აქვს ფეხბურთის ფედერაციას „მილიონი“ დაფინანსება, ხომ განაგებენ მას „ფეხბურთის მცოდნეები“ — გოკა გაბაშვილი,

გიგა ბოკერია და გიგი უგულავა?! ერთი, ძველ შედეგებზე უკეთესი შედეგი გვიჩვენონ! ახლა ჩემს თავს ამაზე მეტის თქმის უფლებას ველარ მივცემ, რადგან ქართულ ფეხბურთზე, უკეთ, ფეხბურთის მცოდნე და ჩემზე დიდი გულშემატკივრები ილაპარაკებენ. მიმაჩნია, რომ ხელისუფლებამ ფეხბურთი ისე დაასამარა, რომ ადამიანებს სურვილიც აღარ აქვთ, ნაკრების თამაშებს ტელევიზორში მაინც უყურონ. რაც შეეხება სხვა დანარჩენს: მაშინ მეტი ხალისი იყო, ქუჩაში ხალხს დამწუხრებული სახეები არ ჰქონდა. დღეს, კეკელიძეზე, სადაც მე ვცხოვრობ, გასვლის მერიდება, დილით ფანჯრიდან გადახედვა არ მინდა — ნახევარი თბილისი ნაგავში იქექება! არ რცხვენია ხელისუფლებას, ამ მადლიან მიწაზე ხალხის ასე დაბეჩავება და შიმშილით სულის ამოხდა?! მერე გამოდიან ტელევიზორში და გაუთავებლად ტყუილებს გაიძახიან და ამ ტყუილების თქმისას, თან როლში ისე არიან შესულები, რომ მთლად დაავიწყდათ — ეს ადამიანები დებილები არ არიან და ყველა ყველაფერს ხვდება.

ზურა:

— როგორ შეიძლება, ადამიანი წარსულ დროს მისტიროდეს, მაგრამ გამოვტყდები, რომ ის დრო მერჩივნა, რადგანაც ადამიანები მეტად დაპურებულები იყვნენ, ვიდრე დღეს.

— ოპოზიციურად განწყობილი ოჯახი ხართ და ბოლო 3 თვეა, ჩვენს ქალაქში მიმდინარე აქციებში აქტიურად ხართ ჩაბმულები. მაინტერესებს, რისი იმედი გაქვთ? აქამდე ოპოზიციამ ვერ მიაღწია იმ მთავარ მოთხოვნას, რომელსაც პრეზიდენტის გადადგომა ჰქვია...

ხათუნა:

— არ მესმის იმ ადამიანების, ვინც ამბობს, რომ მიტინგზე ოპოზიციის გამო მიდის. მე და ჩემი ოჯახის წევრები იქ იმისთვის მივდივართ, რომ არ მოგვწონს ეს მთავრობა და ველოდებით უკეთეს მომავალს. სურვილი გვაქვს, რომ არსებული რაღაც ახლით შეიცვალოს. მე იქ არავისთვის მივდივარ, თუმცაღა ბევრი ოპოზიციონერის მიმართ გამიჩნდა სიმპათიები და მათი დასახელებაც შემიძლია.

— მაგალითად?

— დათო გამყრელიძე, ირაკლი ალასანია; მომწონს ყველა ოპოზიციონერი ქალბატონი — ეკა ბესელია, სალომე ზურაბიშვილი და ნინო ბურჯანაძე. ქალბატონმა ნინომ ბოლო დროს იმდენი სიმპათია გამიჩინა, რომ ვერც ვფარავ ხოლმე. ყოველი მისი გამოსვლა, ხალხთან მოსვლა, თანამიმდევრულია; ყოველთვის იმას ამბობს, რაც მინდა, რომ ოპოზიციონერებისგან მოვისმინო. მომწონს გუბაზ სანიკიძე, ზვიად ძიძიგური (ზვიადს უდიდეს პატივს ვცემ)... ასე რომ, ქვეყანა თავზე გვექცევა და იქ მის გადასარჩენად მივდივარ, რომ უკეთესი მომავალი მქონდეს მეც და უკეთესი მომავალი დავუტოვო ჩემს შვილებს. მინდა, დარწმუნებული ვიყო, რომ ჩემს შვილებს აღარ დასჭირდებათ მიტინგებზე დგომა.

— რუსთაველზე ყოველდღე დადიხართ?

— შეძლებისდაგვარად. არის დღეები, როდესაც ვერ ვახერხებ და ზურა მიდის. ბოლო დროს ნინიც აქტიურად ჩაერთო და ჩვენგან ოჯახის რომელიმე წევრი ყოველთვის არის მიტინგზე.

— არ დაიღალეთ?

— არა და არც დავიღლებით!..

ზურა:

— ჩვენთვის მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება და ჩვენი უფლებების დაცვა. შეიძლება, ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ იმ მიზანს, რომლისთვისაც ვიბრძვით, მაგრამ ვაღწევთ იმას, რომ სამოქალაქო საზოგადოება ნელ-ნელა ყალიბდება... სანამ ეს ხელისუფლება ვიღაცას პირადად არ შეეხო, მანამ ადამიანები გარეთ არ გამოვიდნენ და არ გამოფხიზლდნენ. ამიტომ ვფიქრობ, რომ შედეგი მიღწეულია. შედეგი ჩემთვის ეს არის!

— ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ ფულზე, დაფინანსებაზე, ოპოზიცია „რუსული ფულით“ ფინანსდებაო. რას ფიქრობთ ამის შესახებ?

— სამწუხაროდ, ბოლო დროს ჩვენში რაღაც რუსულ კვალს, კუდს, რუსულ ფულს ეძებენ... ეს თითიდან გამოწოვილი თემაა, რაც ნებისმიერ პოლიტიკოსს, რომელიც დღეს ოპოზიციაშია, თავდაცვით რეჟიმში აყენებს. შეგნებულად ხდება ტალახის სროლა ოპოზიციური ლიდერების მიმართ, რომ მათ თავი იმართლონ. 15 ივნისს მეც ვიყავი პოლიციის სამმართველოსთან... არა მგონია, რომელიმე ოპოზიციურ პარტიას ჰქონდეს სურვილი, იმართებოდეს იქიდან ან თანამშრომლობდეს რუსეთის, ან რომელიმე სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებთან, ან იმ ოდიოზურ ფიგურებთან, რომლებსაც ხშირად ტელეეკრანზე აჩვენებენ. ამით ხდება იმ დანაშაულების დაფარვა, რასაც დღეს პოლიტიკური პოლიცია სჩადის.

ხათუნა:

— თუ არსებობენ ქართველები, ვისაც აქვს სურვილი, ხელისუფლებაში მოვიდნენ, ისეთები, რომლებიც ბიზნესს კი არ დაატერორებენ, არამედ პირიქით — ააყვავებენ და რაღაც ფინანსებსაც გამოგიწვდიან, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ... ეს ჩუმად გადაღებები, მოსმენები, აღარავის სჯერა, რომ სიმართლეა, იმდენად ერთი და იგივე ხელწერაა. რა უნდა მითხრან, რომ დავივჯერო?!. თავისუფალი ადამიანი ვარ... ყველაფერი, რაც კი შეეძლოთ, რომ გაეკეთებინათ, ჩემს ოჯახს უკვე გაუკეთეს. თუმცა პირველი ვიყავი, ვინც ამ რევოლუციური მთავრობის მიტინგებზე იდგა იმ იმედით, რომ რაღაც უკეთესობისკენ

შეიცვლებოდა; მიხაროდა, რომ მთავრობაში ახალგაზრდები მოდიოდნენ. თუმცა...

ზურა:

— ღმერთმა მისცა ადამიანს თავისუფლება — ეს არის ისეთი რამ, რასაც უფალი დაბადებიდანვე განიჭებს და თუ ეს თავისუფლება ადამიანს შეზღუდული აქვს, მაშინ ყველაფერი დარღვეულია და პროტესტი ჩნდება.

ხათუნა:

— რაც დღეს ქვეყანაში ხდება, ამან გააღვიძა ჩემში პროტესტი, რაღაცნაირად, გაამძაფრა საქართველოს სიყვარული. და ვფიქრობ, რასაც ახლა ვაკეთებ, სწორია.

— ვიცი, რომ მორწმუნე ადამიანები ხართ. ბოლო დროს ხშირად უწმინდესის სახელის მოხსენიება ხდება. როგორ ფიქრობთ, რამდენად მიზანშეწონილია ეს?

— კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რომ უწმინდესის სახელის მოხსენიება, ნებისმიერი ფორმით, ვინმეს (ოპოზიციისა თუ მთავრობის) მხრიდან ხდებოდეს. უწმინდესს, ჩვენს სულიერ მამას, ყველანი უნდა გავუფრთხილდეთ.

ზურა:

— ხათუნას ვეთანხმები, რომ არც ერთმა მხარემ ის არ უნდა გამოიყენოს და „ჩარიოს საქმეში“.

— ალბათ იყავით ეროვნულ სტადიონზე 26 მაისს. მაინტერესებს, რას იტყვით იმ ნაბიჯზე, როცა ადამიანები სტადიონიდან საპატრიარქოში წავიდნენ?

— ამაში ცუდს ვერაფერს

ვხედავ. ბოლო დროს ქართველებს ბევრი ცოდვა დაგვიგროვდა, რაც მარტო ხელისუფლების ბრალი არ არის. ეს მთელი ერის ბრალია, თითოეული ქართველის, რომელსაც თუნდაც მეზობლის წინსვლა არ ახარებს, შურს. რამდენჯერ აიღო ერმა ერთმანეთის წინააღმდეგ იარაღი?!. ამიტომ არის საჭირო საზოგადოების გაერთიანება. ჩემთვის იმ დღეს ეკლესიაში მისვლა მისაღები იყო, რადგანაც გაჩნდა იმის სურვილი, რომ ერს მოენანიებინა თავისი ცოდვები, მაგრამ რამდენად სწორად განვითარდა შემდგომი მოვლენები, — ეს სხვა საკითხია... ვიცი, დასავლეთ საქართველოში წასვლამდე უწმინდესმა გია გაჩეჩილაძეს გადასცა ხატი, რომლითაც შემდგომ ნახევარი საქართველო მოვიარეთ. ჰოდა, უწმინდესის მიერ ნაკურთხი ხატით მოგზაურობის, სამების ტაძარში მისვლით დაგვირგვინება მიზანშეწონილი იყო. შეიძლება, საზოგადოება ფიქრობდა, რომ უწმინდესი გადაწყვეტდა საქართველოში პოლიტიკურ ვითარებას, მაგრამ მე სულაც არ მეგონა ასე.

მიგინგზე

ვფიქრობდი, რომ გამოგვესყიდა ის ცოდვები, რომელიც ერს დაუგროვდა. მე ის ყველაფერი ასე გავიგე.

— აღნიშნე, რომ 15 ივნისს პოლიციის სამმართველოსთან იყავი...

— რაც იქ მოხდა, საშინელი ფაქტი იყო. მაქსიმუმ, სულ 100 კაცი ვიყავით. ყველანაირად მშვიდობიანი აქცია გახლდათ. ეს იყო აქცია შინაარსით — ნუ გვეძებთ სადარბაზოებში, სახლებში; ნუ აშინებთ მშობლებს; მოვედით და გბარდებით... კონკრეტულად მე არავინ მეძებდა, მაგრამ იქ იყვნენ ბიჭები, აქტივისტები, ქართველი ვაჟკაცები, რომლებიც დღესაც, სამწუხაროდ, დაჭერილები არიან, 30-დღიანი პატიმრობა აქვთ მისჯილი. აქცია მშვიდობიანი იყო, ის არ კეტავდა გზის სავალ ნაწილს. დაიწყო თუ არა, 5 წუთში ისეთი საშინელება დატრიალდა, რომ გადმოცემაც მიჭირს. ჩემს მეგობრებთან ერთად, პირველად მოვყევი ასეთ სიტუაციაში. მაგრამ იქ იყო ორი ისეთი ადამიანი (პოლიციელების რიგებში), რომლებმაც დამინდეს და გამომიშვეს, ჩემთვის მოქნეული ჯოხი ქვემოთ დაუშვეს. არ ვიცი, მიცნეს და იმიტომ, თუ უბრალოდ, დამინდეს. სხვათა შორის, ბევრმა თქვა კიდევ მსგავსი რამ — რომ ზოგიერთმა პოლიციელმა გოგონების, ქალბატონების, ბიჭების გალახვაზე უარი თქვა. ისიც ვიცი, რომ მერე ის ადამიანები სამსახურიდან გაათავისუფლეს... ერთმანეთის კარგიც უნდა დავინახოთ. დღეს პოლიცია არის პოლიტიკური და იდეევნებიან ახალგაზრდა ვაჟკაცი ბიჭები. ეს სამწუხაროა.

— ბოლოს და ბოლოს, აპირებთ თუ არა, დაუბრუნდეთ თქვენს საქმეს?

— მე და ხათუნას ჩაწერილი გვაქვს რამდენიმე სიმღერა, მაგრამ არანაირი ხალისი არ გვაქვს, ვიმღეროთ.

ხათუნა:

— სხვათა შორის, ერთი სიმღერა რუსულ ენაზე გვაქვს ჩაწერილი. მეამაყება ისიც, რომ ბებია რუსი მყავდა და რუსის სისხლი მირევია. ამიტომ, არასდროს მითქვამს, რომ რუსი — ჩემი მტერია... ახლაც მგონია, რომ ამერიკელი უფრო დიდი მტერია ჩვენი, ვიდრე — რუსი. და ჩემს უმცროს შვილს რუსულ ენას ქართულის პარალელურად ვასწავლი...

ზურა:

— არასწორად განვითარებულმა პოლიტიკამ, დემოკრატიას ამოფარებულმა დიქტატურამ მოიტანა ის, რომ დღეს საქართველოს მოსახლეობაში რუსეთს მხარდამჭერები ჰყავს. რომ გამოიკითხოთ საზოგადოების აზრი, დარწმუნებული ვარ, ყველა იტყვის, რომ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა სჭირდება. თუმცაღა ვგმობ იმ საშინელებას, რომელიც ამ ქვეყანამ ჩვენს წინააღმდეგ შარშან ზაფხულში ჩაიდინა.

ხათუნა:

— მეც ვგმობ, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. რა თქმა უნდა, იმ კოშმარს ვაპროტესტებ და ომის ხსენებაზე გული მისკდება. ახლაც არსებობს საფრთხე. კიდევ რომ არ მოხდეს საშინელება, ეს ხელისუფლება უნდა წავიდეს. ახალმა მთავრობამ მომავალში იქნებ, დაალაგოს ურთიერთობა რუსეთთან ისე, რომ ტკბილი ენით დავიბრუნოთ ჩვენი მიწები, რომლებიც რუსეთს აჩუქეს. და ვიცხოვროთ XXI საუკუნეში ისე, რომ ომის შიში არ გვქონდეს.

ზურა:

— მინდა, რომ ქართველებს ჩვენს ტერიტორიაზე თავისუფლად ცხოვრების საშუალება გვქონდეს. მინდა, ხელისუფლებას გონიერებისკენ მოვუწოდო, რომ ქვეყანა საერთოდ არ განადგურდეს; ეშმაკს არ ანაცვალონ ქვეყნის კეთილდღეობა. ამასთან, ერთმანეთს გავუფრთხილდეთ, დავინდოთ, არ გავიმეოროთ ის შეცდომები, რომლებიც სხვადასხვა დროს ჩვენს ქვეყანაში ადამიანებს ჩაუდენიათ. ერთმანეთს უნდა მივუტევოთ და დიდი ენთუზიაზმით ვაშენოთ ეს ქვეყანა. არ დავიწყოთ პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დაპატიმრება...

ეთო ყორღანაშვილი

გიორგი, *18 წლის, სტუდენტი:*

— ბოლო დროს, საქართველოში ტელევიზიის და ზოგადად, ჟურნალისტიკის მიმართულებას პოლიტიკა განსაზღვრავს. მაგალითად, 2003 წლის მოვლენები გავიხსენოთ, როცა „რუსთავი 2“ „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი „შემოქმედი“ იყო. შესაძლოა, ეს ტელეარხი მაშინ სიმართლეს ამბობდა, მაგრამ მოვლენები ცალმხრივად შუქდებოდა. მიმაჩნია, რომ დღეს საქართველოში არსებული ყველა ტელევიზია ტენდენციურია: „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ვალდებულია, გააშუქოს ნებისმიერი საზოგადოებრივი შეკრება, მანიფესტაცია, მიტინგი. მიუხედავად ამისა, მან ეროვნულ სტადიონზე გამართული მიტინგის გაშუქებაზე ოფიციალური უარი განაცხადა — ეთერში მხოლოდ პატარა სიუჟეტი გავიდა. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ხელისუფლების არხადაა გადაქცეული. რაც შეეხება „რუსთავი 2“-ს, ისიც მთავრობის „ჯიბეში ზის“ და ამ არხის საინფორმაციო გამოშვებაში, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისი შეიძლება, მე-5 ან მე-6 თემად გავიდეს ეთერში, მთავარი თემა კი დაახლოებით ასეთია: ირანში დაიბადა კატა, 3 თვალით... მართალია, 2003 წლის შემდეგ „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობა შეიცვალა, მაგრამ არხი არ შეცვლილა! ყველაზე „დიდი“ კითხვები „იმედთან“ მაქვს: 7 ნოემბერს, არხის დარბევამდე რეალური მოვლენები შუქდებოდა. მართალია, ტენდენციურობა მაშინაც შეინიშნებოდა, მაგრამ „იმედი“ შავზე ამბობდა — შავიაო! მიუხედავად იმისა, რომ ამ არხის გენერალური დირექტორი არ შეცვლილა, დღეს „იმედი“ შავზე ამბობს — თეთრიაო! ჩვენთან ჟურნალისტურ ეთიკას და ღირსებას ნაკლებად იცავენ... საქართველოში არსებულ 2 ოპოზიციურ ტელეარხს — „კავკასიას“ და „მაესტროსაც“ შევეხები: „კავკასიას“ ჟურნალისტურ ჭრილში საერთოდ ვერ განვიხილავ — არავითარი „ბადე“ და წინასწარ „გაწერილი“ სამუშაო გეგმა არა აქვს. ბატონი აქუბარდია ეთერში რომ წამოწვება ხოლმე, ეს ჟურნალისტიკა კი არა, დღის განმავლობაში მომხდარი მოვლენების ჯიგრულად შეფასებაა. „მაესტროზე“ კი ის ხდება, რაც ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის მოსვლამდე „რუსთავი 2“-ზე ხდებოდა. „მაესტრო“ ოპოზიციის „ბუნაგად“ იქცა, მაგრამ საქმეს ისეთი წარმატებით ვერ აკეთებს, როგორც ამას „რუსთავი 2“ აკეთებდა.

— უნივერსიტეტის დამთავრების

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

ᲠᲐᲡ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲔᲜ ᲢᲔᲚᲔᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲖᲔ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲒᲔᲑᲘ

ბოლო დროს, საზოგადოება ტენდენციურ ტელეარხებზე ხშირად ლაპარაკობს და ჟურნალისტებს მოვლენების არაობიექტურად გაშუქებაში სდებს ბრალს. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, აზრის გამოთქმა მომავალ ტელეჟურნალისტებს ვთხოვე. ისინი კოლეგების არაობიექტურობას აღიარებენ, მაგრამ მათ საქციელს გამართლებასაც უძებნიან: საარსებო წყარო ყველას სჭირდება, მათ შორის — ჟურნალისტებსაც.

ანუ ტენდენციური ტელევიზია, ჯიგრულად შეფასებული მოვლენა და გამომუშავებული თვითცენზურა

შემდეგ, მუშაობის დაწყებას სად აპირებ?

— ტელე-რადიოჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობ და ჩემი მიზანია ტელევიზიაში მუშაობის დაწყება. მართალია, ჟურნალისტმა არ უნდა გააკეთოს ის, რასაც უბრძანებენ, მაგრამ არის მეორე საკითხი — საქართველოში დღეს ძალიან მძიმე სოციალური ვითარებაა და ადამიანები თავის გადასარჩენად ყველაფერს აკეთებენ. მათ არ სურთ სამსახურის და შესაბამისად, ხელფასის დაკარგვა. ქართველი ტელეჟურნალისტების გამართლება სწორედ ამ მიზეზით შეიძლება. „რუსთავი 2“-მა თანამშრომლობა რომ შემომთავაზოს, ვერ გეტყვი, რომ ამ წინადადებას არ დავთანხმდები — შეიძლება, წავიდე და ვიმუშაო, რადგან მინდა, მაღალი ხელფასი მქონდეს, მაგრამ შევეცდები, ისეთი სიუჟეტები გავაკეთო, რომ ჩემი და ხალხის ღირსება არ შევლახო.

— ქართულ ტელესივრცეში მიუკერძოებელი ჟურნალისტი თუ გეგულება?

— სამხედრო კორესპონდენტი — რატი მუჯირი. მართალია, ის „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გუნდშია, მაგრამ ნამდვილი ჟურნალისტისთვის დამახასიათებელი ობიექტურობის შენარჩუნებას ყოველთვის ცდილობს.

ᲚᲔᲜᲐ, *20 წლის, სტუდენტი:*

— ინგა გრიგოლია ძალიან კარგი ჟურნალისტია! მართალია, როგორც საქართველოს მოქალაქეს, გარკვეული პოლიტიკური ფიგურებისა და მოვლენების მიმართ სუბიექტური შეხედულებები აქვს და ამას თავის გადაცემაში მეტ-ნაკლებად ავლენს კიდეც, მაგრამ მიკერძოებულს მაინც ვერ დავარქმევ... ზოგადად, ქართულ ტელეარხებზე კარგს ვერაფერს ვიტყვი. მათ მოწოდებულ ინფორმაციას სერიოზული კორექტირება სჭირდება, ეს კი მაყურებელმა უნდა გააკეთოს, სიმართლე როგორმე თავად უნდა იპოვოს.

— შეგიძლია, დამისახელო სიუჟეტი, რომელმაც შენი გაღიზიანება გამოიწვია?

— „რუსთავი 2“-მა, ნიკა ავალიანის ცემის ფაქტის დაფიქსირებისას ეკრანი ორად გაყო: ერთ მხარეს უჩვენეს ბიჭი, რომელიც ამბობდა, რომ ხელკეტი არავისთვის დაურტყამთ, მით უმეტეს — ჟურნალისტისთვის, მეორე მხარეს კი ნიკა ავალიანისთვის მოქნეული ხელკეტი ჩანდა, ამით „რუსთავი 2“-მა მაყურებელს „უთხრა“: ნახე, გენაცვალე, ხელკეტი დაარტყაო! მოკლედ, ეს ყველაფერი მომიტინგეების „გაშავებას“ ემსახურებოდა! დარწმუნებით ვამბობ, რომ არც ერთ ტელევიზიაში არ ვიმუშავებ, ღმერთმა დამიფაროს! როცა ჩემს იმიჯსა და პატიოსნებაზეა ლაპარაკი, ვერანაირი თანხა ვერ მომხიბლავს. არსებობს მასობრივი კომუნიკაციის სხვა საშუალებები და ჩემი თავის რეალიზებას იქ მოვახდენ.

ᲛᲐᲠᲘᲐᲜᲐ, *21 წლის, კურსდამთავრებული:*

— ტელეარხების ობიექტურობას ვინ ჩივის, ნახევარი საქართველო პროფესიით ჟურნალისტია და ამიტომაც, სამსახური ვერ გვიშოვია. ამჟამად საკონდიტრო ფაბრიკაში ვმუშაობ — მარკეტინგის მენეჯერის თანაშემწე ვარ, სარეკლამო ტექსტებს ვწერ... ჩემი აზრით, ჟურნალისტობა არაა, როცა რაღაცაზე წერ — კარგიაო, სინამდვილეში კი ის მთლად კარგი არ არის. ამას წინათ, პრესის ერთ-ერთ ჟურნალისტთან შელაპარაკება მომივიდა. მას ჟურნალში ჩვენს ფაბრიკაზე სარეკლამო სტატია უნდა გამოექვეყნებინა. ჰოდა, გრამატიკულ შეცდომებს თავი რომ დავანებოთ, ისეთი სისულელეები ეწერა, მაგრად ვიცინე... ფაბრიკის დირექტორი ჩემს აზრს დაეთანხმა. ამან ჟურნალისტი ქალბატონი ისე გააბრაზა, რომ საკონდიტროდან გარბოდა, — თუკი აქ ჟურნალისტები გყავთ, სტატიები მათ დააწერინეთ, მე ნამდვილი ჟურნალისტი ვარო! ვაპირებდი, მეთქვა, — ნამდვილი ჟურნალისტები შეკვეთილ სტატიებს არ წერენ-მეთქი, — მაგრამ „დავატორმუზე“. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ მისი სტატია „ჩავასწორეთ“. მას შემდეგ, როცა ის ქალბატონი ჩვენს საკონდიტროში მოდის, გულთბილად მომიკითხავს ხოლმე და სამუშაოდ თავისთან მეპატიჟება.

— მერე, დათანხმდი, ხელს რა გიშლის?

— ჰო და მერე სამაგიეროს რედაქციაში გადამიხდის (*იცინის*)... ჩემი მიზანი ტელევიზიაში მუშაობის დაწყებაა — იქ მაღალი ხელფასია. ლექტორები და ჩვენს სასწავლებელში სტუმრად მოსული ცნობილი ტელეჟურნალისტები „გვაიმედებენ“, ნაცნობი თუ არ გყავთ, ტელევიზიაში მუშაობას ვერ დაიწყებთო. მათ აზრს სტუდენტები ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდით — ოპტიმისტები ვიყავით. ახლა მივხვდი, რომ ისინი მარ-

თლები იყვნენ — ჩემი ჯგუფელები, რომლებსაც გამოცდებისთვის თემებს მე ვუწერდი, ტელეარხებზე მუშაობენ, მე კი — საკონდიტროში.

— ტელევიზიაში მუშაობის დაწყება სცადე და უარი გითხრეს?

— „დუბლიორში“ საბუთები 2-ჯერ შევიტანე, მაგრამ არავინ დამკავშირებია. მერე, როგორც ჩვენმა ყოფილმა ლექტორმა — გიორგი ახვლედიანმა მითხრა, თურმე, ძალიანაც რომ მომენდომებინა, „დუბლიორში“ ვერ მოვხვდებოდი. მაშინ „იმედის“ საინფორმაციოს უფროსი გიორგი თარგამაძე იყო, მისი სიდედრი კი, მოგეხსენებათ, ლექციებს თეატრალურში კითხულობს. „იმედს“ ამ უნივერსიტეტთან კონტრაქტი ჰქონია გაფორმებული და „დუბლიორში“, ძირითადად, იქაური სტუდენტები ხვდებოდნენ. პრინციპში, ეს „გეპეის“ ბრალიცაა: თეატრალურმა უნივერსიტეტმა ამდენი თუ შეძლო, ჩვენს უნივერსიტეტთან „კავკასიას“ მაინც დაედო კონტრაქტი და პრაქტიკას იქ გავივლიდით (*იცინის*).

— რატომ იცინი?

— „კავკასიისას“ კაცი ვერაფერს გაიგებს: მთელი საღამოს განმავლობაში აქუ ზის ეთერში და თავისი „დებატები“ მიჰყავს. ნამდვილი ჟურნალისტი ნეიტრალური უნდა იყოს, აქუ კი „მისდგება“ და ლანძღავს ხელისუფლებას. „მაესტრო“ ოპოზიციას რეკლამას უკეთებს (როგორც „ვარდების რევოლუციამდე“ „რუსთავი 2“ უკეთებდა ახლანდელ მთავრობას). ბევრი რომ არ გავაგრძელო, გეტყვი: ობიექტური ტელეარხად არც ერთი არ მიმაჩნია!

— შენ როგორ გააშუქებდი მოვლენებს — ობიექტურობის შენარჩუნებას შეძლებდი?

— როცა აუდიტორიაში ზიხარ და ლექტორებს უსმენ, გგონია, რომ გაიზრდები, გახდები ობიექტური ჟურნალისტი და უსამართლობას არ დაუშვებ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, შეცდომებს შენც დაუშვებ, მერე კი იტყვი: სხვა გზა არ მქონდა, უფროსმა ასე დამავალაო. როცა კარგად გიხდიან, ფიქრობ, — ამ ერთ სიუჟეტსაც „გადავაგორებ“, ცოტასაც მოვითმენო, დროთა განმავლობაში კი ყველაფერს ეგეუბი...

ᲛᲔᲒᲘ, *19 წლის:*

— თეატრალურში ვსწავლობ, მეორად ფაკულტეტზე — ტელერეპორტიორის ხელოვნებაზე. კონტრაქტი — არა, მაგრამ მგონი ტელეკომპანია „იმედთან“ მოლაპარაკება მიმდინარეობს, რომ ჩვენი მაგისტრანტები კვირაში ერთხელ ვახო სანაისთან მივიდნენ და ნახონ, როგორ კეთდება გადაცემა. „დუბლიორს“ რაც შეეხება, მანდ მოსახვედრად „კარგი“ ნაცნობის ყოლაა საჭირო. ბევრმა ჩემმა მეგობარმა შეიტანა საბუთები — მათ ცოდნაში დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ ისეთები შეარჩიეს (ყველას არ ვგულისხმობ), რომლებიც არ იმსახურებდნენ. საქართველოში ყველა სფეროში ცუდადაა საქმე — ხელისუფლების ზეწოლა (პირდაპირ თუ შეფარვით) ყველგან იგრძნობა და ამიტომაც, შესაძლოა, ნებისმიერი ადამიანი არაობიექტური იყოს. არაობიექტურობა განსაკუთრებულად თვალში საცემი ტელევიზიებშია. ჟურნალისტებში უკვე „თვითცენზურა“ მუშაობს. ისეთი სიუჟეტების გადასაღებად, რომელსაც ეთერში მაინც არ გაუშვებენ, წასვლა ეზარებათ. ამიტომ, მხოლოდ ისეთ მასალებს ამზადებენ, როგორიც არხის ხელმძღვანელობას ესიამოვნება და ეთერში დაუყოვნებლივ გავა. წლებია, პრესაში ვმუშაობ და ვიცი, რომ ხელისუფლებას, ოპოზიციას და ჟურნალისტებს შორის ცუდი დამოკიდებულებაა. მაგალითად, 7 ნოემბერს გოგა ხაინდრავა „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებზე საცემრად მიიწევდა. ახლაც ასეა, ოღონდ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტების მიმართ; მაია ნადირაძე და გიგა ბოკერია „იმედის“ ჟურნალისტებს საშინელ დღეში აგდებდნენ. ასეთი ზეწოლა არ შეიძლება. არ შეიძლება, ჟურნალისტი „სირცხვილის კორიდორში“ გაატარო, როცა თავად ვერ აკეთებენ საქმეს. ვფიქრობ, — პოლიტიკოსები არიან „სირცხვილის კორიდორში“ გასატარებლები!.. ჟურნალისტები ცდილობენ, საქმე მაქსიმალურად კეთილსინდისიერად შეასრულონ და თან არც სამსახური დაკარგონ — ქვეყანაში ხომ უამრავი უმუშევარი ჟურნალისტია! საქართველოში, ვისაც არ ეზარება, ყველა ჟურნალისტებს ლანძღავს — ასეთ ქვეყანაში ცხოვრება სირცხვილია.

ᲚᲘᲙᲐ, *21 წლის:*

— ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი დავამთავრე, მაგრამ მიმაჩნია, რომ ის 4 წელიწადი უქმად დავკარგე: „ჯავახიშვილში“ სწავლების დონე მოძველებულია, პროგრამა — გაწელილი... ერთი წელია, რაც „ჯიპაში“ ვსწავლობ და ცოტა აზრზე მოვედი. უცხოენოვან ჯგუფში ვარ, ქართველ ლექტორებს შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ უცხოელებთან მუშაობა სულ სხვაა: გვიხსნიან, თუ როგორ უნდა მოიპოვო ინფორმაცია ისე, რომ შეცდომა არ გაგეპაროს, გვასწავლიან, რომ უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებას უნდა ემსახურო და არა — რომელიმე ძალას.

— კარგ განათლებას რომ მიიღებ, გაგიჩნდება მოთხოვნილება — კარგი სამსახური იშოვო. რას აპირებ?

— დღეს ყველაზე ნეიტრალური — რადიოა. პრესაც კი მიკერძოებული გვაქვს. არ შეიძლება, სტატია პროპაგანდისტული იყოს და „თავში გირტყამდეს“, — ასე უნდა იფიქროო!.. ტელევიზიებში რა სიტუაციაა, კარგად მოგეხსენებათ. ჩვენს ქვეყანაში საშინელი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისია. სამწუხაროდ, 2 დაპირისპირებული მხარე პოლიტიკას გადაჰყვა, ხალხი კი სამსახურს კარგავს. ადამიანების ცხოვრების დონე უარესდება და ყველაზე მეტად ეს ფაქტი მაწუხებს. ■

ვაქარჯვებული ნორჩი მოქალაქეები

და ვზა უკრაინიდან ესპანეთამდე

14 წლის მარი კაპანაძემ უკრაინიდან ოქროს ჭიამაია „ჩამოიყვანა“: ქალაქ მარიუპოლში გამართულ სიმღერის ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალზე გოგონამ გამარჯვება მოიპოვა და სამშობლოში პრიზით ხელდამშვენებული დაბრუნდა... მარიმ ჩვენი ინტერვიუ „მუსიკალურად გააფორმა“ და საუბრის ბოლოს, რამდენიმე სიმღერა შეასრულა. ის მომღერლის კარიერაზე სერიოზულად ფიქრობს და თავისი სიმღერებით მალე ალბათ ყველას გაგვანებივრებს.

ეთო ყორღანაშვილი

— საერთაშორისო ფესტივალი — „ჩემი საყვარელი მხარე“ — აზოვის ზღვის სანაპიროზე, ქალაქ მარიუპოლში გაიმართა. ძალიან დიდი კონკურსი იყო — სულ 350 ბავშვი მონაწილეობდა. 4 ასაკობრივი ჯგუფიდან, მესამეში მოვხვდი. ფესტივალზე პირველ ადგილზეც გავედი და გრან-პრიც მოვიპოვე.

— ძლიერი კონკურენტები გყავდა?

— სხვათა შორის, მართლა ძალიან ძლიერი ბავშვები იყვნენ. პირველი ადგილი მე და მაკედონიის წარმომადგენელმა გავინაწილეთ.

— ფესტივალზე რომელი სიმღერები შეასრულე?

— სულ 4 სიმღერა შევასრულე: პატრისია კაასის ფრანგულენოვანი — „ნახვამდის, ლილი მარლენ“, ინგლისური — „ჩემი სიყვარული“, ჩემი პედაგოგის — ჯანო თითირაშვილის „სამბა“ და, უკრაინელების მოთხოვნით, სოფია როტარუს „ჩერვონა რუტა“ ვიმღერე.

— უცხოენოვანი სიმღერების შესრულება არ გაგიჭირდა?

— არა, რადგან გამოთქმების დასახვეწად მასწავლებელთან ვმეცადინეობდი. ისე, რუსულსა და ინგლისურს ვფლობ. ცოტა გერმანულიც ვიცი.

საქართველოდან ისეთი დადებითი ენერგიით დამუხტული გამიშვეს, რომ ეს წარმატების მოპოვებაში დამეხმარა

— კონკურსანტებს ერთმანეთთან დაძაბული ურთიერთობა ხომ არ გქონდათ?

— არა, პირიქით. ჩემი გამარჯვება გაუხარდათ. მეც ყველას მივულოცე, ვინც კი რომელიმე ნომინაციაში წარმატებას მიაღწია.

— სცენაზე გასვლამდე ძალიან ნერვიულობდი?

— ვნერვიულობდი, მაგრამ ბევრი გულშემატკივარი მყავდა — საქართველოდან ისეთი დადებითი ენერგიით დამუხტული გამიშვეს, რომ ეს წარმატების მოპოვებაში დამეხმარა. რა თქმა უნდა, ცოტას ვნერვიულობდი, მაგრამ ემოციები მოვთოკე.

— ალბათ, სასცენო კოსტიუმებზე განსაკუთრებულად იზრუნე.

— კი, ძალიან დიდხანს ვარჩევდი, რომ განსაკუთრებული ყოფილიყო და ყველა სიმღერას „მორგებოდა“ — ფერითაც და ფორმითაც. უკრაინული სიმღერისთვის კოსტიუმის შერჩევაში საქართველოში არსებული უკრაინული სკოლა ძალიან დაგვეხმარა.

— უკრაინაში რა დრო დაყავით?

— ერთი კვირა. საკმაოდ საინტერესო დღეები გავატარე. სხვათა შორის, იქაურობა თბილისს ძალიან ჰგავს, მაგალითად — სახლების განლაგებით. მონაწილეები აზოვის ზღვის ნაპირთან, სასტუმროში ვცხოვრობდით. შეგვეძლო, ზღვაში გვეთევზავა, გვებანავა... დილაობით მე და ბატონ ჯანოს საშუალება გვქონდა, ერთად ვყოფილიყავით. ერთ დღეს ზღვაზე გავედით. ბატონმა ჯანომ ანკესი მოიმარჯვა, მე კი მივეპარე და სურათი გადავუღე — აი, ჟიურის თავმჯდომარე როგორ ერთობამეთქი (*იცინის*).

— ჟიურის ქართველმა თავმჯდომარემ კონკურსის შედეგებზე გავლენა ხომ არ მოახდინა?

— არა. მას მხოლოდ ქულების დათვლა და შეჯამება ევალებოდა.

— მარი, ასეთ ადრეულ ასაკში უკვე დიდ წარმატებას მიაღწიე. მომღერლის კარიერაზე სერიოზულად ფიქრობ?

— კი, მომღერლის პროფესია ძალიან მომწონს.

— შენთვის სამაგალითო რომელი მომღერალია?

— ოო... ცოტა რთული შეკითხვაა (*ფიქრობს*)... ძალიან ბევრი, მაგრამ კრისტინა აგილერას და სტივ უანდერს გამოვყოფ.

— სცენაზე თავის დასამკვიდრებლად ალბათ, ცეკვის ხელოვნებასაც უნდა ეზიარო.

— აბა რა! ანსამბლ „იმედში“ ჯანო თითირაშვილი-უმცროსი ქალაქურ, თანამედროვე და სპორტულ ცეკვებს გვასწავლის.

— ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ხარ. გაკვეთილების მომზადებას ასწრებ ხოლმე?

— როცა სკოლიდან შინ ვბრუნდები, ვმეცადინეობ, შემდეგ კი მთელ ენერგიას ფორტეპიანოზე დაკვრას, ვოკალსა და ცეკვას ვანდომებ.

— მომავალში, რა ჟანრის მუსიკაში აპირებ მოღვაწეობას?

— ჯაზში. მესმის, რომ რთულია, მაგრამ ძალიან მომწონს...

ანსამბლ „იმედის“ ხელმძღვანელმა — ბატონმა ჯანო თითირაშვილმა გამიმხილა, მარის იმპროვიზაციის საუცხოო უნარი აქვს, რასაც სცენაზე მაქსიმალურად ავლენს, მთელი გრძნობით მღერის და თურმე, უკრაინაში ერთ-ერთი სიმღერის შესრულებისას თვალებიდან ცრემლებიც კი წამოსვლია. მალე ბატონი ჯანო და მარი ესპანეთში გაემგზავრებიან — კიდევ ერთ საერთაშორისო ფესტივალზე. იმედია, ქართველი კონკურსანტი ესპანეთიდანაც პრიზით ხელდამშვენებული დაბრუნდება. რა თქმა უნდა, დიდ წარმატებას ვუსურვებთ მას!

■

მკურნალი კალმახები, წყაროზე აგებული ეკლესია და უფლის სასწაული ოლიანკაში...

წალკიდან ასე, 20 კილომეტრში სოფელი ოლიანკა მდებარეობს, სადაც ერთი პატარა ტაძრის ძირში, საკურთხევლის ქვეშ, იქვე აღმოცენებული წყარო გამოედინება (ტაძარი წყალზეა აგებული). იქ მკურნალი კალმახები ბინადრობენ. ამ სასწაულთმოქმედი ადგილისა და კალმახების შესახებ არაერთი გადმოცემა თუ ლეგენდა მქონდა მოსმენილი, მაგრამ როგორც იტყვიან, ასჯერ გაგონილს, ერთხელ ნანახი სჯობიაო და გასულ კვირას, ეს დიდებული ადგილი საკუთარი თვალით მოვინახულე. წალკაში, გზად მიმავალმა, შევნიშნე, რომ ამ რეგიონში ბევრი ტაძარია მიმოფანტული, თითოეული მათგანი ძველია ან ნანგრევებზეა აგებული, შეკეთებულ-აღდგენილი. რაც ამ კუთხის უძველეს ქრისტიანულ წარსულზე მიუთითებს... ისევ ოლიანკის სასწაულთმოქმედ ეკლესიას რომ დავუბრუნდეთ. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, აღნიშნულ წაყროსთან, ადრე დანგრეულ-დაშლილი საყდარი ყოფილა და იქაური სოფლის მკვიდრს (მისი სახელი უცნობია) ერთხელაც, მის ნაცვლად, ახლის აშენება განუზრახავს (როგორც ამბობენ, ხილვა ჰქონია, ქვაზე ანთებული სანთელი უნახავსო...) და მალე აუგია კიდეც ეს ტაძარი, თუმცა აშენების თარიღი უცნობია... ამ სასწაულთმოქმედი ადგილის მონახულების შემდეგ, ოლიანკის მამათა და დედათა მონასტრის წინამძღვარ არქიმანდრიტ დოროთეს (ყურაშვილი) ვესაუბრე.

ლალი ფაცია

— ამ სასწაულთმოქმედი წყაროსა და თევზების შესახებ, რომელთაც ადამიანები ხელით ეხებიან და იკურნებიან, მართლაც ბევრი გადმოცემა არსებობს. გადმოცემებზე რომ არ ვილაპარაკოთ, რაც ჩვენი თვალით გვიხილავს, იმაზე ვისაუბროთ. როდესაც აქ პირველად ჩამოვედით, ვნახეთ, რომ წყაროში თევზები ერთ ადგილას იყვნენ გაჩერებული (საკურთხევლის ქვეშ), აქ დაავადებული ადამიანები მოდიოდნენ, მათ ხელით ეხებოდნენ და იკურნებოდნენ. ზოგი წყალში ჩადიოდა და ისე იკურნებოდა. იყო ასეთი შემთხვევაც: ყავარჯნებზე დაყრდნობილი კაცი წყალში გაჭირვებით ჩაუყვანიათ, აქედან წასულს კი — ყავარჯენი აღარ უხმარია. ერთხელ, 5 წლის ბავშვს ხილვა ჰქონდა: — ღმერთი თეთრი წვერით გამომეცხადა და მითხრა: — წალკაში, ამა და ამ ადგილას წადიო... და 5 წლის ბავშვმა, გორიდან, ისე, რომ მშობლებმა აქეთ გზა არც კი იცოდნენ, ისინი ოლიანკაში ჩამოიყვანა... აქედან წასულმა ბავშვის მშობლებმა დაგვირეკეს (პატარას დიაბეტი ჰქონდა), განიკურნაო. აქ არაერთი სასწაული მომხდარა... საერთოდ, ირგვლივ, რასაც ვხედავთ, ხომ ყველაფერი სასწაულია?.. სამყარო ხომ გადაშლილი წიგნია და ამის დანახვაც სასწაული გახლავთ. მაგრამ ხშირად კანონზომიერების საწინააღმდეგო რაღაცებიც ხდება, რაც ადამიანს ღმერთთან აბრუნებს და მასთან აახლოებს. სახარებაში წერია: „იყო წყარო, რომელსაც, წელიწადში ერთხელ, ანგელოზი აღამღვრევდა და ვინც პირველად ჩავიდოდა მასში, ის იკურნებოდა“. ეს უცნობი მოვლენა არ არის და უფლის მიერ ასეთი რამ ხშირად ხდება და აი, სასწაული, ამ წყაროს სახით, აგერ ახლა ჩვენ თვალწინ არის...

საქართველოს ტერიტორიაზე მიმოფანტული წმინდა სავანეების შესახებ ხალხს მეტ-ნაკლებად ინფორმაცია აქვს, მაგრამ ოლიანკის მონასტრის შესახებ მასობრივად არ იციან. ამას, როგორც არქიმანდრიტმა დოროთემ მითხრა, თავისი მიზეზი აქვს. თვითონ წალკის რეგიონი ქართველებისთვის საბჭოთა პერიოდში ჩაკეტილ ტერიტორიასავით იყო. ის საქართველოს კი ეკუთვნოდა, მაგრამ მაშინ ქართველი კაცი იქ თამამად ვერ შედიოდა. ჩემი მასპინძლისა და მისი სულიერი საძმოსთვის იქაურობის შესახებ ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც წალკის რეგიონიდან ბერძნული მოსახლეობის გადინება (საბერძნეთში) დაიწყო. ამ სასწაულთმოქმედ წყაროსაც თავისი ბერძენი მეპატრონე ჰყოლია (ჩვეულებრივი იქაური მოსახლე). როდესაც მას საბერძნეთში წასვლა გადაუწყვეტია, უწმინდესისთვის მიუმართავს; უცნობებია, ოლიანკაში ასეთი და ასეთი სასწაულები ხდება და იმ ადგილს უპატრონოდ ვერ დავტოვებ, იქნებ ვინმე გამოგზავნოთო... კათოლიკოს-პატრიარქმა გადაწყვიტა, ოლიანკაში მონასტერი გაეხსნა და მისი ლოცვა-კურთხევით გაიხსნა კიდეც იქ პირველი მამათა და დედათა მონასტერი.

ოლიანკის სასწაულთმოქმედი ტაძარი

არქიმანდრიტი დოროთე:

— გაიხსნა მონასტერი და უწმინდესის ლოცვა-კურთხევით ჩვენც წამოვედით. ეს იყო 2004 წელს. მანამდე მე თბილისში ვსახურობდი...

— დღეს აქ რამდენი მამა მოღვაწეობს?

— 17 ბერ-მონაზონი ვართ, დანარჩენი — მორჩილები... ასევე 10 მონაზონი დედათა მონასტერშია (დედაოები). ყოველთვის გვყავს სტუმრებიც...

— საქართველოს ყველა რეგიონთან დამაკავშირებელი გზა, ასე თუ ისე, ნორმალურია, იქ სასიცოცხლო ობიექტებიც არსებობს. ეს რეგიონი საოცრად მიუხედავია, რეგიონში ფაქტობრივად, ასფალტი არც არის, გზაც უსწორმასწორო. ძნელი არ არის ასეთ პირობებში ყოფნა?

— ძნელი, რომ ჩამოვედით, იმ პერიოდში უფრო იყო. წარმოიდგინეთ, მაშინ აქ მიმოქცევაში რუსული რუბლი იყო. ქართული ფული არ ფულობდა, პოლიცია ვერ პოლიციობდა... აქედან გამომდინარე, იმსჯელეთ,

რა სიტუაცია იქნებოდა. და ვიყავით ღვთის ანაბარად დარჩენილები. მაგრამ ამან კიდევ უფრო დაგვანახვა ღმერთი... როცა კაცის იმედი არ გაქვს, ღვთის იმედი უფრო ძლიერდება.

— მოსახლეობა მორწმუნეა?

— რომ ჩამოვედით, რეგიონი ბერძენი მოსახლეობისგან თითქმის დაცლილი იყო. დარჩენილები იყვნენ მხოლოდ მოხუცი ქალბატონები და მათზე ბევრად ნაკლები ხანდაზმული მამაკაცები. რომ დაგვინახეს, გაუხარდათ, მოვიდნენ და გვითხრეს — რაც ჩამოხვედით, ღამე მშვიდად გვძინავსო. თურმე ეშინოდათ, გარეთ ვერ გამოდიოდნენ, თავში ვინმეს რამე რომ არ ჩაერტყა, არ გაეძარცვა და არ მოეკლა. ამის საფრთხე მეზობელი სოფლებიდანაც არსებობდა. იმის გამო, რომ აქ მოსახლეობა თითქმის არ იყო, ჩვენი ინიციატივით, აჭარლები ჩამოვასახლეთ. ისინი მოწადინებულები იყვნენ, მონათლულიყვნენ და ამ მიწაზე დასახლებულიყვნენ. ახლა სოფელში მართლმადიდებლები არიან ანუ ოლიანკა მონათლული, ქრისტიანული სოფელია.

— ესე იგი, ბევრი აჭარელი მონათლეთ?

— დიახ, მაგრამ კიდევ ბევრია მოსაქცევი. ბევრს უნდა მონათვლა, იცით, რომ მათი უმეტესობა ძალით გამუსლიმანებული ადამიანია. ამიტომ გვინდა, შევეწიოთ და დავეხმაროთ, რათა ჭეშმარიტ, მამაპაპეულ გზას დაადგნენ. ეს არის ჩვენი უპირველესი მოვალეობა.

როგორც სხვა მონასტრებში, ოლიანკაშიც, სასულიერი პირები, არქიმანდრიტ დოროთეს წინამძღოლობით, დიდ სულიერ ღვაწლში არიან: ლოცულობენ, ღმერთს ადიდებენ... ამასთან, სოფლის მეურნეობასაც მიჰყვებიან. სახელმწიფომ, მონასტერს, საკუთრებაში მიწის ფართობები გადასცა. ჰყავთ ძროხები, რომლებსაც თავიდან თვითონ უვლიდნენ, მაგრამ მერე საქმეში მოსახლეობაც ჩართეს, რომ შემოსავალი მათაც ჰქონოდათ. ახალა ძროხებს ისინი უვლიან და საკმაოდ მალალი ხელფასებიც აქვთ. ამიტომ მონასტრის მეურნეობაში მუშაობა ყველას უხარია.

— მამა დოროთე, კალმახებს მივუბრუნდეთ — წყაროზე ყოველთვის ჩანან ისინი?

— უფრო ღამით გამოდიან, დღე როგორც ჩანს, ხმაურია, ხალხმარავლობაა და იშვიათად ჩნდებიან (*ჩემი იქ ყოფნისას წყაროზე სამი კალმახი შევნიშნე. თევზი წყალში ასე გაჩერებული არასდროს მინახავს. ეს მართლაც უფლის სასწაულია.* — ავტ.). მათ ღამღამობით ვაჭმევთ. ადრე პურს მიირთმევდნენ. ახლა ხალხმა კვერცხს შეაჩვია ისინი და კვერცხის გარდა არაფერს ეკარებიან.

— გავიგე, რომ თითქოს კალმახების შეწვა ვილაც ურწმუნოს უცდია...

— ამ ამბავს, აქ რომ ჩამოვედით, მაშინ ჰყვებოდნენ ადგილობრივები... აქაურობა ცოტა მიუხედავი იყო. ვისაც არ ეზარებოდა, ყველას შეეძლო, წყაროსთან მოსვლა. მოდიოდნენ, მანქანებსაც რეცხავდნენ, წყალში ნაგავს ყრიდნენ. მოკლედ, აქ ბევრი ურწმუნო ხალხი იყრიდა თავს. ერთხელაც, მოსულან, დაუჭერიათ კალმახები და აქვე დაუწყიათ მათი შეწვა. იმ დროს, ერთი კალმახი ტაფიდან ამომხტარა და წყალში ჩამხტარა. იმ სამი ადამიანიდან, ერთ-ერთი დაბრმავებულა, დანარჩენები — ავარიაში მოყოლილან და მდინარეში გადაცვენილან...

— ურწმუნოები ვახსენეთ. ადვილია ადამიანების მოქცევა?

კალმახები უფრო ღამით გამოდიან

— როგორც იოანე ოქროპირი ამბობს: „მთის გადაადგილება უფრო ადვილია, ვიდრე ადამიანის გაკეთილშობილება“ ანუ თუ ასე დავსვამთ საკითხს, მოძღვარი, რომელსაც შეუძლია, მთას უთხრას, ადექი და ზღვაში გადაეშვიო, მთას უფრო შეუძლია, დამორჩილება. მაგრამ ეს იმაზე უფრო დიდი საქმე არ იქნება, ვიდრე ის, თუ მოძღვარი შეძლებს, ურწმუნო და გაუხეშებული სულის ადამიანს ქრისტე დაანახვოს, მისი გული მოალბოს და მორწმუნე გახადოს. მოკლედ, ამის შემძლე უფრო დიდია! ძალიან რთულია, ადამიანი მორწმუნე გახადო. ასეთი ფორმულა არსებობს: სამების ნებით შეიქმნა ადამიანი, მაგრამ სამებასაც კი არ შეუძლია, ადამიანი გამოიხსნას, თუ თვითონ ადამიანმა არ ინება ანუ ადამიანის ნებაზეა ყველაფერი დამოკიდებული. ჩვენ — სასულიერო პირები — უბრალოდ იმას ვცდილობთ, რომ ვინც ინებებს, მათ შევეწიოთ...

— გზაზე მომავალმა, წალკის რაიონში, ბევრი სოფელი დავათვალიერე და თითქმის ყველგან შენიშნე ეკლესია. ზოგ სოფელში რამდენიმე ტაძარიც კია, მაგრამ უმეტესწილად ისინი დაკეტილებია. ეს იმის ბრალია, რომ მრევლი არ ჰყავთ?

— მართალია, წალკაში საქართველოს რეგიონებიდან ყველაზე მეტი ეკლესიაა, რომლებიც ბერძნების აშენებულია. იცით, საბჭოთა პერიოდში რაც ხდებოდა, საქართველოში მცხოვრები არაქართველი ჩვენს მიწაზე ქართველზე უკეთ ცხოვრობდა. ამიტომ აქ მცხოვრებლებს (ბერძნებს) არ ეკრძალებოდათ ეკლესიების აშენება და ბევრი, აქ კომუნისტების დროსაც კია აგებული. ესენი უმთავრესად პატარ-პატარა სალოცავებია. დღეს ისინი დაკეტილი იმიტომ არის, რომ ბერძნები — ვინც აქ ცხოვრობდნენ — წავიდნენ. სანამ ჩამოვიდოდით, აქ დარჩენილებს, ასეთი ტრადიცია ჰქონდათ: შაბათ-კვირას ყველა ეკლესიაში მიდიოდა. გააღებდნენ ტაძრის კარს, ქალები დადგამდნენ გარეთ სკამებს, დასხდებოდნენ, ხან საუბრობდნენ, ხან მდუმარედ იყვნენ, ეს იყო მათი ერთგავრი რიტუალი. რწმენა კი ჰქონდათ, მაგრამ დამახინჯებულად გამოხატული. მაგრამ ღმერთთან მისასვლელი რომ იყო, ეს კი იცოდნენ. ახლა ზოგიერთმა ადამიანმა ისიც არ იცის, რომ ღმერთთან საერთოდ, მისასვლელია; რომ ტაძარში შესვლაა საჭირო...

— მამაო, მკითხველს, შორეული ოლიანკიდან, რას ეტყოდით?

— მკითხველს იმას ვეტყვი, რომ ესეც საქართველოა. მოხედონ აქაურობას. გზა მაინც გაგვიკეთონ. მე ზღვის დონიდან 50 მეტრ სიმაღლეზე განლაგებულ ადგილას დავიბადე. ახლა კი ზღვის დონიდან, 1650 მეტრ სიმაღლეზე მიწევს ყოფნა. ეს იმიტომ, რომ საქართველოს ასე დასჭირდა.

— სად დაიბადეთ?

— ზუგდიდში... ბოლოს ვიტყოდი, თუ ჩვენს მკითხველს უნდა, საქართველოს დაეხმაროს, მაშინ იქ იღვაწოს, სადაც მოუწოდებენ... ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. ანწუხი წვეტიანი სარია.
2. „ამქმელი“ და „ბებიაქალი“ სინონიმებია.
3. ველური ძაღლი დინგო არასდროს ყეფს.
4. რუსი სტრელცები საკუთარი ხარჯით იჭურვებოდნენ.
5. ფარენგეიტის სკალის მიხედვით წყალი 32 გრადუსზე იყინება.
6. მიოლოგია ანატომიის ნაწილია, რომელიც კუნთებს შეისწავლის.
7. დოდო აბაშიძე, ყველას, ვისი სახელიც არ იცოდა, მამუკას ეძახდა.
8. ბუდულაის როლი ფილმში „ბოშა“ მიხაი ვოლონტირმა შეასრულა.
9. ლაჭანი წნელისგან მოწნული საწოლია, რომელშიც თივა ან ჩალა არის ჩაგებული.
10. ავტობანები 2,5 პროცენტით დახრილია, რათა მის ზედაპირზე წყალი არ გაჩერდეს.

11. ვეშაპებს 300 მეტრის სიღრმეზე შეუძლიათ ჩაყვინთვა, სადაც წნევა 32 ატმოსფეროა.
12. სათეატრო წარმოდგენების, კონცერტების მომწყობ კერძო პირს ანტრეპრენიორი ჰქვია.
13. ალექსანდრეს ლაშქრობამდე სპარსეთის იმპერია მაკედონიაზე 40-ჯერ უფრო დიდი იყო.
14. ძველ არბატზე ფარნების დადგმის შემდეგ მოსკოვში გაჩნდა ხუმრობა: „არბატ აფანარელ“.
15. ვლადიმირ მენშოვის ფილმი „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“ „ოსკარით“ არის დაჯილდოებული.
16. ირლანდიაში გველები არ ბინადრობენ. მათ განდევნას ირლანდიის მფარველს, წმინდა პატრიკს მიაწერენ.
17. გალაკტიონ ტაბიძეს ქუთაისის სასწავლებელში სწავლისას საკუთარი მასწავლებლის შვილი, რაისა ჩიხლაძე უყვარდა.
18. დიმიტრი ყიფიანი პირველი ქართველი საზოგადო მოღვაწე იყო, რომელიც მთაწმინდაზე დაკრძალეს.
19. ჰიტლერმა ვალტერის მარკის პისტოლეტით მოიკლა თავი. ფიურერმა იარაღი პირში ჩაიდო და ისე მოისწრაფა სიცოცხლე.
20. „კაკ სვინიი ნე ვიდიატ ზვიოზდ, ტაკ კაპიტალისტი ნეკაგდა ნე პოიმუტ ნაშეი სოციალისტიჩესკოი სუშნოსტი“, — ამბობდა ხრუშჩოვი. (მოგ...ნ „სუშნოსტ“-ი ნიკიტა სერგეევიჩ!)
21. სამხედრო სამსახურის პროპაგანდისას ამერიკელები ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდნენ იმ ფაქტს, რომ ელვის პრესლი არმიაში მსახურობდა.
22. „ხაჩუ ია კაკ რანშე უსლიშატ სლავა,

მსახიობობით დაწყებული რეჟისორის კარიერა...

რეჟისორ გუგული მგელაძის კინომოღვაწეობა მსახიობობით დაიწყო: ჯერ იყო ეპიზოდური როლი „ქაჯანაში“, მერე — ავთანდილის როლი ფილმში „გიორგი სააკაძე“. ხოლო მის მიერ გადაღებული „ბურთი და მოედანი“ არა მარტო ქართველი მაყურებლის საყვარელი ფილმია, არამედ მას დღესაც სიამოვნებით უყურებს ფეხბურთის ესპანელი, ინგლისელი, ბრაზილიელი თუ არგენტინელი გულშემატკივარი.

ნანული ჯოტიკიშვილი

გაბრაზებამ და ტემპერამენტმა უშველა

18 წლის ვიყავი, როცა მოსკოვში, კინემატოგრაფიის ინსტიტუტში წარმატებით ჩავაბარე. მაგრამ ლექციებს ხშირად ვაცდენდი და პირველი სემესტრის შემდეგ, ინსტიტუტიდან გამრიცხეს. თბილისში დაბრუნება არ მინდოდა, ახლობლების მერიდებოდა და ამიტომაც, იქ დავრჩი. 6 თვე გაჭირვებაში ვიცხოვრე. დედასა და დებს ვწერდი: კარგად ვარ, ვსწავლობ და წინ დიდი პერსპექტივა მელის-მეთქი... მერე ჩამოვედი თბილისში. გარკვეული პერიოდის შემდეგ ისევ გავემგზავრე მოსკოვში. უზარმაზარი კონკურსი იყო — ერთ ადგილზე 30 კაცი მოდიოდა. საბუთებს არ იღებდნენ, მითხრეს: შენ აქ უკვე სწავლობდი და გაგაგდესო. არადა, ერთი დღე იყო დარჩენილი. რექტორთან შევედი. მან ღიმილით შემომხედა და მითხრა: Актерское дело — сумасшедшее дело, идите, сдавайте! ერთადერთი ლექსით, რომელიც ვიცოდი, გამოცდაზე გავედი. იმ ლექსის შემდეგ ან მიმიღებდნენ, ან დამიჭერდნენ. რომ შევედი, 4 თუ 5 აბიტურიენტი იყო დარჩენილი. აუდიტორიიდან გაწითლებულები გამოდიოდნენ და ამბობდნენ, არავინ გვისმენდაო. კომისიაში იყვნენ: ეიზენშტეინი, რომი, გერასიმოვი — მთელი ელიტა!.. ოთახში შევედი და გავჩერდი. არც ერთმა არ შემომხედა. მერე, ბოლოს და ბოლოს, როცა შემომხედეს, სიჩუმე ჩამოვარდა და მეც დავიწყე, ლერმონტოვის — „Смерть поэта“. ძალიან ემოციურად ვკითხულობდი. ბოლო სტრიქონები ასეთია: „... И вы не смоете всей вашей черной кровью поэта праведную кровь“. სიჩუმე ჩამოვარდა. კომისიის ყველა წევრი, ასე თუ ისე, სისტემას ემსახურებოდა და ყველას (ეიზენშტეინს გამოვრიცხავ) რაღაც ცოდვები ჰქონდა... არ ვიცი, რა იფიქრეს, მაგრამ მითხრეს: Успокойтесь, выпейте воды. ეს რომ მითხრეს, გავიფიქრე, — ე.ი. არ დამიჭერენ-მეთქი... აი, ასე, გაბრაზებამ და ჩემმა ტემპერამენტმა მიშველა. მიმიღეს და ცოტა ხანში რეჟისორმა იუტკევიჩმა როლი მომცა, მაგრამ ჩავაფლავე...

მეოთხე დუბლი

ვიღებდი კინოკომედიას — „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“. „სიზმრის“ სცენაში მაკლერისთვის, რომლის როლსაც იპოლიტე ხვიჩია თამაშობდა, მოტყუებულ კლიენტებს აგურები უნდა ჩაერტყათ თავში. ქარხანაში სპეციალურად, ფხვიერი აგურები შევუკვეთეთ. გადაღების წინ, რკინის ჩაფხუტზე ერთი მოვსინჯეთ კიდეც — აგური დარტყმისთანავე დაიფშვნა. დავახურეთ იპოლიტეს ჩაფხუტი, მერე შლაპა. სამი შესანიშნავი დუბლი გადავიღეთ. — კიდევ ერთი! — ითხოვა ბატონმა იპოლიტემ. დავიწყეთ მეოთხე დუბლის გადაღება. ბატონ იპოლიტეს კლიენტმა აგური ჩაარტყა. აგური შლაპაზე დაიფშვნა და მსახიობმა, ღიმილითა და გამარჯვებული კაცის იერით, პირველ კლიენტს შეხედა; შემდეგ, „მაკლერს“ მეორე კლიენტი მიუახლოვდა და თავში აგური ჩასცხო; ისევ იგივე განმეორდა; ახლა მესამემ ჩასცხო აგური, მაგრამ მსახიობს ამჯერად აღარ გაუღიმია, თვალები გადმოკარკლა და აპარატისკენ ბარბაცით წამოვიდა. ეს საუკეთესო დუბლი აღმოჩნდა... „ბატონო იპოლიტე, გენიალურია!“ — ვიყვირე გახარებულმა. — „მომკალით?!“ — ძლივს ამოილუღლუღა და ჩაიკეცა... თურმე რა მახარებდა?! ქარხანაში შეშლიათ და ჩვენთვის ერთი ნამდვილი აგური გამოუგზავნიათ. კიდევ კარგი, ყველაფერი, ასე თუ ისე, მშვიდობიანად დამთავრდა. ბატონ იპოლიტეს საყვედურის მსგავსი არაფერი უთქვამს. ეს კი მითხრა: თუ მაყურებელს ეს ეპიზოდი გააცინებს, ჯანდაბას ჩემი თავიო!

პროტექცია

ფილმებს საჭირო კატეგორიას საკავშირო სამინისტრო ანიჭებდა. იქაური ბიუროკრატები წყვეტდნენ ტირაჟსაც და დამდგმელი ჯგუფის ჰონორარის რაოდენობასაც. კომისიაში სხვადასხვა პროფესი-

ის წარმომადგენლები შეიყვანეს, ვითომდა, სისტემის გადემოკრატიულების მიზნით. კომისიაში, რომელსაც ფილმისთვის — „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“ — კატეგორია უნდა მიენიჭებინა, მსახიობი ინა მაკაროვა შედიოდა. ის დამპირდა: თავიდან ბოლომდე სიცილ-ხარხარით ავიკლებ იქაურობას და დარბაზსაც ავიყოლიებო... ფილმის ჩვენების დროს დაგვიანებით მოვიდა. შემოვიდა თუ არა ჩაბნელებულ დარბაზში, ეკრანისთვის არც შეუხედავს, ისეთი ხარხარი დაიწყო, რომ კომისიის წევრები შეცბნენ. მაკაროვას სიცილი ფილმის იმ ადგილს დაემთხვა, სადაც სასაცილო არაფერი იყო და, ბუნებრივია, ხალხიც ვერ აიყოლია. მოხდა კი პირიქით — იმის შიშით, ჩვენც უადგილოდ არ მოგვივიდეს სიცილიო, კომისიის წევრებს ფილმის ბოლომდე საერთოდ, არ გაუცინიათ... ფილმს მესამე (უკანასკნელი) კატეგორია მიენიჭა. მე კი მკაცრად მითხრეს, — სიტყვა „კომედია“ ტიტრებიდან ამოიღეო.

პრობლემის გადაწყვეტა

სამამულო (II მსოფლიო) ომის პერიოდში მიხეილ ჭიაურელი „გიორგი სააკაძეს“ იღებდა. ემზადებოდნენ დიდ მოურავთან მეფე ლუარსაბის სტუმრობის ეპიზოდის გადასაღებად. პავილიონში ნაგებ დეკორაციაში, რომელიც სააკაძის დარბაზს წარმოადგენდა, რამდენიმე რიგად გაშლილ მაგიდებს „თავადაზნაურობა“ და „მეფის ამალის წევრები“ უსხდნენ. იმ მადლიან სუფრაზე შემწვარ-მოხრაკული ფრინველისა და გოჭის ხორცი უხვად ეყარა. ეს იმ დროს, როცა მსახიობის მთელი თვის ხელფასით ერთ კილოგრამ ხორცსაც ვერ იყიდდი!.. მიხეილ ჭიაურელმა აკაკი ხორავასთან რეპეტიცია დაამთავრა და ის იყო, გადაღება უნდა დაწყებულიყო, რომ... მაგიდებზე საჭმლის ნასახიც აღარ იყო: „მეფის ამალის“ მშიერ წევრებს და „თავადაზნაურობას“ სუფრა მთლიანად მოესუფთავებინათ... საყვედური არავის დასცდენია. გადაღება გადაიდო. ორი დღის შემდეგ, სურათის დირექტორმა ცირ-ღილაძემ, რაღაც სასწაულით, მაგიდებზე ისეთივე პურმარილი დაახვავა, გადაღების წინ, მისთვის ჩვეული, ოდნავ შესამჩნევი ღიმილით გადახედა სუფრასთან მსხდომთ და პავილიონიდან გავიდა... გადაღებამ შესანიშნავად ჩაიარა. შესვენების დროსაც კი კაციშვილი არ გაჰკარებია საჭმელს. თურმე ამ ზღაპრული პურმარილისთვის ნავთი გადაესხათ. სხვა გზა არ იყო: გადაღება რამდენიმე დღე უნდა გაგრძელებულიყო...

„ერის დიდ მოამაგეს“...

ერთ დღეს ჩვენი დიდი მეცნიერი — პავლე ინგოროყვა შინ ბავშვივით გახარებული მოვიდა, ოჯახის წევრებს (*პავლე ინგოროყვა ბატონი გუგულის სიმამრი გახლდათ. — ავტ.*) მოსაწვევი გამოგვიწოდა და გვითხრა: ჩემს მამულეთში, გურიაში ვარ მიწვეულიო. გავშალეთ მოსაწვევი და წავიკითხეთ: „ერის დიდ მოამაგეს, სასიქადულო მამულიშვილს — პავლე ინგოროყვას, გამოჩენილი გურულების დღესასწაულზე ლანჩხუთში გიწვევთ და მოუთმენლად ველით თქვენს ჩამობრძანებას“. მეორე დღეს მეც მივიღე ზუსტად ისეთივე მოსაწვევი, ბატონ პავლეს ვაჩვენე. მან ბარათი იცნო. — უჰ, ეს საიდან? მე უჯრაში შევინახეო! — არა, ეს ჩემია, ფოსტით მივიღე-მეთქი! ჯერ ეჭვით შემომხედა, მერე ხმამაღლა წაიკითხა: „ერის დიდ მოამაგეს...“ ისევ შემომხედა და გააგრძელა: — „...სასიქადულო მამულიშვილს, გუგული მგელაძეს...“ — კითხვა შეწყვიტა, თავისი ჩვეული „ტაკ“ თქვა და გაღიმებულმა ჩაილაპარაკა: მაშინ, მე აღარ მოვდივარო...

„ფესვების“ გადაღებისას

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალის „ბბის წიგნაკიდან:

ი პაზივნიე რადნიე, „ვნიმანიე, გავარიტ მასკვა!“ — რაბოტაიუტ ვსე ასტალნიე“, — წერს ანდრეი ალიაკინი.

23. ინგლისის დედოფლის, ელისაბედ II-ის დას, პრინცესა მარგარეტს ინგლისელი ოფიცერი, სამეფო კარის მეჯინიბის შვილი უყვარდა.

24. ლადო გუდიაშვილმა ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი მისი დის, სოფიო ბარათაშვილის სახის მიხედვით შექმნა, რადგან დანამდვილებით არავინ იცოდა, თუ როგორ გამოიყურებოდა ქართველი პოეტი. ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთადერთი ფოტო თავის დროზე ილია ჭავჭავაძეს მიუტანია გასამრავლებლად ფოტოატელიეში და ისიც ხანძრის დროს დამწვარა.

25. ლას-ვეგასის კაზინოებში სათამაშოდ ჩასულ მილიონერებზე და მათ ექსცენტრიკულ საქციელზე ტელეარხ „დისქავერის“ გადაცემათა მთელი ციკლი აქვს შექმნილი. ამ ამბებიდან ერთ-ერთს ჩვენს მკითხველს ვთავაზობ: „ცოდვის ქალაქში“ დროს სატარებლად ჩასულმა ერთმა მილიონერმა კაზინოში დიდძალი თანხა წააგო და უკმაყოფილო დაბრუნდა სასტუმროს ნომერში, სადაც სადილი და უიშვიათესი ღვინო, 1978 წლის „მონტრაშე“ შეუკვეთა. სასტუმროს მეპატრონეებს ეს ღვინო არ აღმოაჩნდათ. მათ სპეციალურად გაგზავნეს კურიერი, რომელმაც მთელი ქალაქი შემოიარა, მაგრამ ვერაფერი იშოვა. გამწარებულმა ინტერნეტით განაგრძო ძებნა. ბოლოს იპოვა კერძო კოლექციონერი, რომელსაც ეს ღვინო აღმოაჩნდა. კურიერი პაპანაქება სიცხეში ფეხით გაემართა ღვინის საყიდლად. ადგილზე მისული გაოცებული აჰყურებდა ოცდახუთმეტრიან მრგვალ კოშკს, რომელიც გარედან ტყვიაგაუმტარი მინის გალავნით იყო დაცული. კოშკის ნიშებში უთვალავი ძვირად ღირებული ღვინის ბოთლი იყო შენახული. გალავანსა და კოშკს შორის მანძილი 1,5 მეტრს არ აღემატებოდა. სპეციალურმა მომსახურე პერსონალმა, რომელსაც ლას-ვეგასში ღვინის ანგელოზებს ეძახიან, მინის კარი გააღო და ალპინისტური აღჭურვილობის დახმარებით კოშკის ზედა სექციამდე აცოცდა. დიდი სიფრთხილით აიღო სასურველი ღვინის ბოთლი, რომელიც 30.000 დოლარი ღირდა და უკან დაეშვა. კურიერმა ფული გადაიხადა, სასტუმროში დაბრუნდა და ღვინო შემკვეთს მიართვა. ეს უკანასკნელი ერთხანს უკმაყოფილო სახით დაჰყურებდა ღვინის ბოთლს, შემდეგ მოიქნია, მარმარილოს აბაზანაში ჩაამსხვია და ხელები დაიფერთხა: აი, ახლა კი გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავსო.

ლეიბორისტებისა და სააკაშვილის ქეიფი ჭაჭის არყით და შატბერაშვილის გამო გაუთხოვრად დარჩენილი ქალბატონი

მას მამა ეკლესიაში სიარულს უკრძალავდა, მაგრამ დედამისის ნათლიის წყალობით, წირვა-ლოცვებზე სიარულს მაინც ახერხებდა. „დიდი კაცი“ რომ გამოსულიყო, თავიდან კარგად სწავლობდა, მაგრამ მერე, „დედიკოს ბიჭობა“ რომ არ დაებრალებინათ, „აუშვა“. დღეს-დღეობით, ლეიბორისტი სოსო შატბერაშვილი საკუთარ პრინციპებს არ ღალატობს და ამიტომაც, ხელისუფლების წარმომადგენლებთან ქეიფზე უარს ამბობს. თუმცა, იყო დრო, როცა მას მიხეილ სააკაშვილი ჭაჭის არყითაც კი გამოუთვრია.

„მინდა, ჩემი მეუღლე სხვებისთვისაც მიმზიდველი და სასურველი იყოს“

ნინო მჭედლიშვილი

— ჩვეულებრივი ბავშვობა მქონდა. მატერიალურად მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილნი ვიყავით, მაგრამ როცა წამოვიზარდეთ, ვამბობდით, რომ უბედური ბავშვობა გამოვიარეთ. ეს პერიოდი საბჭოთა პერიოდს უკავშირდება, როცა გვასწავლიდნენ ლექსებს ლენინზე, სტალინზე.

— **გახსოვთ რომელიმე ასეთი ლექსი?**

— მაგას რა დამავიწყებს?!

„მოწოდება ლენინის, ალი ცეცხლთა ნათების

დიდი 917, წელი ბარიკადების,

ცეცხლი რევოლუციის, მსოფლიოზე მთოვარი

არის ჩვენი ხალხების, დიდი მონაპოვარი“... — სხვათა შორის, ეს გალაკტიონის ლექსია, მეშვიდეხარისხოვანი პოეტის კი არა. იოსებ გრიშაშვილმა სტალინზე საბავშვო ლექსი — „დიდ სტალინს პატარა გორელებისგან“ დაწერა, რომელსაც საბავშვო ბაღში გვასწავლიდნენ.

— **წარმოშობით საიდან ხართ?**

— გორიდან, მაგრამ მთელი ჩემი ბავშვობა და შეგნებული ცხოვრება თბილისში გავატარე.

— **როგორი ხასიათი გქონდათ?**

— ჯიუტი ვიყავი, მიზანდასახული და ამბიციური, მაგრამ არა — ამპარტავანი.

მეუღლესთან ერთად

დედაჩემს ნათლია ჰყავდა, ნინო თეთრაძე, რომელიც ძალიან მორწმუნე ადამიანი გახლდათ და ჭეშმარიტ ქრისტიანად მზრდიდა. სწორედ მას დავყავდი სიონის საკათედრო ტაძარში, სადაც წირვა-ლოცვას მისი უწმინდესობა, საქართველოს მაშინდელი პატრიარქი, ეფრემი ატარებდა. ამას ვერსად ვამხელდი, რადგან ცრუმორწმუნეს დამარქმევდნენ (მაშინ მორწმუნე ადამიანს ასე ეძახდნენ). ქალბატონი ნინო „ათ მცნებას“ მასწავლიდა. ყოველივე ამის წყალობით, კარგად ვხედავდი განსხვავებას ამპარტავნობასა და ამბიციურობას შორის.

— **მშობლები თქვენ მიმართ სიმკაცრეს თუ იჩენდნენ?**

— მამა ძალზე მკაცრი გახლდათ და ის თითქმის ყველაფერს, მათ შორის, ეკლესიაში სიარულსაც მიკრძალავდა. პარტიის წევრი იყო, ხელს აიქნევდა და იტყოდა, — ღმერთი არ არსებობსო. დედა უფრო რბილი ხასიათის გახლდათ. ის არც ეკლესიაში წასვლას მიშლიდა და არც — პიონერთა რიგებში შესვლის წინააღმდეგი იყო. მაშინ მშობლების უმეტესობა შვილს პარტიის ახალგაზრდულ ორგანიზაციაში შესვლას აძალებდა, სხვანაირად დიდი კაცი ვერ გახდებაო. თანამდებობის პირებს, ისევე, როგორც ახლა, საყოფაცხოვრებო პირობები მოგვარებული ჰქონდათ. უზრუნველყოფილნი იყვნენ ბინით, ავტომანქანით, აგარაკით, მაღალანაზღაურებადი სამსახურით.

— **ეს ყველაფერი ხომ თქვენც გაქვთ...**

— მაქვს, მაგრამ მშობლების წყალობით. ეს ყველაფერი მათ დამიტოვეს. თუმცა, არა, ბოლო მანქანა საკუთარი შემოსავლით შევიძინე.

— **ყველა ადამიანის ცხოვრებაში არის პერიოდი, როცა გგონია, რომ მშობლები შენი მტრები არიან...**

— ეს პერიოდი მეც მქონდა. მაგალითად, როცა მშობლები მაიძულებდნენ, კარგად მესწავლა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ისინი ჩემი მტრები იყვნენ. ბავშვს „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად სწავლას რომ აიძულებ იმ ასაკში, რა ასაკშიც მე ვისწავლე, მტრებად კი არა, მონსტრებად რომ არ მეჩვენებოდნენ, ეგეც გასაკვირია. ახლა ამ წიგნის კითხვა მსიამოვნებს, მაგრამ მაშინ ნამდვილად ვიტანჯებოდი... მაინცდამაინც არც ფიზიკისა და მათემატიკის ფორმულების დაზუთხვა მხიბლავდა.

— **გართობის დრო გრჩებოდათ?**

— მშობლები შაბათს და კვირას მაძლევდნენ გართობის უფლებას, მაგრამ მე ამას სხვა დღეებშიც ვახერხებდი. ძირითადად, ქუჩაში ვთამაშობდით. რუსთაველის პროსპექტზე ვცხოვრობდი, იმელის შენობასთან (იმ ქუჩაზე, სადაც შევარდნაძე ააფეთქეს), იტალიურ ეზოში. ასე რომ, ბავშვებს გასართობად დიდი მოედანი არ გვქონდა. ვთამაშობდით: „ამის პატრონმა რა ქნას?“, „კარამელობანას“...

— **ეს რა თამაშია?**

— კანფეტების ქაღალდებს ვაგროვებდით, ხანდახან — მშობლებს მათ გაუთოებასაც ვთხოვდით, რათა ლამაზი ყოფილიყო. სხვებისთვის ამ ქაღალდის პატარა ნაწილი უნდა გეჩვენებინა და თუ „მოწინააღმდეგე“ გამოიცნობდა, რომელი კანფეტის ქაღალდი იყო, მისთვის უნდა მიგეცა. ვინც მეტ ასეთ ქაღალდს დააგროვებდა, გამარჯვებულიც ის იყო... ჩვენს ეზოში ძალიან ბევრი რუსი ბავშვი იყო. სწორედ მათთან ურთიერთობით შევისწავლე რუსული ენა. ასევე, ჩემს მეზობლად ქურთები, სომხები ცხოვრობდნენ და რამდენიმე სიტყვა მათ ენაზეც ვიცოდი.

— **მასწავლებლების საყვარელი მოსწავლე იყავით?**

— დაწყებით კლასებში ანუ მანამ, ვიდრე კარგად ვსწავლობდი, პედაგოგებს მართლა ვუყვარდი, მაგრამ შემდგომ, სწავლასაც მოვუკელი და თავხედობაც დავიწყე. მაშინ მაღალ კლასებში, სწავლა სირცხვილად მიიჩნეოდა. — აუ, ბიჭო, შენ რა, ფრიადოსანი ხარო? — გეტყოდნენ და სიკვდილს ათავებდი. კარგი მოსწავლეობა და სუფთად ჩაცმა „დედიკოს ბიჭობად“ ითვლებოდა. მახსოვს, ჩემთვის ასე რომ არ მოემართათ, ტანსაცმელს ვჭმუჭნიდი და ხელებს მელნით

ვისვრიდი. ძალიან ვცელქობდით.

— გაიხსენეთ სკოლაში ჩადენილი ყველაზე სამარცხვინო საქციელი, რომელიც შემდეგ ძალიან ინანეთ.

— ერთ-ერთ მასწავლებელს, რომელიც ქართველი არ იყო და 2-იანი დამიწერა, ვუთხარი, — შე ამა და ამ ერის შვილო-მეთქი (არ მინდა, დავკონკრეტდე). ის ქალი ხეიბარი იყო, ჯოხით დადიოდა და ქიმიას მასწავლიდა. ეს საქციელი სანანებელი გამიხდა. როცა გავიზარდე, მინდოდა, მივსულიყავი და ბოდიში მომეხადა, მივფერებოდი, მაგრამ გარდაცვლილა.

— კლასელი გოგო არ გყვარებიათ?

— კლასელი კი არა, კლასელები მიყვარდა. შეყვარებული გახლდით საბავშვო ბაღშიც, მაგრამ მანამდე ჩემი უბნელი მიყვარდა. სახელიც მახსოვს, მარიანა ერქვა. ალბათ, ქართველი არ იყო. თეთრი გოგო გახლდათ, ცისფერთვალება, მაგრამ ჩემზე უფროსი. აბა, ჩემს ტოლ გოგონას ხომ არ დავადგამდი თვალს (*იცინის*)?!.

— „შორით ტრფობა, შორით დაგვა“ გქონდათ, თუ სიყვარულზე სიყვარულითვე გიპასუხათ?

— პირველი სქელტანიანი რომანი, რომელიც წავიკითხე, „ტომ სოიერის თავგადასავალი“ იყო და მისი კითხვისას მეგონა, საკუთარ თავგადასავალს ვკითხულობდი. როცა ამ რომანის მთავარი გმირი, ტომი ბეკს სიყვარულში გამოუტყდა, იქვე უთხრა, რომ ემა როლენსიც უყვარდა. ჰოდა, მეც, როცა კლასელ გოგონას ვუთხარი, მიყვარხარ-მეთქი, ისიც წამომცდა, მანამდე სხვას რომ ვეტრფოდი (*იცინის*). მუდმივად მქონდა კონფლიქტი კლასელ და უფროსკლასელ ბიჭებთან, რადგანაც ყოველთვის ისეთი ლამაზი გოგონა მიყვარდებოდა, რომელსაც უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა. ბავშვური იყო ეს ყველაფერი. საბავშვო ბაღში ჩემზე უფროსი გოგონები მომწონდა, დაწყებით კლასში — კლასელები, მაღალ კლასებში სწავლისას — ჩემზე უმცროსები.

— „ქუჩის აკადემია“ გაიარეთ?

— არა, ეს ქურდული მენტალიტეტის ხალხის აკადემია იყო. მე უბრალოდ, ქუჩის ცხოვრება გავიარე. ნონა გაფრინდაშვილს დავესესხები, რომელმაც თავის მოგონებებში დაწერა, — ქუჩაში აღვიზარდე და ქუჩამ ჩამომაყალიბა ისეთად, როგორიც ვარ. ქუჩას ზოგჯერ, ბავშვზე კეთილისმყოფელი გავლენა აქვსო. მე ვეთანხმები მას. მთავარია, მეგობრები სწორად შეარჩიო.

— მეგობარი სიყვარულში რომ გამოგტყდომოდათ, როგორი რეაქცია გექნებოდათ?

— ასეთი შემთხვევა მქონდა და ის გოგონა ძალიან შემეცოდა — როცა სიყვარული უპასუხოდ რჩება, ადამიანი სატანჯველადაა განწირული. იმ გოგოს ვუთხარი, — მე რა შესაყვარებელი ვარ-მეთქი? მერე ვლანძღე და ვაგინე საკუთარ თავს, როგორც შემეძლო. მინდოდა, შევძულებოდი, მაგრამ არაფერმა გაჭრა — დანამდვილებით ვიცი, რომ დღემდე ვუყვარვარ, დღესაც არაა გათხოვილი... ჩემთვისაც უთქვამთ სიყვარულზე უარი. დღემდე მწარე ნაკბენივით მახსოვს ეს ამბავი — არაფერი უთქვამს, დაჰკრა ფეხი და გათხოვდა.

— კიდევ ერთი ინტიმური კითხვა უნდა დაგისვათ: ცოლისთვის გილალატიათ?

— ნებისმიერი პასუხის შემთხვევაში, თქვენი მკითხველი არაგულწრფელობაში დამდებს ბრალს. რომ გითხრათ, არ მიღალატია-მეთქი, არავინ დაიჯერებს, ხოლო რომ გითხრათ, ვუღალატე-მეთქი, ამას ჩემი მეუღლე არ დაიჯერებს (*იცინის*).

— დავუშვათ, ერთ-ერთ წვეულებაზე ყოფნისას შეამჩნიეთ, რომ თქვენი მეუღლე ვიღაც მამაკაცს ეპრანჭება. რას მოიმოქმედებთ?

— თუ მამაკაცი ჩემს მეუღლეს ეპრანჭება, ეს ძალიან მესიამოვნება, ხოლო თუ პირიქით ხდება, რასაკვირველია, ამას არ მიეესალმები, მაგრამ ცოლთან ურთიერთობას საჯაროდ არ გავარკვევ — ასეთი ფეთქებადიც არ ვარ... მინდა, ჩემი მეუღლე სხვებისთვისაც მიმზიდველი და სასურველი იყოს, მაგრამ თუ ის გულში ღალატს ჩაიდებს, ოჯახი აუცილებლად დაგვენგრევა.

— რამდენად ადვილია თქვენთან

სოსო შაგბერაშვილის ცოლ-შვილი

ცხოვრება და როგორი ქმარი ხართ?

— აზია მაღალი კულტურის კონტინენტია. ჯვაროსნული ომების დროს ევროპელებმა აზიელებისგან ისწავლეს, რომ თმა უნდა დაივარცხნონ, დაიბანონ და ა.შ. მაგრამ „აზიატი“ (იმ გაგებით, რომ ცოლს ყველაფერს ვუკრძალავ) არ ვარ. მინდა, ჩემი მეუღლე და ქალიშვილიც, რომელიც უკვე 21 წლისაა, მოდურად გამოიყურებოდნენ. არ მიყვარს, ცოლებს პომადის წასმას, დეკოლტირებული კაბისა და მოკლე ქვედაბოლოს ჩაცმას რომ უშლიან. სხვათა შორის, არც ქალისა და სიგარეტის სინთეზის წინააღმდეგი ვარ, ჯანმრთელობისთვის რომ არ იყოს მავნე. ლამაზიც კია, როცა ქალი სიგარეტს ეწევა. მანდილოსანი განათლებული უნდა იყოს.

— ძალიან ხომ არ გაერთეთ ქალებზე ლაპარაკით?! როგორი ქმარი ხართ-მეთქი? — გკითხეთ...

— ჩემს ოჯახში არასდროს ყოფილა ძალადობა, ყვირილი და შეურაცხყოფა. ნათქვამია: კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამსო. ჰოდა, ჩემი ცოლი და შვილები — გიორგი და ნინო (მათ დედაჩემისა და მამაჩემის სახელები დავარქვით) მათრახის დარტყმას არ იმსახურებენ. ისე, ბიჭს უფრო მკაცრად ვექცევი — 23 წლისაა და რთული ასაკი აქვს.

— რამ შეიძლება გამოგიყვანოთ წონასწორობიდან?

— შვილის უსაქციელობამ. ღმერთმა დაიფაროს და, რომელიმემ ზედმეტი ალკოჰოლი რომ მიიღოს, ძალიან გავბრაზდები.

— თქვენ არ სვამთ?

— ძალიან მიყვარს ქართული ღვინო, მაგრამ არაყს და კონიაკს ვერ ვიტანთ.

— როგორი სიმთვრალე გაქვთ?

— შესანიშნავი. ყველა მეუბნება, რომ სიმთვრალეში გაცილებით უკეთესი ხასიათი მაქვს, ვიდრე — ფხიზელს.

— ცეკვავთ?

— რაღა დროს ჩემი ცეკვაა?! თავის დროზე პიონერთა სასახლეში, ქართულ ცეკვაზე დავდიოდი, მაგრამ ახლა, რამდენიც უნდა დავლიო, არ ვცეკვავ. სიმღერა არ გამომდის, მაგრამ სხვების (განსაკუთრებით, დები იშხნელების) მოსმენა მიყვარს.

— ნაბახუსევზე მეუღლემ რომ შეგახსენოთ, თუ როგორ ცეკვავდით ნაციონალებთან ერთად, როგორი რეაქცია გექნებათ?

— სუფრასთან ნაციონალებთან და მათ შორის, მიხეილ სააკაშვილთან ერთადაც ვმჯდარვარ.

— ეს ხომ თქვენი პარტიის პრინციპებს ეწინააღმდეგება?!

— მართალია, მაგრამ მაშინ ნაციონალები ხელისუფლებაში არ იყვნენ. ისინი იმ დროს საკრებულოს წევრები გახლდნენ, ჩემი კოლეგები. მაშინ, გუდაურში ყოფნისას, მე და პაატა ჯიბლაძემ მიხეილ სააკაშვილი ჭაჭის არყით ისე გამოვათვრეთ, ქალბატონი სანდრა რომ არ ჩარეულიყო და დასაძინებლად არ წაეყვანა, საქმე ცუდად იქნებოდა... მე მაქვს შინაგანი მუხრუჭი და ისე არასდროს დავთვრები, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დავლიო ან ვიცეკვო. ასე რომ, ამ ამბავს არავითარ შემთხვევაში არ დავიჯერებ. ვაჟასი არ იყოს, „ბილწთ არ შავეკვრი ზავითა“.

— სიმამრობისთვის ან მამამთილობისთვის თუ ხართ მზად?

— არა და ამაზე ფიქრი არც მინდა. არ მსურს, რომ ჩემი გოგო სახლიდან წავიდეს.

— რჩეული სახლში რომ მოიყვანოს, ზედსიძედ?

— ზედსიძე კი არა, აგვისტოს ომის დროს გორიდან დევნილი 8 ადამიანი შევიფარე, მაგრამ მამამთილად, სიმამრად და მით უფრო, ბაბუად ვერ წარმომიდგენია თავი... თუმცა, ვიცი, ამ ამბავს მაინც ვერ ავცდები.

— ისე, შვილების თაყვანისმცემლებით ინტერესდებით ხოლმე?

— დროის დეფიციტის გამო ამას ვერ ვახერხებ, მაგრამ ჩემი მეუღლე მათ მიერ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს აკონტროლებს. ■

ლუდის მოყვარულთათვის...

● „ანჰეიზერ-ბიშ ინკორპორეიტედი“ ლუდის უდიდესი მწარმოებელი კომპანიაა. იგი მისურის შტატის ქალაქ სენტ-ლუისში მდებარეობს. კომპანია 12 ლუდსახარშის მფლობელია და ყოველწლიურად 11 მლრდ ლიტრ ლუდს ასხამს.

● უძველეს კომპანიად „ვაიენშტეფანი“ მიიჩნევა, რომელიც 1040 წელს გერმანიაში, მიუნხენის მახლობლად ფრეიზინგში გახსნეს.

● დღესდღეობით, მსოფლიოში 200 მარკის 180 სახეობის ლუდია.

● ლუდს ძველი ჩინელები, ბაბილონელები და ინკებიც ხარშავდნენ. რამდენიმე წლის წინ, ინგლისის ერთ-ერთმა ლუდსახარშმა დედოფალ ნეფერტიტის მზის ტაძარში აღმოჩენილი 3200 წლის წინანდელი რეცეპტით 1000 ბოთლი ლუდი tutankhamun-ი ჩამოასხა.

● სასმლის ბოთლებში ჩამოსხმა 1605 წლიდან დაიწყეს. ლუდის პირველი ფესტივალი „ოქტობერფესტი“ 1810 წელს მიუნხენში ჩატარდა.

● ლუდის ეტიკეტების ყველაზე დიდი კოლექცია — 350 ათასი, ნორვეგიელ იან სოლბერგს აქვს. ავსტრიელი ლეო პისკერუ ტეგესტოლოგია ანუ ლუდის კათხის სადგამებს აგროვებს. თავად მუყაოს დასადებს კი ბირდეკელი ჰქვია (ზოგიერთ ქვეყანაში პლასტმასის სადგამებსაც ამზადებენ). მის კოლექციაში 155 ქვეყნის 140 ათასი სადგამია. აღსანიშნავია, რომ ლეოს ლუდი არ უყვარს და ცხოვრებაში არც დაულევია. დანიელმა ხელგე ფრიხოლმა 1950 წლიდან ლუდის ბოთლის მეტალის სახურავების შეგროვება დაიწყო. მის კოლექციაში 172 ქვეყნის 60 ათასზე მეტი თავსახურია. ხის თავსახური რკინისამ დაახლოებით 120 წლის წინ შეცვალა. კოლერეტკა ჰქვია ლუდის ეტიკეტს, რომელიც ბოთლის ყელთანაა მიწებებული.

● ფილადელფიის მუსიკალური სკოლის პედაგოგმა ჩეიჩერმა სასმლის სიყვარულით, „ლუდის სიმფონია“ შექმნა. კომპოზიციაში წარმოდგენილია სხვადასხვა სასმისში — კერამიკულში, მინის, რკინის — ლუდის ჩასხმის ხმა.

● 1918 წელს ყველაზე მცირეალკოჰოლიანი (0,2%) ლუდი გერმანიის ქალაქ კოლნ-კელკში ჩამოასხეს. ყველაზე ძლიერ ლუდად „როჯერ ენდ აუტი“ მიიჩნევა. მას 1985 წლიდან ასხამენ. სასმელში ალკოჰოლის შემცველობა 16,9%-ია.

● გიგანტური (140 კგ) საშობაო ღვეზელი გინესის რეკორდების წიგნში მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ მის დასამზადებლად, კონდიტერმა 13 ლიტრი ირლანდიელების საყვარელი ლუდი — „გინესი“ გამოიყენა.

● ამერიკაში ყველაზე პოპულარული ლუდებია: „ბუდუაიზერი“ და „მილერი“.

● ძველად, კბილის ტკივილის დროს, ექიმები პაციენტს პირში თბილი ლუდის ჩაგუბებას ურჩევდნენ. მიუნხენის ლუდის ინსტიტუტმა დაამტკიცა, რომ 1 ლიტრი გაუფილტრავი ლუდი 10 ლიტრ რძეზე სასარგებლოა. ლუდზე დამზადებული სახის ნიღბები ნაოჭებს ასწორებს. დააძალეთ სასმელი ქალებს, რადგან იგი მკერდს ზრდის. ძველად მანდილოსნები ვარცხნილობებს ლუდით იყენებდნენ.

● ლუდის ყველაზე დიდი, 2-მეტრიანი კათხა 1820 წელს გერმანიის ქალაქ ფიურბერგში დაამზადეს. ყველაზე მეტი ლუდი — 2796 ლიტრი — 1985 წელს, მალაიზიაში დამზადებულ კათხაში ჩადის. მიუნხენის ლუდხანებში უჩვეულო კათხები იყიდება. ლუდით სავსე სასმისი, ხელში აღებისას, ბავარიულ მელოდიას „უკრავს“.

● ლუდის სმაში ათასნაირი შეჯიბრება არსებობს. ყველაზე პოპულარულია ინგლისის გრეიტ-ჰარვუდში ჩატარებული შეჯიბრება. მამაკაცმა ეტლით 5 მილი უნდა გაირბინოს, დისტანციაზე არსებულ 14-ვე პაბში შეირბინოს და კონკურენტებს ლუდის დალევა დაასწროს. ტრაგიკულად დასრულდა ერთ-ერთი შეჯიბრება, 33 წლის ზელანდიელი ჯეკ მანაკაუ ლუდის სმის რეკორდის მოხსნას აპირებდა, მაგრამ ორგანიზმმა 77-ე კათხას ვეღარ გაუძლო.

● ლონდონში ყოველწლიურად ლუდის მოყვარულთა კონკურსი ეწყობა. 1991 წელს გამარჯვებული 73 წლის ქალბატონი ჰარიეტ ბრუქსი გახდა, რომელმაც განაცხადა, რომ სასმელს 18 წლისამ გაუსინჯა გემო და მას შემდეგ ყოველდღე ლიტრ ლუდს მიირთმევს. კონკურსის ორგანიზატორების გამოთვლით, ქალბატონ ჰარიეტს, 70 ტონა ლუდი დაულევია.

● ლუდსახარშმა და საკონდიტრო კომპანიამ, შეყვარებულ იაპონელებს, ვალენტინობის დღისთვის სიურპრიზი მოუმზადა და შოკოლადის ლუდი დაამზადა. ალუმინის სამი ბოთლი ლუდი 1.480 იენი (16 დოლარი) ღირდა.

● დაბოლოს, ყველაზე მეტ ლუდს ჩეხეთში მიირთმევენ. შემდეგ გერმანიაში, ინგლისში, აშშ-სა და ნიდერლანდებში. საშუალოდ, თითო ჩეხი (მოხუცებისა და ბავშვების ჩათვლით) ყოველწლიურად 160 ლიტრ ლუდს სვამს.

■

თურმე...

● ტაივანურმა პურ-პროდუქტების კომპანიამ ხორბლის თეფშების გამოშვება დაიწყო. ახლა შეგიძლიათ, კერძს დესერტად თეფშიც მიაყოლოთ.

● ინდოეთის ტაჯ მაჰალის მავზოლეუმი 1631-1634 წლებში აშენდა. მშენებლობაზე 40 მლნ რუპია დაიხარჯა. იმ პერიოდში თითოეული რუპია 12 გ ვერცხლს იწონიდა.

● ადრეული ფეოდალიზმის პერიოდში ინგლისის თითოეულ საგრაფოში (shire) არსებობდა მმართველი (*რეევე*), ადამიანი, რომელსაც წესრიგის დამყარება ევალებოდა. მოგვიანებით, ეს ტერმინი ამერიკაშიც გავრცელდა, სადაც shire და *რეევე* sheriff-ად გადაიქცა.

● გასული საუკუნის 30-იან წლებში, ერთმა ამერიკელმა „მშვიდობის მტრედმა“ — აბ პიკენსმა, რამდენიმე სახელმწიფოს მმართველის შერიგება გადაწყვიტა. აბმა თავად დაურეკა ბენიტო (დუჩე) მუსოლინის (იტალია), ფრანჩესკო ფრანკოს (ესპანეთი), ხირიხიტოს (იაპონია) და ადოლფ ჰიტლერს (გერმანია). მიუხედავად იმისა, რომ პიკენსმა საერთაშორისო ზარებზე 10 ათასზე მეტი დოლარი დახარჯა, მის ინიციატივას შედეგი არ მოუტანია.

● 1796 წლამდე ამერიკის ტენესის შტატს ფრანკლინი ერქვა.

● არგენტინაში ყველაზე პოპულარული სასმელია მატე, რომელიც ამავე სახელის მცენარისგან მზადდება. თითოეული არგენტინელი წელიწადში ამ მცენარის 4 კგ-ზე მეტს მიირთმევს.

● გასული საუკუნის 40-იან წლებში, პოპულარული კალმის bich-ის სახელი bic-ით შეიცვალა, რადგან ამერიკელები მას bitch-ს („ძუკნა“) ეძახდნენ.

● ადამიანმა თმა რომ არ შეიჭრას, მთელი სიცოცხლის მანძილზე 725 კმ-მდე გაეზრდება.

● შუა საუკუნეების ინგლისში უცხოელთან რომანი სახელმწიფოს ღალატად მიიჩნეოდა. „დამნაშავეს“ სიკვდილით სჯიდნენ.

● ძველად ღვინოს ზღვის წყლით აზავებდნენ. ტარას, რომელშიც გაზავებულ ღვინოს ასხამდნენ, კრატერი ეწოდებოდა.

● ფიზიკის გაკვეთილებიდან გემახსოვრებათ, რომ არსებობს რიხტერის სკალა. ჩარლზ რიხტერი ნუდისტი ბრძანდებოდა, რის გამოც ცოლმა მიატოვა.

● 1984 წელს შოტლანდიაში ყველაზე პატარა დინოზავრის კვალს მიაგნეს. ურჩხული ბეღურის ზომისა იყო. ■

რეკლამა

● ცნობილმა კომპანიამ „ჯენერალ მოტორსმა“ ლათინური ამერიკის ბაზარზე ფიასკო განიცადა. მან იქ თავისი ახალი ავტომარკა „შევროლე ნოვა“ წარადგინა, მაგრამ არც ერთი მანქანა არ გაიყიდა. საქმე ისაა, რომ ესპანურად „ნო ვა“ ნიშნავს „ვერ დადის“, „არ მოძრაობს“. ჰოდა, აბა, ვინ იყიდდა მანქანას, რომელიც ვერ დადის?.. აშშ-ში ლუდ coorss-ს ასეთი სლოგანი აქვს turn it loose (გახდი თავისუფალი)! ესპანურად შედევრი ასე ჟღერს: „დაიტანჯე ფაღარათისგან“!

● ამერიკულმა კომპანია — „ქოლგეით-პალმოლივმა“ ფრანგულ ბაზარზე ახალი კბილის პასტა cue ჩაიტანა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, საფრანგეთში ამავე სახელწოდების პორნოჟურნალი გამოდის.

● კომპანია „პეპსის“ სლოგანის გადათარგმნისას ჩინელები შოკში ჩაცვივდნენ — come alive with the pepsi generation — ჩინურად ასე ჟღერდა: „პეპსი“ თქვენს წინაპრებს სამარიდან წამოაყენებს“...

● კომპანია „კოკა-კოლას“ დიდი ხანი დასჭირდა, რათა ჩინეთში პროდუქციის ჩატანის მიზნით, ნორმალური სლოგანი მოეფიქრებინა. სასმელს ჩინეთში kekukele-ს ეძახდნენ, რაც „უკბინე ცვილის თავკომბალას“ ნიშნავდა. დღეს სასმელს ახალი სლოგანი აქვს: „გემრიელი სითხე პირში“...

● ქათმის მწარმოებელი ამერიკული კომპანიის ხელმძღვანელობა გაოგნებული დარჩა, როცა გაიგო, რას ნიშნავდა მათი სლოგანი ესპანეთში. ორიგინალში იგი ასე ჟღერს: it takes a strong man to make a tender chicken — „ნაზი ქათმის მომზადებას ძლიერი მამაკაცი სჭირდება“. ესპანურად კი ასე ითარგმნა: „სექსუალურად აღგზნებული მამაკაცი თქვენს ქათამს ნაზად მოექცევა“.

● ამერიკულმა ავიაკომპანიამ თავისი თვითმფრინავების სალონებში ტყავის სავარძლები დაამონტაჟა და სლოგანიც შექმნა: fly in leather — „იფრინე ტყავში“. მექსიკელებისთვის კი ეს ასე ჟღერს: „იფრინე შიშველმა“.

● ელექტროსაქონლის სკანდინავიურმა კომპანიამ „ელექტროლუქსმა“ ამერიკული ბაზრის დაპყრობა ახალი მტვერსასრუტით გადაწყვიტა, რომელსაც ამგვარი სლოგანი ჰქონდა: „არაფერი წოვს ისე ძლიერად, როგორც „ელექტროლუქსი“. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

დაავადება და ფიტოთერაპია

ქრონიკული ბრონქიტი

ქრონიკული ბრონქიტი წარმოადგენს ბრონქების ლორწოვანი გარსის ქრონიკულ ანთებას. მას პერიოდული გამწვავებები ახასიათებს. ქრონიკული ბრონქიტის მიზეზი შეიძლება იყოს: ინფექცია (ბაქტერიული, ვირუსული), ფიზიკური ფაქტორები (სიცივე, ცხელი ჰაერი, მტვერი), ქიმიური ფაქტორები (მჟავებისა და ტუტეების ორთქლი). დაავადების ხანგრძლივი და ინტენსიური მიმდინარეობა იწვევს ფილტვების ემფიზემას, ფილტვ-გულის უკმარისობას, ინვალიდიზაციას.

გამოყოფენ მარტივ (არაობსტრუქციულ) და ობსტრუქციულ ქრონიკულ ბრონქიტს. ადრეულ სტადიაზე მარტივი ბრონქიტი მიმდინარეობს ლორწოვანი ან ლორწოვან-ჩირქოვანი ნახველის გამოყოფით. ამ დროს ბრონქების გამავლობის დარღვევა პრაქტიკულად არ შეინიშნება. ქრონიკული ობსტრუქციული ბრონქიტის დროს ზიანდება წვრილი ბრონქები, ადგილი აქვს ბრონქების გამავლობის დარღვევას და ქოშინის განვითარებას. მისთვის დამახასიათებელია ხველა და ნახველის ძნელად გამოყოფა. ქრონიკული ბრონქიტის გამწვავების ფაზაში ადგილი აქვს ტემპერატურის მატებას, სისუსტეს, ოფლიანობას და სხვა.

მკურნალობა კომპლექსურია, დამოკიდებულია დაავადების სტადიაზე და კლინიკურ გამოვლინებაზე. ავადმყოფს ეკრძალება მოწევა, შეძლებისდაგვარად უნდა მოხდეს პროფესიული მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება, საჭიროა ცხვირ-ხახაში არსებული ინფექციური კერების მოსპობა, გაცივების თავიდან აცილება.

ფიტოთერაპია: არაობსტრუქციული ბრონქიტი გამწვავების სტადიაში საჭიროებს მწვავე ბრონქიტის მსგავს მკურნალობას. ჩირქიანი ნახველის შემთხვევაში აუცილებელია ანტიბიოტიკოთერაპია (ანტიბიოტიკები, სულფანილამიდები). ბრონქიტების მკურნალობისას მნიშვნელოვანია ნახველის ამომღები და ფილტვების ვენტილაციური ფუნქციის გამაუმჯობესებელი მცენარეების დანიშვნა. ამოსახველებელი საშუალებები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: 1. ამოხველების მასტიმულირებელი და 2. მუკოლიზური საშუალებები. გარდა ამისა, ინიშნება მცენარეები, რომელთაც აქვს ბრონქების გამაფართოებელი (ძირტკბილა, პიტნა, თავშავა, ბეგქონდარა, წყლის იელი), ანტისეპტიკური (კრაზანა, წყლის იელი და სხვ), ანთების საწინააღმდეგო და სედატიური თვისებები. ასე რომ, ამოსახველებელი საშუალებების დანიშვნისას უნდა იქნას გათვალისწინებული ნახველის პროდუქტიულობა, წებოვნება და დღის განმავლობაში გამოყოფის დინამიკა. მაგალითად: ბლანტი, წებოვანი და ძნელად გამომყოფი ნახველის შემთხვევაში ნაჩვენებია ძირტკბილა, ფურისულა და სხვ. მათგან მომზადებული (20:200) ნახარში ავადმყოფმა უნდა მიიღოს 1-2 სუფრის კოვზის ოდენობით, დღეში 5-6-ჯერ ჭამამდე 1 საათით ადრე. გამოხატული ხველის და ბრონქული ობსტრუქციის შემთხვევაში მიზანშეწონილია ეთერზეთების შემცველი მცენარეების დანიშვნა (წყლის იელი, კოთხუჯი, ფიჭვის კვირტები, ნაძვის გირჩები, ბეგქონდარა და სხვ).

ობსტრუქციული ბრონქიტის დროს, როდესაც ადგილი აქვს ქოშინსა და ფილტვების ემფიზემას, ეფექტიანია ძირტკბილა, მრავალძარღვა და ვირისტერფა (3:3:4).

ქრონიკული ბრონქიტის დროს სასარგებლოა შემდეგი მცენარეების ნარევისგან მომზადებული ნახარში: 20% — ძირტკბილას ძირები, სალბის ფოთლები, ევკალიპტი, გულყვითელას ყვავილები, 10% — ორკბილა და გვირილა. 8 გ ნარევი 0,2 ლ წყალზე გამოიყენება ინჰალაციის სახით და შინაგანი მიღებისთვის (1/3-1/3 ჭიქა დღეში 2-ჯერ, 1-2 თვის განმავლობაში).

ქრონიკული ბრონქიტის ფიტოთერაპია უნდა ტარდებოდეს რამდენიმე წლის განმავლობაში — წელიწადში 4-6 კვირის ხანგრძლივობის 2-4 კურსი. ■

ნაწლავების დისბიოზი (დისბაქტერიოზი)

ნაწლავების (დისბაქტერიოზი) დისბიოზი არის პათოლოგიური მდგომარეობა, რომელსაც მსხვილი ნაწლავის მიკრობული შემადგენლობის რაოდენობრივი, სახეობრივი და ბიოლოგიური ცვალებადობა ახასიათებს. მისი მიზეზი სხვადასხვაა. დისბიოზს ხელს უწყობს კუჭში ჰიპო და ანაციდური მდგომარეობა, ნაწლავისა და პანკრეასის ფერმენტების დეფიციტი.

ხაზგასასმელია ნაწლავურ მიკრობულ გარემოზე ანტიბიოტიკებისა და სხვა ქიმიური პრეპარატის გავლენა. მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარის დაქვეითებას, ანთებითი დაავადებებისა და სხვა ფაქტორების არსებობას. დისბიოზის კლასიფიცირება ხდება სიმძიმის (კომპენსაციური, სუბკომპენსაციური და დეკომპენსაციური ფორმები) და ნაწლავის შემადგენელი მიკრობული გარემოს მიხედვით (სოკოვანი, კანდიდოზური და სხვა).

ავადმყოფის ჩივილები იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი დაავადების ფონზე განვითარდა დისბაქტერიოზი. ზოგადად, დამახასიათებელია ტკივილები, უმეტესად — მუცლის მარცხენა ქვედა და გვერდით მიდამოში (მსხვილი ნაწლავის საპროექციო არეში), იშვიათად — ჭიპის ირგვლივ, ასევე — მუცლის შებერვა, დისკომფორტი და ტკივილის გაძლიერება საკვების, განსაკუთრებით — ცხიმიანი კერძის, რძის, ალკოჰოლური სასმლის მიღების შემდეგ. ბევრს აწუხებს ტენეზმი (ცრუ ჭინთვა), მუცლის ყურყური, ძლიერი შებერილობა. პერიოდულად აღინიშნება ფაღარათი ფაფისებური განავლით. ზოგჯერ დეფეკაციის მოთხოვნილება საკვების მიღებისთანავე წარმოიშობა. ხშირია ნაწლავთა არასრული დაცლის შეგრძნება, თხელი და გაფორმებული განავლის მონაცვლეობით, ანდა დღეში რამდენჯერმე ლორწოს გამოყოფით. ხშირად ვითარდება დისპეფსიური სინდრომიც: გულისრევის შეგრძნება, უმადობა, პირში მეტალის გემო. ამ ყველაფერს თან სწრაფი დაღლა,

თავის ტკივილი, ცუდი ძილი, ასევე — სისუსტე ახლავს. დისბიოზის მკურნალობის დროს, პირველ რიგში, უნდა მოხდეს მისი გამომწვევი მიზეზის აღმოფხვრა, მაგალითად, ანტიბიოტიკების მოხსნა ან გამომწვევი დაავადებების მკურნალობა. მძიმე ფორმის შემთხვევაში ავადმყოფის მკურნალობა სტაციონარში ხდება. კომპენსაციური და დეკომპენსაციური ფორმების დროს ინიშნება ბიოლოგიური პრეპარატები: კოლიბაქტრინი, ბიფიდუბაქტრინი და სხვა.

დიეტოთერაპია მკურნალობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ინიშნება **დიეტა №4**-ის სხვადასხვა ვარიანტი. ავადმყოფს რძის პროდუქტები, ხილი და ბოსტნეული ენიშნება. მცენარეულ ბოჭკოებსა და პექტინებს ანტიბაქტერიული მოქმედება აქვს, ისინი შეიწოვს პათოლოგიურ მიკრობებსა და ტოქსინებს და გამოაქვს ნაწლავებიდან.

ფიტოთერაპია. მკურნალობის პირველ ეტაპზე ინიშნება ანტიბაქტერიული მოქმედების მცენარეები, განსაკუთრებით კოთხუჯი, ნეგო, კრაზანა, თავსისხლა. ფაღარათის შემთხვევაში ემატება შემკვრელი მოქმედების მცენარეები — არონია, კოწახური, ასფურცელა... 1-2-კვირიანი მკურნალობის შემდეგ რეკომენდებულია დაჩირქების საწინააღმდეგო და მიკრობული ფლორის მომაწესრიგებელი უნარის მქონე მცენარეების (კოთხუჯი, ტუტტი, ტყის მარწყვი, ბეგქონდარა, ნიორი და სხვა) დანიშვნა. აღნიშნულ მცენარეებს აქვს მრავალი სასარგებლო თვისება, რადგან შეიცავს პოლისაქარიდებს, ეთერზეთებს, ფიტონციდებს, ფენოლებს, ვიტამინებს და სხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. პოლისაქარიდების, პექტინების, ინსულინის წყაროს ტუტტის ძირები, ბაბუაწვერა, ვირისტერფა, მრავალძარღვა, ძირტკბილა წარმოადგენს. აუცილებელია ვიტამინებით მდიდარი მცენარეების დანიშვნაც. სასარგებლოა შვრიისა და ხორბლის მარცვლების ნაყენი და ნახარში.

მცენარეების ნაკრები ნაწლავების დისბიოზის დროს: 2-2 გ კატაბალახა და გვირილა, 1-1 გ კოთხუჯი, ქვაპურა, კრაზანა, ჭინჭარი, თავშავა, შავბალახა, მრავალძარღვა, 1,5-1,5 გ ფარსმანდუკი, ასფურცელა, 0,5-0,5 გ აბზინდა, ძირტკბილა. 0,3 ლ წყალზე მომზადებული ნახარში ისმება დღეში 3-ჯერ — 75-100 გ ოდენობით, ჭამამდე. მკურნალობის კურსი შეადგენს 3-4 კვირას. ამის შემდეგ განავლის ანალიზი უნდა გაკეთდეს.

სპორტი გიხსნით თავის ტკივილისგან



მეცნიერებმა განაცხადეს, რომ ფიზიკური ვარჯიშები არა მარტო დადებითად მოქმედებს ჯანმრთელობაზე, არამედ ბევრი პათოლოგიური მდგომარეობისგან, მათ შორის, თავის ტკივილისგან კურნავს ადამიანს. ჩატარდა ექსპერიმენტი, რომელშიც მონაწილეობა ქრონიკული ხასიათის თავის ტკივილის მქონე ადამიანებმა მიიღეს. კვლევაში მონაწილე მამაკაცები და ქალბატონები ერთი თვის განმავლობაში რეგულარულად ვარჯიშობდნენ ველოტრენაჟორზე ან ატარებდნენ აერობიკულ ვარჯიშებს. ერთი თვის შემდეგ პაციენტებმა აღნიშნეს, რომ შეუმცირდათ თავის ტკივილის ინტენსივობა და თითქმის აღარ სჭირდებოდათ ტკივილგამაყუჩებლის მიღება.

ბალერინებისა და ტანმოვარჯიშეების სუსტი ჯანმრთელობა

ამერიკელი მეცნიერები ჩატარებული კვლევის საფუძველზე, მივიდნენ დასკვნამდე, რომ ბალერინებსა და პროფესიონალ ტანმოვარჯიშე ქალებს, სუსტი ჯანმრთელობა აქვთ. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ტანმოვარჯიშეებსა და ბალერინებს სხვა სფეროში დასაქმებულ ქალბატონებთან შედარებით, 4-ჯერ უფრო ცუდი ჯანმრთელობა აქვთ. მეცნიერებმა გამოიკვლიეს ამ პროფესიის წარმომადგენლები და შემდეგ დასკვნამდე მივიდნენ:

- ტანმოვარჯიშეებისა და ბალერინების 36% არასწორად იკვებება;
- 77% არასაკმარისი რაოდენობით კალორიას იღებს;
- 27%-ს ამენორეა (6 თვეზე და მეტი ხნის განმავალობაში მენსტრუაციის არქონა) აწუხებს;
- 64%-ს ვენების ვარიკოზული გაგანიერება აქვს;

გარდა ამისა, მათ გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციის დარღვევა და ჰორმონული დისბალანსი აღენიშნებათ. ამ დაავადებების თავიდან ასაცილებლად, აღნიშნული პროფესიების მქონე სუსტი სქესის წარმომადგენლებმა ვიტამინების კომპლექსი უნდა მიიღონ, განსაკუთრებით კი — ვიტამინი B6.

შაკიკი დაგიცავთ ძუძუს კიბოსგან

ახლახან ჩატარებული კვლევის შედეგად, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ შაკიკი სარძევე ჯირკვლის კიბოს განვითარების რისკზე გავლენას ახდენს. ამერიკელმა სპეციალისტებმა ეს დასკვნა 3000 ქალის (მათ შორის 2000 ძუძუს კიბოთი დაავადებულის) ავადმყოფობის ისტორიის შესწავლის შემდეგ გააკეთეს.

აღმოჩნდა, რომ ქალები, რომლებსაც მუდმივად თავის ტკივილი აწუხებთ, 30%-ით ნაკლებად ავადდებიან სარძევე ჯირკვლის კიბოთი, ვიდრე ისინი, რომელთაც პრაქტიკულად, არ სტკივათ თავი. ამის მიზეზია ჰორმონი — ესტროგენი, რომლის მაღალ დონესაც ონკოდაავადების პროვოცირება შეუძლია. აღსანიშნავია, რომ ორგანიზმში ესტროგენების მაღალი დონის შემთხვევაში, ქალებს უქრებათ შაკიკი ანუ თავის აუტანელი ტკივილები. ორსულობის ბოლო ვადაზე, როცა ეს ჰორმონი ქალის ორგანიზმში ჭარბადაა, შაკიკიანი ქალების 80%-ს თავის ტკივილი აღარ აწუხებს.

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ

Წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

www.elva.ge

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „ᲔᲚᲕᲐ.ᲯᲘ"

გამოცემის დასახელება	1ეგზ. ფასი	3 თვე
1. ГЕО / GEO	9.00	27.00
2. ЛИЗА	2.50	32.50
3. 100 ЧЕЛОВЕК, КОТОРЫЕ ИЗМЕНИЛИ ХОД ИСТОРИИ	5.00	65.00
4. ПУТЕШЕСТВИЕ ПО СВЕТУ	8.00	24.00
5. СЕМЬ ДНЕЙ	2.50	32.50
6. HELLO! / ХЭЛЛОУ!	4.00	52.00
7. ОТДОХНИ!	2.00	26.00

ᲐᲖᲠᲔᲛᲞᲘ ᲜᲐᲑᲘᲡᲮᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

E-mail:elva@kvirispalitra.com

იკითხეთ თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის



როგორ მოვირგოთ პროთეზი

პროთეზი თქვენ არ უნდა მოირგოთ – ის ექიმმა უნდა მოგარგოთ. აუცილებელია, მოსახსნელი პროთეზი ზუსტად იყოს დამზადებული. მცდარია მოსაზრება, რომ პაციენტის პირის ღრუს ლორწოვანი გარსი თვითონ მოერგება პროთეზს.

პატარას ქავილი აწუხებს

როცა დედა პაპილომავირუსით არის ინფიცირებული, შვილიც ინფიცირებული იბადება. თანდაყოლილ ინფექციას ახალშობილის უცნაური საქციელი გვაეჭვებინებს: ჩვილს შორისის მიდამო ექავება, რის გამოც უცნაურ მოძრაობებს ასრულებს – ფეხებს ხრის და ჭიმავს.

რკინის დეფიციტი ბავშვებში

რკინის ხანგრძლივი დეფიციტის დროს მოსალოდნელია მადის, ყნოსვის გაუკუღმართება (ბავშვი ჭამს ცარცს, ტალახს, საღებავებს, ყინულს, მოსწონს ბენზინის, საღებავების, ლაქის, მასტიკის მკვეთრი სუნი), ხმის წასვლა (გლოსიტი), ფრჩხილების მტვრევადობა (კეილონიქია).



ამ პატიებამ ყველა მაპაკვირვა

მარინა ბაბუნაშვილი

ღალატზე არაერთხელ დაგვიწერია. ერთი წლის წინ საზოგადოებისთვის ნაცნობი წყვილის შესახებ მიამბეს. „შვილის გამო ღალატზეც დახუჭავ თვალს“, „კვირის პალიტრა“, 2008 წ. 11 თებერვალი).

ამგავი პირველი გასტროლებიდან „გაპარული“ ცოლი

ლიზა და ანდრო მოცეკვავეები იყვნენ. მერე ანდრომ ცეკვას თავი დაანება და ბიზნესი წამოიწყო. ლიზა კი ვერ შეელია ცეკვას. წყვილს მარიამი ჰყავდა, მეორე შვილზე აღარც უფიქრიათ, რადგან, სულ გასტროლებზე იყვნენ... ყველაფერი კარგად მიდიოდა, ვიდრე ანსამბლში ახალი სოლისტი, ვახო არ გამოჩნდა. ლიზა მაშინ 38 წლის იყო, ვახო მასზე 12 წლით უმცროსი. ამერიკაში ორთვიანი გასტროლების მერე გახმაურდა ლიზას და ვახოს რომანი. ზოგი გაოცებული გახლდათ, ზოგიც — აღშფოთებული. ანდრო კი, ბაიბურში არ იყო. ევროპული ტურნეს წინ უჩვეულოდ ღელავდა ლიზა, რადგან, უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ანდროს დაშორებოდა. გამგზავრების წინ ანდროს სთხოვა — სარკის წინ წერილი დაგიტოვე და წაიკითხეო. ანდრო წაკითხვის მერე ცუდად გახდა და სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ინფარქტი დაუდგინდა.

ამონარიდი წერილიდან: „მარიც საშინელ დეპრესიაში იყო. სკოლაში აღარ დადიოდა, არც ჭამდა. იჯდა ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში და უაზროდ მისჩერებოდა ერთ წერტილს ან საბანგადაფარებული გაუნძრევლად იწვა. შინ დაბრუნებულ ანდროს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, შვილის გამოსაცოცხლებლად... მარის თანატოლივით ელაპარაკა, უნდა შევეჩვიოთ დედაშენის გარეშე ცხოვრებასო, — უთხრა“.

გასტროლების მერე ლიზა და ვახო რამდენიმე თვით მოსკოვში დარჩნენ. ბოლოს, ლიზამ იგრძნო, რომ შვილი ძალიან ენატრებოდა. თბილისში დაბრუნებულ წყვილს ყველა ცივად დახვდა. ნელ-ნელა ჩაცხრა აღტაცება და ემოციები, გაფერკმრთალდა. დარჩა მხოლოდ დარდი და ტკივილი. ლიზას სიხარული სევდამ შეცვალა, ღიმილი — ცრემლმა.

ცოტა ხანში მოთმინების ძაფი გაუწყდა ლიზას, ანდროს დაურეკა და სთხოვა, შვილი მაჩვენეო. ანდროს უარი არ უთქვამს, თუმცა თვითონ მარიმ არ მოისურვა დედის ნახვა. ლიზა აღარ დაფიქრებულა პირდაპირ მიადგა მამა-შვილს.

ამონარიდი წერილიდან: „... ანდროს ფერი ეცვალა ლიზას დანახვაზე. მარის ოთახიდან მუსიკის ხმა გამოდიოდა. ლიზა იქით გაემართა. იმდენი ჰქონდა სალაპარაკო, მაგრამ წინდაწინ დალაგებული სიტყვები ერთბაშად დაეფანტა. მარიც დუმდა. დედისგან ელოდა პირველ სიტყვას. ლიზა ნელა მიუახლოვდა შვილს, ჯერ თავზე გადაუსვა ხელი, გულში ჩაიხუტა — მომენატრეო. მერე კარგა ხანს იდგნენ ასე ჩახუტებულები. ერთიც ტიროდა და მეორეც“.

ლიზა მიხვდა, რომ მისი ახლობელი ანდრო უფრო იყო, ვიდრე ვახო, რომლის გულისთვისაც გაწირა ეს ორი ძვირფასი ადამიანი. მან პატიება სთხოვა ანდროს. ქმარმა აპატია

და „გზააბნეული“ ქალი ისევ მიიღო

ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

პატიებით დამთავრებული „ბანალური“ ამბავი

ამ დიდმა პატიებამ ყველა გააკვირვა. ზოგი აღფრთოვანებული იყო ანდროს დიდსულოვნებით, ზოგიც ზურგს უკან კილავდა, — ეს რა ქნა, როგორ შეირიგა მოღალატე ცოლიო.

ანდროს და ლიზას ოჯახის მეგობარი: ძალიან ბევრი იქირქილეს, ბოლოს დაიღალნენ და გაჩერდნენ. სამწუხაროდ, ხშირად ასე ხდება — საზოგადოებას გახმაურებული ღალატი ართობს და სალაპარაკოც არ ელევა. ანდრო და ლიზა ახალი შერიგებულები იყვნენ, როცა ერთ თბილისურ ოჯახში მოვხვდი. იქ მათი ამბის სრულიად შეცვლილი „ვარიანტი“ დამახვედრეს: თურმე, მეორედ დატოვა ლიზამ ანდრო, ისიც ადგა და ცოლის დაქალი შეირთოო. ეს ამბავი ლიზამ რომ გაიგო, ისე ინერვიულა, თვითმკვლელობა გადაწყვიტაო. მერე, ექიმებმა სულზე მიუსწრეს და ძლივს გადაარჩინესო. გავბრაზდი. როდესაც სიმართლე ვუთხარი, იცით როგორ ეწყინათ? არ მოელოდნენ ისეთ „ბანალურ“ ფინალს, როგორიცაა პატიება და შერიგება. ანდროს დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმისთვის, რომ ასეთ გახმაურებულ ღალატზე თვალი დაეხუჭა, მაგრამ მან ყველაფერზე წინ მარის სიმშვიდე და მისი კარგად ყოფნა დააყენა. ●

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲡᲬᲝᲠᲘᲡ

„ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲕᲜᲐᲢᲠᲝᲑ — ᲜᲔᲢᲐᲕ, ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲓᲐ“

„ანა, ახლა ბარსელონაში შუაღამეა. ისეთი განათებულია, დღე გეგონება ან განთიადი. ვერაფრით ვერ ვიძინებ, შენზე ვფიქრობ. იქნებ როგორმე გაგაბრაზო, რომ ხელი წაგაცდენინო და ერთი წინადადება მაინც გამოგაგზავნინო ჩემთვის. რაც უნდა მომწერო, სულ ერთია, ჩემთვის იგი მაინც ძვირფასი იქნება... მიყვარხარ, ანა, არ



გამიბრაზდე ამ სტრიქონებისთვის. მიყვარხარ და მორჩა!

იცი, რა მიკვირს? როგორ შეგიძლია ასეთი შეუვალი იყო? რატომ მომწერე, წაუკითხავად ვშლი შენს წერილებსო? ვიცი, რომ თამაშობ, სინამდვილეში არ ხარ ისეთი გულქვა, რომ ასე ხელაღებით მოექცე ჩემს გრძნობას. უბრალოდ, ჯიუტი ხარ, ბრაზიანი, მაგრამ მაინც საოცრად საყვარელი გოგონა. ყველა გამინაწყენდა, მათ შორის შენც. ჩემი მეგობრის და შემიყვარდა, რომელიც თურმე, არას დიდებით არ უნდა შემყვარებოდა, ამიტომაც ყველამ ზურგი შემაქცია. შენც მაგიტომ აბობოქრდი, — ეს როგორ გამიბედეო? ჩემი გრძნობით თურმე ადამიანობას ვუღალატე და ძმაკაცობის „პრინციპსაც“. შენი სიყვარული უფრო ძლიერი აღმოჩნდა და ეს საქვეყნოდ ვაღიარე.

იცი, როგორ მენატრები, ანა? გუშინ დავლიეთ ბიჭებმა და კინაღამ საქართველოში გამოვფრინდი. გულწრფელად მიკვირს იმ ხალხის, ვინც დარდის გასაქარვებლად სვამს. ეტყობა, ყველაფერში უკუღმართი ვარ, მე პირიქით მემართება. მთვრალს მეტად მერევა დარდი და სევდა, მონატრება კი გაუსაძლისი ხდება. ანა, იცი, როგორ მენატრება ყველა ძმაკაცი ჩემი „შეცდომის“ გამო რომ გამიდგნენ. არასდროს დამავიწყდება შენი ძმის თვალები — ჩემს დას სხვანაირი თვალით როგორ შეხედეო. ღმერთია მოწმე, შენთვის არასდროს შემიხედავს „სხვანაირი“ თვალით. შენ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი და წმინდა ხარ. მთელი ჩემი უბედურება იმაშია, რომ შემიყვარდი.

ანა, მართლა არ ვიცი, ჩემი სიყვარული როდის და როგორ დაიწყო, ან ოდესმე დასრულდება თუ არა. ბრეხტს აქვს ერთი გამონათქვამი — თითქოს სამყარო შუაზე გაიყო და ნაპრალმა ზედ ჩემს გულზე გადაიარაო. ახლა, მეც ზუსტად ამ მდგომარეობაში ვარ. ერთ მხარეს შენ ხარ, მეორე მხარეს — დანარჩენი სამყარო, რომელიც შენი სიყვარულის გამო გადამემტერა. როცა უპასუხო სიყვარულის გამო გულგატეხილ ბიჭებს ვხედავდი, ნერვები მეშლებოდა — „კაცი არ არის, რას ჩამოსტირის ცხვირ-პირიმეთქი. თურმე სადა ხარ?! ნაღდად არასოდეს არ უნდა თქვა „არასოდეს“. ანა ჩემი სიყვარული ჩემთან ერთად გაიზარდა. მაპატიე, რომ ასე ძალიან მიყვარხარ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ“

●

როგორი უნდა იყოს ნამდვილი მამაკაცი?

„ჯერ კიდევ პატარა გოგო ვიყავი, 14-15 წლის, მთელი კატეგორიულობით ვაცხადებდი, ანგარებას როგორც კი შევატყობ ბიჭს, მაშინვე ზურგს შევაქცევ-მეთქი. კიდევ ძუნწ ადამიანს ვერ ვიტანდი. იმასაც ვამბობდი, შეიძლება ქმარს ღალატიც კი ვაპატიო, სიძუნწეს და ანგარებას კი — არა-მეთქი. ბედის ირონიაა რომ სწორედ ასეთი შემხვდა ქმრად. გაგიკვირდებათ და სარეცხის ფხვნილსაც კი მიკონტროლებდა, ბევრი ჩავყარე თუ — ცოტა. დღეში რამდენჯერმე ვსვამდი ყავას და ამაზედაც მსაყვედურობდა. ორი თვის ბავშვით დავბრუნდი მშობლებთან. მოვიდა და მთხოვა, დაბრუნდი, არ მესმის, რამ გაგაბრაზაო. ვიცოდი, აზრი არ ჰქონდა მასთან ლაპარაკს, ამიტომ კატეგორიულად უარი ვუთხარი. გაბრაზდა მარა, რა გაბრაზდა და იცით, რა მითხრა? რახან ასეა, მორალური ზიანის კომპენსაციისთვის, ვიტოვებ შენი მშობლების ნაყიდ საძინებელ გარნიტურს, მაცივარს, ტელევიზორს და სარეცხის მანქანას; საბნები და თეთრეული შეგიძლია წაიღოო... ახლა ჩემი ბიჭი ოთხი წლისაა და გული მისკდება, მამის გენები (სიძუნწე, სიხარბე და ანგარება) არ გამოჰყვეს, ამიტომაც სულ ვუჩიჩინებ, რომ ნამდვილი მამაკაცი უნდა იყოს — ვაჟკაცური, ხელგაშლილი კეთილი და უანგარო.

მაია ა. თბილისი“.

„რალაც-რალაცები“ თავიდანვე გასდასამიჩნეთ

„ძალიან გავბრაზდი იმ თაღლით ადამიანზე, რომელმაც შეყვარებული გოგონა მოატყუა და ბანკიდან სესხი გამოატანინა (წინა ნომერში გყავდათ სტუმრად).

ჩემს ერთ მეგობარს, იცით, რა დაემართა? კოლონიიდან ერთი პატიმარი ეკონტაქტებოდა. ერთ წელიწადში იმდენი ქნა იმ თვალით უნახავმა ბიჭმა, რომ გოგოს თავი შეაყვარა. მერე ფულიც ასესხებინა, საკვების შეტანასა და მობილურზე ანგარიშის შევსებაზე აღარაა ლაპარაკი. რამდენს ვეჩიჩინებოდი ჩემს მეგობარს და მაინც ვერაფერი შევასმინე. სჯეროდა, რომ მისი ნიკა უანგარო, გულწრფელი და ვაჟკაცური ბიჭი იყო... ის კი გამოვიდა და გაქრა. მან ის მაინც ინამუსა და ქალალდის ნაგლეჯზე დაუწერა გოგოს: „მაპატიე, მე შენი ღირსი არა ვარ“. დეას კი ეგეც არ აღირსა გიორგიმ... იმისათვის, რომ ბოლოს დიდი იმედგაცრუება არ განიცადოთ, თავიდანვე სჯობს, „რაღაც-რაღაცები“ ძირფესვიანად გადაამოწმოთ.

დიდი სიყვარულით, თამუნა სხირტლაძე“.

„სიმსახურის“ კომპლექსი

„ამ წერილს გწერთ საბერძნეთიდან. „კვირის პალიტრაში“ წავიკითხე წერილი („უცხოობაში ბედნიერებას ნუ ეძებთ“) და ძალიან ავფორიაქდი. აქ ჩემს ქმართან ერთად ვარ. მართალია, სხვადასხვა ქალაქში ვმუშაობთ, მაგრამ ორ კვირაში ერთხელ (ორი დღე) ერთად ვართ.

დედ-მამა ადრე გაშორდნენ. დედამ მიგვატოვა და კარგა ხანს, მე და ჩემს ძმას მამა და ბებია გვზრდიდა. გავიდა დრო და დედამ მამინაცვალი გამაცნო. ის კი რატომღაც ღიზიანდებოდა ჩემს დანახვაზე და წარამარა მეუბნებოდა, — მახინჯი ხარ, დედაშენმა მაგიტომაც მიგატოვა, რომ შეუხედავი ხარ და ძალიან ჰგავხარ მამასო. ამის გამო დავკომპლექსდი. 18 წლისას სიყვარული მეწვია. რახან ჩვენთან ჭირდა ცხოვრება, ორივე საბერძნეთში გავემგზავრეთ... ახლა საშინლად ეჭვიანი ვარ და ეს სენი იმ „ჩაგონების“ ბრალია, რასაც მამინაცვალი ჩამჩიჩინებდა. ჩემი ქმარი რამდენჯერაც გვერდზე გაიხედავს, იმდენჯერ ისტერიკა მემართება. სულ მგონია, რომ მართლა მახინჯი ვარ და იმიტომაც მღალატობს. არადა, სულ იმას მიმტკიცებს, რომ ჩემს გარდა არავინ უნდა. ორ კვირაში ერთხელ ვხვდებით ერთმანეთს და მაშინაც ვჩხუბობთ. ამას წინათ მითხრა, — ასე ვეღარ გავძლებ დიდხანს, დავიღალე შენთან ფიცი-მტკიცითო. ჩემი ქმარი ძალიან მიყვარს, თავს მოვიკლავ რომ მიმატოვოს...

ვიქტორია, საბერძნეთიდან“.

„შეიძლება, მეც დედა დაგიძახო?

„სრულიად შემთხვევით გავიცანი ის პატარა ბიჭი. ჩემი ბიძაშვილი პატიმარი იყო. როცა დავურეკავდი, ხანდახან, ის უცნობი ბიჭი მპასუხობდა. ისეთი ზრდილობიანი და თბილი იყო, მიკვირდა კიდეც, ნეტავ, ამისთანა რა დააშავა, რომ ახლა ოთხკედელშუა არის-თქო. მოგვიანებით რამაზმა მითხრა, ამ ბიჭს ვიტალი ჰქვია და არავინ არ ჰყავს დედამიწის ზურგზე, ვცდილობთ სითბო და სიყვარული ვაგრძნობინოთო. გული მომიკვდა. ამის მერე, რამაზსაც ვურეკავდი ხოლმე და ვიტალისაც. ერთხელაც, როცა ვიტალის ჩვეულებრივ ვესაუბრებოდი, დაძაბულობა შევამჩნიე. ხმა უთრთოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა. მერე უცებ მკითხა: შეიძლება, მეც დედა დაგიძახოო (რამაზი დედას მეძახის)? ცრემლები ბურთივით გამეჩხირა ყელში და ძლივს ამოვთქვი: რა თქმა უნდა, ვიტალი. შეგიძლია დედა დამიძახო-მეთქი. მას მერე, ჩვენი ურთიერთობა (რა თქმა უნდა, სატელეფონო) დედაშვილური, ძალიან ახლობლური გახდა. რამდენიმე ხანში რამაზი ქსანში გადაიყვანეს ვიტალის ამბავს ვეღარ ვიგებდი. სულ ის სიტყვები ჩამესმოდა ყურში: „შეიძლება, მეც დედა დაგიძახო?“ ვიტალი წარმოშობით ოსია, გვარად — ჩოჩიევი. ვინატრებდი, ნეტავ ყველა ოსი ისე აზროვნებდეს, ისეთ სიყვარულს ამჟღავნებდეს, როგორც ვიტალი. რამდენიმე თვის შემდეგ რომ შემეხმიანა, სიხარულისგან ტირილი დავიწყე. ვიტალი, შენ ნათელი სულის ბიჭი ხარ და მიუხედავად იმ შეცდომის, რაც ჩაიდინე, ამიერიდან სწორ გზაზე ივლი, სიკეთეს დათესავ.

შენი „დედიკო“ თამარი, ხაშური“.

გაუფრთხილდით სიყვარულს ანუ სინანული წარსულის გამო

კარგა ხანია, სტუმარი მამაკაცი არ მყოლია. ბოლო ხანს, ისინი წერილებით უფრო „მანებივრებდნენ“. ჩემმა დღევანდელმა სტუმარმა-რესპონდენტმა კი თავიდანვე გამიმხილა: ორი ჭიქა გადავკარი გაბედულებისთვის და გეწვიეთო. ბადრი გ. ორმოცდახუთი წლისაა. დღემდე უცოლოა, რადგან... თუმცა, ჯობს, თავად მას მოვუსმინოთ:

— მე და ეკას სტუდენტობაში შეგვიყვარდა ერთმანეთი. უნივერსიტეტის ბაღში ყოველთვის უამრავი ლამაზი გოგო ირეოდა, მაგრამ ეკა სხვებისგან მაშინვე გამოვარჩიე. შავგვრემანი, მაღალი ძალიან ეშხიანი გოგო იყო. ისეთი ხიბლი ჰქონდა, მაგნიტივით იზიდავდა ყველას ყურადღებას. პირველ კურსზევე დავადგი თვალი. უნივერსიტეტში მექალთანე ბიჭის სახელი მქონდა, გოგოებისგან განებივრებული გახლდათ. ამიტომ მეგონა, ეკას საპასუხო გრძნობასაც მალე მივიღებდი, მაგრამ შევცდი. კარგა ხანს მაწვალა. ჩვენს ურთიერთობაში „ძირეული გარდატეხა“ მაშინ მოხდა, როცა აკაკი ბაქრაძის ლექციიდან გამოვედით და ფეხით გავუყევით მელიქიშვილს. გვიანი იყო. ჯანაშიას ქუჩის ასახვევთან ისეთ ჩხუბს გადავეყარეთ, ეკა გვარიანად შემეშინდა. ხუთი ბიჭი ერთს უბაგუნებდა და იმ წაქცეულს მივეშველე. მოჩხუბრები ახლა მე შემომესივნენ, მაგრამ ვერ დამჩაგრეს და გაეცალნენ იქაურობას. ტაქსი გავაჩერე, მძღოლს ფული გადავუხადე და ნაცემი ბიჭი სახლში გავისტუმრე. ეკას რომ მივუბრუნდი, სიყვარულით სავსე თვალებით მიმზერდა. მივხვდი, რომ იმ ღამეს მისი გული მოვიგე... იმ დღიდან დაიწყო ჩვენი ორმხრივი სიყვარული და თავბრუდამხვევი დღეები. ვოცნებობდი იმ დღეზე, როცა ეკა საბოლოოდ ჩემი გახდებოდა. ჩვენ უნივერსიტეტში ცნობილი წყვილი ვიყავით. სტუდენტობის წლები უბედნიერესი პერიოდი იყო ჩემთვის, რადგან, ხალისიანი და ლამაზი დღეების პარალელურად, ჩემ გვერდით ეკა იყო — ჩემი დიდი სიყვარული. ეკა ბევრს მოსწონდა (ზოგს უიმედოდაც უყვარდა) მაგრამ ჩემი შიშით ხმას ვინ გასცემდა?! ეკაც ზედ არავის უყურებდა, მისთვის მხოლოდ მე ვარსებობდი. როცა ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი, ცოტა თავში ამივარდა... რახან იგი ჩემად დავიგულე, ხანდახან თავს უფლებას ვაძლევდი, აქეთ-იქით „გავმძვრალიყავი“. ერთხელ, ეკას ამბავი მიუტანეს, ბადრი გვიან ღამე ლალას მიაცილებდაო. ლალა საღამოს დასწრებულზე (ფილოლოგიურზე) სწავლობდა. ლამაზი გოგო იყო, მაგრამ ქარაფშუტა. ეკა გამინაწყენდა, გამებუტა. მაშინ კი შევშინდი, ვაითუ, დავკარგო-მეთქი. მთელი თვე დამჭირდა იმისთვის, რომ შემომერიგებინა... მეხუთე კურსზე ვიყავით, ეკას ბიძაშვილი (რომელსაც მისი ოჯახი ზრდიდა) ავარიაში მოყვა და გარდაიცვალა. ამის გამო ეკას ქორწილზე ლაპარაკიც არ უნდოდა, ვიდრე ერთი წელი არ გაივლიდა. დიპლომი ავიღეთ, ეკას ვთხოვე, ხელი მოვაწეროთ, ქორწილი კი, გაგას წლისთავი რომ გაივლის, მერე გადავიხადოთ-მეთქი, მაგრამ ხელები გაასავსავა, ჩემს ბედნიერებაზე ახლა არ შემიძლია ფიქრი, როცა გამუდმებით გაგა მიტრიალებს თვალწინო. წლისთავიც გადაიხადეს, ეკა კი, კვლავ ფეხს ითრევდა დაქორწინებაზე... ერთხელ ჩემი ძმაკაცის დაბადების დღეზე წავედით. იგი მარტო ცხოვრობდა. ლხინის მერე დათომ (იუბილარმა) გვითხრა, გოგოებს სახლამდე მივაცილებ, მერე კი შეიძლება აღარ მოვბრუნდე, მშობლებთან დავრჩე. თქვენ სახლს უპატრონოდ ნუ მიმიტოვებთ, ამაღამ თქვენ მიხედეთ ჩემს ბინასო. მივხვდი, დათო ამას სპეციალურად აკეთებდა. ყველა რომ წავიდა და მარტონი დავრჩით, ეკას ვთხოვე, დაურეკე დედაშენს, უთხარი, რომ ჩემთან რჩები-მეთქი. თავი გაიგიჟა...

— **რახან დაშორდით, გამოდის, რომ დროს ვერ გაუძლო თქვენმა სიყვარულმა.**

— მთლად მასეც არ იყო. ერთხელ იმ ჩემი ძმაკაცის (დათოს) სახლში კვლავ წავიყვანე ეკა. რა თქმა უნდა, დათო „არ დაგეხვდა“ გასაღები მე მქონდა. იმ დღეს საბოლოოდ გადავწყვიტე, ეკა ჩემი გამხდარიყო. რაღა ბევრი გავაგრძელო, ეკა და მე საწოლში აღმოვჩნდით. მთელი საღამო ტიროდა. ვემუდარებოდი დარჩენილიყო და აღარ წასულიყო მშობლებთან, მაგრამ არ მომისმინა. საშინლად გავბრაზდი, მაგრამ სახლში ხომ ვერ ჩავკეტავდი? მოკლედ, მივიყვანე ეკა შინ და წამოვედი. ასე მეგონა ქუჩაში ყველამ იცოდა ჩემი გაწბილებული და იმედგაცრუებული სიყვარულის შესახებ. მომდევნო დღეებში აღარ გავკარებივარ ეკას. ერთხელაც, ლალა დავინახე, მივედი და ვუთხარი, — წამო, სადმე გავისეირნოთ-მეთქი. ვიცოდი, რომ საერთო მეგობრები დამინახავდნენ და ეკას მოუტანდნენ ამბავს. მეც ეს მინდოდა. ლალასთან მარტო იმ საღამოს კი არა, მთელი თვე ვიარე. რა თქმა უნდა ეკამაც გაიგო ეს ამბავი. გამოაცხადა — არ მიხსენოთ ბადრის სახელიო. აღარ გამეკარა, ზედაც აღარ შემომხედა... ერთი წლის მერე გათხოვდა. გავნადგურდი. აღარ მაინტერესებდა არც სამსახური, არც გართობა... ეკას რომ ტყუპი შეეძინა, მივხვდი, მის ცხოვრებაში ჩემი ადგილი აღარ იყო.

— **ეკა ბედნიერია? თქვენ ბევრი საერთო მეგობარი გყავდათ, ნუთუ ერთხელაც აღარ გინახავთ ერთმანეთი?**

— ეკა დღეს 3 შვილის დედაა, ტყუპი ბიჭის მერე, გოგონა გააჩინა. ალბათ ბედნიერია. მხოლოდ ერთხელ დავინახე შორიდან რუსთაველის გამზირზე მისეირნობდა თავის გოგონასთან ერთად. მე კი, მანქანით მივყვებოდი ნელი სვლით... ეს ყველაფერი თქვენთვის უნდა მეთქვა. დაე, თქვენი ჟურნალის ფურცლებზე ჩვენი სიყვარულის ისტორიაც დარჩეს.

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com



მარი ჯაფარიძე

ქურთუკი

ათელი ცხოვრება ასე ვარ, ყველაფერს ვეჩვევი... ვეჩვევი ქალებს, რომლებთანაც სექსი მქონდა. მათ უცხოდ ვერ აღვიქვამ. როდესაც რომელიმე მათგანი სადღაც გადაიკარგება, არ დამირეკავს ან ინტერნეტში არ შემეხმიანება, განვიცდი და ვნერვიულობ.

იმათაც ვეჩვევი, რომლებთანაც ჯერ სექსი არ მქონია, მაგრამ ახლო მომავალში ვაპირებ და იმათაც, ვისთანაც არანაირი შანსი არ მაქვს, მაგრამ უბრალოდ, ხშირად ვეკონტაქტები. თითოეული მათგანის გარეშე სამყარო ცარიელი მეჩვენება.

ვეჩვევი საცხოვრებელ ადგილს... კარგა ხანია, ვფიქრობ, რომ ეს უზარმაზარი ბინა გავყიდო და სხვა, შედარებით მომცრო, მაგრამ უფრო კომფორტული ვიყიდო, მაგრამ ისე მივეჩვიე, სამსახურის მერე აქ მოსვლას, რომ ვერა და ვერ გადავჭერი ეს საკითხი.

ერთხელ, ცოლთან დიდი ჩხუბისა და საქმის გარჩევის შემდეგ გავიბუტე და მთელი თვე სამსახურში ვცხოვრობდი. თანამშრომლები გაოცებული იყვნენ ჩემი სიჯიუტით, მაგრამ იქაურობასაც ისე მივეჩვიე, მერე შინ წასვლა აღარ მინდოდა.

სამსახურსაც მივეჩვიე... თავისუფლად შეიძლებოდა, გაცილებით უკეთესი, მაღალხელფასიანი სამსახური მეშოვა ან დამატებით, კიდევ ერთი სამსახური, მაგრამ კოლექტივს შევეჩვიე. თუ არ გამათავისუფლეს, მე თვითონ არსად წამსვლელი არ ვარ.

სიგარეტსაც მივეჩვიე. ჩემი კოლეგების უმეტესობა „კენტს“ ეწევა, მე კი ისევ — „ელემს“.

ნივთებსაც ვეჩვევი. ცოლთან ბევრჯერ მიკამათია იმის გამო, რომ დილით, როცა ავდგები, ისევ იმ პერანგსა და შარვალს ვიცვამ, რომელიც წინადღეს მეცვა.

გუშინდელი ტანისამოსი გუშინწინდელად გადაიქცევა ხოლმე, მერე კი ერთი კვირის წინანდელად.

ცოლი ამის გამო მეჩხუბებოდა და მეუბნებოდა, რომ ჩემი ასეთი საქციელის გამო, მას საყვედურობდნენ. ბოდიში მოვუხადე და შევპირდი, გამოვსწორდები-მეთქი,

მაგრამ დილით ისევ ჩვეულებისამებრ ვიქცეოდი.

სექტემბრამდე საშემოდგომო ქურთუკით დავდივარ. სამაგიეროდ, ზამთრის ქურთუკით — მაისამდე.

ჩემი ჩიხში მომწყვდევა ერთი უბრალო კითხვითაა შესაძლებელი — გცივა (გცხელა? კარგად ხარ? ცუდად ხარ? გშია? მაძღარი ხარ? დაიღალე? უძილო ხარ?)?

ასეთ დროს ვჩუმდები და დავფიქრდები ხოლმე, მცივა თუ — არა.

საშინელ მდგომარეობაში აღმოვჩნდები ხოლმე, როცა გამახსენდება, რომ უკანასკნელად გუშინწინ ვივახშმე ან მთელი თვეა, სექსი არ მქონია; რომ თბილისში უკვე მაისია, მე კი ისევ თბილი, მაღალყელიანი ფეხსაცმლით დავდივარ; რომ დროა, წვერი გავიპარსო, თმა შევიჭრა და დავიბანო.

პარადოქსია, წყლით სავსე აბაზანაში ჩაწოლა მიყვარს და დღეში რამდენჯერმე ვანებივრებ ჩემს თავს ამით, მაგრამ თავის დაბანა არ მიყვარს, რადგან ამ დროს თმა მისველდება. ამის მიუხედავად, წვიმაში ქოლგით არ დავდივარ. სიამოვნებით ვსეირნობ ხოლმე, ნელი ნაბიჯით.

ე.წ. „დუტი“ ქურთუკი 5-6 წლის წინ ვიყიდე. მაშინ ოჯახური სიტუაციები ჩემთვის „ახალი ხილი“ იყო. 25 წლის ბიჭი ვიყავი, რომელსაც 23 წლამდე არსად უმუშავია. სამაგიეროდ, აქეთ-იქით დავწანწალებდი და ინსტიტუტიდანაც სამჯერ გამომრიცხეს (ხანდახან ნიჭი ადამიანს ცუდ სამსახურს უწევს).

23 წლისაც არ ვიყავი, რომ ჩემი სიყვარული ვიპოვე. ჩემი პირველი ქალი და მომავალი ცოლი, რომელმაც ჩემ გარშემო ყველაფერი დაჩრდილა.

ის „პერმანენტულადაა“ ნაჩხუ-



ანერგიულობამ დიდი გზა განვლოს — ბიძია თომას ჭიხიდან ომამდეს წარსულამდე

ბარი ჩემს მშობლებთან და თავის მშობლებთანაც, განსაკუთრებით — დედასთან.

ამიტომ, შეუღლების პირველივე დღიდან მარტო ვცხოვრობთ. ზურგზე უზარმაზარი პასუხისმგებლობა დამაწვა. ერთი საინტერესო ფაქტი კიდევ ისაა, როგორ ვეჩვეოდი მუშაობას. უზომოდ მეზარებოდა დილით ადრე ადგომა, მაგრამ უნდა გადავჩვეულიყავი ვალების აღებას და იმდენი ფული მაინც მეშოვა, რომ ოჯახი გამომეკვება.

მაშინ ცოლმა არ მიმატოვა, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ვშიმშილობდით.

მას ნებისმიერ დროს შეეძლო თავის უზრუნველყოფილ ოჯახში დაბრუნება, სადაც პირობა წაუყენეს: „როცა გინდა, მოდი, მაგრამ ქმრის გარეშე“.

როდესაც ის „დუტი“ ვიყიდე, უკვე ვმუშაობდი და შიმშილით სული აღარ გვძვრებოდა და აღარც ახლობლებისგან ვსესხულობდი ფულს.

ზამთარი იყო...

დედაჩემი მოვიდა სტუმრად და ბაზრობაზე წამიყვანა. ცივი ზამთარი იყო და თხელი ქურთუკით დავდიოდი. მაშინ მიყიდა „დუტი“ და ქუდი.

— მოგწონს ეს ქურთუკი? ვიყიდოთ?

— რა უშავს, ვიყიდოთ, რა...

— იქნებ ის უფრო მოგწონს?

— ჰო, შეიძლება, ის ჯობია.

— შენ რომელი უფრო მოგწონს?

— რა ვიცი, აბა, რომელი უფრო მომწონს? რა მნიშვნელობა აქვს?

— შენი ატანა შეუძლებელია!

სამაგიეროდ, ბაზრობიდან მალე წამოვედით და ბევრი არ ვიბორიალეთ.

მეორე დღეს ქუდი უკან დავაბრუნე და გამყიდველს ვუთხარი, თითქოს პატარა მომივიდა, რადგან ფული არ მქონდა. ქუდი კი 25 ლარი ღირდა. მაპატიე, დედა, ქუდი სულაც არ დამიკარგავს.

რაღა თქმა უნდა, ამ წლების განმავლობაში „დუტი“ გაცვდა, ჯიბეები ჩაეხა და „ვიდიც“ დაკარგა. ჩემი 2 ქალი კატეგორიულად მოითხოვდა, რომ გადამეგდო. ერთი კი „დამემუქრა“ კიდეც, ახალ ქურთუკს გიყიდიო. კიდევ კარგი, თბილისში არ ცხოვრობს, თორემ ნამდვილად მიყიდდა. მისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

ვინ იცის, ამ ქურთუკის ჯიბეში რამდენი სასარგებლი ნივთი იდო — გასაღებები, სანთებელები, სიგარეტი, მატარებლის ბილეთები, ბოთლები, საფულე...

რაღა თქმა უნდა, ნივთები ხანდახან უნდა შეცვალო. უნდა გადავამოწმო, მაქვს თუ არა „დემისეზონური“ ფეხსაცმელი. თუ არ მაქვს, უნდა ვიყიდო, ხელფასი თუ მეყოფა...

მაგრამ ხელფასი რაში მეყოფა? აი, ახლა გადავიხდი დედაჩემის ოპერაციისთვის გამოტანილ სესხს და კომპიუტერის განვადებას და ვიყიდი მერე, რადგან მეც კი შევნიშნე, რომ ძველ ფეხსაცმელს ძირი გაუცვთა და წყალი შედის...

ამ გაზაფხულსა და ზაფხულში კი სულ წვიმებია. ესეც იმიტომ შევნიშნე, რომ ვერ ვიტან, როცა რაიმე სველი მაცვია.

საერთოდ, რატომ წამოვიწყე ამ „დუტი“ ქურთუკზე ლაპარაკი?

დღეს სამსახურში ქურთუკი მაჩუქეს.

არა, ფული კი არ შემიგროვეს და კი არ მიყიდეს, უბრალოდ, ჩვენი ფირმა სპეცტანისამოსს აწარმოებს და ერთი ქურთუკი მაჩუქეს. ზამთრისაა, თბილია და სარჩულიც ეხსნება.

ახლა იატაკზე დევს...

ასე მგონია, სხვისია...

ჩემი არაა...

უბრალოდ, ბედისწერამ არგუნა, რომ ჩემი უნდა იყოს...

და 1 თვის შემდეგ ალბათ ტანიდან აღარ მოვიცილებ...

ძველი ქურთუკი კი შემოსასვლელში, საკიდზე დარჩება...

მე კი ტირილი მინდა...

ასე მგონია, მეგობარს ვკარგავ...

ცხოვრებამ ისე უნდა გაღიმოს, რომ ჯოჯოხეთში მისულს გათენებულებმა გითხრან — აბა, ერთხელ კიდევ გაიმეორე!

გამოცდაშრება

„ხალხი ბრბოა, მენატვალე, ენას კი ძვალი არ აქვს"

„გზის" №27-ში დაიბეჭდა 20 წლის lady-ის მესიჯი, სათაურით — „მეშინია, ეს ბედნიერება მალე არ დასრულდეს". გოგონა გვწერდა, რომ 2 წლით უმცროსი ბიჭი შეუყვარდა და მასთან თავს კარგად გრძნობს, მაგრამ ზოგჯერ, მისი ბავშვური გამოხტომების ატანაც უწევს. „მიუხედავად ამისა, ბედნიერი ვარ და მეშინია, ეს ბედნიერება მალე არ დასრულდეს. ხანდახან, მიჩნდება სურვილი, მივეფერო, ვაკოცო, მაგრამ სინდისი მქენჯნის — ის ხომ ბავშვია!" lady-ის ხალხის აზრიც აღშფოთებს: „როცა გაიგებენ, რომ მასზე უფროსი ვარ, ყველა გამკიცხავს. ზოგჯერ, დაშორებაზეც ვფიქრობ..."



„18 წლის ბიჭი სრულწლოვანია და შენი შესაცდენი არაფერი სჭირს"

ლიკა ქაჯაია

ნინიკო:

„თავს ტყუილად ნუ იტანჯავ. დამიჯერე, ეს ყველაფერი ნერვიულობად არ ღირს. ჩემი დაც ასაკით პატარას გაჰყვა ცოლად, მაგრამ დღესდღეობით, თითით საჩვენებელი, მისაბაძი ოჯახი აქვს. ხალხი ჭრელია და თუ შენზე ჭორაობა უნდათ, შეყვარებულს რომც დაშორდე, რაიმე მიზეზს მაინც გამოძებნიან და გაგჭორავენ. ასე რომ, სიყვარულს ხელს ნუ ჰკრავ. ბედნიერებას გისურვებ!"

უცნობი:

„ჯერ კარგად გაარკვიე, რას გრძნობს ის ბიჭი შენ მიმართ. თუ უყვარხარ, ბედნიერი იქნები. მერწმუნე, თქვენ შორის ასაკობრივი სხვაობა არც ისე ბევრია. მთავარია, გიყვარდეთ ერთმანეთი".

პანკუშკა:

„ჩემო კარგო, ასე რატომ ნერვიულობ? 2 წელი რა სალაპარაკოა? იქნებ, თქვენი ურთიერთობა სიყვარული კი არა, უბრალო გატაცებაა? თუ ასეა, ყველაფერი ძალიან მალე გადაგივლის. ასე რომ, ნუ მოიწყენ. ასაკობრივი სხვაობის გამო, შეყვარებულს ხელს ნუ ჰკრავ. დატკბი ბედნიერებით, დანარჩენს კი დრო გიჩვენებს. წარმატებები!"

ბოლოთვალი დედა:

„ჩემო კარგო, მეტი სანერვიულო არ მოგცეს ღმერთმა. მთავარი ისაა, რომ თქვენ შორის ნამდვილი სიყვარული იყოს. შენ მოგვწერე, — ის ბავშვიაო, მაგრამ არც შენ ხარ 40 წლის ქალი, შენც ბავშვი ხარ. თანაც, ზოგს 18 წლის ასაკში ისეთი აზროვნება აქვს, 40 წლის კაცს შეშურდება. გული არ გაიტეხო".

T&C:

„მეც შენსავით, 3 წლით უმცროსი ბიჭი მიყვარს და ის ჩემი სიცოცხლეა. ძალიან გთხოვ, მხოლოდ იმის გამო, რომ უმცროსია, დაუფიქრებელი ნაბიჯი არ გადადგა და არ დაშორდე. ბედნიერებას გისურვებ!"

ლუნა:

„საერთოდ, კარგია, როცა ასაკით ბიჭი გოგოზე დიდია, მაგრამ თუ გოგოა უფროსი, არც ეგაა პრობლემა. სადაც დიდი და წრფელი სიყვარულია, იქ წლოვანებასა და სხვა წვრილმანებს ყურადღება აღარ ექცევა. თუ ერთმანეთი გიყვართ, უკან ნუ დაიხევ და ბედნიერების შანსს ხელიდან ნუ გაუშვებ... საინტერესოა, ასეთი რა გამოხტომები აქვს? იმედია, დედაშვილობანას თამაშს არ გთხოვს. ჩემო კარგო, ხალხის აზრს ყურადღებას ნუ მიაქცევ. თუ დარწმუნებული ხარ, რომ უყვარხარ და პატივს გცემს, მიუალერსე. ლამაზ მომავალს გისურვებ!"

გაცოცხლებული თოვლინა:

„თუ გიყვარს, მის გამოხტომებსაც უნდა გაუძლო. მიეფერე, აკოცე და ჩურჩულით უთხარი, — ჩემი პატარა ბიჭი ხარ და მაგრად მიყვარხარ-თქო".

კაკუ:

„მეც მყავს ჩემზე თითქმის 1 წლით პატარა შეყვარებული და მისგან ბავშვური რაღაცების ატანაც მიწევს. ჩემო კარგო, სრულ ბედნიერებამდე 1 ნაბიჯიც აღარ გაშორებს და მოდი, ამ ბედნიერებას ხელიდან ნუ გაუშვებ. ღმერთი გფარავდეს".

ნიცა:

„ჩემო კარგო, ეს პრობლემა ნამდვილად არაა. მრავალი გოგო ქმნის ოჯახს ასაკით უმცროს ბიჭთან ერთად. სინდისი ნუ გქენჯნის, მიდი და ჩაეხუტე. უთხარი, რომ ძალიან ბედნიერი ხარ, რომ ის მხოლოდ შენთვის არსებობს".

უცნობი:

„მთავარია, ერთმანეთი მართლა გიყვარდეთ და ასაკს რა მნიშვნელობა აქვს? შეყვარებულზე 3 წლით უფროსი ვარ, მაგრამ თვის ბოლოს ცოლად მივყვები და ამაში დასაძრახს ვერაფერს ვხედავ. „ლოვეს" არ დაშორდე!"

ბწარე:

„თუ ერთმანეთი გიყვართ, ასაკს ყურადღებას რატომღა აქცევ? თუ მიატოვებ, შენი მხრიდან ეს ძალიან სულელური საქციელი იქნება და შესაძლოა, ეს სისულელე მთელი ცხოვრება ინანო. სიყვარული არაფრის გამო არ დათმო. ბედნიერ ცხოვრებას გისურვებ!"

LONELY GIRL:

„არ გეწყინოს, მაგრამ ვფიქრობ, რომ პრობლემას არაფრისგან ქმნი — 2 წელი საგანგაშო სხვაობა არაა. და კიდევ, ხალხს ჭორაობა თუ უნდა, უმიზეზოდაც იჭორავებენ. შურიანი ადამიანების გამო საკუთარ ბედნიერებას ნუ გასწირავ. ჩემო კარგო, თავს ტყუილად ნუ იტანჯავ. ჩემი მეგობარი 3 წლით უმცროსს მიჰყვება ცოლად და უბედნიერესია. მათ ერთმანეთი ძალიან უყვართ და განსხვავებულ ასაკზე, წონასა და ფეხის ზომაზე არ ნერვიულობენ :)). წარმატებები!"

ლი ჰარვი ოსვალდი:

„ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ ასაკით უმცროსი ბიჭი გიყვარს. ხალხს შეუძლია, ყველაფერზე იჭორაოს. ისე, მგონია, რომ რაღაცას აზვიადებ. აბა, როგორ შეიძლება, 18 წლის ბიჭი ისეთი ბავშვური იყოს, რომ ვერ გაუგო?!."

ეკოლადა:

„ჩემო კარგო, შეყვარებულთან ერთად ბედნიერი თუ ხარ, ასაკს რა მნიშვნელობა აქვს? ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ 2 წელზეა ლაპარაკი. მე უფროსი ბიჭები მომწონს, მაგრამ ვუყვარდი ბიჭს, რომელიც ჩემზე 2 წლით უმცროსი იყო და ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ვერ შევიყვარე, ის გახლდათ, რომ ძალიან ბავშვური იყო, თორემ ასაკობრივი სხვაობის გამო, მასზე უარს ნამდვილად არ ვიტყოდი. ხალხი ბრბოა, გენაცვალე, ენას კი ძვალი არ აქვს. მთავარია, თქვენ შორის ჭეშმარიტი სიყვარული იყოს და 2 წელი არაფერია. შეგიძლია, დამიკავშირდე“.

ნუსაკო:

„ჯერ ერთი, საკუთარი ბედნიერებისთვის აუცილებლად უნდა იბრძოლო, სხვებს ყურადღება არ უნდა მიაქციო და მეორეც, ახლა XXI საუკუნეა და ყველაფერი შესაძლებელია, მისაღებია. იცოდე, შენი განკიცხვის უფლება არავის აქვს. მთავარი ისაა, რომ უყვარხარ და გიყვარს. ბედნიერებას გისურვებ! ხომ იცი, სიყვარულის გამო ქალს ყველაფრის ატანა შეუძლია. გთხოვ, ჭორიკანებს ყურადღება არ მიაქციო და დარწმუნებული ვარ, უბედნიერესი იქნები“.

ნნნ:

„2 წელი მართალია, არაფერს ნიშნავს, მაგრამ ეს „გამოხტომები“ ჩემთვისაც ნაცნობი და ძველებურად მიუღებელია. თუმცა, გეტყვი სიმართლეს, — ის გაიზარდა და მე ძველებურად მიყვარს. ძალიან, ყველაფერზე და ყველაზე მეტად მიყვარს, მაგრამ უკვე გათხოვილი ქალი ვარ :((“.

აბეზარა:

„მეტი სადარდებელი არ მოგცეს ღმერთმა. თქვენ უკვე დიდები ხართ და თავად უნდა გადაწყვიტოთ, როგორ უნდა განაგრძოთ ცხოვრება. თუ ერთმანეთი ნამდვილად გიყვართ, ყველა დაბრკოლებას გადალახავთ. მართალია, ჩვენთან მსგავსი ქორწინება (როცა ქალია უფროსი) მიუღებელია, მაგრამ მერწმუნე, ასაკობრივი ბარიერი მთავარი არაა. იმ ბიჭს უნდა დაელაპარაკო და აუხსნა, რაც განუხებს. მგონი, ამის გამო დაშორება არ ღირს. უფალი გფარავდეთ“.

ანა:

„შენ უნდა გადალახო ეს დაბრკოლება! თუ „ლოვე“ ასე ძალიან გიყვარს და მასაც უყვარხარ, კრიტიკას არ უნდა შეუშინდე. ყველას უნდა დაუმტკიცო, რომ ამაში ცუდი არაფერია და ბოლოს, ისინიც გაგიგებენ“.

T.D:

„თუ იცი, რას გრძნობს ის ბიჭი შენ მიმართ? თუ მასაც უყვარხარ, ხელს ნუ ჰკრავ მხოლოდ იმიტომ, რომ შენზე სულ რაღაც, 2 წლით უმცროსია“.

იკუგეები:

„ჩემო კარგო, დამერწმუნე, ასაკს არაფერი ესაქმება იქ, სადაც სიყვარულია. მართალია, მე ურთიერთობა უფროს მამაკაცებთან უფრო გამომდის, მაგრამ ყველაფერი ერთი საზომით ხომ არ იზომება?! შენ ალბათ, ქალების იმ კატეგორიას მიეკუთვნები, რომელთაც მზრუნველი შეყვარებულის როლში ყოფნა მოსწონთ, ანუ დედის სინდრომით ხარ შეპყრობილი. თუ მასთან ურთიერთობა მართლა გსიამოვნებს და ბედნიერი ხარ, თავს ნუ იკავებ, არაფერია იმაზე მაგარი, როცა საყვარელ ადამიანზე ზრუნავ და როცა მას ეფერები. ხალხი კი უკაცრავად და, ბრბოა. მათ ჭორაობის გარდა, არაფერი იციან. ბედნიერი ხარ და ეს ბედნიერება ბოლომდე შეიგრძენი. 18 წლის ბიჭი სრულწლოვანია და შენი შესაცდენი არაფერი სჭირს :)). აბა, შენ იცი, არაფერი დათმო. წარმატებები!“

მისტერ:

„ყველაზე მეტად, მაკვირვებს და მაოცებს ადამიანის მართლაც, რომ გასული საუკუნის დროინდელი, უკვე მოძველებული გამონათქვამი, — მერე, ხალხი რას იტყვის? ნუთუ, სიყვარულს ხელი უნდა ჰკრა მხოლოდ იმიტომ, რომ ჭორიკანებს და უსაქმურებს სალაპარაკო თემა არ მისცე? ასე არასდროს იმსჯელო! ჰო, „ლოვეს“ შენნაირ აზროვნებას ნუ მოსთხოვ, რადგან მცირე, მაგრამ მაინც, თქვენ შორის ასაკობრივი „რაზნიცაა“. ასე რომ, ეგ ბავშვური გამოხტომები ლოგიკურია და მერწმუნე, ის მალე გაიზრდება. იბრძოლე საკუთარი ბედნიერებისთვის!“

„ჩემს ქმარს გამუდმებით ელანდება, რომ სხვას ვხვდები...“

უცნობი:

„გამარჯობა. ლიკა, ძალიან გთხოვ, ეს მესიჯი დამიბეჭდე. ჩემი შეყვარებული ეჭვიანი იყო, მე კი ვიფიქრე, როცა ცოლად გავყვები და თავისად დამიგულებს, გამოსწორდება-მეთქი. ჰოდა, შევცდი. მიუხედავად იმისა, რომ საბაბს არ ვაძლევ, როცა სამსახურში მივდივარ, ეჭვიანობს. მას გამუდმებით ელანდება, რომ სხვას ვხვდები. ვერაფრით დავაჯერე ჩემს ერთგულებაში. ღმერთია მოწამე, მის გარდა არავინ მაინტერესებს. ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ და მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?“

„მარტოსული ვარ და ზოგჯერ რაღაცები მეჩვენება“

მარიტა:

„თქვენი დახმარება მეც ძალიან მჭირდება. შემთხვევით, ჩემი მეგობრის ნათესავი გავიცანი და უკვე 1 თვეა, ვმესიჯობთ. ძალიან თბილი ურთიერთობა გვაქვს. თავიდან არ მეგონა, თუ გამეცნობოდა და ძალიან გამიხარდა, მასთან დამეგობრება რომ შევძელი. ჩვენ თავიდანვე შევთანხმდით, — მხოლოდ და მხოლოდ მეგობრები ვიყოთ-თქო, მაგრამ მის მესიჯებში სხვანაირ სითბოს ვგრძნობ... ცოტა მარტოსული ვარ და ზოგჯერ მგონია, რომ რაღაცები მეჩვენება. რა ვიცი, რა ვიცი... დამეხმარეთ, რა. ჰო, დამავიწყდა მეთქვა, ის 21 წლისაა, მე — 17-ის. ვითომ, შესაძლებელია, რომ შევუყვარდე?“

*P.S. მაშ ასე, თუ **უცნობისა** და **მარიტას** წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე:* **8.58. 25.60.81.** *მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.*

„სიყვარული გადაარჩენს სამყაროს და ტკივილსაც დაგიამებს“

„გზის“ №27-ში დაიბეჭდა ძალიან ნაცნობის მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ ჰყავს შეყვარებული, მაგრამ მასთან ურთიერთობა გაუფუჭდა. თურმე, წყვილი ერთმანეთს ვერ უგებს და გამუდმებით ჩხუბობს. „ახლა ასპარეზზე ნიკა გამოჩნდა, რომელმაც აღიარა, — მომწონხარო. უკვე დიდი ხანია, ის მეც მომწონს და ამიტომაც, შეყვარებულის წინაშე თავს დამნაშავედ ვგრძნობ“. გოგონა ფიქრობს, რომ მოღალატეა და ამბობს: „ლოვეს“ ჯერ ვერ დავშორდები და ამავდროულად, ნიკა მიყვარდებაო.

„ცოცხალი არსებები ვართ და დროთა განმავლობაში გრძნობებიც გვეცვლება“

იკუშკები:

„ოჰ, რომ იცოდე, რა ცუდად იქცევი... თუ ნიკა გიყვარს, „ლოვეს“ აუცილებლად უნდა დაშორდე. ტყუილით და ღალატით ნურც საკუთარ და ნურც სხვის გრძნობას შეურაცხყოფ, სიყვარულს უდიერად ნუ მოექცევი. ჩემო კარგო, იმასთან უნდა იყო, ვინც გსურს და გიყვარს. როცა ადამიანის მიმართ გრძნობა აღარ გაქვს, მას ეს უნდა უთხრა კიდეც. მჯერა, ნიკასთან ურთიერთობა აგეწყობა. წარმატებებს გისურვებ, საყვარელო!.. P.S. წინა კვირას მორანს ვერ შევეხმიანე და მინდა, ვუთხრა: ჩემო კარგო, სიყვარული გადაარჩენს სამყაროს და ეს გრძნობა ტკივილს, იმედგაცრუებას შენც დაგიამებს. სულის მეგობრის პოვნა ძალიან რთულია, მით უმეტეს, ჩვენს დროში. მინდა, გვერდით ისეთი ადამიანის ყოლა გისურვო, ვინც გულწრფელი იქნება და შენს სიმარტოვეს შეავსებს“.

ზოკოლადა:

„თუ „ლოვეს“ ვეღარ უგებ, რატომ ამბობ, — ჯერ ვერ დავშორდებიო? რადგან ნიკა მოგეწონა, ე.ი. ის აღარ გიყვარს. ყოფილ შეყვარებულს უნდა დაშორდე. შენთვის აჯობებს, თუ არ მოატყუებ და სიმართლეს ეტყვი. მერწმუნე, მისთვის არ გიღალატია, უბრალოდ, ნიკა შეგიყვარდა... მათთან ურთიერთობა აუცილებლად უნდა გაარკვიო. წარმატებები!“

ლი ჰარვი ოსვალდი:

„ჯობია, ცოტა ხნით ურთიერთობა ორივესთან გაწყვიტო და საკუთარ გრძნობებში გაერკვე. წარმატებებს გისურვებ!“

თოლია:

„ყველაფერს დრო გიჩვენებს. თუ მიხვდები, რომ „ლოვე“ არ გიყვარს, დაშორდი და იმედია, გაგიგებს. უსიყვარულოდ მასთან ყოფნას აზრი არ აქვს... იქნებ, ეს თქვენი გრძნობის გამოცდაა?! ახლა დაბნეული ხარ. კარგად დაფიქრდი და მიხვდები, ვისთან გინდა ყოფნა. ისე, შენი განცდები ბუნებრივია. ღმერთის იმედი გქონდეს“.

მწარე:

„ჩემო კარგო, „ლოვე“ თუ არ გიყვარს, მასთან ყოფნას რაღა აზრი აქვს? შეყვარებულის წინაშე დანაშაული არ მიგიძღვის — რადგან სხვა შეგიყვარდა, ე.ი. ის არც არასდროს გყვარებია. დაშორდი, თავს რატომღა იტანჯავ? ამის თქმას ახლა თუ ვერ ბედავ, მერე შეიძლება, გვიანი იყოს და ცხოვრება გაიუბედურო. წარმატებები!“

ნიცა:

„იქნებ, სწორედ ნიკაა თქვენი ჩხუბისა და გაუცხოების მიზეზი? შეიძლება, მოღალატე არა, მაგრამ მერყევი პიროვნება ხარ. საუკეთესო გამოსავალს გეტყვი: ცოტა ხნით არც ერთი არ ნახო და მიხვდები, რომელი უფრო გიყვარს“.

ნინიკო:

„ჯერ საკუთარ გრძნობებში კარგად გაერკვიე და მერე იმოქმედე. ჩემთვის ერთდროულად 2 კაცის სიყვარული წარმოუდგენელი რამაა. წარმატებები!“.

ლუნა:

„შეყვარებულთან ურთიერთობა იქნებ, ნიკას გამოჩენამ გაგიფუჭა? ჩემო კარგო, არც კი ვიცი, რა გირჩიო. მხოლოდ იმას გეტყვი, რომ სიყვარულს გაფრთხილება სჭირდება და ეს უნდა გაითვალისწინო. გულისთქმას მიენდე. ჩემი აზრით, ერთერთ მათგანთან ურთიერთობა აუცილებლად უნდა გაწყვიტო. ისე, სხვა რა გზა გაქვს, გენაცვალე, ორივეს ხომ ვერ გაჰყვები ცოლად?! ლამაზ სიყვარულს გისურვებ!“

ვოვთმეინ დედა:

„რატომ არ გვწერ მიზეზს, რომლის გამოც „ლოვეს“ დაშორდი? ისე, შენ და შენი შეყვარებული გამუდმებით თუ ჩხუბობთ, აუცილებლად უნდა დაშორდეთ. ჩვენ, ადამიანები, ცოცხალი არსებები ვართ და შესაბამისად, დროთა განმავლობაში გრძნობებიც გვეცვლება. ასე რომ, მოღალატე ნამდვილად არ ხარ. დამიჯერე, ამქვეყნად ბოლომდე ვერავინ გიერთგულებს, ასეთი ადამიანი არსად მეგულება“.

ჰანკუშკა:

„საყვარელო, ალბათ, შეყვარებულისგან სითბო და სიყვარული დაგაკლდა და ამიტომაც გადაიხარე ნიკასკენ, მაგრამ დაფიქრდი, სწორად იქცევი თუ არა? რა ვიცი, ზოგჯერ, მოწონებაც სადღაც ქრება და მხოლოდ სინანული რჩება. ისე არ გააკეთო, რომ წარსული მოგენატროს. „ლოვესთან“ ურთიერთობა გაარკვიე და მერე იმოქმედე“.

ქალი თუ მოინდომებს...

მარი ჯაფარიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №№22-27



2 ადამიანის ვირტუალურმა სიყვარულმა, რომელსაც „პირდაპირ ეთერში“ გთავაზობთ, მკითხველთა დიდი დაინტერესება გამოიწვია. უამრავი თქვენგანი მესიჯებს მწერს და მათ გამოქვეყნებას მთხოვს. თუმცა, ჯერჯერობით თავს ვიკავებ. მინდა, ამბის დასასრულს გაეცნოთ. ბოლოს კი კატოსთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ (ვეცდები — დათოსთანაც), რომელსაც თქვენს მესიჯებს წავუმძღვარებ და ამ ინტერვიუში თქვენთვის საინტერესო კითხვებზე პასუხს თავად ამბის „გმირი“ გაგცემთ. ჯერჯერობით კი ვნახოთ, როგორ ვითარდება თავბრუდამხვევი, ინტრიგითა და მოულოდნელობებით სავსე, ცოლიანი მამაკაცისა და გრძნობას მოწყურებული ქალის სიყვარულის ამბავი, რომელიც წინა კვირას იქ შეწყდა, როდესაც წყვილი მეორე დღის შეხვედრის დეტალებს ათანხმებდა.

21 მაისი 10.51

კატო: მოხვედი?

დათო: აქ ვარ, შენთან.

კატო: და... ჩემს გამხნევებას ცდილობ...

დათო: ნუ ნერვიულობ.

კატო: ჰო, სათქმელად იოლია...

დათო: დამერწმუნე, როგორც კი სახლიდან გამოხვალ, მაშინვე სიმშვიდე დაისადგურებს შენში და საკუთარ თავში დარწმუნებულიც გახდები...

კატო: სახლიდან რომ გამოვალ, მაშინ დაიწყება, თუ დაიწყება... იმის მაგივრად, რომ ახლა შენი სურვილით ვიყო სავსე, შიში მკლავს...

დათო: კარგი ახლა, დილიდან ნუ დამზაფრავ, დღეს ხომ განსაკუთრებული დღეა! დღეს ოცნებების ასრულების დღეა, დღეს სიყვარულის დღეა!

არც კი ვიცი, ასეთი განცდა თუ მქონია ოდესმე.

კატო: ნუთუ, შენც განიცდი?

დათო: ჩემი არ გჯერა?

კატო: მჯერა...

დათო: განვიცდი! განვიცდი! განვიცდი! განვიცდი! განვიცდი! განვიცდი! განვიცდი!

კატო: რატომ, გეშინია?

დათო: ისეთ რაღაცას ვაკეთებ, რაც ცხოვრებაში არ გამიკეთებია და ისეთ რაღაცას ვგრძნობ, რაც არასოდეს მიგრძნია. ოცნებაშიც კი ვერ წარმოვიდგენდი, რომ უცნობი ქალი შემიყვარდებოდა და მხოლოდ თავისი ინტელექტითა და უსაზღვრო გრძნობით „შემაბამდა“.

კატო: ე.ი. მე შენ შეგაბი? არადა, შებმული მე უფრო ვარ...

დათო: ჩემი სიცოცხლე ხარ... ერთ საათში უნდა გავიდე. ჩვენი შეხვედრის დროს დაახლოებით 3 საათზე გეტყვი. სავარაუდოდ, 7 საათზე შევხვდებით.

კატო: აქ აღარ მოხვალ, ალბათ...

დათო: ალბათ მომიწევს. შენ?

კატო: მე აქ ვარ... დღეს საქმე მქონდა, მაგრამ ყველაფერი გადავდე... გულს ვერ ვუდებ...

დათო: მართალია, შენი გული ხომ მე მეკუთვნის...

კატო: ჰო... და შენი შეხვედრის მოლოდინში გამალებით ფეთქავს...

დათო: ახლა ცოტა საქმეები მაქვს. შეიძლება, პასუხები ნორმალურად ვერ გაგცე. თუმცა, შენს ყველა მესიჯს გულისფანცქალით გადავიკითხავ.

კატო: არა უშავს... მერე გეტყვი... ყურში... სხვა რამეს გეტყვი ოღონდ, უფრო მოგეწონება...

კატო: სახლიდან დამირეკეს და გავდივარ, სიხარულო... დამირეკე, თუ ამას წაიკითხავ...

დათო: გირეკავდი და ტელეფონი გათიშული გქონდა. დამირეკე მობილურზე.

ხომ მშვიდობაა?

22 მაისი, 14:32

დათო: ძალიან კარგად მესმის შენი მდგომარეობა და შენთან ერთად განვიცდი. გახსოვს, ჩვენ საუბარი გვქონდა ოჯახის სიმყუდროვესა და კეთილდღეობაზე. ეს ის მდგომარეობაა, როცა ადამიანისთვის სხვა სამყარო, ოჯახის გარდა, აღარ არსებობს. არ მინდა თავი მოგაბეზრო. მიხედე ავადმყოფ დედას. იმედია, მალე გამოჯანმრთელდება. ისიც ვიცოდი, რომ ამ მდგომარეობაში საიტზე არ და ვერც შემოხვიდოდი და სიმართლე გითხრა, არც მე მინდოდა შემოსვლა, შენ ხომ არ დამხვდებოდი, მაგრამ ვიფიქრე, იქნებ... გისურვებ კეთილდღეობას!

23 მაისი, 07:28

დათო: დილა მშვიდობის...

კატო: საშინელ განწყობილებაზე ვარ... დილით 1-2-ჯერ უკვე წავუტირე...

დავიღალე, ალბათ... დიდი მადლობა, რომ ასეთი ყურადღებიანი ხარ... ღმერთის წყალობით ახლა ყველაფერი კარგადაა... ამოვისუნთქე... საუკეთესო ადამიანი ხარ, სიხარულო და ალბათ იმიტომ მიყვარხარ. თუმცა, ამ დილით აქ რომ შემოვედი, სიახლე დამხვდა... ნუთუ გამოჩნდა ახალი ფავორიტი, რომელმაც გაიძულა, შუაღამისას, ლამის გათენებამდე საიტზე ყოფილიყავი? არასოდეს ყოფილხარ მაგ დროს აქ... ახლა ძალიან მინდა, რაღაც გავაფუჭო... საშინელ გუნებაზე დავდექი... ვიეჭვიანე... გკოცნი და მიყვარხარ, სამწუხაროდ...

კატო: ჰო, მოვიფიქრე, რას გავაფუჭებ...

„კატოს მოკვლავ“... მგონი, ასე ჯობია...

(„კატოს მოკვლაში“ კატო ანკეტის გაუქმებას გულისხმობს. მან ძველი ანკეტა გააუქმა და ახალი შექმნა, სადაც ახალი სახელი — „მხოლოდ შენთვის“ დაირქვა, — ავტ).

23 მაისი, 13:06

დათო: გისმენ!

მხოლოდ შენთვის: როგორ ხარ?

დათო: ცუდად.

მხოლოდ შენთვის: რატომ?

დათო: ამას არ ველოდი

მხოლოდ შენთვის: მიყვარხარ...

დათო: იქნებ ამიხსნა?

მხოლოდ შენთვის: რომ მიყვარხარ იმას ვერ ავხსნი... უბრალოდ, მიყვარხარ და მორჩა! დილით ძალიან ცუდ გუნებაზე გავიღვიძე. სანამ ავდგებოდი, ცოტა ვიტირე... მერე ავდექი და კომპიუტერი ჩავრთე... გამიხარდა, შენი მესიჯები რომ დამხვდა. წავიკითხე და მოგეფერე... კიდევ იყო სხვისი მესიჯები შემოსული... ერთ-ერთმა გამაღიზიანა, ძალიან... გადავწყვიტე, ანკეტა გამეუქმებინა... მე ეგ ანკეტა აღარ მჭირდება... ვიფიქრე, ახალს გავაკეთებ და ჩემს სიცოცხლეს იქიდან დაველაპარაკები-მეთქი... აღარ მინდა, უამრავი ადამიანის ყურადღების ქვეშ ყოფნა... მერე საცურაოდ ვიყავი, იქნებ სტრესი მოვიხსნა-მეთქი... იქიდან გამოვიარე მაღაზიებში, სახლში პროდუქტი მოვიტანე, მანქანა გავარეცხინე და შენც დარეკე და გაბრაზებულმა მელაპარაკე. ამ ანკეტით ვიკონტაქტოთ... ძებნიდან გამოვრთე, ვერავინ შემაწუხებს... მარტო ჩემი და შენი სამყარო იქნება... „კატო“ კი გავიხსენოთ ხოლმე...

დათო: არ ვიცი... ნორმალური პასუხი კია, მაგრამ რაღაცა გულს მიღრღნის.

შენი დილის მესიჯის მერე შთაბეჭდილება დამრჩა, რომ თამაშობ.

მხოლოდ შენთვის: შეურაცხყოფაზე გადმოდიხარ?

დათო: შეურაცხყოფილად თავი მე ვიგრძენი.

მხოლოდ შენთვის: ნუ ვიჩხუბებთ... არ მინდა შენთან ჩხუბი... მე მართლა არ ვთამაშობ და გულწრფელი ვარ, შენთან ურთიერთობაში. მე რომ გითხარი, ახალი ფავორიტი ხომ არ გამოჩნდა-მეთქი, ეგ არაფერ შუაშია არც ანკეტის გაუქმებასთან, არც ჩემს უგუნებობასთან და არც რაღაცის გაფუჭების სურვილთან... ცოტა ვიეჭვიანე, მაგრამ ეგ არ იყო ჩემი ქმედების საფუძველი. იმ უცნობმა ადამიანმა ისეთი რამ მომწერა, აღარ მინდოდა ამ ვირტუალურ სამყაროში ყოფნა. ნუ ვიჩხუბებთ, გთხოვ...

დათო: სულ ფეხებზე მკიდია, ვინ რას გწერს და შენ რას პასუხობ. ეგ შენი პირადი საქმეა. მე იმან გამაგიჟა, შენ რომ მომწერე ფავორიტზე და კიდევ — „კატოს“ გაუქმება უნდა შეგეტყობინებინა, მაგრამ არა ასეთი ფორმით. გადაწყვეტილი მქონდა ჩემი ფაილის გაუქმებაც...

მხოლოდ შენთვის: არ ვიცი, რა მოგწერო... არ მეგონა, რომ ასე გამიბრაზდებოდი... მე ხომ ეს იმიტომ გავაკეთე, რომ მარტო შენთან მქონოდა ურთიერთობა... ნუთუ ეს ასე ცუდია?

დათო: არა მგონია, რომ ვერ ხვდებოდე... თუმცა, აღარ მინდა ამ თემაზე ლაპარაკი. უბრალოდ, მინდა, რომ ცოტა გადამიაროს.

მხოლოდ შენთვის: მითხარი, როგორ მოვიქცე, რომ გადაგიაროს?

დათო: შენ ეგ არ გეშლება (ცალკე ეს ინტერნეტი მაბრაზებს, ძლივს მიხსნის მესიჯებს).

მხოლოდ შენთვის: გკოცნი, შერიგების ნიშნად... ჩხუბის ყველაზე მთავარი ხიბლი შერიგებაა... მხურვალე კოცნით შერიგება, ოღონდ არ ვიცი, ხელს ამიქნევ, შენი კოცნა არ მჭირდება გაბრაზებულ გულზეო თუ შენც მაკოცებ... რომ გხედავდე, თვალები მეტყოდნენ, შეიძლება თუ არა შენთან მოკარება, მაგრამ ახლა, არც კი ვიცი... მაინც გკოცნი.

დათო: მეამა.

მხოლოდ შენთვის: აუჰ... ახლა ეს სცენა წარმოვიდგინე რეალურად... შენი გაბრაზებული სახე... გაბერილი ტუჩები და შერიგების სცენა, მხურვალე კოცნით...

მხოლოდ შენთვის: ხმა გამეცი.

დათო: ინტერნეტი ჭედავს, მესიჯს არ მაგზავნინებს.

მხოლოდ შენთვის: არაო? ხელი უნდა შეგიშალოთო? კნუტივით ხარ, სულ გინდა, რომ გეფერო...

დათო: ჰო, მსიამოვნებს შენი ალერსი.

მხოლოდ შენთვის: ეშმაკის ხელია ჩარეული, შეხვედრას რომ ვერ ვახერხებთ. გული მიგრძნობდა იმ დილით, რომ ვერ მოვახერხებდით შეხვედრას... მერე გავიფიქრე, რაც უნდა მოხდეს, ან რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ არ წავიდე, ქვეყანა რომ დაინგრეს, მაინც წავალ-მეთქი და...

აჰა... ღმერთმა კარგად მიმყოფოს დედა... ქვეყანა არ დაინგრა, მაგრამ ვერ გნახე...

დათო: რაღაც, განსაკუთრებულად ვემზადებოდი. სიმართლე გითხრა, ასეთი შეგრძნება არასოდეს მქონია.

მხოლოდ შენთვის: მეც... ხომ არ გადაიფიქრე?

დათო: დავიტანჯე ამ ინტერნეტით.

მხოლოდ შენთვის: მაგის მოწერას, პასუხი მოგეწერა, ის მერჩივნა.

დათო: დამაცადე.

დათო: იმ დღეს საოცარი გრძნობა მქონდა. რომ გადავავლო ჩემს ცხოვრებას თვალი, მსგავსს ვერაფერს გავიხსენებ. დატვირთული ვიყავი სიყვარულისა და ვნების მუხტით და ვემზადებოდი ნეტარების მწვერვალის დასაპყრობად. ვემზადებოდი იდუმალებით მოცული ქალის მოსაფერებლად. პირდაპირ — მოსაფერებლად და არა მარტო გასაცნობად! ქალისა, რომელიც წარმოუდგენელ ვითარებაში შევიყვარე; ქალისა, რომელიც თვალით არ მინახავს. ყველაზე უმნიშვნელო წვრილმანიც კი გათვალისწინებული მქონდა...

მხოლოდ შენთვის: მორჩა? ჩაიშალა? მითხარი, რომ მხოლოდ გადაიდო და აუცილებლად შევხვდებით...

დათო: ყველაზე მეტად კი ჩვენი პირველი შეხვედრის დეტალები მომწონდა, რომელიც თავისთავად მოვიდა (როგორც შენ ამბობ — მისტიკურად)

და ამ სიგიჟეზე შენც მომყვებოდი... არაფერი არ ჩაშლილა. უბრალოდ, არა მგონია, იგივე სცენარით მოხდეს ჩვენი გაცნობა.

მხოლოდ შენთვის: რატომ? რა შეიცვალა?

დათო: შენ ფიქრობ, რომ შესაძლებელია?

მხოლოდ შენთვის: მე არაფერს არ ვფიქრობ... შენ უნდა იფიქრო და გადაწყვიტო... შენთან მინდა და სად, როდის, როგორ, რა ვითარებაში,

რამდენ ხანს და რომელი სცენარით, მაგას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს.

დათო: ახლა!

მხოლოდ შენთვის: მე კი ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ რადგან დედა მაინც ცუდად უნდა გამხდარიყო, ეს ცოტა ადრე მოხდა, ამ დროს უკვე შენთან არ ვიყავი და ტელეფონი გამორთული არ მქონდა... თავს მოვიკლავდი... რომ წარმოვიდგინე, ლამის გავგიჟდი... დედას პრობლემები ჰქონოდა, ექიმი, შველა და ჩემი გვერდით დგომა დასჭირდებოდა, მე კი ამ დროს ტელეფონი გამორთული და განცხრომას მიცემული... მართლა ვერ ვაპატიებდი საკუთარ თავს...

დათო: გასაგებია შენი ემოცია. როდის გცალია?

მხოლოდ შენთვის: დღეს და ხვალ ვერ მოვახერხებ... სახლში ვარ, გარეთაც ვერ გავდივარ, ვერ ვტოვებ დედას... კვირის ბოლოს ალბათ მოვახერხებ... შორია, ვიცი, მაგრამ...

დათო: თავს ნუ იმართლებ, მესმის შენი...

24 მაისი, 11:35

მხოლოდ შენთვის: აღვსდექი მკვდრეთით... იმედია, ახლა ამის გამო არ გაბრაზდები, ძველი ანკეტა რომ აღვადგინე.

დათო: ჩემო სიხარულო, იცი, როგორ მენატრები? ძალიან, ძალიან...

მხოლოდ შენთვის: როდის გათენდება „ხვალ"?

დათო: ორი სიყვარული ერთდროულად? „კატო" და „მხოლოდ შენ" წარმოუდგენელია, რომელიღაც ზედმეტია, გაორება დამღუპველია...

მხოლოდ შენთვის: რომელსაც მეტყვი, იმას გავაუქმებ...

დათო: მე „კატო" მიყვარდა...

მხოლოდ შენთვის: „კატოსაც" ძალიან უყვარხარ, სიხარულო... ის „კატო" ხომ მე ვარ და მას ახლა „მხოლოდ შენთვის" ჰქვია...

25 მაისი, 02:56

მხოლოდ შენთვის: სიხარულო... აგერ, რომელი საათია და მე ისევ ვმუშაობ... ახლა დავიძინებ და დილას დაველოდები, რომ დაგელაპარაკო... ადრიანად ვიქნები საიტზე და რომ შეძლებ, მომწერე... კარგად...

06:35

მხოლოდ შენთვის: გათენდა... როგორც იქნა, გათენდაااااა... ახლა უკვე მალე მოხვალ... გკოცნი.

მხოლოდ შენთვის: დილა მშვიდობის... მთელი ღამე ვფიქრობდი... რატომ?

დათო: და ფიქრებში ტკბილად ჩაგეძინა.

მხოლოდ შენთვის: შენ ძალიან კარგი ხარ... ვგრძნობდი, რომ გულით მითანაგრძნობდი...

დათო: ჩემი სიუჟეტი ვერ განხორციელდა. ახლა შენსას მოვისმენ.

მხოლოდ შენთვის: როლები შევცვალოთ... იგივე, ოღონდ — პირიქით.

დათო: მაშინ ადგილიც შენ შეარჩიე.

მხოლოდ შენთვის: მეეეეე? მე რა ვიცი, მასეთი ადგილები? მაგაში ცუდი მრჩეველი ვიქნები... წარმოდგენა არ მაქვს, სად შეიძლება, კაცი გასაჟიმად წავიყვანო... :)))

დათო: ჰოდა, დრო ბევრი გაქვს და იფიქრე.

მხოლოდ შენთვის: ეგ იმას ნიშნავს, რომ ვერ შევხვდებით...

დათო: როლების შეცვლა ნიშნავს როლების შეცვლას. გაიკითხე-გამოიკითხე, სასტუმროების მეტი რა არის? ერთი-ორს დაათვალიერებ, ვითომ სტუმრებისთვის გინდა. მაგალითად, დილმის გზატკეცილზე არის რამდენიმე... ოღონდ, ერთი პირობით: მასპინძელი აუცილებლად მე უნდა ვიყო.

მხოლოდ შენთვის: მასპინძელი შენ იქნები — რას ნიშნავს? იმას, რომ ფულს შენ გადაიხდი? ისე, შენ რა კარგად ერკვევი... არაააა???

დათო: მიყვარს მიხვედრილი ხალხი და მე რაც შემეხება, ეგრეც ვიცოდი, რომ მაგას იფიქრებდი...

მხოლოდ შენთვის: ფულს მე არავითარ შემთხვევაში არ გადავიხდი, იმიტომ, რომ ეგ შენი შეურაცხყოფა იქნება... შეურაცხყოფილი კაცის ალერსი კი არ მინდა... თუ ფულს შენ იხდი, მაშინ ცოტა ძნელი იქნება... მე რომ ავარჩიო ყველაფერი და შენ არ მოგეწონოს ან გეძვიროს ან გეიაფოს, მერე რა ვქნა? უხერხული არ იქნება?

დათო: ამჯერად მართალი ხარ.

მხოლოდ შენთვის: მაშ, რა ვქნათ?

დათო: მაშინ ყველაფერი ძველებურად დავტოვოთ, ოღონდ ადგილი სხვაგან შევარჩიოთ.

მხოლოდ შენთვის: როგორც გინდა... არ ვიცი... შენ გადაწყვიტე.

დათო: კარგი, „კატოს" სიტყვებს თუ გავიხსენებთ, „თუ მამაკაცი ძალიან მოინდომებს, აუცილებლად მიაღწევს იმას, რაც ქალს სურს". ადგილს მე შევარჩევ, დანარჩენი შენ გადაწყვიტე.

მხოლოდ შენთვის: ადგილს თუ შეარჩევ, გადასაწყვეტიც არაფერია...

დათო: წასასვლელი ვარ და არ მეთმობი.

მხოლოდ შენთვის: არც მე მეთმობი გასაშვებად...

დათო: სულ შენთან მინდა... ახლა მოვრჩი საქმეებს. მელოდებიან. თუ მოვახერხე, შეიძლება მოგვიანებით მოვიდე. გიკოცნი ფახუნა თვალებს.

მხოლოდ შენთვის: წადი, რას იზამ, ასეთია ჩვენი ურთიერთობა... მომწერ, მოგწერ, საქმე აღარაა და სახლში გელიან... როცა თავს ზემოთ ძალა არაა, უნდა დავემორჩილოთ ბუნების კანონებს...

დათო: ჯერ ერთი, სახლში არ მივდივარ. მეორეც — სხვა არჩევანს შენ არ მიტოვებ. მე შენ მინდიხარ უზომოდ.

მხოლოდ შენთვის: მეც მინდიხარ უზომოდ და აქედან მთვარემდე მიყვარხარ.

დათო: დავფიქრდები, იქნებ გავიგო ეგ სიტყვები მოგვიანებით. გკოცნი ბევრს

მხოლოდ შენთვის: კარგად, სიხარულო... ხვალ ალბათ არ იქნები.

დათო: არა მგონია. თავი დამანებე, ვერ მივდივარ.

მხოლოდ შენთვის: კარგი, გავალ ახლა მეც... ორშაბათამდე... არ მეყო შენთან ურთიერთობა... ხვალ კი „ლომკა" მექნება...

26 მაისი, 09:33

დათო: მოხვედი? მადლობა... წახვედი, შენი... რატომ არ დამელოდე?

მხოლოდ შენთვის: სად უნდა დაგლოდებოდი, ერთი? და კიდევ ერთი კითხვა: სად წავიდა ჩემი ზრდილობიანი და დელიკატური ბიჭი?

დათო: კარგი ახლა, ყველაფერს ეგრე სერიოზულად ნუ უყურებ. მე მხოლოდ შენი სიტყვების პერიფრაზირება გავაკეთე. ჩეემო სიხარულოოოოო...

მხოლოდ შენთვის: როგორ მენატრებიიიიი-იიი...

დათო: ძალიან, ძალიან... შენთან მინდა...

27 მაისი, 06:35

მხოლოდ შენთვის: მიყვარხარ...

დათო: დილა მშვიდობის, ჩემო სიყვარულო.

მხოლოდ შენთვის: აქ ხარ, ნეტავ?

დათო: მოვედი, როგორც იქნა. შენ როგორ ხარ?

მხოლოდ შენთვის: არა მიშავს...

დათო: რამხელა პაუზაა...

მხოლოდ შენთვის: არ მაჩვენა შენი მესიჯი... მენატრები... იცოდი?

დათო: რატომ?

მხოლოდ შენთვის: რა — რატომ? რატომ მენატრები?

დათო: ჰო.

მხოლოდ შენთვის: საინტერესო კითხვაა... დავფიქრდები, მაგაზე ასე უცებ ვერ გაგცემ პასუხს.

დათო: სად წავიდა ჩემი სხარტი გოგო?

მხოლოდ შენთვის: შენი გოგო აქაა... სხარტის რა გითხრა...

დათო: ვაა, ნუ, მაოცებ! აქამდე სწორ და ზუსტ პასუხებს მაძლევდი კითხვებზე...

მხოლოდ შენთვის: ჰო, კარგი, ჰოოო... აქა ვარ, კნიაზოჯან, აქა...

დათო: კითხვას არ პასუხობ?

მხოლოდ შენთვის: იმიტომ, რომ დიდი ხანია, არ მილაპარაკია შენთან...

დათო: რაც მე და შენ წვიმაში ვილაპარაკეთ... უარი რატომ მითხარი მოსვლაზე?

მხოლოდ შენთვის: როგორ წვიმდა გუშინ, არა? საშინელი ამინდი იყო, ასეთი თავსხმა არც მინახავს... იმ წვიმაში სად უნდა მენახე, გაგიჟდი? იცი, რა მაინტერესებს? შენ მე არ მენდობი?

დათო: მთლიანად შენს განკარგულებაში ვარ.

მხოლოდ შენთვის: წუხელ რომ გკითხე, რა მანქანით ხარ-მეთქი, რატომ არ გამეცი ადეკვატური პასუხი?

დათო: მანქანებს რაც შეეხება, მომეცი საშუალება, ჯერ არ გიპასუხო. მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

მხოლოდ შენთვის: უბრალოდ, მინდოდა წარმომედგინა, როგორ იდექი წვიმაში, მე რომ მელაპარაკებოდი... სრული სურათისთვის გკითხე, რა მანქანით იყავი... ნუთუ ასე ძნელია თქვა მოდელი — „ტოიოტა“, „მიცუბიში“, „მერსედესი“, „მოსკვიჩი“, „ჟიგული“, „კამაზი“, კრაზი...

დათო: ნუ ჯიუტობ, ამას თავისი ახსნა აქვს, ნუ ასწრებ მოვლენებს!

მხოლოდ შენთვის: კარგი... მე ვიფიქრე, რომ უბრალოდ, არ მენდობოდი...

დათო: ახლა უკვე ვბრაზდები.

მხოლოდ შენთვის: რატომ?

დათო: რა გჭირს? არაადეკვატურ კითხვებს მაძლევ.

მხოლოდ შენთვის: არაფერსაც არ გაძლევ :)))

დათო: მისვამ, sorry...

მხოლოდ შენთვის: კარგი, გავიარეთ...

დათო: ჰოდა, წვიმაზე გეკითხები... წარმოიდგინე, შენ მელოდებოდი თავსხმა წვიმაში, შენს მანქანაში ივჯექი, „გაბარიტები“ ჩართული...

მხოლოდ შენთვის: და შენ გელოდები?

დათო: რა თქმა უნდა. თან ისეთ ადგილზე, სადაც ნაკლებად ხვდება უცხო ადამიანის თვალი.

მხოლოდ შენთვის: და.... და..... დااااა??? ნუ ამომხადე სული.

დათო: წვიმა უფრო ძლიერდება და სარკეში ხედავ შორიდან ჩემი მანქანის ფარებს, რომელიც ნელა გიახლოვდება.

მხოლოდ შენთვის: ბუმ, ბუმ... გული ასე ძგერს.

დათო: არა, დუ-დუმ, დუ-დუმ... თან მატულობს, ყოველწამს.

მხოლოდ შენთვის: კი, მატულობს.

დათო: მანქანა გიახლოვდება, აკეთებს წრეს და შენი მანქანის წინ ჩერდება, ნახევარი მეტრის მანძილზე, ცხვირით შენსკენ. ფარები ჩართული რჩება.



მხოლოდ შენთვის: პულსი იმატებს... წუთში — 200.

დათო: ჯერჯერობით ეგ ძალიან ბევრია. ასე, 120-130. მე გამოვრთავ ძრავს, მაგრამ ფარებს ჩართულს ვტოვებ.

მხოლოდ შენთვის: კარგი, ჯანდაბას.

დათო: დაახლოებით 10 წამი ადგილიდან ვერ ვიძვრი. ჩემი მანქანის ფარების ფონზე ჩანს შენი სილუეტი. შენ თვალებზე ხელს იფარებ (თვალს გჭრის შუქი) და ცდილობ, დამინახო, მაგრამ ვერაფერს ხედავ...

მხოლოდ შენთვის: ჰოოო... ესე იგი, დიდი მანქანაა... ან მატარებელი.

დათო: გააფუჭე ყველაფერი.

მხოლოდ შენთვის: არა... უბრალოდ, ვიხუმრე.

დათო: უადგილოდ.

მხოლოდ შენთვის: ვნერვიულობ.

დათო: კარგი, სხვა დროს გავაგრძელოთ.

მხოლოდ შენთვის: არა, ახლა! ახლა მაინტერესებს დასასრული!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გონიერი მკითხველი

ფოტო, რომელიც ლაღლაღა ღაჯარგე

• „ცოტა ჩაიჩოჩე, რა�ა“... ნინკო.

• „ოპოზიციის ერთ-ერთი აქტივისტი, რომელმაც კარავი ვერ იშოვა“. ნინკო.

• „ბათუმის ფული არ მაქვს და აქაც მშვენივრად „დავიზაგრები“.

• „ნუ ხმაურობთ, ბავშვს სძინავს“. ნინკო.

• „ნუ, გარუჯვის გარეშე გაბრიელი არ მიმილებს. თან გავირუჯები, თან“...

• „ლიანდაგის საწოლი ჰით ტოპ-1000 ათასჯერ ეკონომიურია, ჩემი ოჯახისთვის“. შავი ჰრინცი.

• „მე მთავრობის საქციელმა ისე მაგრად მაწყენინა, წამოვწექი რელსებზე და გავხდი „ანა კარენინა“. ჩამეძინა ნაბახუსევს, თუმც ბალიში დამრჩა შინა, მატარებლის მოსვლამ ახლოს, გული ვეღარ შემიშინა“. საჩალელი.

• „მიშა, გადადექი, თორემ დავით გამყრელიძემ „ანა კარენინა“ სამი დღის წინ წაიკითხა და ხომ ხედავ, სად დაწვა? ხიფათს არ გადაეყაროს, კაცო“. 9717.

• „არ ამცდეს“. ჩუმლაყელი.

• „ოცნება სიკვდილთან ერთად“. მაია აბაშიძე.

• „ელოდე, ელოდე, მალე ჩამოგივლის მიქელა. არ დაიღლები ლოდინით“. მეგრელი კაცი.

• „ვიდრე მოვა, ცოტას დავისვენებ“.

• „რალა ლიანდაგზე უნდა გამოიაროს ამ დედააფეთქებულმა?“ კისკა.

• „გურიაში ჩასიძებული კაცის ფიქრები: „ეჰ, არადა მეუბნებოდნენ, არ მოიყვანო ეს გურული ქალი ცოლად, მაგის ჩახუტებას, ჭინჭარს ჩაეხუტო ჯობია, თავს წაგაცლის ენითო, მარა დავიჯერე? ჰოდა, ველოდები ახლა თბილისი-ოზურგეთის „სკორი“ მატარებელს“.

• „ღრმა ძილიც ასეთი უნდაა“. ლა-ლა-ლა.

• „მეზიზღება ამ ცხოვრების ეს უწესო წესები, ხან ბავშვის პამპერსები, ხან კი — ტრაკზე ნემსები, ერთი ხსნაა, — რელსები!“ დათო.

• „ჩვენი დროის კაცია მუნჯაძე“.

• „ბოლო ჭიქა არ უნდა დამელია“.

• „მატარებელი რომ ჩაივლის, გამაღვიძეთ“. მწარე.

• „მაგარი „ზაგარი“, სანამ მოკვდები, მზად არი“... მწარე.

• „ზაგარი“ მაისურით, რელსებზე და მატარებლის გარეშე! აი, ჰარმონია“... ბუქ.

• „ეს ცხოვრება ჩემია ბიძია, აბაა!“ ნიცა.

დასაწყისი — „გზა“, №38-27

მარი ჯაფარიძე

როგორც იქნა, ფარანი, რომელიც თვალებში მომანათეს, ჩააქრეს და მანქანიდან რამდენიმე მამაკაცი ერთად გადმოვიდა.

— ვაა, ამას ვის ვხედავ? — მართლა გამიხარდა ძველი მეგობრების დანახვა, — აქ საიდან მოხვდით?

— შენთან მოვდიოდით და გზაზე დაგინახეთ.

— წავიდეთ, სადმე დაგპატიჟებთ, — შევთავაზე.

ახლა ყველაზე მეტად სწორედ ასეთი სიტუაცია გამისწორდებოდა — დიდი ხნის უნახავი მეგობრები და რესტორანი.

არავის დანახვა არ მინდოდა. გადავწყვიტე, ავადმყოფობის მერე დამელია კიდეც. ისე მომინდა ალკოჰოლი, რომ ყელში ღიტინიც კი ვიგრძენი.

ბიჭებმა ჩემს მიპატიჟებაზე უარი თქვეს და მასპინძლობა თავად ითავეს.

კარგა ხანს ვიარეთ და ერთ რესტორანს მივადექით.

— გახსოვს, აქაური ამბები? — მკითხა მალხაზმა.

— კი, როგორ არ მახსოვს.

— ის გოგო ისევ აქ მუშაობს? — წარსული გამახსენდა.

გამეღიმა. მაშინ მოსკოვში ახალი ჩასული ვიყავი. სულ რამდენიმე ადამიანს ვიცნობდი და არც ფული მქონდა. ერთ საღამოს ოლიას უნდა შევხვედროდი, ჯიბეში „კაპიკიც“ კი არ მედო. მეორე პაემანი იყო. ქალების ბუნებაზე ჩემი სუსტი წარმოდგენით, ოლია შემდეგ შეხვედრაზე დამნებდებოდა და დამიწვებოდა. ნუ, შემდეგ შეხვედრაზე — 100%-ით, იმ დღეს კი, ამის 20% არსებობდა.

მოკლედ, რაღაც შანსი იმ დღესაც იყო, ფული კი არ მქონდა. ავდექი და ძველ ნაშას დავურეკე.

— ფული მასესხე, რა, — პირდაპირ საქმეზე გადავედი, — გამარჯობა.

— შენ ჩემი ვალი ისედაც გაქვს, 200 მანეთი, დაგავიწყდა? როდის დამიბრუნებ მაგ ვალს? — გამარჯობის მაგივრად შეიცხადა ქალმა.

— კიდევ 100 მანეთი მასესხე და 1 კვირაში 300-ს დაგიბრუნებ, — ვცადე, სხვა გზიდან მომევლო.

— არა, მაგდენს ვერ გასესხებ, თუ გინდა, 30 მანეთს მოგცემ.

— ფუ, შენი! — მხოლოდ ეს აღმომხდა. არადა, სხვაგან ფულს ვერ ვისესხებდი.

როგორ დავითანხმო ქალი სექსზე 30 მანეთად?

— რაში დაგჭირდა ფული? — ქსიუშას ხმამ გამომაფხიზლა.

— 2 საათის მერე გოგოს ვხვდები, მე კი ფული არ მაქვს, — მძიმე და სევდიანი სურათი დავხატე.

— სულ არ გაქვს?

— მხოლოდ შენ მიერ მოცემული, პოტენციური 30 მანეთი.

— მერე, გეყოფა, 2 ჭიქა ყავა, 2 ნაყინი და პრეზერვატივი მოგივა, რა განერვიულებს?

— ეჰ, ეს ის შემთხვევა არაა, — ამოვიოხრე მე.

— აბა, ცეკვა ბარში, ნელ მუსიკაზე და ცვეტაევას ლექსების კითხვა? — გაეცინა ქსენიას.

— არა, მთლად მასეც არა. ყვავილები, „ინტელექტუალური მიმართულების“ უაზრო ლაპარაკი, კაფეში საათობით ჯდომა... მოკლედ, ერთი პაემანი დაახლოებით 100 მანეთს უდრის.

— შენც კიდე, ადექი და რომანტიკულ კაცად მოაჩვენე თავი, — ჩაიცინა ქსიუშამ.

— ეს როგორ?

— პაემანი სადმე, ისეთ ადგილზე დაუნიშნე, სადაც არავინ იქნება. მაგალითად, რომელიმე ბაღში... მერე ლუდი იყიდე და სკამზე ჩამომსხდრებმა დალიეთ. მოკლედ, რომანტიკულ ადგილზე წაიყვანე და რომანტიკულ მამაკაცად მოაჩვენე თავი. შეგიძლია, ჩოგბურთის სათამაშოდაც დაპატიჟო.

— კი, მაგრამ რა თავში ვიხლი ჩოგბურთის თამაშს?

— დეგენერატი ხარ, — ეს სიტყვები ისეთი ტონით მითხრა, ვერ შევედავებოდი, — უბრალოდ, დაპატიჟე და მერე გაიგებ, რა თავში იხლი.

ქსიუშას დავუჯერე, რადგან თვითონაც ნაშაა და იცის, რასაც ამბობს.

ოლია მდინარის სანაპიროზე გავასეირნე, თან ლუდი დავლიეთ. ხიდქვეშ გავჩერდით და წყალს გავხედეთ. ჩოგბურთი ვერ ვითამაშეთ, რადგან დაბნელდა, ჩვენ კი ლუდმა შეგვაჟუჟუნა.

დილით საკუთარ ლოგინში გავიღვიძე და კიდევ 1 საათის განმავლობაში მოვიმძინარე თავი, ვიდრე ოლიამ კარი არ გაიჯახუნა.

რატომღაც მისი დანახვა აღარ მინდოდა.

ქსიუშამ დამირეკა და შემახსენა, რომ მისი ვალი მქონდა. დაინტერესდა, ვიყავი თუ არა ჩოგბურთის სათამაშოდ.

ჩემი პასუხით გავანაწყენე და შევპირდი, რომ ვალს ახლო მომავალში დავუბრუნებდი.

ეს ეს მთგანს ჩემთან ერთად მთაწმინდაზე ასვლის შანსი ეს ჰქონდა და ეს მიხეროდა კიდეც.

შემდეგ სექსზე დროისა და თანხის მინიმუმი დავხარჯე. ქსიუშას მიერ მოფიქრებული სქემა საათივით მუშაობდა.

საღამოობით „მისტერ რომანტიკოსი“ ვიყავი, დილაობით — „მახინჯი“, „მატყუარა“, „იდიოტი“.

ერთი სიტყვით, მტკიცედ გადავწყვიტე, რომ სექსზე ფული აღარ დამეხარჯა.

გარკვეული დროის შემდეგ „რომანტიკული ადგილების“ კლასიფიკაციაც კი მოვახდინე. ზუსტად ვიცოდი, რომელი გოგონა სად უნდა წამეყვანა. სქემა: რომანტიკული ადგილის მონახულება, ლუდი, ხიდის ქვეშ ხვევნა-კოცნა, ჩემი სახლი, სექსი, „ნახვამდის“, ზუსტად და უტყუარად მოქმედებდა.

მოვლენებს არასოდეს ვაჩქარებდი. სექსზე ძირითადად მესამე პაემანზე მთანხმდებოდნენ. ამის მერე ამ ქალის მიმართ ინტერესს ვკარგავდი. ალბათ იმიტომ, რომ მათ მიმართ გრძნობა არ მქონდა.

გულის სიღრმეში ერთი ადგილი მქონდა „შემონახული“, სადაც მხოლოდ იმას წავიყვანდი, ვის მიმართაც გრძნობა გამიჩნდებოდა. მას, ვინც მთელი ცხოვრება მეყვარებოდა. არა, ეს ცოტა პათოსით ჟღერს... ნუ, შესაძლოა, მთელი ცხოვრება არა, მაგრამ ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე მაინც მეყვარებოდა. შესაძლოა, ეს სისულელეა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ადამიანს ჰყავს „მეორე ნახევარი“, რომელსაც ადრე თუ გვიან, აუცილებლად იპოვის.

ეს ადგილი, რომელიც ასე სათუთად მქონდა შემონახული, ჩემი თბილისური მთაწმინდა იყო. სწორედ იქ მინდოდა იმ გოგონასთან ერთად ასვლა, რომელიც შემიყვარდებოდა. მთაწმინდა ჩემს ბავშვობას მახსენებდა და არ შემეძლო, იქ პირველივე, შემთხვევით შემხვედრი ქალი ამეყვანა.

დრო გადიოდა, ქალები იცვლებოდნენ, იცვლებოდა ბლოკნოტში ჩაწერილი მათი სახელებიც და ბევრი მათგანი წასაშლელადაც კი გავწირე. „ელენა გრუშა“, „ჟანა მაღალი“, „ნინა“, „ნინა-1“, „ნინა-2“... არც ერთ მათგანს ჩემთან ერთად მთაწმინდაზე ასვლის შანსი არ ჰქონდა და ეს მიხაროდა კიდეც.

კარგი იყო ახალგაზრდობა... მაშინ მთლად ბავშვი ვიყავი... ახლა ფული მაქვს, მაგრამ დავღვინდი და შედარებით სერიოზული გავხდი. თუმცა, ქალების მიმართ კვლავ დამრჩა ის გრძნობა, რაც ადრე. რომელსაც მივწვდებოდი, აღარ მაინტერესებდა.

გამონაკლისი ნიცა იყო. მის გახსენებაზე გული მომეწურა და გუნება გამიფუჭდა. ეჭვმა შემიპყრო და გულში მტკიცედ გადავწყვიტე, აუცილებლად შევამოწმებდი ისე, რომ თავად ვერ გაეგო. მრცხვენოდა, ამას რომ ვფიქრობდი, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა. სხვაგვარად ვერ მოვისვენებდი. ბევრი დამიწყებს მორალის კითხვას, თუ არ ენდობი, სიყვარული არაა, საყვარელ ქალს უნდა ენდოო და ა.შ. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ სწორედ ის კაცები მინახავს რქებდადგმული, ვისაც ასეთი აზრი ჰქონია.

„ასეა თუ ისე, აუცილებლად შევამოწმებ“, — გავიფიქრე და შემდეგი სადღეგრძელო ვთქვი.

სასმელი მეკიდებოდა და ამდენი ხნის დასვენებულ ორგანიზმს ტკბილ ნისლში ითრევდა.

ცოტა მოგვიანებით მელანოც გამახსენდა. არა, მოგვიანებით კი არა, თავიდანვე მახსოვდა, მაგრამ მასზე ფიქრი არ მინდოდა... მეხსიერებიდან ამოშლა და დავიწყება მსურდა, მაგრამ ვერ ვახერხებდი და თავადაც კარგად მომეხსენებოდა, რომ ვერც ვერასოდეს მოვახერხებდი.

— მთაწმინდაზე ნიცას ავიყვან, — ვთქვი მოულოდნელად და ყველას გაოცებული მზერა „დავიმსახურე“, — ჰო, ნიცას.

— მთაწმინდაზე რა გინდა?

— იქ ჩემი ბავშვობა მელოდება და მის სანახავად მივდივარ, — ტუჩის კუთხე ირონიულმა ღიმილმა შემიტოკა და მართლა გამიკვირდა, როგორ ვერ უნდა მიმხვდარიყვნენ, რა მინდოდა მთაწმინდაზე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ყველა მაძლევდა ნაძლევი. ვინც ნაძლევი ვერ, ის მოსაწყენია

მზეკვირილები

მარი ჯაფარიძე

„მამალი ქალი“



ხუთშაბათმშვიდობისა, ჩემო მკითხველებო და მგზავნელებო. როგორ ხართ? იმედია, კარგი განწყობილება გაქვთ. თუ — არა, მაშინ „გზავნილები“ წაიკითხეთ და გუნება მაშინვე გამოგიკეთდებათ. რაც შეეხება ჩემს წინადადებას — „გზავნილების“ 6 წლისთავთან დაკავშირებით, საქველმოქმედო აქცია ჩავატაროთ, — თქვენი მოწონება და ერთსულოვანი მხარდაჭერა მოიპოვა. ამაში ეჭვიც არ მეპარებოდა. ამიტომ, ახლა საორგანიზაციო საკითხებს მოვაგვარებთ და უახლოეს მომავალში ჩანაფიქრს სისრულეში მოვიყვანთ. მსურველებს შეუძლიათ, იაქტიურონ. სულ ესაა, რისი თქმაც ამჯერად მინდოდა. ახლა კი თქვენს მესიჯებს გავეცნოთ.

„ეთეული“, „ლიკლიკე“ და „ლატყეკე“ ქალები

„მამალი“ ნაზიკო

„მამალი ქალის“ ცნება ჩემთვის ნაზიკოსთან ასოცირდება. როგორც შეხედავ, ეგრეევე მიხვდები, რომ „კაი დამრტყმელი და პურისმჭამელია“. მთელი ახალგაზრდობა „ქმარზე შემომჯდარმა“ გაატარა (ცუდი არაფერი იფიქროთ, სცემდა და მაგ „პონტში“). ის საწყალი რომ შეიკლა ხელში, ახლა შვილზე ავარჯიშებდა კუნთებს. უკვე მთელმა უბანმა იცოდა, რომ ნასვამი თაზო გაძუყვნას ექვემდებარებოდა. მართლაც, შინ შევიდოდა თუ არა, ნაზიკოს ელვისებური ნახტომი იატაკზე აბრტყელებდა საცოდავს. ბოლოს დაოჯახდა. ნაზომ ქორწილიც გაუმართა და ითამადა კიდეც, მაგრამ ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. დედის მუშტებგამოვლილი თაზო უნაყოფო ყოფილა და ნაზიკომ ჯავრი რძალზე იყარა. აი, აქ კი შეცდა! მზიაც მედგრად დაუხვდა და ისეთი აჯახა, ნოკდაუნი ალერსად მოაჩვენა „დედიკოს“. მას მერე აღარავის უკვირს ამ 2 „ხვადის“ უშეღავათო ბრძოლა. თაზომ კი მას მერე დაიწყო ცხოვრება. პარიუანკა“.

„მამალი“ ლექტორი

„ერთი ამბავი მახსენდება, „მამალ ქალთან“ დაკავშირებით. რამდენიმე წლის წინ ბათუმის ერთ-ერთ კოლეჯში ვსწავლობდი. ჩვენს ფაკულტეტს არაჩვეულებრივი დეკანი ჰყავდა, მაგრამ ჩემი დაქალის ფაკულტეტს კი ნამდვილი აფთარი. მეორე ცვლაში უწევდა ამ აფთარას მუშაობა და მხოლოდ გადმოცემით თუ ვიცოდით, მისი „ჭექა-ქუხილიანობის“ ამბავი. ერთ მშვენიერ დღეს, დაქალმა მე და ცუცას გვთხოვა, დამელოდეთ და ერთად წავიდეთო. ჩვენც, რადგან ერთი ლექცია ჰქონდა დარჩენილი და ბევრი ლოდინი არ მოგვიწევდა, უარი აღარ გვითქვამს. იქვე, დერეფანში, სკამებზე მოვკალათდით, რომ... ვაა-აჰ, ზღვაზე მივდივართ და ეს გრუხუნი საიდან ისმის? გაგვისკდა გულები, მაგრამ თავსხმა წვიმა მერჩივნა იმ აფთარას თავზე დაცხრომას. აქეთ მე ჩამაფრინდა სახელოში, იქით — ცუცას და ჩვენს წონას მეტი კი არ უნდოდა, გავქანდით „ცნობის ფურცლებივით“. სანამ აზრზე მოვიდოდით, რა უნდოდა ჩვენგან, ერთ-ერთ აუდიტორიაში ისე შეგვაფრიალა, არც უკითხავს, ვიყავით თუ არა სტუდენტები. ახსნა რომ დავაპირე, ისე ჩამ-პწკინა, ხმის ამოღება აღარც მიცდია. ქაქანს რომ მორ-ჩა, ლექტორის გაკვირვებულ თვალებს წააწყდა და გაიგო, რომ მისი სტუდენტები არ ვიყავით. ცოტა კი შეცბა და აქეთ გადმოვიდა შეტევაზე, — როგორ არ მითხარითო?!. ჰმ, დაგვაცადა, როო?!. ხომ ჰქვია ახლა ასეთ ქალს მამალი?! არა, ისე, სვავი უფრო შეეფერება. Sweet-Girl“.

საწყალი დათია

„მამალი ქალი“ ისეთი უნდა, დათიას ცოლი რომაა. ორივე ერთად რომ დააყენო, ვერავინ წარმოიდგენს, ცოლ-ქმარი თუ არიან. მადონა მაღალი, ჩასმული და ძვალმსხვილი ქალია, დათია კი მუშაობით გადაღლილი, წელში მოხრილი, ჩია მამაკაცია. დილიდან იწყება საბრალო კაცის ტანჯვა-წამება. ჯერ კიდევ საწოლში მყოფს, მეუღლე დოინჯით დაადგება თავზე და დაზეპირებული ლექსივით მიაყრის ხოლმე: — აბა, ადექი შე უნამუსო, უსაქმურო, ლოთო და ასე გრძელდება მანამ, სანამ გემრიელ შეკურთხებას არ მიიღებს. ერთ დღეს მადონა საყიდლებზე წავიდა, ბავშვები კი ქმარს დაუტოვა. შეწუხდა დათია, გავიდა ერთი საათი, ორი, სამი და არსად ჩანს. ამასობაში მეზობელი ესტუმრა. იმასაც მეტი რა უნდოდა? გაუბრწყინდა თვალები და იმწამსვე ღვინო გამოაცუნცულა. გაიმართა სმა-ჭამა, ქეიფი... რამდენიმე წუთის წინ თუ ცოლის მოსვლას ნატრულობდა, ახლა სულაც არ აწუხებდა, წასული რომ იყო. ერთი-ორი ჭიქის შემდეგ დათია გულახდილობის გუნებაზე დადგა და მეზობელს გული გადაუშალა: — გავწყდი კაცი წელში, ყველაფერს მე ვაკეთებ და მაინც არ მიფასებს ჩემი ცოლიო. მეზობელმა გაამხნევა და იმანაც განაგრძო ცოლის ძაგება. სწორედ მაშინ დაადგა თავზე მადონა. ჰაერში დაფრინავდა ჭიქები და თეფშები, ისმოდა წყევლა-კრულვა, შიგადაშიგ კი დათიას შიშისაგან გაპარული ხმა: — კარგი, ქალო, სირცხვილია, ვინმესი მაინც შეგრცხვესო. როდის-როდის დაშოშმინდა მადონა და დათიამაც ამოისუნთქა. თუმცა, მათი ჩხუბი არ ყოფილა არც პირველი და არც — უკანასკნელი. ლუნა“.

„მამალი“ ანა

„მამალი“ ანა კარენინას“ დანახვაზე მე და ჩემმა დაქალმა სიცილით გული ვიჯერეთ და იცი, რატომ? ერთ ჩვენს დაქალს ჰყავს ძმაკაცი. რომ დათვრება, შეიძლება, ახალციხიდან თბილისში ფეხით დაადგეს გზას. მაგარი „პრიკოლია“. ერთხელაც ეგრე გადაუხტა გოგონებს მანქანიდან და კარგა ხნის ძებნის მერე ლიანდაგებზე მობორიალე იპოვეს. ჰოდა, მაშინ იყო, ერთმა დაქალმა „ანა კარენინა“ რომ შეარქვა. ეს 1-2 წლის წინ იყო და ახლა ეს წარწერა რომ ვნახე „წარწერადაკარგულ ფოტოზე“, მაგრად ვიცინე და ჩვენი „მამალი“



დროის მანჭვნაც გაიცადეს?

ქალი – დატყვაპე

„მამალი ქალიო?! მამალი ქალი არ ვიცი, მაგრამ ქალი — საოცრება, ქალი შოკი და ქალი დატყვაპე იცით, თქვენ? ჰოდა, მე კი ვიცი. სოფელში მეზობელმა ცოლი მოიყვანა, მეგრელი. ნუ, ლოტოს კოჭივით რომაა, ამას დავანებოთ თავი, ეს არაა მთავარი. ახალი მოყვანილი ჰყავდათ ეს ჩვენი მზიაკო, დილით რომ გამოვიდა და იკითხა:

— ქოჩქი სადაა, ქოჩქი? — თურმე „ჩოთქს“ (ჯაგრისს) ეძებდა.

კარგა ხნის ძებნის შემდეგ რომ ვერ იპოვა ვერსად, აღშფოთებულმა უსაყვედურა ქმარს:

— „ქოჩქი“ თუ არ გქონდა სახლში, რა გეცოლებოდაო?

ერთხელ ჰყვებოდა, დეიდაჩემთან მივალ სტუმრად, დატყვაპავს ამ მჭადებს და მომიტანს. არა, მეტყობა ახლა მე მჭადების ნაჭამი რამე? მჭადის ჭამით ვარ ამხელა, მჭადს რომ მიკეთებსო? იმ დღიდან მზიაკოს დატყვაპე შეარქვეს (ოღონდ თვითონ არ იცის). წინა ზაფხულს იქ ვიყავი და გვიყვებოდა:

— სტუმრები მომივიდნენ, მარა ხელცარიელი სტუმრები რად მინდოდა? დავტყვაპე, დავტყვაპე ეს მჭადები, ამოვზილე ღომი, გავაკეთე საცივი და ამ ჩემმა მიწადასაყრელმა დედამთილმა არ დამიწუნა?!

— მერე, მზია, ვერ უთხარი, უკეთესი შენ გააკეთეო? — უ, გოგო, მაგას რავა ვეტყოდი, ჩამცხებდაო. ასეთ დროს როგორია სიცილის შეკავება? ჰოდა, მე დიდსულოვნად ვბწკენდი ჩემს ხელს, რომ არ გამცინებოდა. ერთხელ თურმე უთქვამს, 4 ფიცარი მაქვს და სახლის აშენება უნდა დავიწყოო. მეზობელმა უთხრა, მზია, სახლი არა, მაგრამ 4 ფიცრით კუბო კეთდებაო. ჩვენი მზიას მთავარი საჯავრებელი უშვილობა იყო. ახალ წლამდე ვნახე, ჯავრობდა, ერთი ბოვში ვერ „გავაკეთეო“ და ახალი წლის ღამეს დამირეკეს, მზიაკოს ბავშვი ეყოლაო. გიკვირთ? ჰოდა, თქვენ ჩვენი გაკვირვება უნდა გენახათ! მუცელი ასტკივებია და ბავშვი უნახეს ლოგინში. საცოდავი მოკვდა, მაგრამ დედამისი მაინც იმას იძახდა, ეგ ჩემი არ იყოო.

არა, მე გავაჩინე და იმას დავაბრალე?! ცოტა ხნის წინ მაღაზიაში საყურე უყიდია ნისიად და მზია ჩუბინიძეზე ჩააწერინა, თურმე. :) მეზობლებმა ჰკითხეს, შენი ქმარი რა გვარიაო? მუმლაძეო. მერე, ჩუბინიძე რატომ დააწერინეო? რა ვიცი, ჩემი დედამთილი ჩუბინიძეა, ჩემი ქმარი და მაზლი მუმლაძე და მე ქალი რომ ვარ, ჩუბინიძე არ ვიქნებიო?

P.S. მარი, ცოცხალი თუ გადავრჩი ამის დაბეჭდვის მერე, შეგეხმიანებით. ეშმაკუნა“.

ანა კარენინა გაგვახსენდა. აუ, ამ მესიჯის შინაარსი თემის ფორმატში არ ჯდება, მაგრამ თუ მიაბეჭდავ, გპირდები, წავაკითხებ იმ „ანას“ და თუ ცოცხლები დავრჩით, შემდეგშიც მოგწერ. ელისო“.

მადლობა სექსისთვის

„ჩემს მეგობარს ქმრის ძმაკაცის დამ ლექსი მისწერა. ლიზიკოს ლექსი ძალიან მოეწონა, აღფრთოვანება ვერ დაფარა და ლექსისთვის მადლობა უნდოდა, გადაეხადა. სიჩქარეში (პატარა ჰყავს და სულ დაკავებულია), „ლექსის“ მაგივრად მისწერა — „მადლობა, საოცარი და განუმეორებელი სექსისთვის“. სასაცილოა, მაგრამ მისი სირცხვილისგან შეწუხებული სახე რომ დაგენახათ, ნამდვილად არ გაიცინებდით. შეგეცოდებოდათ. გაცოცხლებული თოჯინა“.

ლიკლიკა

„გაშვებულ შანსზე გამახსენდა: ერთი დეგენერატი დაქალი მყავს, რომელსაც ერთი ბიჭი მოსწონდა. როცა ტელეფონზე ლაპარაკობდნენ, თურმე სულ ჩემზე ელაპარაკებოდა იმ ბიჭს და ისე აღუწერდა ჩემს თავს, რომ ჩემით დააინტერესა. ისე მოხდა, რომ მე და ის ბიჭი შემთხვევით შევხვდით და მითხრა, იმაზე უკეთესი ყოფილხარ, ვიდრე შენი დაქალი მეუბნებოდაო. ჩემმა დეგენერატმა დაქალმა იმდენი იჩალიჩა, ბოლოს გაიჩალიჩა: ახლა მე ვუყვარვარ იმ ბიჭს. მართალია, დაქალს არ ვღალატობ და იმ ბიჭს ყურადღებას არ ვაქცევ, მაგრამ მაგარი შანსი გაუშვა ხელიდან და მაგარი ბიჭი დაკარგა. რა გინდოდა, ქალო, რას ლიკლიკებდი ჩემზე? სხვა სასაუბრო თემა არ გქონდა? იმედია, აწი მაინც ისწავლი ჭკუას. Ice Lady“.



ადრე ადამიანები ვარსკვლავამდე მიღწევაზე ოცნებობდნენ, ახლა — ხელოვასამდე

მოღალატე ქმარი

„მინდა, ჩემი უბედურება გიამბოთ, რომელიც „მამალ ქალს“ ეხება. ჩემმა მეუღლემ პატარა ბიზნესი წამოიწყო, სადაც 3 ქალი ესაჭიროებოდა და აი, ერთ დღეს, ეს ქალებიც გამონახა, ნაცნობობით. დრო გავიდა, ამ ბიზნესმა არ გაამართლა და გააუქმეს, მაგრამ იმ სამი

ქალიდან ერთ-ერთმა ჩემი ქმარი შეაბა. აქედან დაიწყო ჩემს ოჯახში კონფლიქტები. მანამდე ხმას არ ვიღებდი, ვიდრე დამამტკიცებელი არგუმენტები არ მოვიძიე, მაგრამ როგორც ხდება ხოლმე, ჩემმა ქმარმა ყველაფერი უარყო. მით უმეტეს, ისეთი რაღაცები, რაც საკუთარი შვილების თვალწინ ჩაიდინა იმ ქალის კეთილდღეობისთვის. როდესაც შვილებმა ყველაფერი პირში მიახალეს, იერიშზე გადმოვიდა და საკუთარ შვილებზე ხელიც კი აღმართა. 2 დღეა, არ ველაპარაკებით, მაგრამ ჩვეულებრივად მიდის და მოდის ოჯახში, თითქოს არც არაფერი მომხდარა. ნამდვილ ფაქტებს ისე უარყოფს, აქეთ გვადანაშაულებს, თითქოს რაიმეში ცილს ვწამებდეთ. არ ვიცი, რა ვქნა და რა გზას დავადგე. ზუსტად ის ქუჩის ქალია „მამალი ქალი", ქმარს რომ მართმევს. სევდიანი ქალი".

„მამალი" დედა-შვილი

„როგორც გოგონების უმეტესობა (ნუ, „მამალ ქალებს" არ ვგულისხმობ), ანანიკოც საოცრად ფაქიზი და მგრძნობიარე გოგოა. ისეთი სუსტია, ქარმა რომ დაუბეროს, შეიძლება, დედამიწას არ დაენარცხოს, მაგრამ ერთი გემრიელად კი წაბორძიკდება. ზღაპრულ სიყვარულზე ოცნებობს და ხანდახან ისეთ დროს გადმოუგორდებოდა ხოლმე მუდამ მოციმციმე და მოელვარე, თაფლისფერი თვალებიდან ცრემლები, როცა სულაც არ ჰქონდა სატირლად საქმე. ერთ, არცთუ ისე მშვენიერ დღეს („არცთუ ისე მშვენიერი" იმიტომ, რომ ციოდა და თავსხმა წვიმა იყო) ის ადამიანი გაიცნო, ვისაც მთელი ცხოვრება ელოდა (თავად ეგონა ასე). სიყვარულში გამოუცდელმა გოგონამ ბიჭის სიტყვებს ადვილად დაუჯერა და ვერც კი იგრძნო, როგორ შეუყვარდა და როგორ წაართვა გული ნიკამ. გადიოდა დღეები... ანანიკოს ცხოვრებაში დადგა უძილო ღამეების ხანა. ნიკა ხელისგულზე ატარებდა, რადგან მისნაირი კეთილშობილი გოგო არასდროს ენახა. ერთ დღეს, ანანიკოს ერთ-ერთმა „კეთილისმსურველმა" გველივით მიუსისინა, ნიკა ერთ გოგოს უყვარს და შეეშვიო. ნიკას სიყვარულით დამწვარი გოგო არც მეტი, არც ნაკლები, ანანიკოს მეგობარი, ნანა იყო. ნანას რომ შეხედავ, გოგოს ნამდვილად ჰგავს, მაგრამ პირს რომ დააღებს და დაილაპარაკებს, ისეთი ბოხი და გამაღიზიანებელი ხმა აქვს, გულს შეგიღონებს. თან იმხელა ხმაზე ლაპარაკობს, იმასაც კი ვფიქრობდი, ალბათ ყურს აკლია და ჰგონია, ჩუმად ლაპარაკობს-მეთქი. გარდა ზემოაღნიშნულისა, ძალიან ცივი და უხეშია. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რამდენჯერმე ბიჭებიც რომ ჰყავს ნაცემი. როგორც ჩანს, მისთვისაც ცნობილი იყო, ნიკა ანანიკოს რომ ჰყვარობდა და საბრალო გოგოს ისეთი დღე აყარა, სულ დაავიწყა ზღაპრულ სიყვარულზე ოცნებაც და ნიკაც. მერე ჩხუბში ნანას დედაც ჩაერთო და სანამ ხელებისა და ფეხების ქნევაზე გადავიდოდა დედა-შვილი, ანანიკო იქაურობას გაეცალა. ნიკაც დატოვა ორ, გაცოფებულ „მა-



„მამალი" ბებია

„ერთხელ ქართულის მასწავლებლისგან მოვდიოდით მე და ჩემი მეგობარი გოგო. თან სახლში ვაცილებდი, რადგან ღამდებოდა. სიცივე იყო და ჩემი სპორტული ზედა ჩასაცმელი მას ჰქონდა მოხურული და ხელიც მქონდა გადახვეული. მოკლედ, ერთი შეხედვით, შეყვარებულ წყვილს ვგავდით. :) მოვსეირნობთ და უეცრად, ამ გოგომ უკან მიიხედა და მეუბნება — ახლა ჯობია, წახვიდე, ბებიაჩემი მოგვყვება უკან და არ მინდა, ერთად დაგვინახოსო. ბებიამისმა რა უნდა მიქნას-მეთქი? მაგრამ ამასობაში ისიც დაგვეწია. მივესალმე „აფერისტულად", როგორ ბრძანდებით-მეთქი? — და მომხვდა მძიმე ჩანთა. :) ამასობაში, სანამ აზრზე მოვიდოდი, მეორედ მდრუბა თავში. :) მოკლედ, ძლივს გადავურჩი „მამალი" ბებიის შემოტევას. ლი ჰარვი ოსვალდი".



თუ გიყვარს, შეიძ
ძმაკაცობა ხეოლი
გაქვს, მაჩვენეთ!

მალ ქალს“ შორის და მისი ცხოვრებიდანაც სამუდამოდ გაქრა. ლუნა“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„მოკლედ, კურიოზულ სიტუაციაში ყოველდღე ვეხვევი. წელან დისტრიბუტორი მოვიდა. მაღაზიაში მუშაობა ახალი დაწყებული მაქვს. ამიტომ ჯერ ვერ დავიმახსოვრე, ვის რა მოაქვს. გამეხუმრა, „სანტედან“ ვარო და დავიწყე შესაცვლელი პროდუქტის ამოლაგება. მოკვდა სიცილით. „სნიკერსის“ ფირმიდან ყოფილა. :) კლეოპატრა. გაკოცეთ ბევრი“.

„მოგესალმებით, ძვირფასებო, ერთხელ მეც ვიყავი უხერხულ სიტუაციაში: პრაქტიკას გავდიოდი რადიოში, რეკლამის ჩაწერაზე. სკამზე დამსვეს და მითხრეს, მიკროფონთან რაც შეიძლება ახლოს მიდიო. მეც ვცდილობდი, მაგრამ მაგიდის კუთხეში ვიჯექი და კარგად ვერ ვიწეოდი. ვინც მამეცადინებდა, იმ მამაკაცმა მითხრა: გასწიე ფეხები და ახლო მოიწი, რა იყო, ფეხები ჯერ არ გაგიწევიაო? ამის თქმა იყო და ხმა ველარ ამოვიღე. ისე შემრცხვა, სიკვდილი მინდოდა... გალაქტიკა“.

„პატარა ნიკა მანქანებზე გიჟდებოდა. ბიძამისს ჰყავდა და სულ ამბობდა, ბიძას რომ დაუპატარავდება, მე მაჩუქებს პიპიასო. ერთ დღესაც ნიკა ჩაფიქრებული ამბობს: ბიძიკოს მანქანაში წინ მამიკოს დავსვამ, უკან — დედიკოს, დას, ძმას, ბებიას... — ბიძამისმა შეაწყვეტინა: — მე სად დამსვამ, შვილო? ნიკა დაფიქრდა და შემდეგ სერიოზული სახით უპასუხა: — აგალაა, ბიძია, მანქანასი სენი ადგილიო. დამავოი“.

„სირცხვილი ჩემმა ქმარმა ჭამა. სხვისთვის განკუთვნილი სასიყვარულო მესიჯი შემთხვევით ჩემთან გამოუშვა — პაემანს უნიშნავდა ვაჟბატონი ერთ-ერთ რესტორანში... არაფერი შევიმჩნიე და დათქმულ დროს გამოვცხადდი დანიშნულების ადგილზე. უფრო დიდი საშინელება იქ მელოდა, როცა ის გოგო ჩემი თანაკლასელი აღმოჩნდა. ვმეგობრობთო... გაგეცინათ, ხომ? დღემდე არ ვიცი, როგორ მიყურებს თვალებში ჩემი ძვირფასი მეუღლე, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ისევ ერთად ვართ, შვილის გამო... სოფო“.

„ამაზე მეტი სირცხვილი რაღა გინდათ? დღეს თბილისიდან კახეთში ვბრუნდებოდი, ჩემს სიხაზე ფიქრში გავერთე და გვერდით მჯდომ ბიჭს მხარზე თავი დავადე. რატომღაც მეგონა, რომ ჩემი სიხა იყო. :-) უცებ მოვწვი, რაც გავაკეთე და გიჟივით წამოვხტი და წინ გადავჯექი. რუსკა“.

„ჩემს სიძეს მაგრად ეშინია გველების. შარშან იმათთან 4 გველი მივასამარე. პირველად რომ მოვკალი, შავი იყო მთლად. თოხით თავი მოვაჭერი და სახლში წავიღე. კარში ზურა შემხვდა. ეგ რა არისო? — „შლანგია“-მეთქი. — რა კარგიაო, გაუხარდა. ახლოს რომ მოვიდა და დაინახა, რა „შლანგიც“ იყო, რო ამოკაწრااა?! მე და ნინო მთელი დღე ვეძებდით. ახლაც ბლომად არიან და დაგვიძვრებიან ფეხებში, როცა ვენახში ვმუშაობთ. ერთი ბეწოთიც არ მეშინია, ისრიალონ თავიანთ გველურ საქმეებზე, მე რას მიშლიან?“

„მე მყავს „მამალი“ დედამთილი, მამლის წელში დაბადებული. სისხლი გამიშრო, ყველაფერი აინტერესებს — რას ვჭამ, რას ვამბობ, მის შვილს როგორ ვექცევი, ჩემს უფროს შვილს შეაძულა დედა. უფროსობს, დგას „დეზებზე“ დილაუთენია. იმდენი ქნა, რომ წამოვედი მამასთან სოფელში და არც აქ მასვენებს. მე არ ვუნდოდი რძლად და გამიშრეს სისხლი. 20 წელია, მათი რძალი ვარ. საცხოვრებლად ცალკე არ გვიშვებენ, შვილის გარეშე ვერ გავძლებო, მე კი უფროსი შვილი წამართვა. მას არ ესმის ჩემი. დავიღალე. მირჩიეთ რამე, გთხოვთ. თ.მ“.

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „საზაფხულო თავგადასავალი“. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“, ამჯერად კითხვა ასეთია — „როგორ ვისვენებ?“

„მონატრებამ ძალიან დამლალა“

მარი, მინდა, ეს წერილი ჩემმა ნინომ წაიკითხოს და გაიგოს, რომ მაგრად მიყვარს და მაგრად მენატრება. ეს წერილი ჩემთვის ბევრს ნიშნავს.

გამარჯობა, მარი, მე ერთი იმათთაგანი პატიმარი ვარ, რომელიც ყოველდღე იმედით ილვიძებს და ელოდება იმ დღეს, ეგებ, რაღაც მოხდეს და „სვაბოდა“ მელირსოს. მარი, ორი წელი თქვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი ვარ. ხშირად გამოგიქვეყნებიათ პატიმრის წერილები და გადავწყვიტე, მეც მომეწერა, მარი, გთხოვ, იმედს ნუ გამიცრუებ და ჩემი წერილისთვის პატარა ადგილი დამითმე. მინდა, ჩემს საყვარელ მეუღლეს, შვილებს, მშობლებსა და ყველას, ვინც ჩემი ამბავი გულთან მიიტანა, საქვეყნოდ ბოდიში მოვუხადო და პატიება ვთხოვო. პატივისცემით, ლექსო „კიბო“ ხაშურიდან. წინასწარ დიდი მადლობა.

შენ ხომ ჩვენი კეთილი ფერია ხარ და ამ თხოვნას ამისრულებ, მჯერა.



ნინო, ჩემო სიცოცხლევ, როგორ ხარ. ნინ, შენთვის წერილები ხშირად მომიწერია ხოლმე და ბევრჯერ მომიხდია ბოდიში ჩემი საქციელით რაც მოეაყენე, მაგრამ ეს არ მაკმაყოფილებს. მინდა, საქვეყნოდ მოგიხადო ბოდიში და პატიება გთხოვო. მინდა, საქვეყნოდ გითხრა, რომ მაგრად მიყვარხარ და მაგრად მენატრები, სულ შენზე ვფიქრობ და ძილშიც კი შენ გეძახი. ასევე მინდა საქვეყნოდ მოვუხადო ბოდიში ჩემს მშობლებს და მათაც ვთხოვო პატიება. მამას რომ გავაბრაზებდი ხოლმე და მეტყოდა „უხ, შენი დედა ვატირე, ჩემი გულის კიბო ხარო“. მინდა, მომენტით ვისარგებლო და 2 ივლისი, დაბადების დღე მოგილოცო. ღმერთმა გახარებული და ჯანმრთელი გამყოფოს ცოლშვილით და შვილიშვილებით. კიდევ ერთხელ გიხდი ბოდიშს.

ჩემო დაჩაგრულო დედიკო, იცოდე, რომ მიყვარხარ და მენატრები. ჩემი თხოვნა ხომ იცი, ერთმანეთს მიხედეთ და გაუფრთხილდით, გკოცნით. ნინო, მინდა კიდევ შენ მშობლებს მოვუხადო ბოდიში და პატიება ვთხოვო. მინდა შენს მშობლებს შენი გაჩენისთვის და გაზრდისთვის დიდი მადლობა გადავუხადო, ნეტა საქართველოში ყველამ შენნაირი შვილი გაზარდოს და ყველა დედა შენნაირი იყოს. ნინ, ეს ლიტონი სიტყვები არ გეგონოს, ეს ჩემი გულიდან ამოსული სიტყვებია. ნინ, მინდა ვიყვირო ისე, რომ მთელმა ქვეყანამ გაიგოს, როგორ მიყვარხარ და რა უზომოდ მენატრები. პირველად რომ დამიჭირეს, მაშინ ვიფიქრე, ნინო მაპატიებს და გამიგებს-მეთქი და ასეც მოხდა, მაგრამ მეორედ რომ დამიჭირეს, ნაღდად მეგონა, რომ დავიღუპე და დავკარგე-მეთქი ყველაფერი, მაგრამ ძლიერმა სიყვარულმა არ დაგვაშორა ერთმანეთს. გახსოვს, რუსთავის ამბავი? გვიჭირდა, მაგრამ ყველა გაჭირვებას ვუმკლავდებოდით. ისიც გახსოვს თბილისში სასწავლებელში რომ დადიოდი, რა ბედნიერები ვიყავით. გახსოვს, ხაშურში რომ წავედი ფულზე, დავაგვიანე და რომ მოვედი, შენ და ნანა დეიდამ დიდი „ტაშტით“ დაშაქრული მარწყვი დამახვედრეთ?.. რა ბედნიერები ვიყავით და როგორ გვიყვარდა ერთმანეთი. აი, ამ სიყვარულმა არ დაგვაშორა ერთმანეთს. მაშინდელი „პერაშკების„ გემო ახლაც კი მახსოვს. იცოდი, რომ შენს დაკარგვას ვერ გადავიტანდი და ნაღდად თავს არ ვიცოცხლებდი. ახლა კი, იმედით ვცოცხლობ და ამისთვის მიხარია სიცოცხლე, რომ ვიცი „სვაბოდაზე“ ჩემი საყვარელი ცოლ-შვილი მელოდება. ნინ, შენი ლექსო შენი სუნთქვით ცოცხლობს და შენი სიყვარულით არსებობს, ნინ, 29 ივნისს 28 წლის ხდები, ღმერთმა გახარებული, ჯანმრთელი და ბედნიერი გამყოფოს, ღმერთმა სურვილები და ნეტა აგისრულოს. გფარავდეს ღმერთი და ყოვლადწმინდა სალოცავები, ღმერთმა შენს ოქროს დაბადების დღეზე შეგვახვედროს „სვაბოდაზე“ ერთმანეთს. ნინ, ჩემო სიცოცხლე, ამ გაჭირვებასაც გავუძლოთ და მერე სულ ერთად ვიქნებით. მოვიკითხავ ჩემს დებს თავიანთი ოჯახებით, ასევე ჩემს ტყუპ ძმაკაცებს. იცოდეთ, რომ არანაკლებ მიყვარხართ, როგორც ჩემი დები. თქვენიც ძალიან მადლობელი ვარ. მოყვარე თუ გამიგებს ხომ კარგი, თუ არა და, რომ გამოვალ, იმედია, ძმურად დავილაპარაკებთ. ჩემო ნინო, ჩემო სიცოცხლე, მივტირი იმ დღეებს, როცა ბედნიერები ვიყავით, ნეტა მალე დამთავრდეს ეს ჯოჯოხეთი და ცხრა წელი წლად ქცეულიყოს. აბა კარგად, ჩემო ნინო, მიყვარხარ და კიდევ გთხოვ, მაპატიო, მჭირდები მაგრად და ვიცი, როგორც მე მინდა, ყველაფერი ისე იქნება. შენ ხომ იცი, ჩემს გულში რა დარდია/ რომ სიცილი ზოგჯერ უფრო მწარეა/ რა ძნელია სახე გქონდეს მცინარე/ და გული კი სევდიანი მტირალი/ ცხოვრება სულ ერთი ლამაზი წამია/ მე კი მონატრებამ დამღალა ძალიან/ ჩემო სიცოცხლე, რასაც შენ განიცდი და გრძნობ, ანალოგიურ დღეში ვარ მეც. მჭირდები მაგრად და როდემდე გავძლებთ უერთმანეთოდ არ ვიცი, მაგრამ მჯერა, რომ ღმერთი შანსს კიდევ მომცემს და ამ შანსს გამოვიყენებ. გკოცნი ბევრს, კარგად.

მარი, რომ არ გამომიქვეყნო წერილი, მაგრად მეწყინება. ეს წერილი ჩემთვის ბევრს ნიშნავს. გთხოვ, იმედს ნუ გამიცრუებ. წინასწარ მადლობა.

გლდანის №8 საპყრობილე, პატიმარი ალექსი ტაბატაძე „კიბო“.

29.06.09.

ფოტო, რომელმაც ფეიერფალი დაკარგა

ამ ფოტოსთვის შესაბამისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ჩემეული ვერსია ეი ასეთია:

„ეტაბ ამოკლა თუ ვინ-ვინა და ტაიჯვით?“



იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები



1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მამაკაცს. მაღალს. Diki Angeli18.

2. მაღალი ზნეობის, ჭკვიანი, განათლებული, უცხო ენების მცოდნე, კულტურული, მიმზიდველი, 50 წლის ქალბატონი იმერეთიდან გაიცნობს შესაფერისი ასაკის თბილისელ მამაკაცს.

მამაკაცები

3. მოგესალებით აღმოსავლეთ საქართველოდან. წინასწარ ბოდიშს გიხდით, უკაცრავად. მეგობარო, თქვენ ჟურნალისტი ბრძანდებით, ხომ? თქვენი დახმარება მჭირდება და თუ დამეხმარებით, გპირდებით, ვალში არ დაგრჩებით, სიკეთეს სიკეთით გადაგიხდით. მაშ, დავიწყოთ ჩემი საქმე: ვარ 38 წლის ბიჭი. მეუღლე სამწუხაროდ გარდამეცვალა. ძალიან მიმძიმს ამაზე ლაპარაკი. ჰოდა, ვეძებ კარგ, ლამაზ, ოჯახის ქალბატონს, 30-დან 35 წლამდე. ძნელი ყოფილა ოჯახში ცხოვრება, უდიასახლისოდ. დანარჩენი მერე ვისაუბროთ. თქვენი იმედი მაქვს, კარგად ბრძანდებოდეთ.

4. გავიცნობ 20 წლამდე გოგოს. კახელო. 20 წლის.

5. ვარ მაღალი, 30 წლის, სიმპათიური, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 27 წლამდე გოგონას.

6. გავიცნობ აჭარიდან ქალბატონს, ოჯახის შექმნის მიზნით, 32-36 წლამდე, უშვილოს ან თუ ეყოლება, 5 წლამდე გოგონა. დანარჩენი — პირადად.

7. ვარ 38 წლის, ნორმალური გარეგნობის მამაკაცი. ვცხოვრობ ერთ-ერთ ინდუსტრიულ ქალაქში. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, სიმპათიურ ქალბატონს, რომელსაც აქვს ქალაქში ბინა და არის მატერიალურად უზრუნველყოფილი. ვარ არამწეველი და არამსმელი, ზრდილობიანი მამაკაცი.

8. ვარ თბილისელი, 33 წლის, დასაქმებული. გავიცნობ მანდილოსას, 30-დან 35 წლამდე. ვიცი ქალის ფასი.

9. არ ვიცი, ჟურნალით რამდენად გამიმართლებს, ლამაზი ოჯახი რომ შევქმნა. ვცდი მაინც: გამომეხმაუროს 32-36 წლამდე ასაკის, სერიოზული გოგონა. იქნებ გავუგოთ ერთმანეთს.

ბიჭები



10. ვეძებ თამუნას. გვარი არ ვიცი, დედა გვალია ჰყავს. თამო, ნატო ვარ, ურეკში ერთად ვისვენებდით და დავიკარგე. თუ წაიკითხავ ამ მესიჯს, გელოდები.

სხვადასხვა



ჰო, მარ, შენზე ცოტა ნაწყენი ვარ, „მობილი-ზაციაში“ ჩემი ნომერი რომ არ დაბეჭდე. ჰოდა, სანამ „მომღიმარი დეპრესია“ დამეწყო, გთხოვ, 1 მესიჯი მაღირსო, სადაც დამიდასტურებ შენს კეთილ ნებას და თან იმ იტალიელი ემიგრანტის ნომერს მომწერ, თორემ დამრჩა ჩემი „რჩევები და მამაკაცური სითბო“

ადამიანები ? სახეობად ისოფიან — მე და დანარჩენები



გამოუყენებელი. გელოდები რაა... ენიგმა.

ძალიან მენატრებით, ლამის გავგიჟდე, უკვე ვეღარ ვძლებ. ძამიკო, უთქვენოდ ძალიან გამიჭირდა. მინდა, ისევ თქვენ გვერდით ვიყო, მაგრამ ცხოვრება რთული ყოფილა. მომიკითხე ძამი, გიო და ზურიკელა. მიყვარხართ, გკოცნით ბევრს, თქვენი გადაკარგული, მარტოსული ტანჯულა.

მარ, თხოვნა მაქვს შენთან. ერთი ბიჭი მაგრად მიყვარს, მაგრამ როგორც მეგობრები მეუბნებიან, მაგარი მუსუსია. ზოგი ამბობს, გატაცებაააო, რადგან 14 წლის ვარ, მაგრამ გულიდან ვერ ამოვიგდე. ძალიან გთხოვ, მინდა, მგზავნელებისგან რჩევები მივიღო, დავშორდე თუ არა იმ ბიჭს? Unhappy Girl. მადლობა.

ჩემო უსაზიზღრესობავ, გიბრძანებ, დაეგდო სკამზე, მაგარი სასიხარულო ამბავი უნდა გითხრა (ვისთვის როგორ). მოემზადე? — მიშამ დაკარგული ტერიტორიები დაიბრუნა... გასკდი ახლა...

კი, ნინო, მართალი ხარ, ასე მთავრდება ეგ ლექსი. შანდორ პეტეფის ლექსის თარგმანია. მთლიანად მახსოვს ეგ ლექსი, მარა, ტელეფონი ვეღარ იტევდა მეტს და მაგიტომ ვერ გავგზავნე სრულად. მეც ძალიან მიყვარს. მოკითხვა ყველას. სოფი, არ ვიცოდი, თუ უკვე 19-ის იყავი. 9717.

ჩემს მეზობელ პატარა ანის ვასეირნებდი. პირზე რომ შევხედე, ტუჩები გამობერილი ჰქონდა. მეგონა, რამე ჩაიდო და ვკითხე: ანი, რა გაქვს პირში? მან კი დაუფიქრებლად მიპასუხა: — ენა! — სიცილი ამიტყდა და ვეღარ ვჩერდებოდი. თქვენ ამვლელ-ჩამვლელების გაოგნებული მზერა და ანის გაბრწყინებული თვალები უნდა გენახათ. ტატუ.

მარ, ჩემო ნიჭიერო და საოცარო ადამიანო, როგორ მენატრები, ვერც კი წარმოიდგენ. მიყვარხარ! მიყვარხარ! ძალიან, ძალიან. გკოცნი, შენი ლუნა.

რა დამთხვევაა, „გზავნილომანიამ“ შემიპყრო თუ არა, ჩემს რაიონზე, მარტვილზე წავიკითხე, სადაც 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალი დადგეს. მარი, იცი, რა მომწონს შენში? ინტერესების საკმაოდ მრავალფეროვანი წრე გაქვს და თუნდაც ამის წყალობით, ჩვენ არასდროს მოგვწყინდება „გზის“ კითხვა.

მარ, ახლა მინირომანი წავიკითხე და ვტირი. ცუდად გავხდი, მოხუცის ამბის გამო. როცა თავი მის ადგილზე წარმოვიდგინე, ძალიან შემეცოდა მისი მეუღლე, თვითონ და პატარა მარიამი. ის კარგი მამა იყო, მაგრამ შვილებმა ამაგი არ დაუფასეს. მართლაც რთულია ცხოვრება. კარგია, მისმა ამბავმა გიგა მაინც რომ მოიყვანა აზრზე. უფალს ვთხოვ, მსგავსი ისტორიები აგვარიდოს და ცოდვილი ადამიანები სწორი გზისკენ შემოაბრუნოს. აბეზარა.

გამარჯობა, მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ. ჟურნალ „გზის“ 27-ე ნომერში „გზავნილებში“ ამბავი იყო გრეტაზე თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რომელ სოფელში მოხდა ეგ ამბავი? იქნებ გამაგებინოთ, ძალიან გთხოვთ. თეო, გორი.

საკმაოდ გვიანია. თუ გაგაღვიძებ, ძალიან დიდი ბოდიში, მარ! ვერ ვიძინებ, ფიქრებმა გამიტაცა და თემა მინდა შემოგთავაზო — „მენატრება“. გენაცვალე მარ, მაგარი ხარ. ფეშენა.

მარი, დიდ მადლობას მოგახსენებთ, ჩემი გრძნობების შესახებ დაბეჭდვისთვის, მაგრამ ლექსში შეცდომებია. მართალია, შედევრი არ არის, მაგრამ თქვენს პიროვნებას ურითმო ლექსს როგორ ვკადრებ? დავლოცავ მაგ შენს გენიას,/ დიდებულ საქმეს მიაგნე,/ ჟურნალში ჟურნალი შობე,/ გონიერ მგზავნელთ მიანდე./ დანარჩენი სწორია. ნანი დუმბაძე.

წუხელ ცუდი სიზმარი ვნახე, ალბათ ზედმეტად მიყვარს ჩემი ძმა და ეს იმიტომ მემართება ხოლმე. ვნახე, თითქოს ჩემი ძმა მოკვდა, ყველგან ვეძებდი და ვერ ვნახულობდი, ვტიროდი და არავინ მეხმარებოდა, მის პოვნაში. ადრე გამეღვიძა, ავდექი და დათოს ეძინა. ბევრი ვეფერე დაძინებულს. ჩემი ძმა ძაან მიყვარს, ცუდი რომ დაემართოს, მოვკვდები... ხანდახან რომ ვჭამთ, მის თეფშშიც გადავდივარ ალავერდს. დათ, ძამი, მიყვარხარ, გაკოცე და ღმერთი გფარავდეს. გკოცნით ყველას. უკარება.

მარი, ძალიან გთხოვ, ეს მესიჯი დამიბეჭდე. „გზავნილებს“ და მგზავნელების სიცოცხლეს გაფიცებ. რეზი (თბილისო), უსაშველოდ მენატრები, ჩემი ტკივილი ხარ, დღე არ გავა, შენზე არ ვიფიქრო. რამდენი ხანია, შენზე არაფერი გამიგია. ისიც კი არ ვიცი, გამოხვედი თუ არა, მაგრამ რომ გამოსულიყავი, მჯერა, დანაპირებს შეასრულებდი და მოხვიდოდი ჩემთან. ნუთუ ისევ ნაწყენი ხარ ჩემზე? ბოლოს რომ ვილაპარაკეთ, ხომ შევრიგდით? ყოველდღე ვრეკავ, მაგრამ ოპერატორი ერთი და იმავეს მპასუხობს. ალბათ ტელეფონები აღარ გაქვთ ზონაზე და იმიტომ გაქვს გათიშული. ძალიან გთხოვთ, რუსთავის ზონაზე თუ ვინმე კითხულობს „გზას“ და გეცნობათ რეზი ყე...ა, გადაეცით, რომ როგორმე დამიკავშირდეს ან ეს გზავნილი წააკითხეთ. ნოშრევან... გახსოვს, ასე რომ გეძახდი? მიცანი? მენატრება შენთან საუბარი, შენი გაბრაზება და ყველაზე მეტად შენი სიტყვები — ჩემო გაბურძგნულო. რეზ, მე ისევ ის ნომერი მაქვს და გთხოვ, დამიკავშირდი. გელოდები... შენი გაბურძგნული.

მადლობა ოს ლიას ასეთი გულიანი მესიჯისთვის. ლიკა, გეთანხმები, ასეთია ამათი ჯიში (ბერძნების). თუ სჭირდები, ოქრო ხარ, თუ არა და, რამდენი წელიც უნდა მუშაობდე მათთან, უცებ შეგელევიან. შენმა მესიჯმა იმდენი მატირა, ვინც კი დამირეკა, ყველას ვუკითხავდი. ღმერთმა უმრავლოს

ერთი თავი ყარგია,
მაგრამ ერთი თეხი
— ლოლი

საქართველოს შენნაირი ხალხი. მნიშვნელობა არ აქვს, რა ეროვნების იქნება. თამი.

შენ თუ იმედის ნაპერწკალს მიბოძებ, სიყვარულს დავიწყებ პირველი ნოტიდან... მე მოვალ თოვლივით სპეტაკი იცოდე და ნაზი იების თაიგულს მოგიტან... აუ, რა კარგია სიყვარული, არაააა? ჰმ!!! ვიცი, რო-ო???... არა, ის კი ვიცი, რომ კარგი არაა, მაგრამ ის არ ვიცი, რატომაა ცუდი... თუ ცუდია, აბა რატომაა, რომ მგონი შემიყვარდასავიიით?!... არა, ეს ნამეტანი ფილოსოფიურად გამომივიდა... იქნებ თქვენ მითხრათ? Sweet-Girl.

ხალხო, მაგარი აზრი მომივიდა. არ გინდათ, „გზის“ მკითხველები ერთმანეთს შევხვდეთ და დავმეგობრდეთ? ვისაც სურვილი გექნებათ, გელოდებით ყველას.

მარი, „ვაფშე“ მაგარი გოგო ხარ, მაგრად მიყვარხარ და გაფასებ. „გზას“ ყოველთვის ვკითხულობ. ძალიან დიდი სურვილი მაქვს შენი გაცნობის. ჩამოდი ჩვენთან, ქობულეთში. ქობულეთელი მადონა. პაკა, გაკოცე.

ხომ ლამაზია ეს გზავნილეთი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა, ჩემი ბაღივით აყვავებული და მოკიაფე ალმასივითა, ხომ მდიდარია ეს გზავნილეთი, მაგრამ მე უფრო მდიდარი მინდა, ბევრი ფურცლებით დამშვენებული, სიკეთით სავსე, ბალანსივითა. ჰოდა, ჰეიი, ამესიჯეთ, რომ მობილებს ელდა ეცეს, გაისარჯოს და სიკეთით დაიხარჯოს, გაუმარჯოს მგზავნელების ყველა მოძმეს, მგზავნელების ძლიერებას გაუმარჯოს. ამესიჯეთ, ჯერ ხომ სისხლი გვიდგას ძარღვში, ჯერ ხომ ჩვენს „გზას“ ფურცლები არ გასცვენია, ჯერ ხომ იოსებიძის 49 ქუჩის ბოლოს, გზავნილეთის ცხელი გული ასვენია. ამესიჯეთ, ამესიჯეთ ისე მაგრად, რომ თითები გვეტკინოს და დაგვეთელოს, ამესიჯეთ, რომ მგზავნელნი ვიყოთ მარად და ცხოვრებამ ვერასოდეს დაგვაბეროს. ამესიჯეთ, ქართველური შნო და ნირით, თან გზა და გზა სიკეთე და სითბო თესეთ, რომ არ გაქრეს ქართველური მგზავნელობა, მესიჯები ფხაამოწვდილ ხმალად ლესეთ. ამესიჯეთ, მოასწარით, თორემ ჰერი... და სიბერეც ძუ მგელივით მოგვიხტება, ამესიჯეთ, ძველებურად სიხარულით, „გზის“ მგზავნელებს სიყვარული მოგვიხდება. ამესიჯეთ, ძველებური შაირებით, ბერბიჭა რომ კაფიობდა ერთ დროს ხალხთან, ამესიჯეთ, განა ყველა ბოღმა არის, განა ყველა სიძულვილით დაიშანთა. ამესიჯეთ და აჩვენეთ ღმერთის რწმენა, თორემ დარდი ღრუბელივით გასივდება, ევროპული მოდის ბრუნვას აყოლილი, ქართველური ცხელი გული გაცივდება. ხომ ლამაზია ჩემი ჟურნალი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა, ჩემი ბაღივით აყვავებული და მოკიაფე ალმასივითა, ხომ მდიდარია ეს გზავნილეთი, მაგრამ მე უფრო მდიდარი მინდა, უფალსა მადლით დამშვენებული, სამების ტაძრის დარბაზივითა. ლიმონა.

მარი, ახლა წავიკითხე „მარტოობის მძიმე ტვირთი“ და ძალიან განვიცადე მოხუცის ბედი. მისი ორივე ვაჟი სიკვდილის ღირსი იყო, მარიამი კი ძალიან შემეცოდა. არავის ვუსურვებ ასეთი სატანა შვილების ყოლას. ამაზრზენი და სულისშემძვრელი ისტორიაა. ამაღამ არ დამეძინება. გერასიმე.

სასიამოვნოა და სახალისო, თქვენთვის თვალყურის დევნება. გადავწყვიტე, შემოგიერთდეთ და უფრო გავიმრავალფეროვანო ყოფა. თან თქვენ გვერდით მიგულეთ! სარვიეტა.

როგორ ხართ, ჩემო კარგებო? პატარა ჩუპის — დიდი, ლიმონას კი ტკბილი მოკითხვა! ვერმახტ, ხალხს თავი ნუ მოანატრეე! მომენატრეთ და გკოცნით, თქვენი ღვთის გლახა.

გეხუტუნე, როცა შენ გაგიცანი, იმ დღიდან ჩემი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა. შენ მე სიყვარული მასწავლე. ჩემთვის უდიდესი ბედნიერება ხარ.

ჟურნალი „გზა“, სმს-ფიფქები და ათასობით ერთგული მკითხველი, სმს-თოვაში მოყოლით ვიგრძენი, რომ ჩვენ ერთმანეთს ყოველთვის ვჭირდებით... სარვიეტა.

დ-აღლილა ღამე უშენოდ,
უ-ხმოდ მიჰქრიან წამები.
ჩ-ემი სიცოცხლე შენა ხარ,
ი-ცი? თუ მაინც ვერ ხვდები?

მის რეალ, არ გეცნო ეს ლექსი? მიყვარხარ...

ნუგზარ გეორქოვი უზომოდ მენატრება. მენატრება შენი თბილი ხმა. მენატრები და მიყვარხარ, ჩემო ფუმფულავ. შენს სურათებს ვეფერები, შენს მაგივრად. ვოცნებობ, მალე გნახო.

დუჩი, გულში გენაცვალე, არ ჩამიშვეს რუსებმა ქსანზე საბანაოდ, მაგრამ მაინც ჩავიპარე. :-) მაგათ დედებს... :-) ენიგმა, ძამი, შენი გემრიელი გზავნილები სად გაქრა? ნიბუ.

ქალო ცდუნებავ, მეც გკოცნი და გეფერები თბილ გულში. მოხუცო და კამი, როგორ მიყვარხართ, ნეტავ იცოდეთ. აბეზარა, სიხარულო, მადლობა, იუბილე რომ მომილოცე. მპაჩები. ლუნა.

გრუზინკა, ჩემო სიხარულო, მჭირდება შენი მესიჯები, მე ხომ შენი ნებიერა ლაწირაკი ვარ? დამიბრუნდი და გამიხარე გული. მამუ, ნიძლავი მალე წააგე, რაა! ლუნა.

ენიგმა, ძალიან მაგარი ლექსი იყო, ვაფასებ შენს ნიჭს! :-) ბერბიჭას მოვიკითხავ. :-) პარიზის შვილო, გმადლობთ. :-) ლან, ნათათო, მიყვარხართ. კიდევ როდის დავიზაგროთ? :-) დუჩი.

Sweet-Girl, ჭორიკანებზე არ ვნერვიულობ, გული მწყდება, უსამართლობაზე. ზედმეტი მოუვიდათ! ადამიანის პირად ცხოვრებაში ნამეტანი აფათურებენ ხელებს. ჯიგარი ხარ. მპა. დუჩი.

ოლეე, შე იაღოველო, რაფერ ხარ? :-) :-) ნუ, რაღას აღარ დაგაბრალებენ, გაგიუდება კაცი! უმაგრესი ადამიანი ხარ. ასევე ჩემი პატარა ანგელოზები, ლიმონა და ჩუპი. დუჩი.

სიკვდილ, შე უცოდინარო, საძაგელო ბუნჩულა, ბიჭმა მოგიკითხა და ამ დღეებში შეგეხმიანება. ნიკოლი, სესი, Green Girl, რატომ იბრალებთ

თუ დაბალი ხარ, შეუხედავი
და თვეხებიც დაკუნთული
გაქვს, ცუდ გაჩეხე და
ბუნებაზე შეუმი იძიე

მგზავნელობას, ჰა? :-) დუჩი.

პარიზის შვილო, იქნებ მითხრა რა მქვია, თუ მგზავნელი არა? მაინტერესებს ძაან... მარ, ძალიან მომწონს იდეა საქველმოქმედო აქციაზე. სესი.

რიცა, გმადლობ სიყვარულისთვის. გილოცავ გვერდით გამგები პიროვნების ყოლას. თუ დაგჭირდე, ძველებურად, კვლავ მეგობრულად შეგეხიდები. აბა, წარმატებები და გაკოცე ცხვირუკაზე!

აი, მეც მოვედიიი. როგორ ხართ, ძვირფასებო? ვერ გწერდით, რადგანაც პრობლემები მქონდა და მესიჯების გუნებაზე არ ვიყავი, მაგრამ ახლა უკეთ ვარ, რადგანაც ნაწილობრივ მოვაგვარე ჩემი პრობლემები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ერთი წუთითაც არ მიმიტოვებიხართ და ყოველთვის თქვენთან ვიყავი. ბევრმა მომიკითხა და მაგრად მესიამოვნა თქვენი ყურადღება. რა თქმა უნდა, მეც ძაან გაფასებთ და მიყვარხართ, სევდიანო ქალო, ხათაბალავ, ტეხასისშტატელო, შავო პანტერავ, თოლიავ, ლიმონა, მეგრელო მგელო, ბერბიჭავ, ქალი ცდუნება, ტირიფი73, იასამანო, მომენატრე. ვშიშობ, ვინმე არ გამომრჩეს. „ვობშემ", კარგები ხართ, რა?! ყველას გეფერებით და გეხუტუნებით. იდუმალი ქალი.

როგორ ხართ, მგზავნელებო? ვის უნდა ყველაზე მახინჯი, მსუქანი და ელამი გოგოს გაცნობა? ჰმ, არავის, ხომ? ვიციიი. მის სიმახინჯე.

რატომ არ ვუყვარვარ არავის? სამაგიეროდ, მე მიკალს ყველა. მის სიმახინჯე.

ენიგმა, შენი ნიკი ძალიან მომწონს. თან მაინტერესებს, რაიმე შეხება აქვს თუ არა მუსიკალურ ჯგუფ „ენიგმასთან"? თუ უბრალოდ, ამ სიტყვის მნიშვნელობას ამართლებ? სარვიეტა.

დაჩი, მესმის შენი, ძალიან მტკივნეულია, როცა უმიზეზოდ გტკენენ გულს. დრო ყველაფრის მკურნალია. ღმერთი გფარავდეს. მის სიმახინჯე.

იკუშკები, შენზე ამბობენ, ლამაზი გოგოაო და სიმართლეს შეესაბამება თუ ჭორებს გივრცელებენ? :-))) მისტერ.

მარი მაისურაძეე, მაგრად მიყვარხარ, სიხ. მაპატიე, იმ დღეს მაგარი „ბუხოი" ვიყავი. მერე მითხრეს, რაებიც მომიწერია. მაგრად მენატრები. როცა გინდა, დამირეკე. სიმბა.

დიდი სიყვარულით მოვიკითხავ სოფოს, ჩემს საყვარელ მამიდაშვილს და ჩემს პატარა პრინცესებს, ლიზის და ანუკის. ძალიან მიყვარხართ. ნატო.

ხოხ, ახლა ვკითხულობდი „გზავნილებს" და ლიმონას ლექსში ჩემი თავიც აღმოვაჩინე. თურმე ხალხს ვხსომებივარ. ლიმონ, მადლობა შენ, რომ გახსოვარ. მოკითხვა ყველას. რუსკა.

წინა ნომერში: „კამერონ დიასის განსაკუთრებული თვისებები: 2003 წელს ჰავაის კუნძულებზე სერფინგით სრიალის დროს ცხვირი მოიტეხა". ცხვირის მოტეხვა თვისებაა?! დათო.

პარიზის შვილო, მგზავნელი ჩემი გვარია და ნათათო სახელი. ნუ ტიპობ, შენნაირებს მზერით ვასაზიზღრებ. ლიმონა, შე „ძერზკო", მამენატრეი... :) Green Girl.

მარი, მივესალმები შენს იდეას. მე და ათენი23 დავეხმარეთ ადრე ერთს და არა მარტო. ასე რომ, უცხო არ არის ჩემთვის ქველმოქმედება. ლანკა და დუჩ, ზაგარი 4ევერ! Green Girl.

ბათუმელმა ეთი მანჯგალაძემ, იცოდეს, რომ ძალიან, უზომოდ მიყვარს. ვერ დაგივიწყებ ეთი, გულით და სულით შეგიყვარე და ვერავინ დამავიწყებს შენს თავს, გესმის, ვერავინ...



შინდან მისთვის
გამოიხატავს? ალბომის შინაგ
ხომ ოჯახ ოინდა დაბრუნდე...

ვიტალი ჩოჩიევო, რამაზი ზაზაძე, ბექა ქიზილაურო, ედო ქოქოლაძე, აბრესა, ჯაგარა, რიზა, მუშთა, ბიქტორა, მენატრებით. თამო.

ჩემო კარგო, მენატრები. ბევრი რამე გადავიტანე უშენოდ. შენმა სიყვარულმა გადამატანინა ეს დიდი ტკივილი. დამიბრუნდი... თამო.

მარი, შეიძლება ამ მესიჯმა დღის სინათლე ვერ ნახოს, მაგრამ შენ ხომ წაიკითხავ? თუ არ შეწუხდები, ახლა რასაც შეგეკითხები, მიპასუხე: ამ ნომერში (არ მახსოვს ზუსტად, რომელი ნომერია) მინირომანი რომ წავიკითხე, ძალიან ბევრი ვიტირე. თან უკვე ვიძინებდი და მტირალმა დავიძინე. ძალიან იმოქმედა ჩემზე ამ ამბავმა. მაინტერესებს, ეს ნამდვილი ამბავია? მარ, მიპასუხე, ძალიან გთხოვ. ამის მერე სულ ამ ამბავზე ვფიქრობ. ნეკატო.

ბევრ მკითხველს აინტერესებს, მართალია თუ არა, წინა ნომერში გამოქვეყნებული მინირომანის სიუჟეტი. დიახ, მართალია.... ამ ამბავში გამოგონილი პერსონაჟი მხოლოდ გიგა გახლავთ — ბარმენი.

მილოცავ

დაბადების დღე მინდა მივულოცო დიდი სიყვარულით ლელა ხავთასს. გილოცავ, ჩემო კარგო, გისურვებ ულევ სიხარულს და ლამაზ სიყვარულს, საყვარელ ქმარშვილთან ერთად. ლელუკა, მიყვარხარ ძალიან. გფარავდეს ღმერთი. დარეჯანი.

ნინიკო, ჩემო სიხარულო, გილოცავ 6 წლის იუბილეს. გისურვებ ლამაზ ბავშვობას და ნათელ მომავალს. შენი მონატრებული ბებია, ნარგიზი მაკარიძე.

ჩვენს საყვარელ და მონატრებულ დედას 1-ელ ივლისს დაბადების დღეს ვულოცავთ. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს და დიდხანს სიცოცხლეს. გფარავდეს დედა ღვთისმშობელი და უფალი. გკოცნით და გეფერებით შორიდან, შენი მონატრებული შვილები, დალი და ლალი.

მზია ქისტაურს ვულო-

ცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. გვიყვარხარ ძალიან. გკოცნით. ლალი და დალი.

ჩვენს ერთადერთ და საყვარელ ბაბუკას ვულოცავთ დაბადების დღეს, 1-ელ ივლისს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და ხანგრძლივ სიცოცხლეს. გფარავდეს უფალი. შენი საყვარელი შვილიშვილები, თაია

და მირანდა.

მარი, სიტყვით ვერ გადმოგცემ იმ დიდ სიხარულს, რასაც შენ გვანიჭებ ჟურნალის მეშვეობით. რამდენჯერ გამახარე... გულით გლოცავ, დალოცვილი იყავი ოთხივ კუთხის სალოცავებით.

მინდა, დაბადების დღე მივულოცო ჩემს საყვარელ ძმისშვილებს, კასპის რაიონში, სოფელ ხვითში, ჯეკო და მაია ბაზუაშვილებს. ვუსურვო ჯანმრთელობა და ულევი სიხარული. მამიდა.

7 ივლისს დაბადებულ, ჩემთვის უსაყვარლეს ადამიანს, ჩემს მეორე დედას, ათენში მყოფ მზია ურიდია-სანაიას მინდა მივულოცო დაბადების დღე. მზია დეიდა, გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს, გამრავლებას და გახარებას, შენს ოჯახთან ერთად. სულ ბედნიერი ღიმილი მენახოს შენს სახეზე, სიხარულის და ბედნიერების დღეები არ მოგაკლოს ღმერთმა, ჩემო საყვარელო ადამიანო. სულ მწვანე გზით გევლოს. ღმერთი იყოს შენი და შენი ოჯახის მფარველი. გკოცნი უამრავს. თია.

ლალი იასეშვილს დ.ბადების დღეს ვულოცავ, 10 ივლისს. ჩემო ძვირფასო, მალე დაბრუნებულიყავი შვილებთან. კლარა.

7 ივლისს დაბადებულ, ათენში მყოფ ჩემს დედიკოს, მზია ურიდია-სანაიას ვულოცავ დაბადების დღეს. დედი, გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს და გახარებას, შენს ოჯახთან ერთად. სულ ბედნიერი მენახე, უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. ღვთისმშობლის კალთა იყოს შენი და შენი ოჯახის მფარველი. შენი შვილი, ლირა სანაია.

უსაყვარლეს მეუღლეს და დედიკოს, 7 ივლისს დაბადებულ მზია ურიდია-სანაიას ვულოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს, გახარებას და გამრავლებას. ძალიან გვენატრებით, ჩვენო საყვარელო ადამიანო. უკვე 5 წელია, არ გვინახიხარ და ეგ დიდი მონატრებაა. გულში გიკრავთ და გეფერებით, ძალიან გვენატრები ყველას. ნეტავ მალე დადგებოდეს ის დღე, გულში რომ ჩაგიკრავთ და მოგეფერებით. ღმერთი იყოს შენი მფარველი. მეუღლე მურმანი სანია, შვილები — ლინა, ლელა, ლევანი, სიძე — კახა, შენი პირველი სიხარული, შვილიშვილი, გიორგი. ქუთაისი, ავანგარდი.

ჩემს სიხარულს, ნინიკო ჭუმბურიძეს 6 წლის იუბილეს ვულოცავ ნარგიზა ბებო, ათენიდან. სულ გახარებული მენახე, ჩემო ლამაზო. გკოცნი.

ჩემს ძმას, ჯიმშერ იაშვილს შორიდან, მაგრამ დიდი სიყვარულით და მონატრებით ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ყველაფერს საუკეთესოს, ცხოვრებაში. გახარებას, ლამაზ მომავალს, ლამაზ სიყვარულს და მარადიულ ბედნიერებას. მენატრები ძალიან. შენი და, ინეზა.

ქრისტინას 7 ივლისს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს. 120 ლამაზი წელი დაეთვალოს შენი ცხოვრების კალენდარს.

დიკო, ბედნიერი და უფლისგან დალოცვილი ყოფილიყავი, ჩემო 4 წლის მონატრებულო შვილო. შენზე უზომოდ მონატრებული დედიკო, ლელა მელიქიშვილი.

მონატრებულო მეუღლევ, ხვიჩა მსხვილიძევ, 4 ივლისს გილოცავ იუბილეს. გისურვებ ჯანმრთელობას, გამძლეობას, ჩვენი სიყვარულის მალე შეერთებას! მიყვარხარ, თათუ! ეკა.

ძაკო მამასახლისს ვულოცავთ დისშვილის დაბადებას. ღმერთი იყოს პატარა თეკლას მფარველი. შმაგი გიორგაძე, მერაბი და თორნიკე ნიორაძეები.

ბაღდათში, სოფელ როხში მცხოვრებ, მზია ხარაბაძე-მამასახლისს ვულოცავთ შვილიშვილის, თეკლას დაბადებას. უფალი გფარავდეს. გაიხარეთ. გია, ილზა გიორგაძეები, შორენა ნიორაძე.

დაბადების დღე გვინდა მივულოცოთ ჩვენს ბიძაშვილებს, მაიას და ჯეკოს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს, თქვენს საყვარელ და ტკბილ ოჯახებთან ერთად. თქვენი მამიდაშვილები, დათო, მაია, ხათუნა, ნონა სარმანიძეები.

თუ ქალიანში გაძმახედა
გაჭვს და ლოიმალი ლიმილი,
ე.ი. სუმალის ლოგ



რუსთავში, 6 ივლისს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს მონატრებულ, 5 წლის უნახავ, საყვარელ მეუღლეს, ვახტანგ გოგოლაძეს და 4 ივლისი მინდა მივულოცო ჩემს საყვარელ დისშვილს, ეკა კანტროშვილს. გფარავდეთ უფალი. გკოცნით, მიყვარხართ. დალი კოჭლამაზაშვილი.

მინდა, ჩემს საყვარელ შვილს, გიორგი გოგოლაძეს, ჩემს უცნობ რძალს, ია კაპანაძეს და ჩემს უცნობ შვილიშვილს, მარიამ გოგოლაძეს, მცხოვრებთ ქალაქ რუსთავში, ვუთხრა, რომ სიგიჟემდე მიყვარხართ და ძალიან მენატრებით. დალი კოჭლამაზაშვილი.

დიდი სიყვარულით მინდა დაბადების დღე მივულოცო დისშვილს, სალომე ფერაძეს. სიყვარული და სიხარული არ მოგკლებოდეს. დეიდა ციცო.

ფატი ჩუბინიძეს დიდი სიყვარულით ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. ღმერთი გფარავდეს, მუდამ. ათენი, ციცო ხუსკივაძე.

სალო, გილოცავთ ულამაზეს დაბადების დღეს. გფარავდეს ღმერთი. ნინო, ნესტან და სოსო ცხადაძეები.

ქუთაისში, პლაშადკაზე, ტრისტან და ლუდა მხეიძეებს ვულოცავთ შვილიშვილის შეძენას. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ღვთის წყალობას. გაიხარეთ. გია, ილზა და შმაგო.

ვენიკო და ხათუნა მხეიძეებს ვულოცავთ ვაუკაცის დაბადებას. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და უფლის წყალობას. გვენატრებით. გია, ილზა და შმაგო გიორგაძეები.

მინდა, დაბადების დღე მივულოცო რუსთავში, მაყვალა გუნიავას. გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, შვილებისა და შვილიშვილების კარგად ყოფნას. გკოცნი და გეხვევი, თინიკო გონგაძე.

ზურა ბრეგვაძე, დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო მონატრებულო შვილო. მრავალს დაესწარი, შენი ლამაზი ცოლ-შვილით და ყველა ახლობლებით. გამიხარდით. დაგლოცოს საღოცავებმა, მთისა და ბარისამაო, მცხეთაში სვეტიცხოველმა, თბილისში სამებამაო, კახეთში ნინოწმინდამ, მლეთაში ლომისამაო, რუსთავში წმინდა გიორგიმ, ზეცაში მარიამმაო. იქნებ მალე დადგეს ის დრო, რომ თქვენი შვილების მოფერება გვეღირსოს. გაიხარეთ. ფიქრებითაც თქვენთან ვართ და 100 ლამაზი წელი დაეთვალოს შენი ცხოვრების კალენდარს. შენი მონატრებული დედ-მამა.

14 ივლისს ვულოცავ დაბადების დღეს ვასო გაგლოშვილს და ვეტყვი: ძამი, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. ღმერთი იყოს შენი მფარველი, ყოველთვის. ძამი, მანდ არ ვარ, მაგრამ მთელი გულითა და სულით თქვენთან ვარ. ფატი.

ჩემო სიხარულო და პირველო მერცხალო, საბუნიკო, გილოცავ დაბადების დღეს. ბედნიერი ბავშვობა გქონოდეს. გაიზარდე ჯანმრთელი და სასახელო. მცინარა დევიძე.

ოთიკო ჭუმბურიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. სიხარული, სიყვარული და ბედნიერება არ მოჰკლებოდეს მის ახლად შექმნილ ოჯახს. გამრავლდით და გაიხარეთ. თქვენზე მონატრებული სიდედრი, მაია ლომიძე.

მარიამ ასლანიკაშვილს დაბადების დღეს, 9 ივლისს ულოცავენ ბიძაშვილები, ნური და ეთო ასლანიკაშვილები, ბიძა-ბიცოლა, აბესა და ელისო. ღვთისმშობლის კალთა გფარავდეს.

საგარეჯოში თეა ჯავახიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 9 ივლისს. უცნობი.



ნუ შეიჭმნილი ჩემზე
შეიაბეჭდილებას ჩემი
ღეღოლღეს მიხედვით

ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

„სამასოხასლეხიანი" ჯარიმა ანუ სიცხვილია თუ ეხა ჩაბეჭვა?

მარი ჯაფარიძე

— ჰოოდა, ახლა რა უნდა გითხრაააა... — ტუჩის კუთხეებზე ცერ და საჩვენებელ თითებს კოპწიად მოისვამს და ასე იწყებს ხოლმე ლაპარაკს ჩემი ახლობელი, როცა ძალიან მნიშვნელოვანი რამე აქვს სათქმელი.

— ჰოოოდა, ახლა რა უნდა გითხრაააათ, — ასე დავიწყებ მეც, რადგან ისეთი ამბავი მაქვს მოსაყოლი, რომ... სულ „თითებს ჩაიკვნეტთ".

ჩემი (როგორც მძღოლის) და საპატრულო პოლიციის თანამშრომლების „მჭიდრო" და „მეგობრულ" ურთიერთობაზე წინათაც ბევრჯერ დამიწერია. ახლა (ჩემი ბრალი არ არის) ისევ მომცეს მიზეზი და საბაბი და კვლავ უნდა მოგახსენოთ, როგორ „შევებით" ბრძოლის ველზე.

წინა კვირის სამშაბათი დღე გახლდათ. ამ დღეს, როგორც წესი, სამსახურიდან გვიან ვბრუნდები შინ. ამჯერადაც 12 საათს გადაცილებული იყო, როდესაც მშობლიური რუსთავის ლამპიონებით გაჩახჩახებულ ქუჩას გავუყევი და ის იყო, ეზოში უნდა შემეხვია, რომ საპატრულო პოლიციის მანქანა (თითქოს მიწიდან ამოძვრა) წამომეწია და გააჩერეო, მიბრძანა.

როდესაც სამართალდამცველი გეუბნება, გააჩერეო, უნდა დაემორჩილო. ჰოდა, მეც მივაყენე ტროტუართან ჩემი „ოპელიჩი; როგორც წესია, ხელები საჭეზე დავაწყვე და დაველოდე, როდის მოვიდოდა პატრულის თანამშრომელი.

— გამარჯობა, საპატრულო პოლიციის (აქ რაღაც „ზვანია" დაასახელა, რომელიც ვერ დავიმახსოვრე)... წარმოადგინეთ საბუთები, თუ შეიძლება.

— დავარღვიე რამე? — ვკითხე და დავიწყე საბუთების ძებნა.

— არა, აქეთ რომ გადმოუხვიეთ, ცოტა სწრაფად მოგივიდათ მოხვევა და ვიფიქრეთ, რომ საჭესთან ნასვამი მძღოლი იჯდა.

— ნასვამის რა მოგახსენოთ, მაგრამ დაღლილი კი ვარ, — წავიწუწუნე და ჩემს უძირო ჩანთაში საბუთების ძებნა განვაგრძე.

— არ გაქვთ საბუთები?

— როგორ არა, მოვძებნი ახლავე.

— სად მუშაობთ?

— ჟურნალ „გზაში".

— რას აკეთებთ?

— ჟურნალისტი ვარ, — „ქსივა" მივაწოდე.

— რედაქტორი ყოფილხართ, — ჩაილაპარაკა.

— ჰო, მაგის აფიშირება არ მიყვარს, რა საჭიროა? — სწრაფად ვუპასუხე იმის შიშით, არ ეფიქრა, რომ საბუთი ყალბი იყო და ისიც კი არ ვიცოდი, ზედ რა ეწერა.

მანქანის უკანა სავარძელზე ჟურნალებიც მეწყო და ერთი გავუწოდე.

— გაჩუქებთ, თავისუფალ დროს გაეცანით, — „გზის" რეკლამირებაც გადავწყვიტე (თან — საქმე).

— არა�ა, არ შეიძლება, გენაცვალე, ვერ ავიღებ, აკრძალული გვაქვს.

— რა გაქვთ აკრძალული, ჟურნალის კითხვა?

— არა, მოქალაქისგან ჟურნალის საჩუქრად აღება.

ერთი ის კანონი წამაკითხა, სადაც წერია, რომ ამა და იმ მუხლისა და ქვეპუნქტების თანახმად, პატრულის თანამშრომელს მოქალაქისგან ქრთამის აღების მიზნით, ჟურნალის აღება ეკრძალება. ეს დიდი საქმეა, ბატონებო, თუ „გზის" ჩუქება ქრთამის მიცემაში ჩაითვლება.

მოკლედ, თავი რომ არ შეგაწყინოთ, გეტყვით, რომ განვაგრძობდი საბუთების ძებნას, პატრული — ჩემს „დაკითხვას". ჩანთა და მანქანის ყველა კუთხე-კუნჭული გადმოვაბრუნე, მაგრამ...

— ვერ იპოვეთ, ქალბატონო? ნუ ნერვიულობთ, კარგად მოძებნეთ, აბა, სამზეურში ნახეთ, აბა, ჩანთაში კიდევ ერთხელ... — მამხნევებდა პატრულის თანამშრომელი.

ვაშა! როგორც იქნა, მანქანის პასპორტი აღმოვაჩინე. ახლა დარჩა მართვის მოწმობის მოძებნა. წავედი მეორე „კრუგზე", ისევ ჩანთით დავიწყე...

— ვერ იპოვა საბუთები? — სუფთა მეგრული კილო მომესმა.

ეს მეორე პატრული ყოფილა, რომელიც აქამდე ჩუმად იყო და როგორც ჩანს, მოთმინების ძაფი გაუწყდა.

— ქალბატონო, ვერ პოულობთ საბუთებს? — ახლა მე მომიბრუნდა.

— იპოვის, იპოვის, — დაიმედა მეორემ.

მოკლედ, ვერ ვიპოვე.

— ახლა ვინმე „პრავიანი" მოიყვანეთ, რომ მანქანა სახლამდე გადაიყვანოს, ჩვენ ჯარიმას დაგიწერთ და როდესაც „პრავას" იპოვით, საპატრულოში წარმოადგენთ და იმ ჯარიმას გაგიუქმებენ.

— კარგი, — დავყაბულდი, რადგან მეტი გზა არ მქონდა და ჩემს ძმას დავურეკე, მიშველე-მეთქი. მის მოსვლამდე პატრულის თანამშრომლებს ქალაქის გაცნობაში დავეხმარე, რომელ ქუჩაზე ვიმყოფებოდით და სად, ავუხსენი, რომ საჯარიმო ფურცელზე ჩემი გაჩერების ადგილსამყოფელი მიეთითებინათ. ეს რომ გაარკვიეს, თავის მანქანასთან „შეიკრიბნენ" და მინითათბირი მოაწყეს.

— ბიჭო, რომ ჩავაბერინო (სიმთვრალეზე ტესტის ჩატარებას გულისხმობდა), სირცხვილი ხომ არაა? — ეს პირველი პატრული გახლდათ.

— რატომაა სირცხვილი, ბიჭო, ქალი კია, მაგრამ მძღოლიც ხომაა? მიდი ახლა და ჩააბერინე, — ასეთი მტკიცე გადაწყვეტილება მეგრელმა (ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ იძულებული ვარ, ასე მოვიხსენიო, რადგან ცოცხალი თავით არც სახელი და არც ტელეფონის ნომერი არ გამიმხილა) მიიღო.

— უკაცრავად, ქალბატონო, მაგრამ მართლა ფხიზელი ხართ? — მთლად პირდაპირ ვერ შემომბედა პირველმა.

ცალი წარბი ავწიე უკმაყოფილოდ და ისე გავხედე.

— ბოდიშს გიხდით, ქალბატონო, მაგრამ უნდა ჩაბეროთ.

ერთი სული მქონდა, გადამეხარხარა.

— აი, აქ ჩაბერეთ, — თითი ცისფრად მოციმციმე ნათურას დაადო.

ჩავბერე.

— ფხიზელია, — გასძახა მეგრელს და მგონი, გაუხარდა კიდეც, ფხიზელი რომ ვიყავი.

მოკლედ, საჯარიმო ქვითრის შევსება დაიწყეს და თან გადაწყვიტეს, „რიონისთვის“ (საინფორ-

მაციო სამსახურის საძახისია) დაერეკათ და ჩემი მანქანა გადაემოწმებინათ. იქიდან კი უთხრეს, რომ თურმე ჩემი „ოპელიჩი“ ძებნაში ყოფილა. პატრულის თანამშრომლებმა გადაწყვეტილება (როგორც თვითონ თქვეს — კანონიერი) მიიღეს და მანქანის ჩამორთმევა და საჯარიმო სადგომზე გადაყვანა მოინდომეს.

აქ კი უკვე ძალიან გავმწარდი (საათი ღამის 3-ის ნახევარს უჩვენებდა უკვე), ჩემს მანქანასთან ახლოს დავდექი და პოზიციების გამყარება დავიწყე. თან მოვითხოვე, გაერკვიათ, რატომ იყო ძებნაში ჩემი მანქანა. ისევ დარეკეს „რიონზე“, იქ კი აუხსნეს, რომ თურმე, 2008 წლის აგვისტოში, თბილისში შეჯახება მომხდარა, რაშიც დამნაშავე ჩემი ავტომობილი ყოფილა და ახლა დაპატიმრებას ექვემდებარებოდა.

მსგავსი შემთხვევა ვერ გავიხსენე. ვინმეს რომ შევჯახებოდი, ნამდვილად არ დამავიწყდებოდა. ამიტომ გავჯიუტდი, არავის შევჯახებივარ და მანქანას არ გაგატანთ-მეთქი. პატრულის თანამშრომლები ზრდილობიანად, მოთმინებით მიხსნიდნენ არსებულ კანონებს, რომლის თანახმადაც, ჩემი ავტომობილი ევაკუაციას ექვემდებარებოდა, მაგრამ მე არაფრის გაგონება არ მინდოდა.

მანქანა ჩავკეტე და გასაღების დათმობას არ ვაპირებდი. მითხრეს, ევაკუატორს მოვიყვანთო. მერე შიგნით, მანქანაში „გავმაგრდი“, ყველა კარი ჩავკეტე და არაფრის დიდებით გადმოსვლას არ ვაპირებდი. მოვითხოვე, უფროსს დაუძახეთ, ვალდებული ხართ, გაარკვიოთ, რატომაა ტყუილი ინფორმაცია გადაცემული „რიონში“ და თუ გაირკვევა, რომ დამნაშავე ვარ, მაშინ გაგატანთ ჩემს მანქანას-მეთქი.

უფროსიც მოვიდა. პატრულები გამოეჭიმნენ და მოახსენეს, რომ მე, რედაქტორი და ჟურნალისტი, შეგნებით ვუდგები მათ მოვალეობებს, მათი მჯერა, მაგრამ მანქანის დათმობა არ მინდა... უფროსმა კანონები ხელახლა ამიხსნა და მითხრა, რომ მეორე დღეს „მეთორმეტე ოთახში“ მივიდოდი, გავარკვევდი და თუ დამნაშავე არ აღმოვჩნდებოდი, არც საჯარიმო სადგომის თანხა მექნებოდა გადასახდელი...

დილის 4 საათამდე არ დავთმე პოზიციები, არც მე წავედი შინ და არც ისინი გავუშვი, მაგრამ ბოლოს, უკვე მზემ ამოსვლა რომ დაიწყო და ძილი მომერია, ხელი ჩავიქნიე, ჯანდაბას თქვენი თავი, რიონსა და მტკვარს წაუღიხართ, თქვენი უკუღმართი კანონებით-მეთქი და შინისკენ გავუყევი გზას...

შინ მისულმა კი საჯარიმო ფურცელს სინათლეზე გავხედე და აღმოვაჩინე, რომ იქ, სადაც თანხაა მითითებული, ასოებით წერია — „სამასორასი“, ხოლო ციფრებით — 3200. სიმართლე გითხრათ, ვერ გავარკვიე, რა თანხა უნდა ყოფილიყო მითითებული. ამიტომ, მაშინვე (ცხელ კვალზე) 022-ზე დავრეკე. ჯერ კარგა ხანს ველოდე, როდის მიპასუხებდნენ, მერე ოპერატორ ქალბატონს ჩემი ხმა არ ესმოდა, ისე გავკიოდი, ფანჯარაში თავი რომ გამოეყო, უტელეფონოდაც გაიგონებდა (რა გახდა ერთი ტელეფონის აპარატი?) ჰოდა, ვთხოვე, იმ ბრიგადას დაკავშირებოდა, რომელმაც გამაჩერა და გაერკვია, რა თანხა ჩამიწერეს საჯარიმო ფურცელზე. ბედად, პირველი პატრული იქვე ყოფილა. თვითონ დამელაპარაკა (კი არ დამელაპარაკა, ერთმანეთს ვუყვიროდით, ხმა რომ მიგვეწვდინა) და გამარკვია, რომ თურმე 200 ლარი მაქვს გადასახდელი, თუ მართვის მოწმობას ვერ ვიპოვი... თუმცა, მეორე დღეს ვერც ბანკის თანამშრომელმა დაადგინა, რამდენია „სამასორასი“ ლარი...

მე კი ჩემი ამბავი „მეთორმეტე ოთახში“ გავარკვიე და ჩემი „ოპელიჩიც“ დავიბრუნე, მაგრამ მაინც ძალიან მაინტერესებს, ეს „სამასორასი“ რამდენია და რატომაა სირცხვილი „ჩაბერვა“?



სიცოცხლე ერთხელ გვძლევია. მერწმუნეთ მაინც ვერ გადოძლებდი



რიტორიკა წყალზე ჯობია?

I მცდარი აზრი: წყაროს წყალი ყველაზე სუფთაა

წყაროს წყლების მუდმივი შემოწმებების შედეგად დადგენილია, რომ ზოგიერთი მათგანი დაბინძურებულია. ხშირია შემთხვევა, როცა ამა თუ იმ დაავადების ეპიდემიას სწორედ წყაროს წყალი იწვევს.

გარდა უამრავი ვირუსისა და ბაქტერიისა, წყაროს წყალი მძიმე ლითონებს და პესტიციდებს, ხანდახან კი გაცილებით მავნე ნივთიერებებსაც შეიცავს.

II მცდარი მოსაზრება: წყალი ადამიანის ჯანმრთელობას არ ვნებს

ეს მოსაზრება შესაძლოა, ბევრს ძვირად დაუჯდეს. დედამიწაზე არსებული ინფექციური დაავადებების 80% დაბინძურებული წყლის შედეგია. იგივე შეიძლება ითქვას არაინფექციურ, ონკოლოგიურ დაავადებებზეც. ადამიანის ჯანმრთელობა კი დამოკიდებულია სასმელი წყლის ხარისხზე.

ონკოლოგები ხმამაღალი განცხადებებისგან თავს იკავებენ და არ აქვეყნებენ იმ ციფრებს, რომლებიც საზოგადოებას შოკში ჩააგდებს, მაგრამ ერთხმად აღიარებენ, რომ წყალში არსებული მძიმე მეტალები, პესტიციდები და ნავთობპროდუქტები ონკოლოგიური დაავადებების პროვოცირებას იწვევს.

III მცდარი აზრი: გაწმენდილ-გაფილტრული წყალი უვნებელია

სამწუხაროდ, საქართველოში სასმელი წყლის მხოლოდ ზოგიერთი მავნე ნივთიერებებისგან და მიკროორგანიზმებისგან გაწმენდა ხდება. ასეთი „გაწმენდის“ შემდეგ, მილებში გავლისას წყალი ხელმეორედ ბინძურდება. ამიტომ, შინ, ონკანზე დაყენებულ ფილტრში უკვე დაბინძურებული წყალი ხვდება, რის გამოც, მასში ფილტრის გამოცვლა გაცილებით ხშირად უნდა მოხდეს, ვიდრე ინსტრუქციაშია მითითებული.

IV მცდარი აზრი: ქარხნული წესით ბოთლში ჩამოსხმული წყალი ყველაზე საიმედოა

ასეთი წყალი არავითარ ეჭვს არ იწვევს შვეიცარიაში ან ლუქსემბურგში... ჩვენთან კი ყველაფერი სხვაგვარადაა. შესაძლოა, ფალსიფიცირებულ პროდუქციას წააწყდე და ნამდვილი წყაროს წყლის ნაცვლად, ჩვეულებრივი ონკანის წყალი შემოგაპარონ და სუფთა წყლის ნაცვლად, მიკროორგანიზმებითა და ბაქტერიებით სავსე სითხე შეიძინო.



ვიდრე ასჯერ გაზომავ, ერთხელ ადი, ცხვარმ სურ გადაჭრას

პატარა მოდელების ასაკუალური ოცნება

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე სამოდელო სააგენტო „ნატალის“ სკოლა-სტუდიის მოსწავლეებმა მშობლებსა და მასწავლებლებს ერთწლიანი მუშაობის შედეგი უჩვენეს. სამოდელო სააგენტო „ნატალიში“ კომპლექსური სწავლების (მოძრაობის ტექნიკა, სხეულისა და სილუეტის კორექცია, დახვეწა და ა.შ.) მეთოდი 1994 წლიდან დაინერგა, დღემდე ვითარდება და ყველა იმ მოთხოვნას პასუხობს, რომელსაც თანამედროვე მოდა კარნახობს. ამ მეთოდით ყოველწლიურად, სკოლა-სტუდიის 150-ზე მეტი მოსწავლე იღებს საფუძვლიან განათლებას, რომლის შედეგად, მათ ეძლევათ შანსი, საკუთარი შესაძლებლობები და სააგენტო „ნატალის“ მთავარი სავიზიტო ბარათი — შარმი წარმოაჩინონ არა მხოლოდ ქართულ, არამედ დასავლურ სამოდელო ბიზნესშიც.

„აქ გვასწავლიან, თუ სად და როგორ უნდა მოიქცეს ქალი“

მარეხ ჭონიშვილი

როგორც კი შოუს დაწყება გამოაცხადეს, ბავშვების უმრავლესობამ პირჯვარი გადაიწერა. ეტყობოდათ, რომ ღელავდნენ. მაგრამ სულ ტყუილად, რადგან მსახიობ

მზია არაბულის მიერ დადგმულ თეატრალურ სანახაობაში მონაწილეობას მშვენივრად გაართვეს თავი. ვიდრე გოგონები ცეკვავდნენ, სააგენტო „ნატალის“ ხელმძღვანელს, ნატა სამადაშვილს გავესაუბრე.

— ჩვენ ვზრუნავთ იმაზე, რომ ეს ბავშვები ლაღები, გახსნილები იყვნენ და საკუთარი შესაძლებლობები უკეთ წარმოაჩინონ. ყველაფერი, რასაც ახლა ხედავთ (ცეკვა, პოდიუმზე სიარული), გოგონებს ეხმარება იმაში, რომ ჰქონდეთ კარგი აღნაგობა და დახვეწილი მანერები.

პოდიუმზე გამოსულ გოგონებს მათი მშობლები, ახლობლები ტაშითა და შეძახილებით ამხნევებდნენ. მშობლების გარდა, სააგენტოს ის მოდელებიც შევნიშნე, რომლებმაც წარმატებას უკვე მიაღწიეს.

თიკო ნატროშვილი:

— დღეს 100-მდე ბავშვმა გაიარა პოდიუმზე. მართალია, ამ გოგონებიდან ყველა მოდელი ვერ გახდება, მაგრამ აქ მიღებული ცოდნა მათ ცხოვრების გზის გაკვალვაში დაეხმარება, ხოლო ისინი, ვისაც სურვილი აქვთ და გარეგნობაც ხელს უწყობს, სამოდელო სააგენტო „ნატალის“ მოდელები გახდებიან.

ნინო ცქიტიშვილი:

— ლამაზი საღამოა. გოგონებიც ძალიან დახვეწილები და გრაციოზულები არიან. მინდა, მათ წარმატება ვუსურვო!

გოგონების უმრავლესობას მოდელობა ჯერჯერობით არ გადაუწყვეტია, მაგრამ დარწმუნებულია, რომ სკოლა-სტუდიაში მიღებული ცოდნა ბევრ რამეში გამოადგება.

ხათუნა ტყეშელაშვილი, *10 წლის:*

— სამოდელო სააგენტო „ნატალიში“ მოხვედრა ჩემი ოცნება იყო. მშობლებმა ეს ოცნება ამისრულეს და უკვე 6 თვეა, აქ ვარ. მომწონს „ნატალის“ ცნობილი მოდელები: თიკო ნატროშვილი, თიკა ფაცაცია, კრისტი, ლალი ტოტიკაშვილი. სკოლა-სტუდიაში ბევრ რამეს გვასწავლიან — მეტყველებას, ცეკვას, სიარულს.

— **მოდელობას აპირებ?**

— არა, მე მსახიობი უნდა გამოვიდე.

გვანცა ნალიბაიძე:

— შოუს დაწყების წინ ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ ახლა ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. არაფერი შემშლია.

— **მოდელობას არც შენ აპირებ?**

— ერთი წელია, რაც სტუდიაში მოვედი; მოდელობას ნამდვილად არ ვაპირებ, მაგრამ აქ ბევრ ისეთ რამეს გვასწავლიან, რაც ცხოვრებაში გამომადგება. აქ ვსწავლობთ ლამაზად სიარულს, მეტყველებას და იმას, თუ როგორ უნდა დაიჭიროს ქალმა თავი საზოგადოებაში.

მარი ჩოხაძე, *15 წლის:*

— 2 წელია, რაც „ნატალიში“ დავდივარ. აქ სწავლა ძალიან მომწონს. მინდა, მოდელი გამოვიდე, „ნატალი“ კი ის სააგენტოა, რომელიც ოცნების ასრულებაში დამეხმარება.

შოუ ნახევარი საათი გაგრძელდა. დასასრულ, სამოდელო სააგენტოს ხელმძღვანელი ნატა სამადაშვილი სცენაზე ავიდა, ბავშვებთან ერთად იცეკვა და ბოლოს, მათ წარმატებებები უსურვა.

ქაქუცასა და „შეფიცულების“ მფარველ თამაზაშვილთა ცხოვრება

ბოლშევიკური რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის 17 მარტს, ბათუმიდან ზღვაში გავიდა იტალიური გემი, რომელზეც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და პარლამენტის წევრები იმყოფებოდნენ. იმ დღეს ქაქუცა ჩოლოყაშვილიც ბათუმში იყო, მაგრამ გემს არ გაჰყოლია; ის თბილისში დაბრუნდა. ცოტა ხანში კი „შეფიცულთა რაზმი“ ჩამოაყალიბა და საქართველოს განმათავისუფლებელ პარტიზანულ მოძრაობას ჩაუდგა სათავეში.

წრეში – ვასილ თამაზაშვილი და ქაქუცა ჩოლოყაშვილი

„როცა წამოვიზარდე, მივხვდი, რომ ქაიხოსრო გმირი იყო“

ემა ტუხიაშვილი

ფშავ-ხევსურეთის აჯანყების შემდეგ, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა კახეთს შეაფარა თავი და 2 თვის განმავლობაში სოფელ ქვემო მაჩხაანში, ვასილ თამაზაშვილის ოჯახში ცხოვრობდა. კახეთში დღესაც დგას ის სახლი, სადაც ქართველი ოფიცერი ბოლშევიკებს ემალებოდა. ქაქუცას მაშინდელი მასპინძლის, ვასილ თამაზაშვილის ვაჟმა კი, რომელიც ახლა 85 წლის არის, ისტორიას „შეფიცულების“ უნიკალური ფოტო შემოუნახა და საკუთარი სურვილით, ეს სურათი შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივს გადასცა.

2 წლის ვიყავი, ამიტომ ეს ამბავი დედაჩემისგან ვიცი

ელიზბარ თამაზაშვილი, *ვასილ თამაზაშვილის ვაჟი:*

— როდესაც ქაქუცა ჩოლოყაშვილი, თავის რაზმთან ერთად, ფშავ-ხევსურეთიდან კახეთში გამოიქცა, თავშესაფარი სჭირდებოდა. მენშევიკების დროს მამაჩემი სამხედროების მომმარაგებლად მუშაობდა, გამოჩენილი კაცი იყო და ყველა იცნობდა. „შეფიცულებს“ ჩოლოყაშვილისთვის უთქვამთ: ვასილ თამაზაშვილი შეგვიფარებსო. იმ დროს მამა ბიძის დაკრძალვაზე თელავში ყოფილა წასული და სწორედ იქ მისულა ქაქუცა ჩოლოყაშვილი; ერთმანეთი გაუცნიათ, ძმობა შეუფიცავთ და მამასაც ქაქუცა შინ წაუყვანია. ჩოლოყაშვილი, თავის რაზმელებთან ერთად, 2 თვე ცხოვრობდა ჩვენს სახლში. მაშინ მე მხოლოდ 2 წლის ვიყავი, ამიტომ ეს ამბავი დედაჩემისგან ვიცი. დედა იხსენებდა: ყოველდღე ჩვენთან 30 კაცზე იშლებოდა სუფრა, გათენებამდე საუბრობდნენ და ბჭობდნენ ქვეყნის მომავალზეო. დედას მამაჩემისთვის უთხოვია, დახსნოდა ჩოლოყაშვილსა და მის რაზმელებს, — შვილები გვყავს გასაზრდელიო, — მაგრამ მამას უარი უთქვამს: რას ამბობ, შენ არ იცი, ამ მთავრობის ხელში რა გველოდება, კოლექტივიზაცია უნდა მოხდეს, საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდება ხალხიო. მამაჩემი არათუ არ ჩამოშორდა ქაქუცა ჩოლოყაშვილს, არამედ მასთან ერთად ტყეში გაიხიზნა. ქაქუცა და მისი „შეფიცულთა რაზმი“ კარგა ხანს უზუნდარის ტყეს აფარებდნენ თავს. ფოტო, რომელიც ჩვენს ოჯახში მრავალი წლის განმავლობაში ინახებოდა, სწორედ იქ არის გადაღებული.

— როგორც ვიცით, ბოლშევიკებმა მამათქვენი დააპატიმრეს და შემდეგ დახვრიტეს. როგორ მიაგნეს ვასილ თამაზაშვილს?

— როდესაც ჩოლოყაშვილი თავის რაზმთან ერთად, საზღვარგარეთ გაემგზავრა, მამა ტყეში დარჩა. ის მარტო არ ყოფილა, მასთან ერთად ის „შეფიცულებიც“ იყვნენ, ვინც არ გაჰყვა ქაქუცას უცხოეთში. ბოლშევიკურმა მთავრობამ მათზე განსაკუთრებული ნადირობა გამოაცხადა. მდევრები კახეთის ყველა კუთხე-კუნჭულში ეძებდნენ „შეფიცულს“. ერთხელაც, ტყესთან, გაქცეულებსა და მილიციელებს შორის სროლა ატყდა. ვიღაცას იქ მამაჩემის ძმა, 16 წლის ტრიფონი უნახავს და დაუბეზღებია: შეტაკების ადგილას ყაჩაღ ვასილ თამაზაშვილის ძმაც იყოო. მეორე დღეს ბიძაჩემი ბურთის სათამაშოდ ყოფილა წასული და იქ მისდგომიან ბოლშევიკები, ცხენის ძუაზე გამოუბამთ და ასე, წამებით მოუკლავთ ტრიფონი. სად დამარხეს, ისიც ვერავინ გაიგო... ტყეში გაჭრილებს კი, ვერაფერი რომ ვერ მოუხერხეს, წერილს წერილზე უგზავნიდნენ: გამოდით, შევრიგდეთო. მამა მართლაც, გამოსულა ტყიდან და 2 ღამე სახლში გაუთევია. მესამე დღეს დალაქთან წვერს იპარსავდა, როდესაც ალყაში მოაქციეს და დააპატიმრეს. წინააღმდეგობა არ გაუწევია. ერთი კი უთქვამს: მცირეწლოვანი შვილები არ მყავდეს, თქვენ გიჩვენებდით სეირსო!.. იმ ღამესვე დახვრიტეს თურმე. მაშინ მამა სულ რაღაც 25 წლის ყოფილა. მისი ცხედარი ჯერ ხევში გადაუგდიათ, მერე კი იქვე დაუმარხავთ. ოჯახს არ მისცეს მიცვალებულის დაკრძალვის უფლება.

— რატომ არ წაჰყვა მამათქვენი ქაქუცა ჩოლოყაშვილს საზღვარგარეთ?

— თავიდან, ისიც აპირებდა თურმე

სახლი, რომელსაც ქაქუცა ჩოლოყაშვილი ორი თვე თავს აფარებდა

წასვლას, მაგრამ მერე გადაუფიქრებია და უთქვამს: რომ წავიდე, ცოლ-შვილს დამიხოცავენო...

— მისი დაღუპვის შემდეგ თქვენი ოჯახი რა მდგომარეობაში აღმოჩნდა?

— მამაჩემის სიკვდილის შემდეგ, რაც კი ქონება გვქონდა, ყველაფერი ჩამოგვართვეს. ერთი ხელი ლოგინი დაგვიტოვეს მხოლოდ: სამივეს გეყოფათო... გაუსაძლის ყოფაში ვცხოვრობდით. დედას უფლება არ ჰქონდა, სახლის კარი ჩაეკეტა, რათა ხელისუფლების წარმომადგენლებს ნებისმიერ დროს შესძლებოდათ ჩვენი შემოწმება. დროდადრო დედა მიჰყავდათ და ერთი-ორი კვირა პატიმრობაში ჰყავდათ. მაშინ ძუძუზე ვიყავი და ერთხელ, დედასთან ერთად, თურმე საპყრობილეში მეც წავუყვანივარ. რამდენიმე კვირის განმავლობაში მეტეხის ციხეში ვყოფილვართ გამომწყვდეულები.

— მეზობლები ან ნათესავები როგორ გექცეოდნენ? თუ გეხმარებოდათ ვინმე?

— ისეთი დრო იყო, ხმას ვინ ამოიღებდა ან შიშით ვინ გამოგვესარჩლებოდა?!. ამის გამო ხალხს იჭერდნენ, ხვრეტდნენ. წლების შემდეგაც ჩემს შვილებს სოფელში პატეფონის ჩართვის უფლება არ ჰქონდათ, რადგან ვასილ თამაზაშვილის შთამომავლები იყვნენ. ისიც მახსოვს, ჩემზე რომ ამბობდნენ, ყაჩაღის შვილიაო! — თითქოს მამაჩემი ხალხს ძარცვავდა... რა თქმა უნდა, ამ ხმებს ბოლშევიკები ავრცელებდნენ. სინამდვილეში, მამას თავის სიცოცხლეში არც არავინ გაუძარცვავს და არც არაფერი მოუპარავს. პირიქით, გაჭირვებულ ხალხს ინახავდა და ეხმარებოდა. სხვებისგან გამიგონია, რომ მამაჩემის დახვრეტის შემდეგ, სიღნაღში კრება გაუმართავთ; კრებაზე ერთი კაცი გამოსულა სიტყვით და უთქვამს: აფსუსი არ არის, ამისთანა ვაჟკაცი — ვასო თამაზაშვილი დახვრიტეს და მე ცოცხალი ვიყოო?!. ხალხს ძალიან უყვარდა მამა და მის დაღუპვას მთელი სოფელი გლოვობდა. როცა წამოვიზარდე, ხალხისგან ერთი ამბავიც მოვისმინე. დაპატიმრების შემდეგ მამაჩემი თურმე შინსახკომის შენობაში წაუყვანიათ. ერთი მილიციელისთვის დაუვალებიათ: შენ დახვრიტეო, მაგრამ იმას უარი უთქვამს, — რაც გინდათ, ის მიქენით, მაგრამ მე მაგას ტყვიას ვერ ვესვრიო. მეორე მილიციელს აუღია საკუთარ თავზე ვასილის დასჯა. ეს კაცი მეორე დღეს ლაგოდეხში წასულა. გზად მიმავალს წინ რამდენიმე ცხენოსანი გადასდგომია, ჩამოუსვამთ ცხენიდან და უკითხავთ, — შენ დახვრიტე ვასო თამაზაშვილიო? — და ხანჯლით აუკუწავთ...

— იმ ადამიანებს რა ბედი ეწიათ, ვინც მამათქვენთან ერთად ტყეში იმალებოდა?

— ყველა დახვრიტეს... იმ დღეს, მამაჩემთან ერთად, 4 ადამიანი დააპატიმრეს და დახვრიტეს. დანარჩენებსაც იგივე ბედი ეწიათ.

— თქვით, რომ ყაჩაღის შვილს გეძახდნენ, როდესაც წამოიზარდეთ, კომუნისტები თუ გავიწროებდნენ?

— მეტი რაღა უნდა შევევიწროებინე?!. სამამულო ომის შემდეგ გადამასახლეს. 6 წელი ვიყავი გადასახლებული. იქ დავოჯახდი და შვილებიც იქ შემეძინა. მხოლოდ 6 წლის შემდეგ მომცეს საქართველოში დაბრუნების უფლება. ჩემი ძმა ფრონტზე დაიკარგა, დედა კი 40 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაიცვალა.

— თქვენი ოჯახის ტრაგედია, ფაქტობრივად, ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მამათქვენის გაცნობის შემდეგ დაიწყო. როგორ ფიქრობთ — მამამ სწორი გზა აირჩია?

— მართალია, დედაჩემი ხშირად ადანაშაულებდა ქაქუცა ჩოლოყაშვილს ჩვენს უბედურებაში, მაგრამ როცა წამოვიზარდე, მივხვდი, რომ ქაიხოსრო გმირი იყო და ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის იღვწოდა. ჩოლოყაშვილი და „შეფიცულები“ ნამდვილი გმირები იყვნენ. ლაჩარი იმას ვერ გააკეთებდა, რასაც ისინი

„შეფიცულები“

აკეთებდნენ. მამაჩემიც მათ რიგში იყო და ამიტომაც, ყოველთვის მეამაყებოდა, რომ ვასილ თამაზაშვილის შვილი ვიყავი... გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ მთავაზობდნენ: კომუნისტურ პარტიაში შემოდი, სამსახურშიც უფრო იოლად მოეწყობი და ცხოვრებაც გაგიადვილდებაო, მაგრამ უარი ვთქვი. როგორ შეიძლებოდა, იმ პარტიის წევრი გავმხდარიყავი, რომლის წინააღმდეგ ბრძოლასაც მამაჩემის სიცოცხლე შეეწირა?!.

მომზადებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟურნალ „საარქივო მოამბის“ მიხედვით, ავტორი — ნინო ყიფშიძე.

■

ვაქა გიგაშვილი

დასაწყისი იხ. „გზა“ №18-27

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

— მაშ არ იცოდა, კაცო, რო მაგისი ფესვი და ძირი ნაშინდარია? — იკითხა ერთმა ბებერმა გლეხმა, მწარე პეტრედ წოდებულმა.

— როგორ არ იცოდა, კაცო! — თქვა ზურია გამგებელმა. — იცოდა, იგრე, ზღაპრადა, რა! პაპამისისაგან ზღაპრად მონაყოლი! პაპამისიც ხო აქედან ახალფეხადგმული ბალღი წაუყვანიათ და აბა, რა ეხსომებოდა! ერთი პირობა, ჩრდილო კავკასიაშიაც უცხოვრიათ. არ იცი, რა დრო იყო?

— რა დრო იყო?! — ჩაერთო კოხტად მოყვანილი, ძარღვიანი ახალგაზრდა გოდერძი. — ეგეთი რა იყო, რო თავისი ნაფუძარი ერთხელ ისე, თვალით მაინც დაენახათ? რა მოხდებოდა ვითამ?!

— ეეჰ, შვილოსა, — უპასუხა ზურიამ, — ეხლა ჩვენა, ახლები, ვეღარც კი ვიგებთ, რა იყო და როგორ! მალავდნენ, კაცო! ეშინოდათ ხსენებისა! ისეთს იკავებდნენ, ვითამ არც არაფერი გაეგებოდათ თავისი საგვარეულოსი! ეშინოდათ, ვინმეს არ გაახსენდეს, რო თავადები ვიყავითო!

— რა ვიცი, ეხლა კი ყველა თავადობასა და აზნაურობას იჩემებს და... ეგრე რო მიჰყვე, გამოდის, რო გლეხობა არც არავინა ყოფილა. მა, ეს გლეხობა სადღა იყო, ჰა, ზურაბო? თუ არცა ყოფილა?

— დაწყნარდი! მაშ, ჩვენ ვინა ვართ? მაგრამ ჩვენა ეხლა აშვებულები ვართ. მაშინ კიდე მაგის პაპას სადღაც რაიკომის მდივნადაც უმუშავნია და აბა, გიჟი ხო არ იყო, დასცდენოდა, თავადების ნაშიერი ვარ და ჩემი პაპები სოფლებისა და ტყე-მინდვრების პატრონები იყვნენო.

— ვეღარ გავიგე! — დაიძახა მეორე ახალგაზრდამ, კობამ. — რაიკომის მდივანიო, თავადიო, ბიზნესმენიო! ყველაფერი ეგენი როგორ იყვნენ, ვერ გავიგე?!

— ნუ აიბურდე, ბიჭო! — დაუძახა მესამემ, ნიკომ. — ჩვენ ეგ კაცი გვაინტერესებს — საზღვარგარეთ ნავალი, გამობრძმედილი, მილიონის მშოვნელი. მაგისთანებს „ახალ ქართველებს“ ეძახიან.

— ჰოდა, ვენაცვალე „ახალ ქართველს“, შოვნის შნო რომა აქვს და სხვასაც აშოვნინებს! — დაიძახა შუახნის თედომ.

მწარე პეტრემ სიტყვა ჩააკერა:

— ძალიანაც ნუ გაახურებთ წინდაწინ! თეთრი და შავი აბანოში გამოჩნდებაო! ვნახოთ, კაცო, ჯერ კაცი ვნახოთ, საქმე ვნახოთ და მერე ილაპარაკეთ!

— მე ნანახი მყავს და აგე, მოვა და თქვენც ნახეთ. ვინ დაგიშალათ? — ნაწყენივითა თქვა გამგებელმა.

— კაცო, მე განა რამე, — შეეპასუხა მწარე, — იმიტომ ვამბობ, რომა მე ჭურში კი არა ვზივარ! ქალაქში რო დავდივარ, განა ცოტა რამეს ვიგებ? ვიცი რო, ეგა რითი გამდიდრდა? ზოგი კონტრაბანდითაო, ზოგი წამლითაო, ზოგი აფხაზეთში მოტაცებულითაო. რას გაიგებ?!

— ამან კიდევ, თუ არ წაამწარა, ხომ არ შეუძლია! — თქვა ხმელმა მოხუცმა ნინიკამ, სკოლის დირექტორმა და მასწავლებელმა.

— მწარეა და წაამწარებს, მა რას იზამს! მაგიტომა ჰქვია მწარე პეტრე! ეგეთი ჯიშისაა, — თქვა თედომ.

წინ გამოვიდა ერთი შავი, ჯოხივით გამხმარი კაცი, მუგუზლებივით თვალებიანი — შავი კოტე. მხიარულად და გესლიანად ჩაეკითხა მწარე პეტრეს:

— მაიცა, მწარევ! ვთქვათ, სუ ნაყაჩაღევი აქვს, რაცა აქვს. შენ რა კუჭი გეწვის? გზა თუ აგიშენა და სიკეთე გაგიკეთა, რა, გაწყენს, გემწარება?!

— მე თუ მწარე ვაარ, შენ კიდე შავი ხაარ! შენთვინ შავი და თეთრი სულერთია! მოპარული ცხვრის მწვადსა და ალალი მასპინძლის დაკლულისას, შენთვინ ერთი გემო აქვს!

— ვაა, მამა გიცხონდა! მაშ რაა? ვითამ გემოზე შაეტყობა? რომელიც უფრო მსუქანი გამოდგება, იმისი მწვადი აჯობებს. ეგ არი და ეგა!

— მაშ შენა, პეტა, — დაიწყო ისევ გამგებელმა, — გაგებულობას რომ იქადნი, მაშ კონტრაბანდისტისა და ყაჩაღის გარდა მილიონერი არ გაგიგია? კომუნისტების დროს არ იყავ კომუნისტი და ეხლა რაღა ღმერთი გიწყრება, კომუნისტივით რომა ბჭობ. მაშ, შენი ჭკუით, კაცი თუ მდიდარია, უეჭველად ყაჩაღია?

ჩაერთო გოდერძი:

— კარგი საქმის გამკეთებელი კაცი უნდა მდიდრდებოდეს, ეგაა ქვეყნის კანონი! აგე, მთელი ამერიკა ეგეთმა ხალხმა ააშენა და გაამდიდრა!

— ნეტა რას მამაწექით ტყუილუბრალოდ? გაგებული რო ვაარ, განა ეგეც აღარა მაქვ გაგებული? აგე, ერთზედა ამბობენ, გვარი აღარა მახსოვს, თავისი სოფელი ხო ააშენა და დაასახლა, ათასობით კაცი სამუშაოზედა ჰყავ და კაი ჯამაგირზედაო. იმ ათასებსა კიდე ათი ათასი ოჯახი ხო ჰყავს? რამოდენა სიკეთეა?! განა არ ვიცი! კაცო, მე გეუბნებით, გარჩევა უნდა-მეთქი, გარჩევა! მწარე რო ვაარ, განა სუ ბოლომდეც მწარე ვარ?

შავი კოტე ხელდახელ პირში ეცვა:

— ვააჰ! მაშ ბოლოსაკენ ტკბილდები?! კენწეროში გატკბილდებისო, გამიგონია და ძირისაკენ გატკბილება შენზედ გავიგე!

— ნეტა შენ რაღა გალაპარაკებს! არც მწარე ხარ და არც ტკბილი. შენ საცა გინდა გიკბიჩოს კაცმა, ნახშირი და ნაცარი შარჩება გემოზე! — მოიგერია მწარემ.

შავ კოტეს მუგუზალი თვალები გაუმხიარულდა, ჩაშავებულ-ჩაფცქვნილი კბილები გამოაჩინა:

— როდის მიკბიჩე, რო?

გოდერძის გაეცინა:

— შენი კბეჩისა რა ვთქვი! კაცი თუ მოგეკარა, იგეთი ნატისუსალი დასცემს ცხვირშია, რო საით გაიქცეს, ვერ გააგნებს!

ახალგაზრდებმა სიცილი დააყარეს. ყველა გამხიარულდა. იხტიბარი არ გაიტეხა შავმა კოტემ, თვალები დააბრიალა და ომახ-

იანად დაიძახა:

— ჰოდა, დააყეთ! ვერ მიეკარებით შავ კოტესა!

— მაშ, კაცო, პირდაპირ! სუ შენ მოკარებაზეა გამეცადინებული ნაშინდარის ქალი და კაცი, მაშა! — დაუმატა გოდერძიმ და ისევ ატყდა ხორხოცი. ამ დროს აქოშინებული მოვარდა რვა-ცხრა წლის ბიჭი ნინიკასთან და ქსიტინ-ქსიტინით უჩურჩულა:

— მასწავლებელო, მოდიან!

ნინიკა წელში გაიმართა და გაეცინა. გაეცინათ გოდერძისა და ნიკოსაც.

— აბა, ეგ რა საჩურჩულო საიდუმლო იყო? — თქვა ნინიკამ.

— ნინიკა მასწავლებლის დაზვერვამ აჯობა ზურია გამგებლის დაზვერვასა! — იცინოდნენ ახალგაზრდები.

უკვე მთელი გუნდი მოქროდა ბავშვებისა ყვირილ-ყვირილით:

— მოდიან! მოდიან!

მოედანზე შემომავალ ოღროჩოღრო გზაზე ორი ჯიპი გამოჩნდა, წინ — მაჟორიტარი დეპუტატი თორნიკეს „პაჯერო“, მიდევნებით — ნოდარის „ჩეროკი“. გადმოვიდნენ სტუმრები: თორნიკეს თანმხლები სრულიად გაურკვეველი სამი პიროვნება და „ჩეროკიდან“ — თავად ნოდარი, გივი, იორამი და ჯოტო.

შეგებებები, ხელის ჩამორთმევები, თავის ქნევები, ღიმილები — შიგადაშიგ უადგილოდ აღფრთოვანებულ-ეგზალტირებულიც. ამას მყისიერად აფიქსირებდა ნოდარის ინსტინქტი, აფიქსირებდა დასაყრდენებს. ჰაერში კი ტრიალებდა თითქოს აუცილებელი, მაგრამ სინამდვილეში არაფრის მომტანი, ზერელე ფრაზების ნაწყვეტები.

— დიდი სოფელია, დიდი, — თორნიკე.

— ათას ორასამდე კომლია, — გამგებლის დასტური.

— პრობლემები...

— იმოდენა ბაღები აქვთ, მაგრამ...

— გასაღება... გასაღების პრობლემა.

— ასობით ტონა ხილი ლპება ყოველ წელიწადს. ყველანაირი...

— ერთი კონსერვის ფაბრიკა.

— მაშინ გზასაც თვითონ მოვუვლიდით.

— სკოლაშიაც ბალღები ვეღარ ეტევიან, ერთმანეთს ასხედან.

— მოგატარებთ! ყველაფერსაც გაჩვენებთ, თუკი დაგაინტერესებთ.

— მაშ, აბა როგორ! — წამოიძახა ნოდარმა და დაამატა: — ოღონდ მანამდე... — მოათვალიერა გარშემო მოჯარული ბალღაუჭობა. ყველაზე თამამნი შიგ უფროსობაში გარეულიყვნენ და ფეხებში ედებოდნენ. ნოდარმა ერთი-ორ გოგო-ბიჭს კეფაზე ხელი წაუთათუნა და გააგრძელა. — ჯერ ამ ჩემს „სახლიკაცებს“ დავურიგო რამერუმეები! მაშ, ძია ნოდარი ხელცარიელი ხო არ მოვიდოდა ამათთან! ჯოტო!

ჯოტომ და თორნიკეს მძღოლმა სხვადასხვანაირი ყუთი გადმოალაგეს „ჩეროკიდან“, დაუწყეს დახსნა. ნოდარმა ბავშვებს ხელი დაუქნია:

— აბა, მოდით! ჯიკაობა და ტაციობა არ იყოს! ყველას გეყოფათ!

ბავშვების გუნდები სწრაფად იტვირთებოდნენ „თოი-ბოქსების“, „სნიკერსების“, „ბაუნტებისა“ და სხვა კანფეტების პაკეტებით, საჭყვიტინოებით, სატკაცუნოებით, ფერადი გასაბერი ბუშტებით, სხვადასხვა ფერის, სხვადასხვაწარწერიანი პატარა კეპიანი ქუდებითა და სხვა ხარახურით. დიდი ჟრიამული იდგა, — მორგება-გარჩევა-გემოზე გასინჯვა საჩუქრებისა.

— ახლა ჩვენც დავიძრათ! — თქვა ნოდარმა.

ზურაბმა გამგეობასთან მდგარ თავის დაფეხვილ „ნივას“ ანიშნა, მოდიო. ჯიპების შოფრებმაც გაიწიეს მანქანებისაკენ, მაგრამ ნოდარმა ხელი აუქნია.

— ფეხით გავიაროთ, კაცო! არ გვინდა მანქანები. გავიხედ-გამოვიხედოთ.

ფეხით დაუყვნენ სოფლის გზას. ჯგუფებად მიჰყვებოდნენ აქაურები. ყორეებზე დედაკაცები გადმომდგარიყვნენ. გზადაგზა იღებოდა ჭიშკრები, გამოდიოდნენ მისასალმებლად. ზოგი თანასოფლელთა ჯგუფს უერთდებოდა და თან მისდევდა. უფროსებს უკან მოსდევდა ბალღების აფერადებული გუნდი — გაბერილი ბუშტებით, თავზე ჩამოფხატებული კეპებით, კანფეტის ნაფცქვენების აქეთ-იქით ფრიალით, საჭყვიტინოების ჭყვიტინით, სატკაცუნოების ტკაცატკუცით. პროცესიას ბოლოში ტაატით მოჰყვებოდა ორი ჯიპი და მათ უკან — გამგებლის „ნივაც“.

ასე შემოიარეს სოფლის ორი-სამი უბანი და ძველ „სათავადოსაც“ მიადგნენ. ძველებურადვე იდგა ალაყაფის ქვითკირის ზღუდარი და თაღი, თავად ჭიშკარი კი აღარ იყო. პროცესია ღია თაღში შეილალა.

— ესეც თქვენი წინაპრების სახლ-კარი, ბატონო ნოდარ! — თქვა ზურაბმა.

— მე, როგორც ვიცი, ბატონო ნოდარ, თქვენი პაპა სულ თოთო ბალღი წაუყვანიათ აქედან. მაშინ მე ჯერ არც ვიყავ დაბადებული, — ჩაიღიმა ნინიკა მასწავლებელმა, — მემრე კი თქვენი გვარისა აღარც არავინა ყოფილა აქა.

ნოდარი ჩუმად იდგა ერთ ადგილას, ჩაფიქრებული ათვალიერებდა გარემოს. თითქოს გულაჩუყებულიც იყო. ერთი წუთი ყველანი ჩუმად იდგნენ და შესცქეროდნენ ნოდარს, თითქოს რაღაც დრამატულ ჟესტს ან სიტყვას მოელოდნენ მისგან. მერე ნინიკა მასწავლებელმა წაჰკვესა სიტყვა:

— სამი თაობის შემდეგ! აგე, ეხლა თქვენა.

ნოდარმა აღარ დაამთავრებინა, ხელი აიქნია, ამოძრავდა.

— ჰოო! აბა, ვნახოთ, ვნახოთ! ჯერ კოშკი, ჯერ კოშკი ვნახოთ!

კოშკისაკენ გაიქნია ხელი და იქით გაემართა. მიჰყვნენ დანარჩენებიც.

— ზემოთ აპირებთ ასვლას? — ცოტა არ იყოს, შეშფოთებით იკითხა ზურაბმა, — კიბე კი ქვისაა, მაგრამ სახურავი ჩაქცეულია და საცა შერჩენილია, იქაც დაბიჯება სარისკოა.

— ვსინჯოთ, ვსინჯოთ! — თქვა ნოდარმა. — ერთი ზემოდან გახედ-გამოხედვა მინდა!

ზევით მხოლოდ ხუთნი ავიდნენ: ნოდარი, იორამი, გივი, ნინიკა და ზურაბი. წკიპად გაიარეს მყარად შერჩენილ სქელ თავხეებზე და ნახევრად მონგრეულ სათოფურებს გადაადგნენ. თვალწინ ფართოდ გადაიშალა შიდა ქართლის ლანდშაფტი. ჩუმად ათვალიერებდნენ. მხოლოდ გამგებელი ზურაბი განაგრძობდა ახსნა-განმარტებებს. აჩვენებდა სოფლის სავარგულებს, საით — სახნავ-სათესი იყო და საით — სათიბები, სად კიდევ — ბაღ-ვენახები. ნოდარი თავს აქეთ-იქით ატრიალებდა და უცებ თვალში მოხვდა ეზოს შორეულ ბოლოში ამომავალი თეთრი კვამლი, დაინახა უზარმაზარი კაკლების ხეივანში მოფუსფუსე ადამიანები. ორი-სამი მამაკაცი გრძლად დანთებულ ცეცხლს უტრიალებდა, შეშას უკეთებდა, ზედადგარებზე შემომდგარ დიდ ქვაბებში ჩამჩებს ურევდა. ნოდარს ფიქრი იქით გაექცა: „სუფრის სამზადისია. ხარშავენ. ხაშლამა? ჩაქაფული? ბოზბაში? თიკანი რძეში? იქნება ერთიც, მეორეცა და მესამეც? ვითომ რატომაც არა, რო... — უცებ მზერა დაეძაბა და აენთო, — ბიჭოს! აგე ისიც!“ — კინაღამ ხმამაღლა წამოსცდა. კაკლების ხეივანში გრძელი სეფა იყო ფიცრებით გამართული, გარშემო ქალები ფუსფუსებდნენ, ფიცრებზე თეთრ სუფრებს აგებდნენ, ხის ყუთე-

ბიდან ამოღებულ თეფშებსა და მათლაფებს ალაგებდნენ. ამ ქალებში ერია ის ტანკენარი, გრძელთმიანი ყმაწვილი ქალი, პირველი დაზვერვისას თვალში რომ მოხვდა და დურბინდში ათვალიერა. ახლაც წამსვე გამოარჩია სხვა ქალებში. არც შეიძლებოდა, არ გამოგერჩია, ელდასავით მოქმედებდა მისი გრაცია და ხიბლი. თვალს ვეღარ სწყვეტდა მის მოძრაობას.

გივის მუჯლუგუნმა მოახედა და სწორედ დროზე. ლანდშაფტის ახსნის ეშხში შესული ნინიკა სწორედ ნოდარს მიმართავდა:

— აგე, მარჯვნივ სურამის ქედია, პირდაპირ — თრიალეთი. იქით, შორეთში, აგეე, სურამის ქედის გაყოლებაზე, გურიის მთებიცა ჭიატობს. აი, ესაა ქართლის გული!

ნინიკა მიაჩერდა ნოდარს მოხდენილი შთაბეჭდილების შესამოწმებლად და განაგრძო:

— მაგრამ მოგეხსენებათ, მხოლოდ ხედებით თვალსასეიროდ არ შენდებოდა ეგეთი კოშკები. სამხედრო დანიშნულება! აი, რა მანძილზე იხედება გარშემო ტერიტორია! ეხლა უდურბინდოდ ვერ ირჩევა და... ყოველი ხეობის კუთხეშია ეგეთი კოშკები, ზოგი — უკვე დანგრეულიც, მაგრამ...

ნოდარმა გააწყვეტინა:

— ჰო, ეგ ცნობილია! სასიგნალო სისტემა! კოცონებით! მაშ, აბა როგორ!

კოშკიდან ჩამოსულები ახლა პატარა კარის ეკლესიისაკენ გაემართნენ. უკან მიჰყვნენ კოშკის ძირას მომლოდინე დანარჩენებიც.

ეკლესიას ერთი აბსიდა სანახევროდ ჩამონგრეოდა, ღიობში შიდა კედლები ჩანდა, მაგრამ კარი მაინც ბოქლომით იყო ჩაკეტილი. ნინიკა წინ წავიდა და ბოქლომი გასაღებით გააღო.

— დიდი ხანია, ამ აბსიდას ბზარი დაჰყვებოდა და ამ ათი წლის წინ მიწისძვრამ ჩამანგრია, — მობოდიშებასავით თქვა ნინიკამ.

— ჯოტო! — დაიძახა ნოდარმა და მანქანისაკენ ანიშნა. ჯოტომ მსხვილი კელაპტრების მოზრდილი შეკვრა მოიტანა.

— მღვდელი არა გყავთ? — იკითხა ნოდარმა.

— აბა საიდან? ეკლესია აღსადგენია და... — თქვა ზურაბმა.

— ჩემი პაპის მამა ყოფილა აქა მღვდლად, როცა ბოლშევიკები შემოვიდნენ. მერე აღარც მღვდელი ყოფილა აქა და აღარც წირვა, — თქვა ნინიკამ.

— ბარემ ისიც უთხარ, რო ბოლშევიკებს გაუპარსავთ შენი პეპერა. ეხლაც „გაპარსულ ღვდლიანთას“ ეძახიან მაგათ ძველები! — ჩამოკაკლა მწარე პეტრემ.

— ჰოო! გაუპარსავთ და გაუპარსავთ! რა ვქნა ეხლა?! — თქვა ნაწყენმა ნინიკამ.

— ღრმა მოხუცი ბევრი გყავთ? — დაინტერესდა იორამი.

— არიან. სამი-ოთხია შემორჩენილი, წითლების მოსვლისას რო ბალღები ყოფილან... აი, თუნდაც ბიძაჩემი გაბო. ოთხმოცდაშვიდისაა... — უპასუხა ნინიკამ.

— ძველი ამბები თუ ახსოვს? — ჰკითხა ისევ იორამმა.

— ჰო, უყვარს რაღაცების გახსენება, ოღონდ... — გაიცინა ნინიკამ. — ოღონდ, ერთი და იმავე ამბავს ხან ასე მოჰყვება და ხან ისე.

ნოდარმა კელაპტრები დაურიგა თანმხლებთ, თავისას სანთებელათი მოუკიდა და პირჯვრისწერით შევიდა ეკლესიაში, საკურთხევლის წინ დადგა. იდგა და რაღაცას ბუტბუტებდა თავისთვის, ხშირ-ხშირად იწერდა პირჯვარს. სხვა ყველანიც იდგნენ ანთებული კელაპტრებით, ჩუმად. ნაშინდრელები ინტერესით მისჩერებოდნენ ნოდარს.

მერე ნოდარი შემობრუნდა და თქვა:

— ეს ეკლესია აღსადგენია! ჰა, რას იტყვით?

გამგებელმა უმწეოდ და დაბნეულად გაშალა ხელები, მაგრამ ნოდარმა თქმა არ დააცალა და იკითხა:

— ხელოსანი ხალხი თუ გყავთ?

თედო, პეტრე, ნინიკა და სხვებიც ერთად ალაპარაკდნენ:

— მაშ, კაცო, მა სოფელი ისე როგორ იქნება!

— იგრე, ცოტ-ცოტა ყველას გვეხერხება.

— კაი ოსტატებიცა გვყავს, როგორ არა...

— ჰოდა ეგრე! — თქვა ნოდარმა. — მასალა — ჩემი, მუშაობა — თქვენი! ყველანაირ მასალას მოგიზიდავთ და დაგიწყობთ. მერე თქვენ იცით და თქვენმა კაცობამ! ჰაა, როგორი სიტყვაა?!

ისევ ერთად ალაპარაკდნენ:

— კარგი სიტყვაა! ღმერთმა აგაშენოს!

— კარგია, კაცო! მაგას რაღა სჯობია.

— ეგა დიდი კაი საქმეა!

ეზოში გამოსულებმა მიიარ-მოიარეს სხვადასხვა ნაგებობა, ქვითკირის დაბალი და გრძელი მარანიც და ბოლოს მთავარ სახლს მიადგნენ. ქვედა სართულის მასიურ თაღედზე, ერთ-ერთი თაღის თავზე, აბრა იყო მიკრული: „სკოლა. ნაშინდარი“ — ეწერა ზედ.

ნოდარმა ისევ ჯოტოს დაუძახა და ჯოტომ და მეორე მძღოლმა ისევ მოზიდეს მუყაოს ყუთები მანქანებიდან, ამჯერად — წიგნებით, სახელმძღვანელოებით, რვეულებით, კალმისტრებით, რუკებითა და სხვა სასკოლო რამეებით სავსე.

— აბა, ნინიკა მასწავლებელო, ჩაიბარე! — დაუძახა ნოდარმა.

აქეთ-იქით მიმოფანტული ბავშვები, ყუთებით დაინტერესებულნი, ხელდახელ შეგროვდნენ, უფროსებს შორის გაძვრნენ და ზედ ყუთებთან აღმოჩნდნენ.

— აბა, მოუსვით აქედან! — დაუცაცხანა ნინიკამ. — ამათ უყურე! როგორ გაქსუვდნენ ხელდახელ! კლასში მიიღებთ, ვისაც რა გერგებათ, როგორც წესი და რიგია. ესეც სათამაშოები კი არ არი!

ავიდნენ ზედა სართულზე. ორ დიდ ოთახში საკლასო ოთახები მოეწყოთ, სხვა ოთახებში სახურავი ჩაქცეულიყო ან ისეთ დღეში იყო, არ შეისვლებოდა. ერთ-ერთ საკლასოში მარცხენა კუთხე ფიცრებით იყო გადატიხრული და კარს ბოქლომი ედო.

— აქ ჩემი კაბინეტია, ბიბლიოთეკაც აქაა, — თქვა ნინიკამ, ბოქლომი მოხსნა და კარი გააღო, — მობრძანდით!

იორამის გარდა შიგ არავინ შესულა, კარიდან შეიხედეს. იორამმა თაროები მოათვალიერა. სულ საბჭოთა დროის გამოცემები იყო, უმეტესად დაძენძილი, არც ერთი ახალი წიგნი არ ჩანდა. იორამმა შეკითხვა დააპირა, მაგრამ ნინიკამ — თითქოს მიუხვდაო — დაასწრო:

— აქაური სათავადო ბიბლიოთეკიდან ოცდაათამდე წიგნიღაა შემორჩენილი. ძვირფასი წიგნებია და ამ კარადაში მაქვს ცალკე ჩაკეტილი, — კარადასაც პატარა კლიტე შეხსნა და გააღო.

მწყობრად იყო ჩარიგებული ბროკჰაუზ-ეფრონის რამდენიმე ტომი, შილერისა და ბაირონის მდიდრული გამოცემები, გედევანიშვილისეული ილია, ალფრედ ბრემის ტომები, უსპენსკის უზარმაზარი „ბიზანტიის ისტორია“, ბენუას „მსოფლიო მხატვრობის ისტორია“ და სხვა, სულ ძვირფას, სქელ ყდებში ჩასმული. იორამმა უნებურად გაუღიმა ამ წიგნებს, თითქმის ყველა ნაცნობი იყო. ბავშვობაში ოც-ოცჯერ მაინც ექნებოდა თითოეული დათვალიერებული. მისი თხოვნით გადმოუღებდა ხოლმე მამამისი რომელიმეს, მხოლოდ კაბინეტს გარეთ არ ატანდა. დაუდებდა იქვე დაბალ მაგიდაზე, მიუჩოჩებდა დიდ სავარძელს და შიგ ჩამძვრალი პატარა იორამი ათვალიერებდა და ათვალიერებდა მოუბეზრებლად. მის პაწია ტვინში იბადებოდა ამ ილუსტრაციებზე დაფუძნებული უცნაური ისტორიები. იმ დროს ჯერ ხომ კითხვა არ იცოდა.

— როგორც გადმოცემით ვიცი, ძალიან დიდი ბიბლიოთეკა ყოფილა. უზიდნიათ და უზიდნიათ მაშინდელ უფროსობას, ზოგი — გორში, ზოგი — თბილისში, ზოგიც, ალბათ, სახლებში. სკოლის გახსნისას ესღა იყო შერჩენილი, — ამბობდა ნინიკა.

— ბატონო ნინიკა! — თქვა იორამმა, — გაგონილი მაქვს, რომ რაღაც არქივი არსებობდა ამ სახლში. თქვენ თუ იცით რამე ამის შესახებ?

ოთახში ნოდარმა შემოიხედა. „არქივს“ რომ ყური მოჰკრა, შემოვიდა, ნინიკას მიმართა:

— ჩემო ბატონო ნინიკა! წეღან უკვე გაგაცანით ბატონი იორამ შათირიშვილი, ქვეყანაში ცნობილი ისტორიკოსი, პროფესორი. ბატონი იორამი დაინტერესებულია ჩვენი საგვარეულოს ისტორიით. რა თქმა უნდა, მეც ძალიან მაინტერესებს და თუ რამე მასალა და საბუთი არსებობს სადმე, უნდა მივაშველოთ.

ნინიკამ ცოტა დაბნეულად თქვა:

— კარგად არ ვიცი. სხვენზე იყო დიდი გროვები ძველი გაზეთებისა, ქაღალდებისა. არავის მოუკითხავს. არც დასაწვავად მოუცლია ვინმეს.

იორამმა გაიცინა:

— ეგ ძალიან კარგი, რომ დასაწვავად ვერავინ მოიცალა. იქნება შემახედოთ, თუ ასვლა შეიძლება.

სხვენი მაღალი იყო და აჩონჩხილი ხარახურის გროვების მიუხედავად, სიხალვათე იგრძნობოდა. ფრთხილად მიიკვლევდნენ გზას ნინიკა და იორამი. ნინიკამ სხვენის შორეულ ბოლოში გაიყვანა იორამი და კუთხეზე მიუთითა. ერთი პატარა ოთახის მოცულობის კუთხე ნივნივებამდე იყო გატენილი გროვებით. თავიდან იორამი ვერ მიხვდა, რა იმალებოდა მტვრის სქელი ფენის ქვეშ. მერე თანდათან გაარჩია გაზეთების დიდი დასტები, ყავისფერ ქაღალდში გახვეული რაღაც ფუთები, კოლოფები, ქაღალდების შეკვრები. ზედ ავეჯის ნამტვრევებიც იყო მიყრილი. იორამმა სცადა ნამტვრევების გაწევ-გამოწევა, რომ რომელიმე ფუთას მისწვდენოდა, მაგრამ წამსვე მტვრის ისეთი კორიანტელი დადგა, რომ ორივემ სწრაფად უკან დაიხია.

— როგორ შეიძლება, ბატონო იორამ, სულ ამოიგანგლებით! ბიჭებს დავუძახებ ახლავე. გამოვაღებინებ, დავაფერთხინებ! — თქვა ნინიკამ.

— საჩქარო არაფერია! — თქვა იორამმა. — მაშინ ასე ვქნათ, — ეს ორი-სამი დასტა და ფუთა გამომიღონ, გაფერთხონ და მანქანაში ჩააწყონ. თბილისში გავარჩევ, გადავხედავ. იქნებ არც არაფერია ისეთი, რომ ამოსვლად ღირდეს.

რომ ჩამოღამდა, კაკლების ხეივანში გაშლილი სუფრა უკვე ეშხში იყო შესული. მაგიდის თავში ნოდარი, თორნიკე, იორამი, გივი, ზურაბ გამგებელი და ნინიკა მასწავლებელი ისხდნენ, მერე — სხვა სტუმრები და აქაურები, მერე — ქალები და ახალგაზრდობა. სუფრის ბოლოში აქაური მუსიკოსებიც ჩანდნენ დოლით, დუდუკითა და აკორდეონით. ენთო ხეივანში ჩამოკონწიალებული ნათურები. ნინიკა დიდი ყანწით ხელში წამოდგა, მოღიღინე ახალგაზრდობასა და მუსიკოსებს ანიშნა, დამაცადეთო. ეტყობოდა, უკვე კარგად იყო შექეიფიანებული.

— სმენა იყოს და გაგონება! — დაიძახა. — ძმებო! კაი ხალხო! კიდევ ერთხელ მინდა, ერთი კაი რამე ვთქვა! ეხლა სხვანაირადა! დღეგრძელობა დღეგრძელობაა, შეხვედრისაა, მაგრამ კაცის ავან-ჩავანს რომ გაიგებ, მერე სხვაც გაგიჩნდება სათქმელი. მარტო თავადობითა და ბატონიშვილობითა კაცი ვერ შეფასდება. თუ კაცი კაცად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობაო, ხომ ნათქვამია. ჰოდა, ეხლა ვამბობ! ეხლა მოვისმინეთ, მოვუსმინეთ და გავიგეთ: ამ კაცსა, ჩვენს სტუმარსა, თავისი მამა-პაპისა და თავადობის მონაგარი არაფერი უნახავს. თვითონა მარტოკამ, თავისი შნოითა და მარჯვენითა საქმე ნახა, ფეხზე დადგა და კიდევ ბევრი ადამიანიც ფეხზე დააყენა. მოითავადა! დიდი და კარგი საქმის გამკეთებელი კაცი თვითონა ხდება თავადიცა და ბატონიშვილიცა! ჰოდა, ეს ჩვენი სტუმარი ა ეგეთი კაცია, მაგრამ... — აქ ნინიკამ პაუზა გააკეთა, თითი მაღლა ასწია, თვალი მოავლო გარშემო. — მაგრამ მაგარი ისაა, რომ ეს ჩვენი ნოდარ ბატონი შთამომავლობითაც და გვაროვნობითაც თავადია! აქაური, ჩვენებური! მაშ, არ გაუმარჯოს ამ კაცსა, რომლის მამა-პაპასაც ბოლშევიკებმა თავადობა წაართვეს და ამანა მამა-პაპის ქონებითა კი არა, თავისი შნოითა და მარჯვენითა, ცარიელა ადგილზედა სათავადო საქმე ქნა და დაამკვიდრა?!

ატყდა ჟრიამული, შეძახილები:

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

— ღმერთმა ხელი მოუმართოს!

— კაი კაცს და კაი საქმეს გაუმარჯოს!

ამ დროს სინათლე ჩაქრა. წამით დუმილი ჩამოვარდა. წამშივე გოდერძიმ გადასძახა:

— აბა, ბიჭებო! — და ახალგაზრდების გუნდმა „მრავალჟამიერი“ დააგუგუნა. ატყდა სანთებელებისა და ასანთების ჩხაკაჩხუკი, აქეთ-იქით სირბილი და ფაცაფუცი. ქალები ლამპებსა და სანთლებს მოარბენინებდნენ. განბილებული სახით იჯდა ზურაბ გამგებელი და მერე უცებ წამოიძახა:

— ნახე, რა მიყო?!

— ვინა, კაცო?! — ჰკითხა თორნიკემ.

— შობელძაღლმა კოლიამა! პადსტანციაზე! შევიპირე, ამაღამ ჩაგვირთე-მეთქი. კი ჩართო, მაგრამ ერთ საათში არ გამოთიშა?!

სუფრა ნავთის ლამპებითა და სანთლებით იყო განათებული, „მრავალჟამიერი“ გუგუნებდა და მისი ჩალევისას სუფრის ბოლოდან ნიკომ დაიძახა:

— ცანგალა და გოგონაა!

კობამ უმალვე უპასუხა:

— გოგნი, გოგნი, გოგონაა!

ამას გოდერძის შეძახილი მოჰყვა:

— აბა, დოლი და ჩქარი ტაში!

...და დასცხეს საცეკვაო. ბიჭებმა მაშხალები ააბრიალეს, ელექტრომავთულებში ჩაამაგრეს. გაჩირაღდნებულ, საცეკვაოდ მოშიშვლებულ ადგილზე გადმოეშვნენ მოცეკვავეები, გამოიწვიეს ქალები და გოგოები. ისმოდა: „განი, განი! აბა, განი! ცაანგალა გოგონა და ცაანგალა გოგონაა! გოგნი, გოგნი, გოგნი, გოგო, ცანგალა და გოგონაა!“

თანდათან გახურდა დოლი და ტაში. „ცანგალა და გოგონას“ ტემპშაც იმატა. ერთი ეშხიანი მანდილოსანი, სხვა ქალებისაგან შეგულიანებული, წამოვიდა სწრაფი გოგმანით, ნოდარს თავი დაუკრა და გაიწვია. წამსვე გადაუხტა ნოდარი, პიჯაკი გაიხადა და უკან მოისროლა, ფართოდ გაშალა მხრები და მკლავები, ცეკვა-ცეკვით გაჰყვა ქალს მოედნის შუაგულში, ცეკვითვე გაუსწორდა იქ მოცეკვავე გრძელთმიანს, ადრევე რომ თვალი დაადგა, მაგდოს, უცებ უგანა თავის მეწყვილეს და წინ გადაუხტა მაგდოს, მის წინ ჩაბუქნა და როცა ის შეტრიალდა და გვერდზე გაცურდა, ძლიერი ნახტომით ისევ წინ აესვეტა, გაშლილი ზორბა მკლავებით ზემოდან გადაეფოფრა და გაუსვა და გამოუსვა. კიდევ უფრო გახურდა და გაჩქარდა დოლი და ტაში:

— ცანგალა და გოგონა და
გოგნი, გოგნი, გოგონაა!
და მერე:
— ეს ბიჭი კარგად თამაშობს,
ფეხის წვერებზედ დგებაა!
ამან რომ ფეხი იტკინოს,
ნეტავ ვის დაჰბრალდებაა!

ნოდარი ცეკვავდა უხეშად, მაგრამ სწრაფად, ყოჩაღად და ძლიერად. სხვა წყვილები აქეთ-იქით მიდგნენ და ტაშის ცემითა და მოცინარი სახეებით თვალს არ აშორებდნენ სახელოვან სტუმარს. ნოდარი კი მართლა არწივივით დასტრიალებდა სახეაწითლებულ მაგდოს. ყოველ გატრიალებაზე სწრაფი ნახტომით გზას უღობავდა და აიძულებდა ცეკვის გაგრძელებას. ცეკვა, ცოტა არ იყოს, ზედმეტად გაგრძელდა. დოლი და ტაში კი არ ნელდებოდა.

გივის გაფაციცებულ თვალს არ გამოჰპარვია, რომ აქამდე ტაშისცემით დაკავებულ გოდერძის სახე ცოტა შეეცვალა. უცებ — „ჰაიტ!“ — წამოიძახა და წრეში გადასახტომად გაიწია, მაგრამ სხვა ბიჭებმა შეაკავეს. და გივი მაშინვე ამოქმედდა: ნოდარის პიჯაკიდან მობილური ტელეფონი ამოიღო, ყურზე მიიდო, რაღაცა ჩაილაპარაკა და მერე ზემოთ აწეული, მობილურიანი ხელით სწრაფად წავიდა ნოდარისაკენ.

— ნოდარ, თუ ძმა ხარ, უპასუხე! — მკლავზე ხელი მოჰკიდა, გააჩერა, თან სიცილითა და თავის დაკვრით უთხრა მაგდოს: — ბოდიშს მოგიხდით, კარგი ცეკვა კი ჩავშალე, მაგრამ...

— რა არი?! — იკითხა ნოდარმა.

— ბათუმიდან არიან, რომ ელოდი! — საგანგებოდ ხმამაღლა თქვა გივიმ.

თავიანთ ადგილებზე მიბრუნდნენ სუფრაზე. ნოდარმა პიჯაკი მოიცვა და ხელი დიდ ყანწს დასტაცა. აქეთ-იქიდან ორი-სამი სურებიანი ხელი წამოვიდა ყანწის შესავსებად. ნოდარმა სავსე ყანწი მაღლა ასწია და ხაფი ხმით დასძახა:

— გაგიმარჯოთ, ნაშინდრელებო! ჩემიანებო! თქვენი ჭირიმეთ!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ერუდიტის საკრებული

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. პელოპონესის ომში, ათენის ეკონომიკისათვის ზიანის მისაყენებლად სპარტელი მეომრები პირწმინდად ჩეხდნენ... რას?
2. ტოკიოს ზოოპარკი წელიწადში ერთხელ, 2 თვის ვადით იხურება. რა მიზეზით?
3. დაასრულეთ ოდესელ ებრაელთა გამონათქვამი: „სხვისი ფულის დათვლა ადვილია, საკუთარის...“
4. დაასახელეთ 2 ისეთი ცხოველი დედამიწაზე, რომელიც სიარულისას ერთდროულად, ორ მარცხენა ანუ წინა და უკანა ფეხს, შემდეგ კი ერთდროულად ორ მარჯვენა კიდურს ადგამს.
5. უცხოეთში მყოფ საბჭოთა ფეხბურთელებს ძალზე მცირე თანხას უხურდავებდნენ. მიუხედავად ამისა, ერთხელ, ლონდონში ყოფნისას, მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელმა — ვალერი ვორონინმა თანაგუნდელები საკმაოდ ძვირად ღირებულ ბარში დაპატიჟა და გვარიანადაც გაუმასპინძლდა. როგორ შეძლო საბჭოთა ფეხბურთელმა საკმაოდ სოლიდური დანახარჯის გადახდა?
6. მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ არლინგტონში არსებობს მატყუარების კლუბი. ამ კლუბში პოლიტიკოსებს არ იღებენ. რატომ?
7. ეს გამონათქვამი კარგა ხანია, ფრთიან ფრაზად იქცა: „დილაობით მეც კი ვერ გამოვიყურები ისე, როგორც სინდი კროუფორდი“. ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?
8. რას ეძახიან რუსები „მოფერებით“: „ჩუვაკ ს ბალშიმ სლავარნიმ ზაპასომ“?
9. ასეთ თევზს გლუვი, მოელვარე ქერცლი, გადმოკარკლული, არამღვრიე თვალები და მკვეთრი წითელი ფერის ლაყუჩები აქვს. მუცელი არა აქვს გაბერილი და წყალში იძირება. როგორ თევზზეა ლაპარაკი?
10. რა არის შუშპარი?
11. რა არის ანეული?
12. რა არის მზრალი?
13. კოალაზე მონადირეებს ხშირად, კისრის ტკივილი აწუხებთ. რატომ?
14. ვინ იმყოფება ჰოკეის თამაშისას ე.წ. „ბლინსა“ და „ლავუშკას“ შორის?

ანეკდოტები

* * *

საპარლამენტო არჩევნებზე დეპუტატობის კანდიდატმა სამი ხმა დააგროვა.

— გარყვნილო! — უყვირის შინ მისულს ცოლი. — საყვარელი გაიჩინე, ხომ?!

* * *

— ჯორჯ, შენი „პიერ კარდენის“ კოსტიუმი სულ ახალივითაა.

— ჰო, ხუთი წლის წინ ვიყიდე, მაგრამ ოთხჯერ მივიტანე ქიმწმენდაში და სამჯერ რესტორანში სხვისაში შემეშალა.

* * *

— გუშინ ცოლი „ოტელოზე“ წავიყვანე.

— კულტურული ღონისძიება გქონდა?

— არა!.. გამაფრთხილებელი!..

* * *

მოსამართლე:

— ვინც ახლა სიჩუმეს დაარღვევს, გარეთ გავაგდებ!

ბრალდებული:

— ვაშაااა!!!..

* * *

— გავიგე, ბავშვი შეგძენია!.. ბიჭია?

— არა.

— აბა?!..

* * *

— სად მუშაობთ?

— სამხედრო საიდუმლოებაა.

— რას აწარმოებს თქვენი ქარხანა?

— ესეც სამხედრო საიდუმლოებაა.

— რამდენს გიხდიან?

— ცოტას: ერთ ყუმბარაში — ხუთ დოლარს.

* * *

ცოლი:

— არ დამიწყო ახლა თავის მართლება! ერთი საათის წინ დაგინახე, როგორ ამოდიოდი ღვინის სარდაფიდან.

ქმარი:

— შენც ხომ ნახე, რომ ჩემით ამოვდიოდი.

* * *

ექიმი პაციენტ ქალს ეუბნება:

— გაიხადეთ და დაწექით.

პაციენტი გაბრაზებული პასუხობს:

— ექიმო, მე მართლა ცუდად ვარ, თქვენ კი თავში მხოლოდ ერთი რამ გიტრიალებთ.

* * *

— მსოფლიოში ყველაზე კარგი დედა ვარ, — ტრაბახობს თალიკო.

— ვინ მოგახსენა?! — ამრეზით ეკითხება მული.

— ოთხი ქალიშვილი გავზარდე, ოთხივე დავაქორწინე და ოთხივე ჩემი ინიციატივით განვაქორწინე. მეტი რაღა უნდა ქნას ერთმა ქალმა?!

* * *

ავარიის შემდეგ კაცი პირველად მოდის გონზე.

— სად ვარ?

— მეხუთეში, — პასუხობს ხმა.

— პალატაში თუ იზოლატორში?



* * *

ცოლი ქმარს:

— ძვირფასო, დღეს შესვენებაზე შენთან შევირბინე სამსახურში და შენი პიჯაკის ჯიბიდან 500 დოლარი ამოვიღე.

— ეგ არაფერი. უკვე ორი კვირაა, იქ აღარ ვმუშაობ.

* * *

მიხო და მარო მალიორკაზე ისვენებენ, მაგარ დროს ატარებენ. ერთ საღამოს მიხომ მარო ვეღარ იპოვა. ეძებს გადარეული და ბოლოს ბარმენი ეუბნება — მარო ნაღდად დონ პედროსთან იქნებაო. მიხო გადაირია, — ვინაა ეგ დონ პედრო, სად ვნახოო? ქუჩის ბოლოში ცხოვრობსო, — ასწავლეს და მიხოც გაქანდა. ხედავს, უზარმაზარი, გალავანშემორტყმული სასახლე დგას, შადრევნებიან და მარმარილოსსვეტებიან ეზოში კი — ფარშავანგები დასეირნობენ. შიგნით შევიდა, ზღაპრული სიმდიდრე და სილამაზე დახვდა. მესამე სართულზე ლიფტით ავიდა და მიადგა საძინებელს. შეიხედა და ხედავს: უზარმაზარ საწოლზე სიმპათიური, დაკუნთული ტიპია წამოგორებული და ვისკის მიირთმევს. „ნაღდად ეს არის დონ პედრო“, — გაიფიქრა მიხომ. ამ დროს გაიღო სააბაზანოს კარი და გამოდის მარო. ნაზად დაიძრა დონ პედროსკენ, მსუბუქი მოძრაობით მოიშორა ხალათი და... გამოუჩნდა სქელი, ჩავარდნილი საჯდომი, უშნოდ ჩამოკიდებული მკერდი, ღაბაბი... მიხომ გაიფიქრა: „აუჰ, რა უხერხულია დონ პედროსთან!“

* * *

— თქვენი ქალიშვილი თანახმაა, რომ ჩემი ცოლი გახდეს.

— ახია შენზე! რას დაეთრეოდი ჩვენთან ყოველდღე!

* * *

რაჭველი შეფი ეხვეწება გურულ მდივანს:

— თუ შეიძლება, ცოტა ნელა ბეჭდეთ, კარნახს ვერ ვასწრებ!

* * *

ერთ-ერთ სასტუმროში ქალბატონი შევიდა და თავისუფალ ნომერს ითხოვს.

— არ გვაქვს, ქალბატონო, თავისუფალი ადგილები, — პასუხობს ადმინისტრატორი.

— იცით, მე რუსუდან ლოსაბერიძის (ოლიმპიური ჩემპიონი მშვილდოსნობაში) დედა ვარ.

— ქალბატონო, თუ გინდათ, რობინ ჰუდის დედა იყავით, მაინც არ გვაქვს თავისუფალი ადგილები!

* * *

მიხომ სტუმრად ჩამოსულ იმერელ სიდედრს სუფრა გაუშალა და ეხვეწება:

— ჭამე, სიდედრო!

სიდედრი მორცხვად ზის. მიხო რამდენჯერმე კიდევ შეეხვეწა და ბოლოს აყვირდა:

— ჭამე რა, შე კეთილძაღლო, რას გაჩერებულხარ ჯიბგირაანთ ლევანას ბრუციანი ვირივითა, ვერა ხედამ, ხაშლამა განავალივითა ყრია, სხვა რაღა ჩემი ფეხები გინდა?!

* * *

ოსი კლდიდან გადავარდა. მიფრინავს... ჰაერში ბუჩქს გამოედო, მთელი ძალით ჩაებღაუჭა და ყვირის:

— არის აქ ვინმე?

— კი!

— ვინა ხარ?

— მე ვარ, ღმერთი!

— ჰოდა, მიშველე რამე!

— გაუშვი ბუჩქს ხელი და გიშველი!

— კიდევ თუ არის აქ ვინმე?! — უფრო ხმამაღლა აყვირდა ოსი.

ჟურნალის საპასუხოდ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ზეთისხილის ბალეებს.
2. რათა ცხოველებმა ადამიანებისგან დასვენება შეძლონ.
3. „...სასიამოვნო“.
4. ჟირაფი და აქლემი.
5. წამოსვლისას, ვორონინმა დანახარჯი საფეხბურთო კლუბ „გლაზგო რეინჯერსის“ ანგარიშზე ჩააწერინა.
6. ამ უკანასკნელთა „დაბალი კვალიფიკაციის“ გამო (სათანადოდ ვერ იტყუებიან).
7. თავად სინდი კროუფორდი.
8. ავტომატ „კალაშნიკოვს“.
9. საკვებად ვარგისზე.
10. „ცეკვა“ და „შუშპარი“ სინონიმებია (არსებობს ასეთი ქართული ანდაზა: აქლემის შუშპარი ხიდზე გამოჩნდებაო).
11. შემოდგომაზე ხორბლის დასათესად ზაფხულში მოხნულ მიწას ანეული ჰქვია.
12. შემოდგომაზე მოხნულ მიწას გაზაფხულზე ხორბლის დასათესად მზრალი ჰქვია.
13. ევკალიპტის ტოტების თვალიერებისას მაღლა ყურების გამო.
14. მეკარე (ჰოკეის მეკარის მარჯვენა ხელთათმანს „ბლინი“, მარცხენას კი — „ლავუშკა“ ჰქვია).

ჩვენი ფოტოგალერეა

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.



თუკი შარიანი მამაკაცი თქვენთვის ძვირფასია...

არსებობენ ისეთი მამაკაცები, რომლებსაც ქალებისთვის, გარეგნობასთან დაკავშირებული შენიშვნების მიცემა გამორჩეულად უყვართ. თანაც დელიკატურად, ჩუმად კი არ ეუბნებიან, ყველას გასაგონად უცხადებენ: „ეს კაბა საშინლად არ გიხდება“, ან „ეს შარვალი სად გამოძებნე?!“.. საყურადღებოა ის გარემოება, რომ შენიშვნების ავტორი შეიძლება არა მხოლოდ თქვენი მეუღლე ან მეგობარი, არამედ კოლეგა (მით უარესი, თუ ის თქვენი შეფია), მეგობრის ქმარი ან ახალი ნაცნობიც კი იყოს. ამიტომ ხშირად იბნევით და არ იცით, თავხედი თავის ადგილას როგორ „მოსვათ“ ისე, რომ მასთან ურთიერთობა არ გაიფუჭოთ. ფაქტობრივად, საყვარელ მამაკაცს თეორიულად უფლება აქვს, თქვენი გარეგნობის გაუმჯობესებაზე იზრუნოს, მაგრამ შენიშვნა-რეკომენდაციები უსათუოდ აკურატულად უნდა მოგცეთ. მუდმივი კრიტიკის შემთხვევაში კი ისღა დაგრჩენიათ, ან საბოლოოდ შეეგუოთ მის ახირებას, ან საწინააღმდეგო მოქმედების სტრატეგია შეიმუშაოთ.

როგორ მოვიქცეთ?

პირველი, რაც თავში მოგივათ, მასთან კავშირის გაწყვეტაა. მაგრამ თუ ეს შარიანი მამაკაცი თქვენთვის ძვირფასია, მაშინ შეეცადეთ, ხელახლა აღზარდოთ. თუმცაღა, ეს ძალიან რთულია. ყველასთვის ცნობილია, რომ ზრდასრული ადამიანი იშვიათად იცვლება. ასეა თუ ისე, ფსიქოლოგებმა თქვენზე იზრუნეს და შეიმუშავეს რჩევათა კრებული, რომელიც შარიან მამაკაცებთან საბრძოლველად და მათზე გასამარჯვებლადაა გამიზნული.

წუნია მამაკაცი

მას არ მოსწონს არც ერთი თქვენი ნივთი; შეწუხებული ამტკიცებს, რომ ატროფირებული გემოვნება გაქვთ და კაბისა და პომადის დამოუკიდებლად შეძენა არ შეგიძლიათ. გარდა ამისა, თქვენი ფიგურის, სახის ნაკვთების, თმის, ფრჩხილებისა და ხმის მიმართაც კი პრეტენზია უჩნდება.

როგორ ავხსნათ მისი ასეთი ქცევა?

√ თუ ის, როცა გაიცანით, მაშინაც ასეთი იყო, მაშასადამე, დაბადებიდან ბუზღუნა ყოფილა. აიტანთ თუ ვერა, ეს თქვენი პირადი საქმეა, მაგრამ გახსოვდეთ: ამ სტადიაზე „ავადმყოფობა“ მკურნალობას უკვე აღარ ექვემდებარება.

√ თუკი ის უკმაყოფილოა თქვენი შენაძენით, სავარაუდოა, ამის უკან სულ სხვა გრძნობა იმალებოდეს. შეიძლება მას თქვენ მიერ ფულის უყაირათოდ ხარჯვა აღიზიანებს, მაგრამ არ შეუძლია ბანალურ სიძუნწეში გამოგიტყდეთ და მას ასეთი დახელოვნებული ფორმით ნიღბავს.

√ თუ თქვენს გარეგნულ სტილს მეგობრების, მშობლების, მეზობლების, შემთხვევითი ნაცნობების თანდასწრებით სასაცილოდ იგდებს, მაშასადამე, თქვენთან განშორებაზე დიდი ხანია, ოცნებობს, მაგრამ ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად ძალა არ ჰყოფნის. თქვენი ღირსების მუდმივი შელახვით ქვეცნობიერად (ან შეგნებულად) იმედოვნებს, რომ თავმობეზრებული, ერთხელაც იფეთქებთ და მასთან განშორებას გადაწყვეტთ. მაშინ ის სუფთა სინდისით გაგეცლებათ. შეიძლება ასე უკეთესიც იყოს.

√ თუ გულწრფელად ცდილობს ახალი ფეხსაცმელებისა თუ ჩანთების შერჩევაში მონაწილეობას, გარისკეთ და დაეთანხმეთ. გამორიცხული არ არის, მართლა ზრუნავდეს თქვენს გარეგნობაზე. თუმცა ასეთები იშვიათად გვხვდებიან.

√ თუ დაბეჯითებით ცდილობს დაგარწმუნოთ, რომ სუპერსექსუალური კაბები (რომლებშიც საკუთარი თავი ძალიან მოგწონთ) არ უნდა ჩაიცვათ, მაშასადამე, ფარულად ეჭვიანობს და ყველა მისი შენიშვნა თქვენს სიმსუქნესა თუ სიგამხდრეზე — რაც ასეთ კაბებში მკაფიოდ იკვეთება — სინამდვილეში, თქვენში არასრულფასოვნების კომპლექსის ჩამოსაყალიბებლადაა გამიზნული.

√ თუკი ახალ ვარცხნილობას გიწუნებთ, უბრალოდ, არ ესიამოვნა, რომ შეიცვალეთ. იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს ცვლილება უკეთესობისკენაა, მამაკაცი თავს მოუსვენრად გრძნობს; მას ურჩევნია, ყოველთვის ერთნაირად გამოიყურებოდეთ. თქვენი ერთფეროვნება მისი სიმშვიდის გარანტიაა!

თქვენი რეაქცია

გაბრაზება ან მკვახე პასუხის გაცემა უაზრობაა. შესაძლებელია, ის სწორედ ასეთ რეაქციას ელის ჩხუბის წამოსაწყებად. ამიტომ, პირველ რიგში, მოლოდინი უნდა გაუწბილოთ: თავაზიანად გადაუხადეთ მადლობა წვრილმანებისადმი ასეთი ყურადღების გამოჩენის გამო; დაჰპირდით, რომ ამიერიდან ნებისმიერი ნივთის, სამოსის ან კოსმეტიკის შეძენისას რჩევას აუცილებლად ჰკითხავთ. თქვენი ასეთი რეაქცია მას უსათუოდ გააკვირვებს. მომავალში საყიდლებზე ერთად წადით და შესთავაზეთ, გამოსასვლელი ტანსაცმელი თვითონ აგირჩიოთ. ანგარიშსაც, რა თქმა უნდა, ის გადაიხდის. ეს ვარიანტი შესანიშნავად მოქმედებს ძუნწებზე — ისინი სასწრაფოდ სხვა თემაზე იწყებენ ლაპარაკს, კრიტიკა ავიწ-

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

www.elva.ge

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „ᲔᲚᲕᲐ.ᲯᲡᲙ“

გამოცემის დასახელება	1ეგზ. ფასი	3 თვე
1. ИТОГИ	3.00	39.00
2. НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА	2.00	117.00
3. ЛИЧНОСТЬ. КУЛЬТУРА.	32.00	32.00
4. КАРАВАН ИСТОРИЙ	8.00	24.00
5. НОВАЯ ГАЗЕТА	1.50	39.00
6. ВОКРУГ СВЕТА	9.00	27.00

ᲐᲒᲠᲔᲗᲘᲗᲕᲔ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

E-mail:elva@kvirispalitra.com

ყდებათ და კომპლიმენტებით გავსებენ.

შეძლებული მამაკაცი ზოგჯერ უკიდურესად მტკივნეულად აღიქვამს ქალის ფინანსურ დამოუკიდებლობას. თქვენი ნავაჭრი მას შეიძლება მხოლოდ იმიტომ არ მოსწონს, რომ ის მისი ფულით არ არის შეძენილი. ასეთ დროს ვერაფერს გააწყობთ, გარდა იმისა, რომ ყოველი ამგვარი შენაძენის მერე დაარწმუნოთ — ეს აღარ განმეორდებაო.

საჯაროდ დაცინვის შემთხვევაში საქმე სერიოზულ ჩხუბამდე ან ფარულად ცრემლების ღვრამდე არ მიიყვანოთ, მაგრამ არც მოუთმინოთ — მკაცრი და შეუვალი ტონით უთხარით: „არ მსურს ამ საკითხის სხვების თანდასწრებით განხილვა. გარდა ამისა, არ გეთანხმები და მოდი, ამაზე ლაპარაკი შევწყვიტოთ“. მთავარია, თავი ღირსეულად გეჭიროთ და მას თქვენი დამცირების უფლება არ მისცეთ.

თქვენი გარეგნობის ან ჩაცმის სტილის აბუჩად აგდებით, ის, შესაძლებელია, სხვა სფეროში თქვენი უპირატესობის კომპენსაციას ახდენდეს. მაგალითად, თუკი თქვენ მასზე გაცილებით ერუდირებული, ნიჭიერი, ამავე დროს, მატერიალურადაც წელში გამართული ხართ; ანდა, მას უფრო ძლიერად უყვარხართ, ვიდრე თქვენ — ის და უკვე აღარ იცის, როგორ მიიპყროს თქვენი ყურადღება. ამ შემთხვევაში რაიმე ქმედითის რჩევა ძნელია. თუ მან ასეთი გზა შეგნებულად აირჩია თქვენი ურთიერთობის დასარეგულირებლად, საეჭვოა, ამაზე უარი თქვას.

და თუ, ბოლოს და ბოლოს, არაფერი გამოგდით, მაშინ ისღა დაგრჩენიათ, თქვენც იმავეთი უპასუხოთ.

და მაინც, მამაკაცის მხრიდან გაუთავებელი შენიშვნები იმაზე მეტყველებს, რომ თქვენს ურთიერთობაში სერიოზული ხარვეზებია. ზრდასრული, ნორმალური, შეყვარებული მამაკაცი თავს არასოდეს მისცემს უფლებას, საყვარელი ქალის გარეგნობა გააკრიტიკოს. ■

ნაოჭები – ქალის სილამაზის მტერი

ადრეული ნაოჭები

ადრეული ნაოჭების განვითარებას გენეტიკური თავისებურებები, ორგანიზის საერთო მდგომარეობა და გარემოს მავნე ფაქტორთა ზეგავლენა განაპირობებს.

ქალთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ნაოჭების თავიდან ასაცილებლად, საკმარისია მკვებავი კრემის გამოყენება. მაგრამ ეს ასე არ გახლავთ. ამ მიზნით უნდა მიმართოთ სხვადასხვა სამკურნალო საშუალებას, ფიზიოთერაპიულ პროცედურებს, ნილბებს. გარდა ამისა, უნდა ერიდოთ მოკლე დროში გახდომას, ასევე ზედმეტად გასუქებას, გადაღლას, უძილობას; შეძლებისდაგვარად აარიდოთ თავი სტრესულ მდგომარეობას. ალკოჰოლის ჭარბი მიღება და თამბაქოს მოწევა ასევე აჩქარებს ნაოჭების გაჩენას.

ახალგაზრდა ასაკში ნაოჭების გაჩენის მიზეზი შეიძლება გახდეს კოსმეტიკური საშუალებების არასწორი გამოყენება. ამ დროს, განსაკუთრებული მოფრთხილება სჭირდება კანს თვალის ირგვლივ. ზოგიერთმა კოსმეტიკურმა საშუალებამ შესაძლოა კანის აქერცვლა და გამოშრობა გამოიწვიოს. ამის შედეგად კანი კარგავს ელასტიკურობას და ჩნდება ნაოჭების გაჩენის საშიშროება.

ადრეული ნაოჭები მით უფრო სწრაფად ჩნდება, რაც უფრო მოდუნებულია სახის კუნთები.

ამრიგად, ნაოჭებთან ეფექტური ბრძოლისთვის უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი რეკომენდაციები:

- სისტემატურად გამოიყენეთ მკვებავი კრემები (ამ დროს თავისთავად ხდება კანის მასაჟი);
- იზრუნეთ კანის მუდმივ სისუფთავეზე, რადგან კანსაც სჭირდება სუნთქვა და ჟანგბადი;
- ეცადეთ, კარგად გამოიძინოთ;
- ზომიერად გაანაწილეთ ფიზიკური და გონებრივი დატვირთვა;
- სასურველია, გამაჯანსაღებელი ვარჯიშების შესრულება;
- სახის კანზე ზრუნვა 19-20 წლის ასაკიდან დაიწყეთ.

ასაკობრივი ნაოჭები

ხანდაზმულ ასაკში ნაოჭების გაჩენა სავსებით ბუნებრივი მოვლენაა, თუმცა სწორი და სისტემატური მოვლა საშუალებას მოგცემთ, რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოთ ახალგაზრდული კანი.

საერთოდ, ნაოჭების გაჩენას ყველაზე მეტად სახის კანის გამოშრობა უწყობს ხელს. ამიტომ უნდა იზრუნოთ კანის დატენიანებაზე. ზოგიერთი ქალი გახდომის მიზნით ნაკლებ წყალს სვამს, რაც დაუშვებელია — კანი შრება და ელასტიკურობას კარგავს.

ასაკთან ერთად იცვლება კანქვეშა ცხიმის გადანაწილებაც, რაც ნაწილობრივ დამოკიდებულია კვების რეჟიმზე, ამიტომ საკვები გონივრულად მიიღეთ — ცოტ-ცოტა და ხშირ-ხშირად.

ასაკობრივი ნაოჭების საწინააღმდეგოდ ეფექტური საშუალებაა ვიტამინიზებული კრემები, წყალი (სითხე) და მიმიკური კუნთების ვარჯიში.

სპეციალური საშუალებები კანის კვებისთვის

ნუშის ნატურალური რძე

25 გ გარჩეული, ტკბილი ნუში დანაყეთ ან დაფქვით. დაასხით 1/2 ჩ/ჭ თბილი, ანადუღარი წყალი. კარგად შეანჯღრიეთ. დაუმატეთ ცოტა მარილი, გაწურეთ დოლბანდში, შეინახეთ ცივ ადგილას. გამოყენებამდე — დილას და საღამოს კვლავ შეანჯღრიეთ. დაისხით ხელისგულზე 1-2 ჩ/კ სითხე და კარგად შეიზილეთ სახესა და ყელზე. თუ გაფართოებული კაპილარები გაქვთ, გირჩევთ, მარილის ნაცვლად დაუმატოთ ტანინი, რომელიც წინასწარ იქნება გახსნილი 1 ჩ/კ თბილ წყალში.

მცენარეული ნაყენის კომპრესები

თუ მშრალი კანი გაქვთ ან — რაიმე გამონაყარი, სასურველია დღეგამოშვებით თბილი კომპრესების დადება ან სახის გაწმენდა შემდეგი შემადგენლობის ნაყენით: 1 ს/კ ცაცხვის ყვავილები მოხარშეთ 1/2 ჩ/ჭ რძეში და მიღებული ნაყენი 20-25 წუთი მოათავსეთ ცხელი წყლით სავსე თასში.

თუ კანი მგრძნობიარე, ნაზი და ფორებიანია, მაშინ ცაცხვის ყვავილის მაგივრად აიღეთ ვარდის ან სალბის მშრალი ფურცლები. 1 ს/კ მცენარე მოხარშეთ 1/2 ჩ/ჭ წყალში და დაუმატეთ იმავე რაოდენობის რძე.

სახე უნდა გაიწმინდოთ ნაყენში დასველებული ბამბის ტამპონით.

მარილიანი აბაზანები

მარილიანი წყლით დაბანა კარგად მოქმედებს სახის კუნთებზე. დილით, კრემის წასმიდან 20-25 წთ-ის შემდეგ, სახე დაიბანეთ გრილი, მარილიანი ხსნარით (1 ჩ/ჭ წყალზე 1 ჩ/კ მარილი). პროცედურა შეასრულეთ 15-20 დღის განმავლობაში, ყოველდღე. 2-3 კვირის შემდეგ, კურსი გაიმეორეთ. ■

ხითელი ფეხსაცმელი

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №23-27

ვახშამმა სასიამოვნოდ ჩაიარა. ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ და საუბრობდნენ, ძირითადად — გიგის გასართობ ინდუსტრიაზე.

— ნია, დიდი ხანია, თბილისში ცხოვრობ? — მოულოდნელად საუბრის თემა შეცვალა მამაკაცმა.

— არც ისე, ხუთი წელი იქნება.

— საიდან ხარ?

— გურიიდან. სკოლა იქ დავამთავრე, ინსტიტუტი — აქ. მერე ისევ სოფელში დავბრუნდი, რამდენიმე წელი იქ დავყავი, მაგრამ არაფერი გამომივიდა და კვლავ აქეთ წამოვედი.

— მერე? აქ გამოგივიდა რამე? რამ ჩამოგიყვანა? თუ შვებულებით ჩამოხვედი და ისე მოგეწონა აქაურობა, დარჩენა გადაწყვიტე? — გაიხუმრა გიგიმ.

— ჰო, რაღაც ამდაგვარი... მე... მე ერთ ადამიანთან ერთად ჩამოვედი... მერე კი... დავრჩი.

— და სად არის შენი თანმხლები?

— ახლა მარტო ვარ, — ნიამ მზერა აარიდა.

მაგიდა სავსე იყო ზღვის დელიკატესებით, მაგრამ ნიამ გემო ვერაფერს გაუსინჯა, ლუკმა არ გადასდიოდა ყელში. ალბათ ნერვიულობისგან. შინაგანად გრძნობდა, როგორი დაძაბული იყო.

— გიგი, გამარჯობა, — გაისმა უცებ წკრიალა ხმა.

ნიამ მათ სუფრასთან მოახლოებული, მაღალი, შესაშური აღნაგობის ქერათმიანი ქალი დაინახა. ასე, 35-37 წლის იქნებოდა, მაგრამ ზედმიწევნით მოვლილი. ერთი შეხედვით, ბევრად ახალგაზრდად გამოიყურებოდა. ცისფერი, საოცრად ჰაეროვანი კაბა ეცვა, გრძელი, ტანზე მომდგარი. ბრილიანტის ყელსაბამი და საყურე სასიამოვნოდ უბრწყინავდა მზემოკიდებულ კანზე. უცნობი სრულიად ურცხვად დაიხარა და გიგის ლოყაზე აკოცა.

— როგორ დამეკარგე, — ნაზად თქვა.

— გამარჯობა, ნანა, — თავდაჭერილად შეხვდა მამაკაცი. მის ხმაში ცივმა ნოტებმა გაიჟღერა, თუმცა ნანას ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

— შენი ნახვა მინდა, იქნებ გამონახო დრო და დავსხდეთ სადმე, — გაიღიმა ქალმა და ჩაწიკწიკებული თეთრი კბილები გამოაჩინა, — გავიხსენოთ ძველი, ლამაზი დრო.

— ახლა ცოტათი დაკავებული ვარ, ნანა.

ქალმა ირიბად გახედა ნიას.

— კარგი, საყვარელო, სანამ აქ ვარ, იფიქრე ამაზე, თორემ მერე მივემგზავრები, — ორაზროვნად წარმოთქვა, გიგის მხარზე დაადო ხელი და კვლავ ნიას გადახედა, ამჯერად ნიშნის მოგებით.

ახვლედიანმა უხერხულად დააქნია თავი და წამოდგა, რათა იგი კარამდე მიეცილებინა. როცა უკან დაბრუნდა, უხერხულად ჩაახველა და თქვა.

— ბოდიშს გიხდი.

ნიამ მსუბუქად შეათამაშა მხრები.

— არა უშავს, რა პრობლემაა.

— ნანა ძალიან განებივრებული ქალია, — დაიწყო გიგიმ თვის მართლება, — ასაკოვანი, მდიდარი ქმარი ჰყავდა, რომელიც შარშან გარდაეცვალა და საკმაოდ სოლიდური შემოსავალი დაუტოვა. იმდენი ფული აქვს, რა ქნას, არ იცის. ყოველ წელს საზღვარგარეთ სამოგზაუროდ დადის.

მისი სიტყვები ცინიკურად ჟღერდა, მაგრამ ნია მიხვდა, რომ გიგის მასთან რაღაც იდუმალი აკავშირებდა. შეიძლება ახლა — არა, მაგრამ წარსულში — აუცილებლად. ამას წყალი არ გაუვიდოდა, მამაკაცი ისე იყო დაბნეული, არ იცოდა, თვალები სად წაეღო. ნიამ ღიმილი ვერ შეიკავა... ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა გოგონა ემადლიერებოდა განგებას, ასეთი გარეგნობით რომ დააჯილდოვა.

— ცოდოა... — უნებლიეთ აღმოხდა.

— რა? — ახვლედიანმა გაოცებით აზიდა წარბები.

— არა მგონია, ბედნიერი იყოს, ამიტომაც მოგზაურობს ალბათ ამდენს.

— რა გითხრა... უამრავი ქალი შურის თვალით შეჰყურებს. არაჩვეულებრივად გამოიყურება, მდიდარია და თანაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა.

შეიძლება გიგის ნათქვამში იყო სიმართლის მარცვალი, მაგრამ განა ბედნიერებაა, გამუდმებით იარო მსოფლიოს გარშემო მხოლოდ იმის გამო, რომ მდიდარი საქმრო იპოვო? — გაიფიქრა ნიამ, თუმცა ხმამაღლა არაფერი უთქვამს, არ უნდოდა, საღამო დისკუსიებით გაეფუჭებინა. ფანტაზიები უცებ მოაწვა. წამით გიგის გვერდით, ბნელ ოთახში წარმოიდგინა თავი. თითქოს ნათლად ხედავდა, როგორ ხდიდა მამაკაცი სამოსს, როგორ უკოცნიდა შიშველ მხრებს...

— რაზე ფიქრობ? — დაინტერესდა გიგი, თუმცა ეს კითხვა სრულიად უადგილო იყო, მან უკვე იცოდა პასუხი...

და მამაკაცმა იგრძნო, რომ ქალის გამოწვევას პასუხს სავსე გზნებით სცემდა. ამწუთას სიგიჟემდე მოუნდა მთელი საღამოს განმავლობაში მოძალებული სურვილის დაკმაყოფილება, მაგრამ აქ ეს შეუძლებელი იყო, ამიტომ ბრძოლა უწევდა თავის თავთან. თუმცა ეს ბრძოლა სიამოვნებასაც ანიჭებდა. იცოდა, საკმარისი იყო, გოგონა თავის ოთახში აეყვანა და... ყველაფერი ისე მოხდებოდა, როგორც მას სურდა. ქალს უკვე აღარ შესწევდა ძალა, მისი სურვილის წინააღმდეგ წასულიყო.

კაზინოს თანამშრომლების გაფრთხილება უკვე მოასწრო, რომ ამ საღამოს არ შეეწუხებინათ იგი, თუნდაც ყველაზე მნიშვნელოვანი საქმის გამო.

ნიაც ფიქრობდა იმაზე, რაც მათ შორის ძალიან მალე უნდა მომხდარიყო. ღაწვები შეეფაკლა, სუნთქვა გაუხშირდა, ყელზე პულსაცია ადვილი შესამჩნევი გაუხდა.

თვითკმაყოფილმა ღიმილმა ისევ გადაურბინა გიგის ტუჩებზე. „საწოლში ნამდვილად ზღაპრული იქნება“, — გაიფიქრა და ხარბი მზერა შეავლო მის ათრთოლებულ ტუჩებს.

ნიამ სწრაფად დახარა თვალები, უნდოდა, აღელვება დაეფარა... მამაკაცმა ხელი მისკენ გაიწვდინა და გრძელი თითები ლოყაზე ჩამოუსვა...

— შენ ერთადერთმა მაიძულე, ქალის წინაშე თავი უმწეოდ მეგრძნო, — მსუბუქად წარმოთქვა, — ასეთი მომაჯადოებელი მზერა ადგილზე მაქვავებს...

ნიამ ნერწყვი ძლივს გადააგორა. ასე ეგონა, მოზღვავებული ვნებათაღელვისგან დახრჩობა არ ასცდებოდა. უნდა წავიდეს, ახლავე, ამწუთას! ეს ყველაფერი დასაშვებ საზღვრებს სცდება. ...თუმცა, რაც დრო გადიოდა, მით უფრო სუსტდებოდა მისი წინააღმდეგობის უნარი... მაგრამ მისდა გასაოცრად, მოულოდნელად მამაკაცმა სრულიად სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი.

— ყავა ხომ არ მოვატანინო? ან იქნებ,

ჩაი გირჩევნია? კარგი ინგლისური ჩაი გვაქვს.

ნიამ ნაძალადევად გაიღიმა.

— ყავა მირჩევნია...

მამაკაცი ფეხზე წამოდგა.

— არ გეჩვენება, ნია, რომ ეს საღამო საკმაოდ რომანტიკულია და აქ, ამ გამოკეტილ ოთახში ჯდომას სუფთა ჰაერზე გასეირნება სჯობს?

— მაგრამ სად? — ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა ნიამ.

— მე ვიცი, სადაც... წამოდი, გაჩვენებ, — თქვა მამაკაცმა და ლიფტისკენ გაემართა. ნია მორჩილად მიჰყვა უკან.

— ბოლო სართულზე ავიდეთ და ტერასაზე დავსხდეთ. იქიდან მართლაც რომ სასწაული ხედი მოჩანს.

არა, უნდა თქვას, რომ წასვლის დროა! უბრალოდ თქვას: „დიდი მადლობა, უკვე დამაგვიანდა, მშვენიერი საღამო იყო, მაგრამ მეჩქარება, ნახვამდის“. ეს სიტყვები ენის წვერზე უტრიალებდა, თუმცა, ლიფტის კარი გაიღო თუ არა, ისე შევიდა კაბინაში, კრინტიც არ დაუძრავს.

რამდენიმე წუთიც და... ნიას გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა. ეგონა, სასტუმროს ჰოლში მოხვდა, რადგან ტერასა აქ არსად ჩანდა... ეს აშკარად გიგის აპარტამენტები იყო. მდიდრული ავეჯით გაწყობილი სასტუმრო ოთახი ჰოლიდან პირდაპირ მოჩანდა. მის გვერდით კიდევ იყო ერთი კარი, ოღონდ დაკეტილი. ნიას ვარაუდით, იქ მოსასვენებელი ოთახი თუ საძინებელი უნდა ყოფილიყო. ამის გაფიქრებაზე ურუოლამ აიტანა.

— ტერასა აქეთაა, ზამთრის ბაღით, — ხმადაბლა თქვა მამაკაცმა და წელზე ფრთხილად შეახო ხელი, მსუბუქად უბიძგა წინ.

გიგი ყოველ წამს ელოდა, როდის იტყოდა გოგონა, ჩემი წასვლის დროაო. მისი შეშინებული მზერა ართობდა.

სენსორებზე დამაგრებული კარი ავტომატურად გაიღო და ორივემ ულამაზესი მცენარეებით მორთულ, მინებიან ბაღში ამოყო თავი. აქედან მართლაც საოცარი ხედი იშლებოდა. ღამის ჰაერი ყვავილების მათრობელა სურნელით იყო გაჟღენთილი. იქამდე არც კაზინოს ხმაური აღწევდა და არც სხვა ხმა არღვევდა ღამის მყუდროებას.

მოულოდნელად კარი ისევ გაიღო და მამაკაცი გამოჩნდა სინით ხელში, მას ორი ფინჯანი ყავა მოჰქონდა.

— გმადლობ, ნიკო, — თქვა გიგიმ და იქამდე არ მოუცილებია მზერა ოფიციანტისთვის, სანამ მან ფინჯნები მაგიდაზე არ დააწყო და არ გავიდა.

„როდისღა მოასწრო მისი გაფრთხილება?“ — გაუკვირდა ნიას, მაგრამ არ შეიმჩნია.

— მოდი, დავლიოთ.

ჰო, ახლა ყავა მისთვის სწორედ რომ მისწრება იყო. ცხელი სასმელი ცოტათი მაინც გამოაცოცხლებდა. გიგი მის წინ მოკალათდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და ფინჯანი ოსტატურად დაიჭირა ხელში. ამწუთას არაჩვეულებრივი სანახავი იყო. ნიას სიამოვნების ტალღამ დაუარა სხეულში. გიგი ძალზე ელეგანტურად და სექსუალურად გამოიყურებოდა. გოგონამ მზერა აარიდა მამაკაცს და სასმელი მოსვა. რამდენიმე ხანს უსიტყვოდ ისხდნენ და ყავას შეექცეოდნენ.

ესეც ასე, უკვე წასვლის დროა, რახანია, შუაღამე გადავიდა... მაგრამ ნიას არ შეეძლო წასვლა. გული ემუდარებოდა, დარჩენილიყო... კიდევ ცოტა ხანს, ძალიან ცოტა ხანს... თანაც, გიგი ისეთი ინტერესით ჰყვებოდა იტალიაში თავის მოგზაურობაზე, ვერ გააწყვეტინებდა. ნია შეგნებულად ნელა სვამდა ყავას, რომ დრო გაწელილიყო და რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო ეს ჯადოსნური საღამო... მაგრამ...

— უნდა წავიდე, — მაინც თქვა და წამოდგა.

ახვლედიანი ფეხზე წამოიჭრა და მიეახლა.

— რატომ? რამე არ მოგეწონა? — ჰკითხა და მის წინ გაჩერდა.

— იმიტომ.

— იმიტომ, რომ ერთი ღამის სექსი არ გაწყობს, არა? გამოვიცანი?

— ჰო, გამოიცანი.

— კი მაგრამ, საიდან მოიტანე, რომ ეს მხოლოდ ერთი ღამის სექსი იქნება? — იკითხა მამაკაცმა და ხმა საოცრად ნაზი და მსუბუქი გაუხდა.

ნიას შეაკანკალა. გიგიმ ხელი თმაზე შეახო და მერე ზურგზე ჩამოუსვა.

— შენ ძალიან ლამაზი ხარ, ნია... და ეს ღამეც ლამაზი იქნება. მალე მიხვდები, რომ შენს სიტყვებში სიმართლის ერთი მარცვალიც არ არის. ეს ღამე ლტოლვისა და სურვილებისთვისაა შექმნილი, ჩვენ კი ორივეს გვაღელვებს ეს მშვენიერი გრძნობები. იმედია, ამას არ უარყოფ, ასე არ არის? ნუ მოატყუებ საკუთარ თავს. თვალებში შემომხედე და მითხარი, რომ არ თრთი ჩემს შეხებაზე, — მამაკაცი მის თითებს დასწვდა და ტუჩებთან მიიტანა.

— არ გინდა, გთხოვ... — ნიას ხმა მერყეევად ჟღერდა. გოგონა გრძნობდა, თანდათან როგორ კარგავდა წინააღმდეგობის უნარს.

— გემუდარები... — მისი ხმა უფრო და უფრო სუსტად ისმოდა.

— ნურაფრის გეშინია, დარჩი ჩემთან, გააკეთე ის, რაც გსურს, იმიტომ, რომ ახლა ასეა საჭირო... ახლა სხვანაირად არ შეიძლება... ეს დანაშაული იქნება...

მოეჩვენა, რომ მთელი სამყარო სადღაც გაქრა. მამაკაცმა თავისკენ მიიზიდა და ტუჩებზე დაეკონა. ცხოვრებაში ასე დაუცველად თავი არასდროს უგრძნია, თვალებდახუჭული მორჩილად დაჰყვა მამაკაცის ნებას...

მერე ბუნდოვნად ახსოვს ყველაფერი... მისი სხეული საოცარ სიმხურვალეს გამოსცემდა. სადღაც, სულის სიღრმეში ხვდებოდა, რომ ხელი უნდა ეკრა გიგისთვის, მერე კი აეღო თავისი ჩანთა და გაქცეულიყო, გაქცეულიყო, გაქცეულიყო... აქედან შორს, თავის სახლში...

მაგრამ არა ახლა...

გიგი მთელი გზნებით კოცნიდა. ნიასთვის იგი ძლიერი ცდუნება იყო, ცდუნება, რომელსაც ვერა ქალი ვერ გაუძლებდა, მათ შორის თვითონაც...

და ვეღარ გაუძლო...

ფანჯრებიდან შემოჭრილმა მზის მცხუნვარე სხივებმა გამოაღვიძა. გარხევის შეეშინდა, რათა მძინარე მამაკაცი არ გაეღვიძებინა. ქალს თავი მის მკერდზე ედო და მის თბილ, თანაბარ სუნთქვას ძალიან ახლოს გრძნობდა...

დიდხანს იწვა ასე და გიგის სიახლოვით ტკბებოდა. ღმერთო, რატომ არ შეიძლება ჯადოსნური გაელვების ეს წამები სამუდა-

მოდ გაგრძელდეს? არ შეიძლება და იმიტომ. ახლა დროა, ჩაიცვას და გზას გაუდგეს... მაგრამ როგორ არ უნდა, უფერულ, მკაცრ რეალობას დაუბრუნდეს. სიგიჟე იყო ღამით აქ დარჩენა. ამას მაშინვე მიხვდა, როგორც კი მის ძლიერ მკლავებში აღმოჩნდა...

ეს რა ჩაიდინა, რა სულელი აღმოჩნდა! ღირდა კი? ერთი ღამისთვის გაწირა ის, რასაც წლების განმავლობაში სათუთად უფრთხილდებოდა. რაც არის, არის, არაფერსაც არ ნანობს. ეს ყოფილა მისი ბედისწერა. სამაგიეროდ, სასიამოვნო მოგონებები დიდხანს გაჰყვება. მსგავსი ბედნიერება არასდროს განუცდია... ან კი საიდან? გიგი ხომ მისი პირველი მამაკაცი იყო. ის, რაც თექვსმეტი წლის ასაკში დაემართა, მხოლოდ შეცდომა იყო და სხვა არაფერი. მაშინ ადვილად დაიძვრინა თავი, რომ ოსტატურად დაგებულ მახეში არ გაბმულიყო... როგორ არ უნდა ამის გახსენება... ამდენი წელი გავიდა და მაინც ტკივილს აყენებს... ამას კი, არ ნანობს, არც ტკივილს აყენებს ის, რაც გიგისთან განიცადა. ეს ღამე მთელი ცხოვრების განმავლობაში დაამახსოვრდება, მიუხედავად იმისა, რომ გულ-მუცელი ეწვის, თითქოს რაღაც შანთავს შიგნიდან.

როგორ ეძნელება მასთან განშორება... ეს აუტანელია... მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ხედავს. დადგა დრო, სამუდამოდ გაქრეს მისი ცხოვრებიდან და დაივიწყოს ის, რაც წუხელ მათ შორის მოხდა.

ფრთხილად მოიშორა გიგის ხელი და რაც შეიძლებოდა, ნელა წამოიმართა. არ უნდოდა, ძილი დაეფრთხო მისთვის. ცოტა ხნით გაირინდა, დააკვირდა მძინარეს და საწოლიდან მსუბუქად გადმოვიდა. ოთახს თვალი მოავლო და სკამზე გადაკიდებული კაბა შეამჩნია. ფეხის წვერებზე მიუახლოვდა სკამს, ტანსაცმელს ხელი დასტაცა და სწრაფად დაიწყო ჩაცმა.

უცებ გიგი შეიშმუშნა. თითქოს იგრძნო, რომ მის გვერდით სიცარიელე გაჩნდა. ზანტად გაახილა თვალები. ნია მისკენ ზურგშექცევით იდგა, გრძელი, ბზინვარე თმა მხრებზე ჩამოშლოდა და კაბის ღილებს იკრავდა. როგორც ჩანს, გაქცევა განიზრახა, მისი მიტოვება უნდა. ჯანდაბას! რატომ? ეს ღამე ხომ ისეთი ლამაზი იყო...

არა, უნდა გააჩეროს, რადაც უნდა დაუჯდეს, უნდა გააჩეროს, რადგან მას ისევ სურს იგი...

ნია სკამზე ჩამოჯდა და ფეხსაცმლის ჩაცმას შეუდგა. გიგი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მის ყოველ მოძრაობას, რაც უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა.

დილის შუქზე მისი შიშველი მხრები და მკლავები უფრო სასურველი ჩანდა, ვიდრე ღამით. კაბის შიგნიდან მადისაღმძვრელად იკვეთებოდა ქალის მრგვალი თეძოები.

— ეს დროის ფუჭი კარგვა იყო, პატარავ, — თქვა გიგიმ, გადმოტრიალდა, ბალიში აიმაღლა და ნიკაპით ხელს დაეყრდნო.

ნიას შიშისგან კინაღამ გული წაუვიდა. აჰა, მოხდა ის, რასაც ასე გაურბოდა. სწორედ ამ სიტყვების გაგონების ეშინოდა. რა თქმა უნდა, სხვა უკეთესი რა უნდა მოესმინა? მდიდარ ბიზნესმენს რომ იგი ერთი ღამისთვის უნდოდა და რომ ეს ღამე მისთვის ფუჭად დაკარგული დრო იქნებოდა, განა არ იცოდა? იცოდა, თავიდანვე იცოდა!

— ახლა კი, — გააგრძელა ახვლედიანმა, — შეგიძლია ეს ყველაფერი გაიხადო და საწოლში დაბრუნდე.

ამის გაგონებაზე გოგონას სუნთქვა შეეკრა.

— გიგი...

— გისმენ...

— ეს... ეს... არცთუ კარგი იდეაა, მე უნდა წავიდე.

— იცი, რა-ა? — მამაკაცმა მომნუსხველად გაიღიმა, — ზუსტად იმავეს ამბობდი წუხელ, მაგრამ არ წახვედი და არც ახლა წახვალ.

— ვფიქრობ, აჯობებს, წავიდე... ამწუთას ყველაზე კარგი ეგ იქნება.

— აჯობებს?.. ნია, პატარავ, მე გეტყვი, რა არის ყველაზე კარგი, უფრო სწორად — ვინ. შენ ხარ ყველაზე კარგი. და თუ გგონია, რომ წასვლის ნებას დაგრთავ, ცდები. სულაც არ ვაპირებ, ასე ადვილად გაგიშვა. მოდი ჩემთან, — ნებიანად დაიჩურჩულა და მკლავები მისკენ გაიშვირა...

ნია იმწუთას თავს დაქირავებულ მექალად გრძნობდა, მაგრამ ახლა იმდენად სიამოვნებდა ეს მდგომარეობა, ძალა არ ჰყოფნიდა, უარი ეთქვა ასეთ ნეტარებაზე... და მივიდა...

...თორმეტი რომ გახდა, გიგიმ მის მკერდზე მიხუტებულ ქალს კიდევ ერთხელ მხურვალედ აკოცა, უთხრა, წასვლის დროაო და წამოდგა.

„ყველაფერი დამთავრდა“, — გაიფიქრა ნიამ. გიგი ახვლედიანი ახალ დღეს იწყებს. მან მიიღო სიამოვნების საჭირო დოზა, ახლა წყალსაც გადაივლებს და ახალი ენერგიით აღივსება. შეუდგება მუშაობას — დადებს ხელსაყრელ გარიგებებს, შეხვდება საქმიან ადამიანებს, გასცემს განკარგულებებს... ერთი სიტყვით, ფულის შოვნას გააგრძელებს, თანაც, რაც შეიძლება ბევრისას.

ნიაც უნდა დაუბრუნდეს თავის ერთფეროვან ცხოვრებას. ახლა გიგი კაზინოს გასასვლელამდე მიაცილებს, შეიძლება აკოცოს კიდეც დამშვიდობებისას, ეტყვის, რომ მასთან ძალიან კარგად გრძნობდა თავს და წარმატებებს უსურვებს. მერე კი ტაქსი თავის საცოდავ ბინამდე მიაქროლებს...

ამასობაში გიგი სააბაზანოდან გამოვიდა. შიშველ, თმიან სხეულზე პირსახოცი შემოეხვია. როცა დაინახა, რომ ნიას უკვე მოესწრო ჩაცმა, გაიკვირვა.

— ეს კაბა რატომ ჩაიცვი?

— მეგონა, უნდა წავსულიყავი... — დაიბნა ერთიანად გაწითლებული ქალი, ნუთუ ისევ საწოლში უნდა მიაბრუნოს?

ახვლედიანმა წარბები შეიჭმუხნა, რამაც ნაოჭი გაუღრმავა შუბლზე.

— ჰო, მაგრამ საღამოს კაბა რატომ ჩაიცვი? ახლავე მოვატანინებ ბუტიკიდან რამდენიმე ხელ ტანსაცმელს და თავად შეარჩიე, რომელიც მოგეწონება.

გოგონამ კატეგორიულად გადააქნია თავი.

— ძალიან გთხოვ, გიგი, ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ. ასედაც მშვენივრად წავალ. სიმართლე გითხრა, ასეთ რამეებს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ.

— შინ მიიჩქარი?

— ჰო, საქმე მაქვს.

გიგი ძალიან ახლოს მივიდა მასთან, მკლავებში ჩასჭიდა ხელი, შემოატრიალა და თავისი შავი თვალებით დაჟინებით შეაცქერდა.

— ნუთუ არ მითქვამს შენთვის, პატარავ, რომ ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ ერთი ღამით არ შემოიფარგლება?

ნიამ იგრძნო, როგორ აფრინდა ბედნიერების მეცხრე ცაზე...

გიგი ახვლედიანს კიდევ სურს იგი! ის მას თავისთვის დაიტოვებს! არ იცის, როდემდე გაგრძელდება მამაკაცის ასეთი ჭირეულობა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს? განა მისთვის ახლა ყველაფერი სულერთი არ არის? მთავარია, რომ ზღაპარი გრძელდება, რეალური ზღაპარი! მას კიდევ ცოტა ხანს მოუწევს ამ ჯადოსნურ სამყაროში ცხოვრება, თანაც ყველაზე მომხიბვლელ მამაკაცთან ერთად, რომლის ოდნავი შეხებაც კი თავგზას აკარგვინებს...

ყველაფერი ისე ხდება, როგორც ზღაპარში. არა, მართლა! საინტერესოა, რამდენ ხანს გრძელდება ხოლმე გიგის ურთიერთობა ქალებთან? ერთი კვირა? ერთი თვე? იქნებ მთელი წელიწადი?.. ან იქნებ, სულაც, რამდენიმე?...

ახლა მისთვის სულერთია, როდის დასრულდება ეს მირაჟი. მთავარი ის არის, რომ დასაწყისს გაგრძელება ექნება — ხანმოკლე ან ხანგრძლივი. ის ბედნიერია და ამ ბედნიერებას მხოლოდ ერთი შავი ზოლი გასდევს — კახა დევიძე. იმედია, გიგის გვერდით არ გაუჭირდება მისი თავიდან მოშორება. იქნებ, კარგი სამსახურიც კი შესთავაზოს ახვლედიანმა ახალ საყვარელს, მაღალანაზღაურებადი... თუნდაც აქ, კაზინოში, ან სასტუმროში. ნია ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ კი ნორმალური ხელფასი ჰქონდეს! ჰო, უნდა იმუშაოს ამაზე. თუ თავად იგი არ შესთავაზებს ამას, თვითონ სთხოვს. მაშინ კი ვეღარ ეტყვის გიგი უარს.

ამ ფიქრებში იყო, რომ კიდევ ერთი მოულოდნელობის წინაშე აღმოჩნდა... მამაკაცმა იგი მხოლოდ ჰოლამდე მი-

აცილა და უკან გაბრუნდა. ცოტა არ იყოს, ეწყინა, მაგრამ არ შეიმჩნია... ის იყო, ფეხარეული კაზინოს გასასვლელს მიუახლოვდა, რომ უკნიდან ვიღაცის ხმა მოესმა.

— ეს გრჩებათ, ქალბატონო! — და ვიღაც ახალგაზრდა კაცმა სქელი კონვერტი შეაჩეჩა ხელში.

ნია კარგა ხანს გაოგნებული დაჰყურებდა ცისფერ, გრძელ კონვერტს.

— ეს რა არის?

— თქვენი მოგება, ქალბატონო! ფული, რომელიც წუხელ საღამოს „რულეტკით“ მოიგეთ.

... კარგა ხანს ატრიალა ხელში ციდან ჩამოვარდნილი სასწაული. ეს როგორ? მას წუხელ არაფერიც არ მოუგია! თანაც, არც კი უთამაშია ფულზე. რატომ მოიქცა ასე, ერთი ღამის საფასური გადაუხადა? თვალები აუწყლიანდა სიმწრისგან. მაინც სძლია ცნობისმოყვარეობამ და კონვერტში ჩაიხედა. ბანკნოტების საკმაოდ სქელი დასტა იდო.

არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო — მიბრუნებულიყო და სახეში შეეყარა ფული გიგისთვის, თუ აეღო ფული და თავის გზას გასდგომოდა? სწრაფი ნაბიჯებით დატოვა შენობა და გარეთ გავიდა, რომ სუნთქვაშეკრულს სუფთა ჰაერი ჩაეყლაპა. ვაითუ, მიბრუნებით ყველაფერი გააფუჭოს, მერე? ხომ ვეღარასდროს იხილავს გიგი ახვლედიანს ცხოვრებაში? არადა, როგორ აიღოს ეს ფული? ნუთუ სძლევს სიხარბე? თანაც, როგორ სჭირდება ამწუთას, როგორ მტკივნეულ პრობლემას მოუხსნის, ნაწილობრივ მაინც... უცებ ღიმილი გაუკრთა სახეზე, სივრცეს კმაყოფილმა გახედა, კონვერტი ხელში შეათამაშა და ბოლოს ჩანთაში ჩაუძახა.

შინ მისულმა ფული გადათვალა. ათასი დოლარი აღმოჩნდა. მაშინვე დაურეკა მაკას და უთხრა, ვალის ნაწილს გიბრუნებ, ბანკში გადავრიცხავ შენს ანგარიშზეო.

— ვა, საიდან, ნი? ვინ მოგცა?

— ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ჩათვალე, რომ ვისესხე.

— კარგი, შენი ნებაა, თუ არ გინდა, ნუ მეტყვი. ოღონდ არ გადამირიცხო, ხელზე რომ მომცე, მირჩევნია.

— არა, ხელზე არ მოგცემ. მე საბუთი მჭირდება, რომ ფული ჩაგირიცხე. ასე უფრო იმედიანად ვიქნები, მინდა, პატრონს დაუბრუნო.

— შენ რა, არ მენდობი?

— ხანდახან ჩემს თავსაც არ ვენდობი, მაკა... მაპატიე, — თქვა და ცივად დაკიდა ყურმილი.

ფანჯარასთან მდგარი გიგი ჩაფიქრებული გასცქეროდა ქუჩას. მშობლები გაახსენდა, რომლებიც უკვე აღარ ჰყავდა. ისინი ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, მუხლჩაუხრელად შრომობდნენ დღე-ღამის განმავლობაში, ცდილობდნენ, ერთადერთი ვაჟისთვის კარგი განათლება მიეცათ. თვითონ კარგად სწავლობდა, ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ყოველთვის ყველასგან გამორჩეული ყოფილიყო თავისი ნიჭიერებით. გვიან, მაგრამ მაინც მიაღწია თავისას... ამის გაფიქრებაზე სახე მოეღუშა. საბედნიეროდ, დედა და მამა მოესწრნენ იმ დროს, როცა გიგი თავისი გასართობი იმპერიის შექმნას იწყებდა. ორივენი როგორ შეხარადნენ შვილს, ეამაყებოდათ, რომ შრომა წყალში არ ჩაეყარათ...

თითქმის ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ისინი ავტოკატასროფაში დაიღუპნენ. ძალიან განიცადა... დღემდე ვერ მოუნელებია, რომ დედა და მამა ტკბილ სიბერეს ვერ მოესწრნენ, ვერც — მის ცოლს და შვილს...

მამაკაცმა ღრმად ამოიხვნეშა და ტაქსისკენ მიმავალ ნიას გახედა. ღრმა კმაყოფილების გრძნობა ეუფლებოდა, როცა ამ საოცრებას უყურებდა. მის ცხოვრებაში ნიას გამოჩენა კიდევ ერთხელ ამყარებდა ჰიპოთეზას, რომ იდეალური ქალები მართლა არსებობენ! და ამაზე არა მარტო მისი სილამაზე მეტყველებდა, არამედ მისი სათნოებაც, კდემამოსილებაც, რბილი ხასიათიც და სიყვარულით სავსე თბილი გულიც.

არა, მას ხელიდან არ გაუშვებს. ასეთი ქალები სანთლით უნდა ეძებო, მას კი ასე ადვილად ჩაუვარდა ხელში. იგი არ ჰგავს სხვებს, ყველასგან გამორჩეულია. სანამ არ მოჰბეზრდება, გვერდით ეყოლება, სიამტკბილობის წუთებს, საათებს და დღეებს გაიხანგრძლივებს... ვინ იცის, იქნებ წლებსაც კი. არ იცის, რატომ, მაგრამ რატომღაც დარწმუნებულია, რომ ეს მშვენიერი არსება ყოფას გაულამაზებს, არ მოუწყობს სკანდალებს და არ წაუყენებს პრეტენზიებს. ყოველთვის ისეთი მიამიტური ღიმილი დასთამაშებს სახეზე... გეგონება, მუდამ კარგ ხასიათზეა და მუდამ ყველაფრით კმაყოფილია... არა, რა თქმა უნდა, ხანდახან შეკამათდებიან კიდეც, მასაც ხომ აქვს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება. აბა, დაქირავებული მოსამსახურე ხომ არ არის, მისი ყველა კაპრიზი მორჩილად აიტანოს...

ირონიულმა ღიმილმა ბაგე გაუპო. აღარც ახსოვს, ბოლოს როდის იკამათა ქალთან, განსაკუთრებით ასეთ სრულყოფილებასთან.

ორი დღე გავიდა შეხვედრიდან. ნია ადგილს ვერსად პოულობდა — ვერც სახლში და ვერც სამსახურში. ერთი სული ჰქონდა, როდის დაურეკავდა გიგი და შეხვედრას როდის სთხოვდა. აი, სწორედ შემდეგ შეხვედრას დაერქმეოდა პაემანი და ნია ისე იგრძნობდა თავს, როგორც ყურებამდე შეყვარებული. თუმცა, არ უნდოდა ამაზე ეფიქრა. ცდილობდა, სიყვარულამდე არ მიეყვანა საქმე, თორემ მერე გაუჭირდებოდა. გიგი სამუდამოდ ხომ არ დაიტოვებდა თავისთან, იცოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს იგი უღრმესი თავაზიანობით დაასრულებდა ურთიერთობას.

საღამო ხანი იყო. ნია იჯდა და საკონტროლო წერის რვეულებს ასწორებდა. ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ფეთიანივით მივარდა ყურმილს. ყოველ ზარზე გიგის ხმას ელოდა.

— ალო!

— როგორ ხარ? — მამაკაცის ხავერდოვანმა ტემბრმა ლავასავით დაუწვა გულ-მუცელი.

— არა მიშავს... თავად?

— კარგად, ძალიან კარგად. რას საქმიანობ?

— რაღაც ნაწერებს ვასწორებ და...

— ხვალ საღამომდე მორჩები?

ნიამ სიცილი ვერ შეიკავა.

— ვეცდები.

— ძალიან შეეცადე, იმიტომ, რომ ხვალ საღამოს ვახშამზე გეპატიჟები, სასურველი სტუმარი უნდა იყო. ჩემი მძღოლი გამოგივლის, შენ არ იწვალო. ექვსისთვის ხომ შეძლებ?

— ჰო, რა თქმა უნდა.

— ჰოდა, მოემზადე. აბა! ნახვამდის.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ძალიან მოსიყვარულე, მაგრამ უყურადღებო პოეტი

და სარისკო საუბრები საქართველოს თავისუფლებაზე

მუხრან მაჭავარიანის პოეზიას ყველა იცნობს, მის შედევრებზე თაობები გაიზარდა, მაგრამ პოეტის ოჯახის წევრების შესახებ ძალიან ცოტამ თუ იცის. ბატონი მუხრანის ქალიშვილი, ქალბატონი ნანა მაჭავარიანიც წერს ლექსებს, მაგრამ მათ სამზეოზე გამოტანას ერიდება და ამბობს, რომ მამისა ტახტსა საჯდომად, თავი არ ეღირსება. ის გვიამბობს, თუ როგორი მამაა დიდი პოეტი, ვინ იკრიბებოდა მათ სახლში და რაზე საუბრობდნენ ცნობილი შემოქმედები.

„ზვიადის სიკვდილთან ერთად, ჩვენი ეროვნული იდეაც მოკვდა, ჩემი სამშობლო კი დაობლდა“

თამუნა კვირკველია

— ქალბატონო ნანა, როგორია ბატონი მუხრანი ოჯახში და საერთოდაც, როგორი მამაა იგი?

— მამა ძალიან მოსიყვარულეა, მაგრამ არა — ყურადღებიანი. ზოგჯერ ისიც კი არ იცოდა, რომელ კლასში ვსწავლობდი. უნივერსიტეტი რომ დავამთავრე და ასპირანტურაში ჩაბარება მოვინდომე, გაუკვირდა: როგორ, უნივერსიტეტი უკვე დაამთავრეო?.. მასთან გატარებული ყოველი დღე საინტერესო იყო და არის. ღვთის წყალობით, ის ჯერჯერობით, კვლავ მხნედაა. განსაკუთრებით საინტერესო გახლდათ დღეები, როდესაც მამასთან მეგობრები იკრიბებოდნენ. სამწუხაროდ, ახლა არც ერთი მათგანი ცოცხალი აღარაა. ჩემი ნათლიები იყვნენ: გივი ძნელაძე, მურმან ლებანიძე და ოთარ ჭელიძე. ისინი თითქმის ყოველ საღამოს მოდიოდნენ ჩვენთან (მაშინ პლეხანოვზე ვცხოვრობდით) და იმართებოდა საუბრები ისტორიაზე, ლიტერატურაზე, საქართველოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. იყო სარისკო საუბრები საქართველოს თავისუფლებაზეც. მახსოვს, მამასთან მოდიოდა ზვიად გამსახურდია, რომელსაც თავისი ჟურნალი — „ოქროს საწმისი“ მოჰქონდა ხოლმე. მე დიდი ინტერესით ვკითხულობდი ამ ჟურნალს. ცოტა ხანში ზვიადი გაქრა — აღარ ვიცოდით, სად იყო. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ ციხეში იჯდა.

— იქნებ, უფრო ვრცლად გვიამბოთ ზვიად გამსახურდიას ვიზიტებზე თქვენს სახლში... ალბათ, ძალიან განიცადეთ მისი დაღუპვა...

— როცა ზვიადი ჩვენთან მოდიოდა, მამის ოთახში გადიოდნენ ხოლმე. მე არასოდეს მომისმენია მათი საუბარი. ზვიადის გარდაცვალება ძალიან განვიცადეთ. თითქოს, მის სიკვდილთან ერთად, ჩვენი ეროვნული იდეაც მოკვდა, ჩემი სამშობლო კი დაობლდა, გასაცოდავდა.

— მუხრან მაჭავარიანს მრავალი ბედნიერი და უსიამოვნო დღე ჰქონია. მას გვერდით ედგა მეუღლე, დედათქვენი, ქალბატონი ლამარა ბოკერია.

— დედა შემოქმედი ადამიანია. ის ჯერ რადიოში მუშაობდა, მერე — ტელევიზიაში, წერდა სცენარებს. მისი სცენარის მიხედვითაა გადაღებული დოკუმენტური ფილმი „შორია გურჯისტანამდე“ და ფილმები ავლიპ ზურაბაშვილსა და სერგო ზაქარიაძეზე. მოგეხსენებათ, 90-იან წლებში, პროტესტის ნიშნად, ადამიანთა გარკვეული ნაწილი სამსახურს ჩამოშორდა. მათ შორის იყვნენ ჩემი მშობლებიც: მამამ დემონსტრაციულად დატოვა მწერალთა კავშირი, დედამ — ტელევიზია.

— მუხრან მაჭავარიანი XX საუკუნის დიდი პოეტია, რომელსაც უფრო ხშირად, სახელით მოიხსენიებენ...

— მამას სახელი ბებიამ, თავისი სათაყვანებელი ადამიანის, გეგა კობახიძის დიდი ბაბუის პატივსაცემად დაარქვა. რაც შეეხება მარტო სახელით მოხსენიებას, ამას მურმან ლებანიძე ნერგავდა. ის სულ ამბობდა: მურმანი, მუხრანი, ანა — რატომღაც, ეს ტრიადა ჰქონდა შექმნილი.

— თქვენ თუ გიცდიათ ლექსის წერა?

— ხუთასამდე ლექსი მაქვს დაწერილი, მაგრამ ისინი არავისთვის, მათ შორის, არც მამაჩემისთვის მიჩვენებია. არ მიყვარს, როდესაც პოეტის შვილიც პოეტობს: მამისა ტახტსა საჯდომად, თავი არ მეღირსება. მოგეხსენებათ, ადამიანი ყველაფერს თვითდამკვიდრებისთვის აკეთებს, მე კი ამ ცხოვრებაში სულ სხვა რამით დავიმკვიდრე თავი.

— როგორც ვიცი, ფილოლოგი ხართ.

— კავკასიურ ენათა განყოფილების დამთავრების შემდეგ, ავირჩიე აფხაზური ენა, რაც ძირითადად, იმან განაპირობა, რომ აფხაზური ენის ლექტორი, აკადემიკოსი ქეთევან

ლომთათიძე ძალიან მიყვარდა. მართალია, ამ არჩევანის გამო ბევრ სირთულეს წავაწყდი, მაგრამ დღემდე აფხაზურის სპეციალისტი ვარ. ორივე დისერტაცია აფხაზურ ენასთან დაკავშირებით დავიცავი: პირველი — საკანდიდატო ქართულსა და აფხაზურს ეხება, მეორე — მხოლოდ აფხაზურს. ამჟამად ვარ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი.

— გარდა იმისა, რომ ლექსებს წერთ, კიდევ რით ხართ გატაცებული?

— საინტერესო ქვებს ვაგროვებ. ერთ-ერთი ქვა ცხრა წლის ასაკში, ბოლნისის სიონიდან წამოვიღე. მახსოვს, წვიმიანი ამინდი იყო და კამაზის ტიპის მანქანას, რომ არ დაგორებულიყო, ბორბლებქვეშ ლამაზი, ჩუქურთმიანი ქვა ჰქონდა დადებული. როცა მძღოლმა მანქანას ქვა გამოაცალა, ის მაშინვე ავიღე და აგერ უკვე რამდენი წელიწადია, ვინახავ. ახლა ჩემს შვილებს ვეუბნები: როცა მოვკვდები, ეს ქვა საფლავზე დამადეთ-მეთქი.

— რომელია თქვენი საყვარელი ლექსი მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებიდან?

— გამორჩეულად მიყვარს პოემა „ვახტანგი“, რომელიც თბილისის აღმოჩენას ეძღვნება. მიმაჩნია, რომ მას სათანადოდ არ აფასებენ.

— გვიამბეთ თქვენი ბებია-ბაბუის, ბატონი მუხრანის მშობლების შესახებ.

— ბებია, თამარ იაკობაშვილი არაჩვეულებრივი ქართველი ქალი იყო. დამთავრებული ჰქონდა ქუთაისის გიმნაზია და პროფესიით პედაგოგი გახლდათ. მე ძალიან ბევრი რამ მომცა მასთან ურთიერთობამ. მთელ ზაფხულს ბებიასთან, სოფელში ვატარებდი, მერე კი თბილისშიც ერთად ვცხოვრობდით. მან შემაყვარა საქართველო. იცოდა კარგი თხრობა და მიყვებოდა სიუჟეტებს ბიბლიიდან, სახარებიდან. ბებიის მამა მღვდელი გახლდათ, სტეფანე ერქვა. სამწუხაროდ, მასზე ბევრი არაფერი ვიცი. იგი ბებიაჩემის გათხოვებამდე გარდაცვლილა და ამიტომაც, მამასაც არ ახსოვს. დაახლოებით, 21 წლის გახლდით, როდესაც ბებია იმ ქვეყნად წავიდა და

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ



ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

Გ. გრძელხელება მაიმუნი; **Ზ**. ხასიათი, ბუნება, თვისება; **Ა**. ცუდი ამინდი; **Გ**. ვულკანური წარმოშობის ცხელი წყარო; **Ზ**. ნოდარ წულეისკირის რომანი; **Ი**. უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი; **Ს*.** ინგლისელი მწერალი, „აივენჰოსა“ და „რობ როის“ ავტორი; **Თ*.** თევზი, რომელსაც ლუარსაბ თათქარიძე თევზების მეფეს ეძახდა; **Ვ*.** მუნჯი კინოს ქართველი მსახიობი ქალი; **Ი*.** ქალაქ როას მეორენაირი სახელწოდება; **Ს*.** რისიმე მოხაზულობა, აღქმული შორი მანძილიდან, ბურუსში ან სიბნელეში; **Ა*.** ქალის სახელი, რომელმაც თეზევსს ძაფის გორგალი მისცა და ლაბირინთიდან თავის დაღწევაში დაეხმარა; **Ო*.** თურქის მეორენაირი სახელწოდება; **Მ*.** ახალი ზელანდიის მკვიდრი მოსახლეობა; **Ჯ*.** ამერიკული სიგარეტი; **Ი*.** პანკების ყველაზე მეტად გავრცელებული ვარცხნილობა; **Თ*.** ივნისის ქართული ხალხური სახელწოდება; **Ხ*.** რქიანი საქონლის ზოგადი სახელწოდება დასავლეთ საქართველოში; **Ვ*.** ოხვრა, მოთქმა; **Ე*.** გემის ან თვითმფრინავის მომსახურე პერსონალი; **Ლ*.** კაკო დევდარიანის მეტსახელი ნოდარ დუმბაძის რომანში „თეთრი ბაირაღები“; **Ი*.** სუფთა მოგება ძიუდოში; **Ს*.** ბერძენი ფილოსოფოსი, პლატონის მასწავლებელი; **Თ*.** აკაკი წერეთლის ტიტული; **Ვ*.** თენგიზ აბულაძის ფილმი, რომელმაც „ნატვრის ხესთან“ და „მონანიებასთან“ ერთად ტრილოგია შეადგინა; **Ი*.** იაპონური მხატვრობა, ყვავილების, ფოთლებისა და ტოტებისაგან გამოსახულების შექმნა; **Ს*.** წინასწარმეტყველი ქალი ძველ რომსა და საბერძნეთში; **Ა*.** სამცხის მმართველის ტიტული საქართველოში; **Ო*.** ნიშნის მოგების გამომხატველი შორისდებული, რომელიც იხმარება პირის ნაცვალსახელთან ერთად (ამბობდა ლუარსაბ თათქარიძე);

„ᲒᲖᲘᲡ“ №26-ᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

Გ*. გოპაკი; **Ზ*.** ზვიგენი; **Ა*.** აორტა; **Გ*.** გოშია; **Ზ*.** ზვიადი; **Ი*.** იამბიკო; **Ს*.** სვანეთი; **Თ*.** თოქმაჩი; **Ვ*.** ვოევოდა; **Ი*.** იუბილე; **Ს*.** სკალპი; **Ა*.** ავრორა; **Ო*.** ონისე; **Მ*.** მოემი; **Ჯ*.** კაშნე; **Ი*.** იუმორი; **Თ*.** თხა; **Ხ*.** ხაკი; **Ვ*.** ვაიმარი; **Ე*.** ეუსებიო; **Ლ*.** ლომგული; **Ი*.** იგოეთი; **Ს*.** საცივი; **Თ*.** თეირანი; **Ვ*.** ვექილი; **Ი*.** ილუზია; **Ს*.** სალიერი; **Ა*.** აკიმი; **Ო*.** ოტავა.

ᲒᲐᲛᲣᲥᲔᲑᲣᲚ ᲣᲯᲠᲔᲓᲔᲑᲨᲘ ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ:
ᲞᲘᲠᲨᲘ ᲛᲐᲫᲔᲑᲐᲠᲘ ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲛᲝᲪᲘᲫᲣᲚᲘᲐ.

ის დღემდე მაკლია. ბაბუა ვანო არ მახსოვს, მაგრამ გადმოცემით ვიცი, რომ საოცრად დადებითი პიროვნება ყოფილა, სიკეთით აღსავსე.

— მოდი, გაიხსენეთ ბავშვობა, სტუდენტობის წლები...

— ძალიან ლამაზი ბავშვობა მქონდა. დავიბადე ვერაზე, გოგებაშვილის ქუჩაზე. სხვათა შორის, ის სახლი დღესაც მენატრება. სკოლის დამთავრების შემდეგ მინდოდა, ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ჩამებარებინა, მაგრამ იქ მათემატიკა ბარდებოდა, ამ საგანს კი ვერაფრით ვეგუებოდი. ამიტომაც, გადავწყვიტე, ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩამებარებინა. მოგვიანებით გავთხოვდი ლევან (ლერი) ახმეტელზე, რომელიც პროფესიით ინჟინერი გახლავთ. სხვათა შორის, მას მამაჩემთან ერთად, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე აქვს მოწერილი ხელი და ამით ძალიან ვამაყობ.

— თქვენ ხართ მზრუნველი შვილი, კარგი მეუღლე, შესანიშნავი დედა, მოსიყვარულე ბებია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი და მომხიბვლელი ქალბატონი, რომელიც მუდამ კარგად გამოიყურება. როგორ ახერხებთ ყველაფრის შეთავსებას და რას ურჩევთ ახალგაზრდებს, რომლებიც მუდამ დროის სიმცირეს უჩივიან?

— მე უნიკალური შემთხვევა არ ვარ, ასე იყვნენ ჩემი ბებიებიც, დედაც, დეიდაც, მამიდაც. ქართველ ქალს რაც უფრო ცოტა დრო აქვს, მით მეტს ასწრებს. ახალგაზრდებს ვურჩევ, ის საქმე აკეთონ, რომელიც უყვართ და მთელ გულსა და სულს ჩადებენ, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში მიაღწევენ წარმატებას.

— დასასვენებლად ალბათ, არგვეთში მიბრძანდებით...

— დიახ, არგვეთში მივდივარ. ჩემი სოფელი ძალიან მიყვარს და მიმაჩნია, რომ ის მთელ მსოფლიოში ყველაზე ლამაზი სოფელია. ■

უჩვეულო ვარსკვლავური ქორწინებები



ჰოლივუდის ვარსკვლავურ წყვილებს შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა იშვიათი შემთხვევა როდია. როგორც ჩანს, ეს ტენდენცია ძლიერდება და „უთანასწორო“ ვარსკვლავურ ქორწინებათა რიცხვი სულ უფრო იზრდება.

ყველაზე ხმაურიან „უთანასწორო“ ქორწინებად დღემდე ეშტონ კატჩერისა და დემი მურის კავშირია მიჩნეული. ისინი 2005 წელს დაქორწინდნენ. მაშინ ეშტონი 27 წლის იყო, დემი კი ორმოცდასამის. წყვილმა ერთმანეთი ერთ-ერთ წვეულებაზე გაიცნო და დემიმ ყმაწვილი მაშინვე მეგობარი რეპერის იახტაზე მიიპატიჟა.

„სამოთხედ“ წოდებული კუნძულისკენ გასეირნება მათთვის საბედისწერო აღმოჩნდა... და აი, იგი მუხლს იყრის დედოფლის წინაშე, მაჯაზე ბრილიანტებით მოელვარე სამაჯურს უკეთებს, გულსა და ხელს სთავაზობს და პასუხს სულგანაბული ელის... „თანახმა ვარ!“ — ამბობს დედოფალი.



„უთანასწორო“ ქორწინებებით ჰოლივუდს არც რუსული შოუბიზნესი ჩამორჩება. ამის საუკეთესო მაგალითი 59 წლის ნადეჟდა ბაბკინასა და 29 წლის ევგენი გორის ოჯახია. მიუხედავად იმისა, რომ შეყვარებულებს ქორწინება ოფიციალურად დღემდე არ გაუფორმებიათ, მათი სამოქალაქო კავშირი უკვე 6 წელია გრძელდება. ერთადერთი შვილის, დანილას ქორწილზე ნადეჟდამ მოულოდნელად პატარძლის ნასროლი თაიგული დაიჭირა და იხუმრა, — ევგენი ცოლობას ახლა მაინც მთხოვსო, მაგრამ როგორც ჩანს, გორი გადაკრულ ნათქვამს „ვერ მიუხვდა“.

არანაკლებ საინტერესოა ოლეგ ტაბაკოვისა (74 წლის) და მარინა ზუდინას (44 წლის) წყვილი, რომელიც ნათელი მაგალითია იმისა, რომ სიყვარულმა ასაკი არ იცის. 30-წლიანი ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, ცოლ-ქმარს ერთმანეთის უსიტყვოდ ესმის და ეს ძირითადად, ოლეგ ტაბაკოვის დამსახურებაა! „იდეალური ხასიათი არ მაქვს და ზოგჯერ ჩემი ატანაც ძნელია. ძალზე ემოციური ვარ, მაგრამ არც ოლეგია იდეალური ქმარი, თუმცა ერთად მოწყენილები არასდროს ვართ“ — ამბობს ზუდინა.

65 წლის მაიკლ დუგლასსა და 40 წლის კეტრინ ზეტა-ჯონსს შორის ასაკობრივი სხვაობა 25 წელია. ყველაფერი კი ასე დაიწყო: სახელგანთქმული მაიკლ დუგლასი ფილმის „ზოროს ნიღაბი“ პრემიერაზე კეტრინით იმდენად მოიხიბლა, რომ მისი გულის მონადირება ცხოვრების მიზნად დაისახა. მათი პირველი შეხვედრა საერთო მეგობრის, ანტონიო ბანდერასის წყალობით, ერთ-ერთ კინოფესტივალზე შედგა. ერთი თვისთავზე მაიკლ დუგლასმა განქორწინებაზე ზრუნვა დაიწყო, კეტრინის თითზე კი 2-მილიონიანი ნიშნობის ბეჭედი აელვარდა...

72 წლის ანდრეი კონჩალოვსკისა და 36 წლის იულია ვისოცკაიას ქორწინებას „ბედნიერი“ თამამად შეიძლება ვუწოდოთ. ჩემთვის ტერმინი — „უთანასწორო ქორწინება“ არ არსებობს. როდესაც ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს, ისინი ერთი მთლიანის ორ თანასწორ ნაწილს წარმოადგენენ. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ეს სირთულე არასოდეს ყოფილა“, — ამბობს იულია.

სელინ დიონისა და რენე ანჯელილას კავშირიც „უთანასწორო“ ქორწინების კლასიკური ნიმუშია. რენე ცოლზე 26 წლით უფროსია. მომავალმა ცოლ-ქმარმა ერთმანეთი სასიყვარულო ურთიერთობის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, 1980 წელს გაიცნო. სელინი 12 წლის იყო, როდესაც იმ დროს საკმაოდ ცნობილ პროდიუსერ რენე ანჯელილას, დედისა და ძმის დახმარებით, საკუთარი დემო-კასეტა გაუგზავნა. სელინის მიერ შესრულებულმა ფრანგულმა სიმღერამ Ce n'etait gu reve 38 წლის რენე აღაფრთოვანა... ახლა სელინ დიონი მსოფლიო დონის ვარსკვლავია. 2001 წელს წყვილს დიდი ხნის ნანატრი ვაჟიშვილი რენე შარლი შეეძინა. ■

„სოხუმიდან დევნილობის შემდეგ, ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ საკუთარი სახლ-კარის მიტოვება მეორედაც მომიწევდა“, — მითხრა მრავალშვილიანმა დედამ, რომელიც კოდორის ხეობაში 9 შვილთან, მეუღლესთან და დედამთილთან ერთად ცხოვრობდა. აფხაზეთის ომის დროს მან 7 ძმა, 2 და და გამზრდელი მამა დაკარგა. სოხუმში მომხდარი საშინელი ტრაგედიისა და კოდორის ხეობაში გადატანილი უმძიმესი დღეების შესახებ ჩვენი რესპონდენტი თავად გვიამბობს.

ოჩამჩირის დევნილი მრავალშვილიანი ოჯახის ტკივილი

ოდდი. ჩემი ქმარი წარმოშობით კოდორის ხეობიდანაა. მამას არ უნდოდა, სოფელში მეცხოვრა და ამიტომაც, სოხუმში 2-ოთახიანი ბინა მიყიდა.

— აფხაზეთის ომის დროს სოხუმში იყავით?

— კი, მაგრამ 2 დღით ადრე, ვიდრე მამა და დები დაიღუპებოდნენ, ჩემს შვილთან ერთად (მაშინ მხოლოდ ერთი შვილი მყავდა) კოდორის ხეობაში გამამგზავრეს. მაშინ აფხაზეთში საშინელება ხდებოდა. ადამიანები ერთმანეთს არ ინდობდნენ... გახსენებაც კი არ მინდა!.. დედა აფხაზი მყავდა და აქედან გამომდინარე, აფხაზი ხალხის მიმართ სიძულვილი არასოდეს მქონია, მათთან ერთად წლების განმავლობაში, ბედნიერად ვცხოვრობდით. წამლა. ის დეზინტერიით გარდაიცვალა. ახლა 9 შვილი მყავს: 6 ბიჭი და 3 — გოგონა.

— 9 შვილის გაზრდა არ გაგიჭირდათ?

— კოდორში ცხოვრებისას არაფერი მიჭირდა, დიდი მიწის ნაკვეთები გვქონდა, სადაც იმდენი მოსავალი მოგვყავდა, რომ წლიდან წლამდე გვყოფნიდა. ბავშვებიც ხელს მიწყობდნენ, თითოეული მათგანი შრომას თავიდანვე მივაჩვიე. უფროსები პატარების გაზრდაში მეხმარებოდნენ. ყველაზე პატარა ახლა 3 წლისაა.

— საკუთარი სახლ-კარის მიტოვება მეორედ მოგიხდათ...

— სოხუმიდან წამოსვლის შემდეგ ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ საკ-

„9-ჯერ სახლები ვიმოგზაურეთ...“

სოფო ჭონიშვილი

— ქალაქ სოხუმში დავიბადე და გავიზარდე, იქაურობა დღემდე მიყვარს. ბედნიერი ბავშვობა ნამდვილად არ მქონდა, — 3 წლის ვიყავი, როცა დედა გარდაგვეცვალა. მამამ კი 10 შვილი ისე გაგვზარდა, ცოლი აღარ შეურთავს. ვინაიდან დედმამიშვილებში ყველაზე პატარა ვიყავი, ძალიან მანებივრებდნენ. 7 ძმა და 3 და ვიყავით. სკოლის დამთავრების შემდეგ ძმები მოსკოვში წავიდნენ სამუშაოდ. მამას და დებს იქიდან გვეხმარებოდნენ, არაფერს გვაკლებდნენ. როცა აფხაზეთში ომი დაიწყო, ყველანი სოხუმში დაბრუნდნენ, იარაღი აიღეს და მშობლიური ქალაქის დასაცავად იბრძოდნენ. საუბედუროდ, შვიდივე ძმა მომიკლეს, 3 მათგანის საფლავიც კი არ ვიცი, სად არის.

— მამათქვენი არ იბრძოდა?

— არა, მამა ომის დროს სახლიდან გარეთაც არ გადიოდა, ჩემს დებთან ერთად, საკუთარ ოჯახს იცავდა. ერთ დღეს აფხაზების მიერ ჩამოგდებულმა ბომბმა ჩვენი სახლი მიწასთან გაასწორა და ჩემი ოჯახის წევრები იმსხვერპლა. მიკვირს, როგორ შევძელი ამ ტრაგედიის გადატანა. დედმამიშვილების დაღუპვის შემდეგ გადავწყვიტე, ბევრი შვილი გამეჩინა და ცხოვრება ასე მაინც გამეხალისებინა. ოჯახი პატარა ასაკში შევქმენი — მე-8 კლასში ვიყავი, როცა გავთხვერ წარმომედგინა, რომ ოდესმე, აფხაზი ქართველზე ხელს ასწევდა. ახლა იმ სახლში, რომელიც მამამ გათხოვების შემდეგ მიყიდა, ჩემი ძმის ცოლი (ის აფხაზი გახლავთ) და ძმისშვილები ცხოვრობენ. ომის შემდეგ ისინი კოდორის ხეობაში გვესტუმრნენ, გვინახულეს, მაგრამ მერე დამეკარგნენ, აღარ მეკონტაქტებიან.

— თქვენი შვიდივე ძმა დაქორწინებული იყო?

— არა, დაოჯახებული მხოლოდ 2 გახლდათ: ერთს 5 შვილი ჰყავდა, მეორეს კი — შვილიც არ დარჩენია. ომი რომ დაიწყო, 3 თვის დაქორწინებული იყო. მისმა ცოლმა მეუღლის დაღუპვის ამბავი რომ გაიგო, ქმრის გასვენებამდე თავი ჩამოიხრჩო... სოხუმიდან წამოსვლის შემდეგ, ცოტა ხნით მეუღლის სახლში, კოდორის ხეობაში დავბინავდით, მაგრამ რადგანაც საშიშროება იქაც გვემუქრებოდა, კოდორიდან ჭუბერში გადავედით, სადაც ნათესავის დაკეტილ სახლს შევეხიზნეთ. სხვათა შორის, ჩემი მეუღლე სამხედრო პირი იყო და იბრძოდა. ჭუბერში 2 წელი ვცხოვრობდით. უბედურებამ არც იქ მიმატოვა და 9 თვის გოგონა გამომაცალა ხელიდან.

— ავადმყოფობდა?

— არა, როცა კოდორიდან ჭუბერში წამოვედით, არაფერი წამოგვიღია და ბავშვები 2 დღე მშივრები იყვნენ. გადმოსვლისას პატარა გოგონა მომეუთარი ნაშრომის და შეძენილის მიტოვება კიდევ ერთხელ მომიწევდა. შარშანდელი აგვისტო საშინელება იყო. ჩვენ კოდორის ხეობის ყველაზე ბოლო სოფელში — ომარიშარაში ვცხოვრობდით. სროლისა და დაბომბვის ხმას რომ გავიგონებდით, ჩემს შვილებთან ერთად ტყეში გავრბოდი და ვიმალებოდი. როცა სიტუაცია ჩაწყნარდებოდა, უკან ვბრუნდებოდით. ბოლო დღემდე იქ ვიყავით, სახლის მიტოვება არ გვინდოდა. ერთ-ერთი შვილი, რომელიც ახლა 9 წლისაა, გულის მანკითაა დაავადებული. ომის დროს, შიშისგან ისე ცუდად გახდა, მეგონა, ვეღარ გადარჩებოდა. სწორედ მის გამო წამოვედით კოდორიდან. გზაში, ჩვენ სიახლოვეს ვერტმფრენი ჩამოვარდა და მანქანა, რომელშიც მთელი ოჯახი ვიჯექით, გადააყირავა. ამ შემთხვევაში ღმერთმა დაგვიფარა და სერიოზულად არც ერთი არ დავშავებულვართ, მხოლოდ მეუღლეს ჰქონდა კიდურის მოტეხილობა. ასე, შიშის ქვეშ, ჭუბერამდე მივაღწიეთ, სადაც მთელი კოდორის ხეობის მოსახლეობა იყო შეკრებილი. ღამის გასათევი ადგილი ვერ ვიპოვეთ. მერე ერთ კაცს შევეცოდეთ და ოთახი დაგვითმო, რომელშიც საბოლოოდ, 29 კაცს გვეძინა. ჭუბერში 2 დღე ვიყავით, არც საჭმელი გვქონდა და არც — სასმელი, მერე კი ქუთაისში გადმოგვიყვანეს, სადაც 2 ღამე ქუჩაში გვეძინა. მესამე დღეს ქუთაისის მე-

რიაში წავედი და დახმარება ვითხოვე. როცა მერიის თანამშრომლებმა ნახეს, რომ შვილი ხელში მაკვდებოდა, საავადმყოფოში წამიყვანეს. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ქუთაისის ბავშვთა საავადმყოფოს მედპერსონალს. მათ არა მარტო შვილი გადამირჩინეს, ფული და ტანსაცმელიც შემიგროვეს და წამოსვლისას გადმომცეს.

— ახლა როგორაა თქვენი პატარა?

— ახლა არა უშავს, მაგრამ ოპერაციის გაკეთება მაინც საჭიროა. 15 აგვისტოს თბილისში უნდა ჩავიდეთ. ოპერაციას იქ გაუკეთებენ, ხარჯებს კი სახელმწიფო აგვინაზღაურებს.

— როგორც მრავალშვილიანი დედა, სახელმწიფოსგან ფულად დახმარებას თუ იღებთ?

— არა, მას შემდეგ, რაც კოდორის ხეობა დავტოვეთ, მერიამ ერთჯერადი დახმარება — 500 ლარის ოდენობით გადმოგვცა და ამისთვისაც მადლობელი ვარ. სოციალურ დახმარებას, სულზე 25 ლარს ვიღებთ და თავს ამით ვირჩენთ. საჭმელ-სასმლის პრობლემა ნამდვილად არ გვაქვს, მხოლოდ ტანსაცმლის ყიდვას ვერ ვახერხებთ.

— როგორც ვიცი, სახელმწიფო, როგორც დევნილებს, პროდუქტებითაც გეხმარებათ.

— დიახ, სულზე 300 გ ზეთს და 400 გ შაქარს ვიღებ, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. სადილს ძირითადად, 2 ქვაბში ვამზადებ — 3-ლიტრიანსა და 2-ლიტრიანში. ერთში ლობიოს ვხარშავ, მეორეში — წვნიანს. დღის განმავლობაში 4 პური გვყოფნის.

— ამჟამად, რამდენოთახიან ბინაში ცხოვრობთ?

— სახელმწიფომ 5-ოთახიანი, კომფორტული ბინა გადმოგვცა. ახლა გვეუბნებიან, რომ ეს ბინები საკუთრებაში გადმოგვეცემა. ასე თუ ისე, ამჯერად მშვიდად ვართ. ახლა ერთადერთი პრობლემა ჩემი შვილის ჯანმრთელობაა. ვლოცულობ, რომ ოპერაციამ კარგად ჩაიაროს.

— უფროსი შვილი რამდენი წლისაა?

— უფროსი გოგონა 17 წლისაა. ის 15 წლის ასაკში გათხოვდა. ჩემი სიძე სამხედრო პირია. ერთმანეთი კოდორში შეუყვარდათ და ხეობიდან თვითმფრინავით გაიპარნენ. ქარელში გათხოვდა.

ერთ-ერთი შვილი, რომელიც ახლა 9 წლისაა, გულის მანკითაა დაავადებული. ომის დროს, შიშისგან ისე ცუდად გახდა, მეგონა, ველარ გადარჩებოდა. სწორედ მის გამო წამოვედით კოდორიდან.

— დედის მსგავსად, ისიც მრავალშვილიანობას ხომ არ აპირებს?

— არა, ამის სურვილი არ გამოუთქვამს. ჯერ მხოლოდ ერთი შვილი ჰყავს... ჩემი უფროსი ბიჭი 16 წლისაა და მუშაობს. კოდორიდან წამოსვლის შემდგ სკოლაში აღარ უვლია, ქუთაისში რომ ჩამოვედით, ხელობა ისწავლა. მართალია, დიდი ანაზღაურება არა აქვს, მაგრამ ჩვენთვის ისიც ბევრს ნიშნავს.

— მეუღლე თუ მუშაობს?

— არც მეუღლე მუშაობს და არც — მე. ჩემი ფიზიკური დატვირთვა არ შეიძლება. 2 წლის წინ საშვილოსნო ამომკვეთეს — 6-თვიანი ტყუპი გავაჩინე. მათი გადარჩენა ვერ მოხერხდა და მეც, მშობიარობის შემდეგ ქირურგიული ჩარევა დამჭირდა. ცალი თირკმელიც არ მაქვს... შრომა ძალიან მიყვარს და უსაქმურად ვერ ვჩერდები. ქუთაისში პატარა ნაკვეთი მოგვცეს, სადაც ბოსტანი გავაშენეთ.

— პატარები სკოლაში დადიან?

— 5 ბავშვი სკოლაში დადის, 2 — ბაღში.

— კარგად სწავლობენ?

— კი, არა უშავთ (*იცინის*).

— ბავშვები საკუთარ სახლში დაბრუნების სურვილს არ გამოთქვამენ?

— როცა ქუთაისში ახალი ჩამოსულები ვიყავით, ტიროდნენ, — კოდორში გვინდაო, მაგრამ ახლა აქ ცხოვრება ურჩევნიათ.

— კოდორის ხეობაში თქვენი საცხოვრებელი სახლი დაბომბილია?

— არა, ჩემს სახლში აფხაზები ცხოვრობენ. საერთოდ, აფხაზებს კოდორის ხეობა ძალიან უყვართ და იქ დასასვენებლად ხშირად ჩადიან. როგორც ვიცი, შარშან ზაფხულს, კოდორში დასასვენებლად პუტინიც ჩასულა.

— შინ დაბრუნების იმედი თუ გაქვთ?

— სიმართლე გითხრათ, სოხუმსა და კოდორის ხეობაში დაბრუნების არც იმედი მაქვს და არც — სურვილი. იქ იმდენი უბედურება და გაჭირვება ვნახე, რომ იქაურობის დანახვაც აღარ მინდა. როგორ უნდა ვიცხოვრო ქალაქში, სადაც 9 დედმამიშვილი და მამა დამეღუპა (*ტირის*)?! სურვილი მაქვს, ქუთაისთან ახლოს, რომელიმე სოფელში ვიყიდო სახლი და საცხოვრებლად იქ გადავიდე. ქალაქში უსაქმურად ყოფნა არ შემიძლია. მინდა, დიდი მიწის ნაკვეთები მქონდეს და ჩვენი საზრდო თავადვე მოგვყავდეს.

— რამდენი წლის ხართ?

— 34-ის. მეუღლე კი 39-ის გახლავთ. სხვათა შორის, 9-ჯერ სახლში ვიმშობიარე.

— ექიმის გარეშე?

— დიახ. ყველაზე პატარა რომ გავაჩინე, ყანაში ვიყავი და ვთოხნიდი. როცა მუცელი ამტკივდა, სახლში წამოვედი, დავწექი, ვიმშობიარე და ბავშვს ჭიპლარიც თავად მოვაჭერი. აბა ჩემს საქმეს ვინ გააკეთებდა?! არც ერთი აბორტი არ მაქვს გაკეთებული, საკუთარი შვილის მკვლელობაზე არასოდეს მიფიქრია.

— ბავშვებს სახელები თავად შეურჩიეთ?

— მათ სახელებს ჩემი დედამთილი არქმევდა. ჭკვიანი შვილები მყავს. იმედია, მალე გაიზრდებიან და მათი დახმარებით არაფერი გამიჭირდება. ■

არც მეუღლე მუშაობს და არც — მე. ჩემი ფიზიკური დატვირთვა არ შეიძლება

ყველაზე სასუჯველი სასიძო-საპატარძლოები

მშობლები ხშირად იწუნებენ სასიძოს ან საპატარძლოს — ზოგჯერ სამართლიანად, ზოგჯერ კი უსამართლოდ. ჩვენ დავინტერესდით, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეებიდან ვინ მიიჩნევა საუკეთესო სასიძოდ და საპატარძლოდ, წუნია მშობლები ოჯახში ვის შესვლას და დამოყვრებას არ გააპროტესტებდნენ და რატომ? — ამ თემასთან დაკავშირებით, სატელეფონო გამოკითხვა ჩავატარეთ. იმედია, ჩვენი შედეგებით „ყველაზე არასასურველ“ სასიძო-საპატარძლოებს გულს არ ვატკენთ და არ გავანაწყენებთ. ბოლოს და ბოლოს, ეს რეიტინგი ხომ მხოლოდ ერთეულთა გამოკითხვების შედეგად დადგინდა.

ლიკა ქაჯაია

ირა, *40 წლის:*

— მე 2 შვილი მყავს: 21 წლის გოგონა და 19 წლის ბიჭი. ლიკა გათხოვილია და მშვენიერი მეუღლე ჰყავს, მაგრამ სიძედ მაინც, უკეთესი ბიჭი მინდოდა.

— „უკეთესი“ რითი?

— გარეგნობით, პროფესიით და ა.შ.

— ეი. ფაქტობრივად, სასიძო დაიწუნეთ, არა?

— ჰო, ასეა, მაგრამ მან თავი შემაყვარა და დღეს ღვიძლი შვილივით მიყვარს.

— სიძედ რომელ ცნობილ ქართველს ისურვებდით?

— თანამედროვე მომღერლებიდან რატი დურგლიშვილის გარდა, ვერავის გამოვყოფ. აი, ასაკით უფრო პატარა რომ იყოს, ბესო კალანდაძეც არაჩვეულებრივი სიძე იქნებოდა.

— დარწმუნებული ხართ, რომ ბატონ ბესოსთან თანაცხოვრება თქვენს შვილს ბედნიერებას მოუტანდა?

— ჰო, ალბათ, ასე იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, მას ვერაფრით დავიწუნებდი.

— ის რატისაც სჯობია?

— რა თქმა უნდა, სჯობია.

— თქვენ მოსაზრებისა და გემოვნების შესახებ თქვენმა გოგონამ იცის?

— (*იცინის*) რომ იცის, იმიტომაც გათხოვდა დაუკითხავად. მეუბნება, შენი გემოვნების გათვალისწინებით ვერავის შევიყვარებო.

— სხვათა შორის, ყველასთვის ცნობილია, რომ მომღერალ ბესო კალანდაძეს ოჯახის დანგრევის საფრთხე ემუქრებოდა...

— იცით, ჩემი აზრით, ეს ცოლის ბრალი იქნებოდა. საერთოდ, ქალზე ბევრი რამაა დამოკიდებული. თუ ქმარს ჭკვიანურად მიუდგები და ზედმეტი კითხვებითა თუ ეჭვიანობით თავს არ მოაბეზრებ, შენგან წასვლა არასდროს მოუნდება.

— თქვენ ოჯახის შენარჩუნებას ამ ხერხით ცდილობთ?

— სამწუხაროდ, მე ბუნებით ეჭვიანი

ვარ და ოჯახი ამიტომაც დამენგრა... კიდევ, ძალიან მომწონს ანრი ჯოხაძე. ის რომ ჩემი სიძე იყოს, მხოლოდ ვამლერებდი, სხვა საქმის კეთების უფლებას კი არ მივცემდი...

— თქვენ ვაჟიც დაქორწინებულია?

— არა, მაგრამ საცოლე ჰყავს.

— სარძლოსაც იწუნებთ?

— არა, ის ძალიან კარგი გოგონაა, პატიოსანი ოჯახის შვილი. სხვათა შორის, განათლებულია და მშვენიერი სამსახურიც აქვს. იმედი მაქვს, ჩემს შვილთან ერთად ძალიან ბედნიერი იქნება.

— ქალბატონო ირა, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეებიდან, ყველაზე სასურველ საპატარძლოდ ვის დაასახელებთ?

— პირველ რიგში, მოდელ გვანცა დარასელიას დავასახელებ. ის არაჩვეულებრივი გოგონაა, როგორც გარეგნულად, ისე — აზროვნებითაც. როგორც ჩანს, ჭკვიანი და ძალიან თბილი ადამიანია. არასდროს „ტრიპაჩობს“ და ცდილობს, დიდთან დიდი იყოს, პატარასთან — პატარა. კიდევ, მშვენიერი გოგონაა თიკა ფაცაცია, მაგრამ უკვე გათხოვილია და საპატარძლოების სიაში ვერ ჩავწერთ, არა?

— დიახ, ასეა...

— ჰო, თიკა ჯამბურიაც მშვენიერი ვარიანტია. მართალია, გარეგნულად გვანცასავით ტანადი არაა, მაგრამ კარგი ადამიანია, განათლებული ოჯახის შვილი.

— თქვენ შვილები ოჯახიშვილობით შეაფასეს?

— არ ვიცი, რით შეაფასეს, მაგრამ ჩემს შვილებს დასაწუნი არაფერი სჭირთ!

— ეგ თქვენთვის, მაგრამ სხვებს მხოლოდ თავიანთი შვილები ჰგონიათ უნაკლო... და ბოლოს, მინდა გკითხოთ, ბესო კალანდაძე თქვენ ქალიშვილის ქმარი რომ იყოს, ხოლო გვანცა დარასელია თქვენ ვაჟის მეუღლე, ამით თქვენს ცხოვრებაში რა შეიცვლებოდა?

— ალბათ, ბევრი არაფერი, მაგრამ ასე რომ იყოს, მართლაც, ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი და კიდევ 100 წელს ვიცოცხლებდი.

მარინა, *54 წლის:*

— ძალიან მომწონს კოტიკო თოლორაია და მიშა მესხი. ასევე, ძალიან საყვარელია კოტიკოს ძმა, სოსო. სამწუხაროდ, მის შესახებ არაფერი ვიცი.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, სოსო თოლორაიამ კიდევ ერთხელ შეირთო ცოლი, მაგრამ ამჯერად, თავის რჩეულზე ჯვარი დაიწერა.

— უი, ღმერთმა ბედნიერი ამყოფოს. აი, ნამდვილი კაცი — მანამ არ დაიწერა ჯვარი, ვიდრე მართლა საკუთარი მეორე ნახევარი არ იპოვა. იმედია, კოტიკოც სწორ არჩევანს გააკეთებს.

— თქვენი აზრით, კოტიკო და მიშა კარგი მეუღლეები იქნებიან?

— ჰო, ასე იქნება. მიშა უზომოდ მომწონს და მას სიამოვნებით, დაუფიქრებლად მივათხოვებდი ჩემს გოგონას. სამწუხაროდ, ამის შანსი არ არსებობს. როცა კოტიკოს ტელეეკრანიდან ვუსმენ, ყოველთვის კარგ განწყობილებაზე ვდგები. ჰოდა, რა სჯობია იმას, რომ ოჯახში კარგი ხასიათის სიძე შემოგივა?!. რაც შეეხება საპატარძლოებს, დავასახელებ ნინი ბადურაშვილს, ნანკა კალატოზიშ-

ვილს და გვანცა დარასელიას. ნინის იმიტომ, რომ კარგი გარეგნობა აქვს და ამავდროულად, მისი ოჯახის წევრებსაც დიდ პატივს ვცემ; ხოლო რაც შეეხება გვანცას, ამ გოგონამ თავი ნამდვილად შემაყვარა. სათნო სახე აქვს და როცა იღიმება, გული მინათდება. ნანკაც კარგი ხასიათების გოგონაა და მჯერა, დედამთილს გულს არასდროს ატკენს (თუ რა თქმა უნდა, თავად ქმრის მშობელი არ გამოიწვევს)... ადრე თაკო გაჩეჩილაძეც მომწონდა, მაგრამ ამ ბოლო დროს მოსაზრება შემეცვალა. თუმცა, ამის მიზეზს არ გაგიმხელთ... ძალიან მომწონს კრისტიც, მაგრამ განათხოვარი ქალის რძლად მიღება ალბათ, ძალიან გამიჭირდება. და კიდევ, ქეთი ყიფშიძეც არაჩვეულებრივი გარეგნობის გოგონაა, მაგრამ ისიც განათხოვარია... ისე, რა გოგონები დავიწუნე, არა? ჩემი შვილები ამას რომ წაიკითხავენ, სიცილით მოკვდებიან...

მერი, *39 წლის:*

— უი, რა ჩამჭრელი კითხვა დამისვი. ახლა ვინ დავასახელო?

— **ის, ვინც ყველაზე მეტად მოგწონთ.**

— კარგი, ძალიან მომწონს ნიკა გილაური, მაგრამ ალბათ, ის ჩემს გოგოს ზედაც არ შეხედავს. ისე, არც მამუკა ლომაშვილს დავიწუნებდი, ხომ იცი. დავიჯერო, ნიკა და მამუკა ჩემი ქალიშვილის სანახავად მოვლენ?

— **რა ვიცი, შეიძლება, მოვიდნენ კიდეც–**

— ჰო, აბა, რა, დავიჯერე... რაც შეეხება საპატარძლოებს, ძალიან მომწონს ნინო არაზაშვილი და თიკო ნატროშვილი. ნინო იმიტომ, რომ მხიარული ქალია. ალბათ, საოჯახო საქმეების კეთებაც ეცოდინება და შვილს შიმშილით არ მომიკლავს; ხოლო თიკო იმიტომ, რომ გარეგნულად ძალიან მომწონს...

— **ნინო არაზაშვილი ხომ განათხოვარია და თანაც, შვილები ჰყავს?!**

— მერე რა, ჩემს შვილს „წვალება“ არ დასჭირდება (*იცინის*). ისე, ეს არც გამხსენებია. უბრალოდ, მომწონს და დავასახელე.

— **ერთ დღეს თქვენი ვაჟი რომ მოვიდეს და გითხრათ, — ცოლად ნინო არაზაშვილი უნდა მოვიყვანოო, რას იზამთ?**

— არ ვიცი... მიუხედავად დიდი სიმპათიისა, შეიძლება, მისი შერთვა დავუშალო კიდეც. აბა, რომელ დედას (ყოველ შემთხვევაში, საქართველოში) უნდა, რომ მისმა შვილმა განათხოვარი ქალი შეირთოს? მგონი, არავის და არც მე ვარ გამონაკლისი.

— **კარგი, მაშინ, გარდა თიკო ნატროშვილისა, სასურველ საპატარძლოდ კიდევ ვის დასახელებთ?**

— მოდელ თამუნა ნემსიწვერიძეს და მსახიობ ნინაკა გელაშვილს. აუფ, ხომ წარმოგიდგენია, ორივე ჩემი რძალი რომ იყოს, როგორი ამაყი და ბედნიერი ვიქნებოდი?!. ეჰ, ოცნება კარგია, რეალობა კი...

— **რეალობა საშინელებაა? ამის თქმა გინდოდათ?**

— დაახლოებით...

როინი, *67 წლის:*

— ოჰ, რა მაგარი რაღაც მკითხე, ახლა. ისე, რომ დავასახელო, დავიჯერო, სურვილების ახდენაშიც დამეხმარება თქვენი ჟურნალი?

— **ამას ვერ შეგპირდებით, ბატონო, მაგრამ გამორიცხულიც არაფერია.**

— კარგი, მაშინ კარგად დავფიქრდები და გადმომირეკე ცოტა ხანში.

— **ვიდრე ყურმილს გავთიშავ, ის მაინც გამანდეთ, რამდენი შვილი გყავთ და რა ასაკისანი არიან?**

— 3 შვილი მყავს. ყველაზე უფროსი, ელდარი დაქორწინებულია, შუათანა — გიორგი 37 წლისაა, უმცროსი — მარი კი 30-ის გახლავთ.

— **კარგი, ცოტა ხანში გადმოგირეკავთ.**

ბატონ როინს დაახლოებით, ნახევარ საათში დავურეკე:

— ალო, თქვენ ხართ, „გზის“ ჟურნალისტი?

— **დიახ, მე გახლავართ.**

— ჰო, ჩამოვწერე სია. ჯერ საუკეთესო საპატარძლოებს დაგისახელებ.

— **ბრძანეთ...**

— გვანცა დარასელია, ნინი ბადურაშვილი, ანანო (*მარიამ ჯოლოგუას გულისხმობს. — ავტ.*) და ნატა (თაკო აბაშიძე). გვანცა იმიტომ მომწონს, რომ დახვწილი გარეგნობისა და კარგი მანერების გოგონაა. თურმე, ბიჭებისკენაც არ გაურბის თვალი და ჩემს შვილს ნაკლები სანერვიულო ექნება...

— **ვიდრე სხვების დახასიათებას გააგრძელებთ, მინდა გკითხოთ, თქვენ რა იცით, რომ გვანცა ბიჭებისკენ არ იხედება?**

— ჩერჩეტი არ გეგონოთ, ჟურნალებს მეც ვკითხულობ ხოლმე. ამას ხომ ყველგან, თავადვე ამბობს.

— **იქნებ, იტყუება?**

— ისეთი კარგი გოგო ჩანს, ვერაფრით დავიჯერებ, რომ მატყუარაა... ნინი ბადურაშვილი იმიტომაა კარგი სარძლო, რომ ჩინებული ოჯახის წევრები ჰყავს ანუ კარგი ოჯახის შვილია და მშვიდად მოვკვდები, თუ მეცოდინება, რომ ჩემს შვილს, კახიანების ოჯახის სახით, მოყვარე ეყოლება.

— **თავად ნინოზე რას იტყვით?**

— რა უნდა ვთქვა?! მის შესახებ მხოლოდ ჭორები მსმენია.

— **ჭორების არ გჯერათ?**

— კვამლი უცეცხლოდ ვერ გაჩნდება, მაგრამ მაინც, კარგი სარძლოა და მორჩა!.. ანანო ისეთი გულუბრყვილოა, რომ ქმრის სიტყვებს გადაუმოწმებლად დაიჯერებს და ოჯახის დანგრევის ნაკლები შანსი იქნება (*იცინის*). თან, გარეგნულადაც მშვენიერი გოგოა და ოჯახში შემოსავალსაც შემოიტანს. რაც შეეხება ნატას... ოოო, ჩემმა შვილმა ის რომ შეირთოს, ბალიში არასდროს დასჭირდება (*იცინის*). და კიდევ, ცხოველები მასაც უყვარს და ჩემი მოუხეშავი შვილის გაგებატანაც არ გაუჭირდება (*იცინის*). აი, ასეთია ჩემთვის სასურველი საპატარძლოების სია.

— **კარგი, ახლა სასიძოების სიაც წაგვიკითხეთ.**

— მოკლედ, მშვენიერი ბიჭია ის, მიშას რომ დასცინის... უფ, რა ჰქვია, კაცო, იმას, კენჭსაც რომ იყრიდა... ოჰ, მჭადის სახელი დამავიწყდა...

— **მჭადის სახელზე რა გითხრათ, მაგრამ მგონი, მამუკა ლომაშვილს გულისხმობთ.**

— ჰო, ჰო, ძლივს არ გამახსენდა?! მამუკა კარგი ბიჭია და რამე რომ იყოს, ის ჩემს შვილს მართლაც, ძალიან მოუხდებოდა. თან, კარგი, გემრიელი იუმორის პატრონია და ალბათ, ოჯახის წევრებს არ მოგვაწყენდა. ასევე, კარგი სასიძოა რატი დურგლიშვილი. მშვენიერი ბიჭია, ნაღდი ქართული სულით და ოჯახსაც

ქართული ტრადიციების მიხედვით შექმნის. დარწმუნებული ვარ, მის ხელში ჩემს შვილს არაფერი გაუჭირდებოდა. ბოლოს და ბოლოს, მან რუსეთიდან გამარჯვებაც კი ჩამოგვიტანა და სხვა თუ არაფერი, ეს მაინც უნდა დაუფასდეს. არ მომწონს, მაგრამ უარს არ ვიტყოდი დავით საგანელიძის სიძეობაზე.

— თუ არ მოგწონთ?

— მთავარი ჩემი მოწონება კი არა, ისაა, რომ ჩემი შვილი იყოს ბედნიერი. დავით საგანელიძის ცოლი რომ იყოს, ფულიც ექნებოდა და შესაბამისად, კარგი ცხოვრებაც. ჰოდა, თავის ძმებსაც გაუწევდა დახმარებას და მშობლებსაც მოგვაქცევდა პატარა ყურადღებას. ასევე, კარგი სასიძო იქნებოდა კახი კალაძე, მაგრამ მას უკვე აქვს ოჯახი. ღმერთმა უბედნიეროს ცოლ-შვილი... ისე, საპატარძლოები ხომ უკეთესად შევარჩიე? რას ვიზამ, კაცი ვარ და მამაკაცებზე ლაპარაკი გამიჭირდა. პატარაზე ჩემი გოგოც რომ არ დამხმარებოდა, დავიღუპებოდი და ჩავიჭრებოდი ამხელა კაცი... ჰო, სასურველ საპატარძლოებში ლალი მოროშკინა არ დამისახელებია, გამომრჩა კაცო. მის ხელში ჩემს შვილს მართლა არაფერი გაუჭირდებოდა: ის ქალიცაა, ვაჟკაციც და „ხელში მოსაყოლი“ მანდილოსანიც (მაგრამ მაინც, განათხოვარია)...

უფროსი ასაკის კიდევ ბევრ ადამიანს შევეხმიანე. რატომღაც, მათი უმეტესობა ან უკვე გათხოვილ და ცოლიან კაცს ასახელებდა, ან სახელები და გვარები მეორდებოდა. სატელეფონო გამოკითხვის დროს თინეიჯერებმაც დაასახელეს თავიანთი ფავორიტები.

თეკლა, *19 წლის:*

— ძალიან მომწონს ჯაბა ქარსელაძე და ჯაბა კილაძე. არ გეგონოთ, რომ საქმროს სახელის მიხედვით ვარჩევ. სიმართლე გითხრათ, სახელი — ჯაბა საერთოდ არ მომწონს, მაგრამ ქარსელაძემ და კილაძემ შემაყვარეს... რაც შეეხება საპატარძლოებს, ჩემს ძმას ვურჩევდი (არჩევანის საშუალება რომ ჰქონდეს), ცოლად ნანკა კალატოზიშვილი ან გვანცა დარასელია შეერთო. ბიჭებო, ამ ორ გოგონაზე უკეთეს საცოლეს ვერსად იპოვით!

ზვითიკო, *18 წლის:*

— მე ქართველი ცოლის მოყვანას არ ვაპირებ. ისე, ძალიან მომწონს მულატაკა. ჰოდა, მხოლოდ მის გამო თუ დავუშვებ გამონაკლისს — სიამოვნებით შევირთავ ცოლად. ვიცი, ამ შემთხვევაში ჩემი მშობლები თავს მოიკლავდნენ, მაგრამ... რაც შეეხება სასიძოებს, მათზე ვერაფერს ვიტყვი, ამაზე გოგონებმა უნდა ილაპარაკონ.

ანი, *16 წლის:*

— ანრი ჯოხაძეს და მიშა მესხს დავასახელებ. ეს ორი ბიჭი ძალიან მომწონს და მათ სიამოვნებით გავიცნობდი.

— ორივემ რომ შემოგთავაზოს, — ცოლად გამომყევიო, არჩევანს რომელზე გააკეთებ?

— აუ, რა ჩამჭრელი კითხვა დამისვი, რა. ნუ, ალბათ, მიშა მესხისკენ გადავიხრებოდი.

— რატომ?

— რა ვიცი, აბა?!. ალბათ, იმიტომ, რომ უფრო მამაკაცური გარეგნობა აქვს... გოგონებიდან მომწონს თამთა შედანია და თამუნა ნემსიწვერიძე.

კოკრო, *18 წლის:*

— აუ, სიამოვნებით გავყვებოდი ცოლად მომღერალ პანჩოს ან ლექს-სენს. სამწუხაროდ, ეს აუხდენელი ოცნებაა. ასევე, ძალიან მომწონს ჯაბა ქარსელაძე.

— გოგონებიდან ვის დასახელებ?

— გვანცა კილასონიას. ის კარგი, ცქვიტი საპატარძლოა. ასევე, მშვენიერი გოგოა გვანცა დარასელია, ნანკა კალატოზიშვილი და მომღერალი ქრისტინე.

სლავა, *19 წლის:*

— მომწონს თამთა გოგუაძე. ის ჩემს უბანში ცხოვრობს და იმედია, მის გაცნობას ოდესმე მოვახერხებ. კიდევ, ძალიან მომწონს ნინი ბადურაშვილი, თაკო გაჩეჩილაძე და მაია ასათიანი. რაც შეეხება სასიძოებს, ალბათ, გოგონა რომ ვიყო, სიამოვნებით გავთხოვდებოდი რომელიმე უცოლო პოლიტიკოსზე და ცხოვრებას ავიწყობდი.

— შენი აზრით, პოლიტიკოსის ცოლებს ცხოვრება აწყობილი აქვთ?

— მგონი, რომ კი... ისე, სიამოვნებით მოვიყვანდი ცოლად გიგი უგულავას ახლანდელ საცოლეს. მაგარი ქალია, რა. საღოლ, ბატონო გიგი, კარგად გიმუშავიათ!..

საბოლოოდ, ჩვენ მიერ გამოკითხული ადამიანების დახმარებით შედგენილი რეიტინგი ასეთია:

ყველაზე სასურველი საპატარძლოები:

1. გვანცა დარასელია; 2. ნანკა კალატოზიშვილი; 3. ნინი ბადურაშვილი.

ყველაზე სასურველი სასიძოები:

1. ჯაბა ქარსელაძე; 2. მიშა მესხი; 3. ნიკა გილაური და მამუკა ლომაშვილი.

ამ გამოკითხვის დროს ადამიანებმა დაასახელეს არასასურველი სასიძო-საპატარძლოებიც:

1. მულატკა და ლექს-სენი;
2. ნინა და ბედინა;
3. მაია ასათიანი და ზალიკო ბერგერი.

■

პოლიციმგზავრები

ანუ რიგორ გადაუეცა გზა ცრაქცორმა პროცესის ნიშნად

ჯაბა ანანიძე

ხანდახან, გზა ძალიან დამღლელია, მაგრამ ისეთი საინტერესო მეგზურებით სავსე, რომ გავიწყდება, როგორ გზაზე მოგიწია გავლამ. ცოტა ხნის წინ, მზემოკიდებულ ბათუმს გარიდებული, მშობლიური ქობულეთური სოფლის — აჭყვისთავის აწ უკვე მოასფალტებულ გზას დავადექი და გზაც საინტერესოდ, ასე დაიკეცა:

— რაფერც იქნა, გზა დაგვიგეს ამ ჩვენს მივიწყებულ სოფელში, — მესმის ჩახუთუული მიკროავტობუსის უკანა რიგიდან თანასოფლელის ხმა. — ისე, რას ერჩით ამ მთავრობას? — გზა გვაქვს, წყალი და ლობიოს ხომ არ დიგირგავთ პრეზიდენტი?!

— უფ, ჩევხუთეთ. კაი კიდევ, დაიძრა „მარშრუტკა“, თორემ ხომ მოვიგუდებოდი ჩემი ჭუჭულებიანად და ხომ ვეღარ გეტყოდი შენც სათქმელს? — გზა შველის, ბიჯო, გაჭირვებას? იმას რეიზა არ ხედავ, რაფერი გზა დაგვიგეს: 2 წელიწადიც არაა გასული და იშლება უკვე. თან, ისეთი ვიწროა, მანქანა მანქანას ვერ შეუვლის, — უკანა რიგს ოპოზიციური მუხტით სავსე პასუხი შეუთვალა ასაკოვანმა ქალბატონმა, წიწილები ქალაქში რომ ეყიდა და სოფლად დიდი სიფრთხილით მოჰყავდა.

— ციური, შენი ქათმები კვერცხს აღარ დებენ თუ მამალი გამოგიწყდათ ქედზე? — ჩაიქირქილა ვიღაცამ...

— გამომიწყდა, ჰო, გამომიწყდა. ჩემი ოჯახიდან ზოგი თურქეთში მიდის, ჩაის საკრეფად, ზოგიც — დედაბრის მოსავლელად და მე ხომ არ გადავაჯდებოდი კვერცხებს?

— რაცხას შენ აქცია-მიტინგებზე დარბიხარ, საღა გეცალა მაგიზა?! — რეპლიკა ისევ უკანა რიგიდან ისროლეს.

— ვაი, თქვენ თავს, საცოდავს... მიტინგებზე რომ ვირბინე და ქოშები დავხიე, იმიზა აღარ მოგდით კოსმოსიდან გამოწერილი შუქის ქვითრები, იმიზა დეიგო გზაზე ასფალტი და გარემონტდა სოფლის საერთო სასაფლაო მაინც...

— მართალია, ციური. ამას წინათ პრეზიდენტი სააკაშვილიც რომ გვსტუმრობდა, როცა ჩვენს თანასოფლელ პარლამენტარს, კობა ხაბაზს მამა გარდაეცვალა, ასე თქვა, — ციურის სანახავადაც ამოვედიო.

— რეიზა არ ჩამოართვი ხელი? — დიალოგს სხვა გამხიარულებული მგზავრებიც შეუერთდნენ.

— იცინეთ თქვენ და პრეზიდენტმა მართლაც გააკრიტიკა ჩვენი გზა. სამძიმრის ჩამოვლის მერე ფლავის და თაფლის საჭმელად რომ ჩამოჯდა, ასე თქვა, — თუ გზა გააკეთეს, ბარემ, ხარისხიანად დაეგოთო, — დამაჯერებლად ჰყვებოდა ნანახს სიცხისგან გულშეწუხებული ბაბუა.

— მერე დეისაჯა ვინმე? გზის დამოკლებით ჯიბე გეისქელა ვინცხამ, მარა სადაა სამართალი? — არ ცხრებოდა ციური და ამასობაში, მიკროავტობუსმა ნანგრევებად ქცეულ იმ ჩაის ფაბრიკასაც ჩაუარა, სადაც წლების წინ ციური და მისი მეზობლებიც მუშაობდნენ. — ა, აგერაა ფაქტი სახეზე. რეიზა უნდა კრეფდეს ჩვენი ბიჭები თურქეთის ჩაის, რეიზა უნდა ვსვამდე ტყუილ ჩაის და ეკალ-ბარდი ჭამდეს ჩვენს პლანტაციებს?... გააჩერე, შოფერ! დაგავიწყდა, სადაა ჩემი „ასტანოვკა“ თუ პოლიტიკა შეგენთო შენც? — თქვა ციურიმ და აწივლებული წიწილები დიდი სიფრთხილით ჩაიყვანა...

პოლიტიკური მიმოხილვები სოფლის შიდა გზებზეც გააქტიურებულიყო. ხელისუფალთ ულამაზეს მთებზე შეფენილი სახლებისკენ მიმავალი გზების შეკეთების პირობა მოსახლეობისთვის საარჩევნოდ, არაერთხელ მიუციათ, მაგრამ რადგან სიტყვა საქმემ ვერ შეცვალა, სოფლელებს ამჯერად, საკუთარი ძალებით გადაუწყვეტიათ ძველი გზის გამაგრება.

— მანდარინი გადარეულივით აყვავდა წელს და, ვინ იცის, იქნებ, ჩვენი ამყვავებელიც გამოჩნდეს ვინმე. ბოლოს და ბოლოს, გზა ხომ უნდა გვქონდესო, — მითხრეს ხის ჩრდილს შეფარებულმა მეზობლებმა და ამასობაში, მდინარის „ნატანით“ დატვირთული, ამ სოფლისთვის კარგად ნაცნობი, ძველი ტრაქტორის გრუხუნიც გაისმა.

— მოროხროხდა ჩვენი ტრაქტორი და არიქა, წამოუდექით ფეხზე! — აფუსფუსდა საქმის მოთავე. — საღამომდე მოვრჩეთ საქმეს... ხომ იცით, ხვალ ყანაა გასამარგლავი... უცაბედად, ტრაქტორმა საზარლად ამოიხრიალა და შუა გზაზე ამოტრიალდა ისე, თითქოს, — ამდენი აღარ შემიძლია, ჩემი დაძინების დროც მოვიდაო.

— დედუუ, ეს რა დეგვემართა. ნახეთ, შოფერი თუა ცოცხალი, — ტრაქტორთან მიახლოებას ვეღარ ბედავდა ვერც ერთი. თავგახეთქილი მძღოლი, როგორც იქნა, გამოძვრა ცხოვრების ერთგული მეგზური — ტრაქტორიდან და აწრიალდა სოფელიც: ვინ წყალს მოარბენინებდა, ვინ სპირტს და იოდს, ვინ კიდევ, — „სასწრაფო დახმარების“ მანქანას უხმობდა ტელეფონით. მძღოლს ისე დაესია დიდი თუ პატარა, რომ მალე, ის ხუმრობის ხასიათზეც დადგა:

— ხომ ხედავთ, რა ქნა ჩემმა ტრაქტორმა? — გადაკეტა გზა, პროტესტის ნიშნად. პროტესტის გამოხატვაც ასეთი უნდა. ალბათ, ვიდრე ახალ ტრაქტორს არ დააყენებენ თავს, ულტიმატუმსაც არ გაუვა ვადა.

— მაგ გზაზე ჩვენ მეტი ვინმე არ დადის და ჩვენთან პროტესტის გამოხატვას რა აზრი აქვს? — იკითხეს ქალებმა, სახეზე სისხლს რომ აშორებდნენ მძღოლს.

— ვაი, შე საწყალო, ტრაქტოროოო, რაფერ ჩეიქნიე ხელი ამ გაჭირვებულ ცხოვრებაზე და დაგვტიე ობლებივიიით, — მოთქმა დაიწყო ტრაქტორის სანახავად ჩამოსულმა ნანულიმ. — ვინღა ამეიტანს აწი ყანიდან ჩვენი კუჭის გასახეთქად სიმიიინდს, ვინღა ააროხროხებს ჩვენი სოფლის გზეეებს, — ზლუქუნებდა ქალი.

— გეიწიე, ქალო, იქით. რა დროის ტირილია. ვუშველით ტრაქტორს რაცხას. მეზობელი მოგეკითხა ჯერ, — შეუბღვირა მეუღლეს ზურაბმა და მეზობლებთან ერთად, უკვე სამბორბლიანი ტრაქტორის ფეხზე დაყენებაზე დაიწყო ფიქრი. საიდან არ მიუდგნენ ნაცნობ „როხროხას“. იფიქრეს, იმსჯელეს და ბოლოს გადაწყვიტეს, — თოკით დავეკიდებით, თალგმივით, წამოვაყენებთ და ამ დაღმართში კი ჩაგორდება თავისითო.

— სამბორბლიანი კია ეს საწყალი, მარა რომ გაგვექცეს? — იკითხა ერთმა.

— სა უნდა გეიქცეს, აგერ არა ვართ ამდენი ხალხი?!. არ გუუშვებთ არსად! — თქვა მეორემ სერიოზულად.

— ამდენი ხანია, ჩვენ გვემსახურება და მაინცდამაინც ახლა რაფერ მეინდომებს ღალატს, ახლა ხომ არ გეიქცევა აგიც ქალაქისკენ? — ხუმრობდა მესამე და თოკდაჭიდებულმა ახალგაზრდა „მაშველებმა“ ახრიალებული ტრაქტორი ისე წამოვაყენეთ სამ ბორბალზე, როგორც ოლღა ბებიამ, მეზობლებთან ერთად — ლამაზო.

მუხრუჭებმოშლილი ტრაქტორი მართლაც, შეშლილივით იდგა დაკიდებულ აღმართში, ფეხსაც არ იცვლიდა ადგილიდან და თითქოს, ადამიანებსაც მადლობას უხდიდა... ■

შეხვედრები სტალინთან

ფრაგმენტები ვლადიმირ კარპოვის წიგნიდან „გენერალისიმუსი“

ვლადიმირ კარპოვი II მსოფლიო ომის მონაწილეა, ორჯერ აქვს მინიჭებული „საბჭოთა კავშირის გმირის“ წოდება. ახალგაზრდობაში კი სამხედრო სასწავლებლის კურსანტობისას, სამხედრო ტრიბუნალის მიერ გასამართლებულიც გახლდათ — ბელადის შეურაცხყოფის ბრალდებით — და შემდეგ, ფრონტზე, ე.წ. „საჯარიმო ბატალიონის“ („შტრაფბატ“) შემადგენლობაში იბრძოდა, რაც თითქმის კამიკაძეობას ნიშნავდა... მიუხედავად ამისა, მისი თქმით — „არ ვისახავ მიზნად არც სტალინის გამართლებას და არც მის ძაგებას... მუშაობისას ძალას მმატებდა ისიც, რომ ნამუშევარი ვიყავი გენერალურ შტაბში 1947-დან 1953 წლამდე — სტალინის სიკვდილამდე... კარგად ვიცნობდი ატმოსფეროს, რომელიც სტალინის უშუალო ხელმძღვანელობის დროს გენშტაბში სუფევდა“, — წერს „გენერალისიმუსის“ შესავალში ავტორი.

დასაწყისი იხ. „გზა“, №27.

მომავალი მხედართმთავრის პირველი ნაბიჯები

სასურსათო კომისრად ცეკას მიერ ცარიცინში გაგზავნილი იოსებ სტალინი თანდათან, ყველა დონის ხელმძღვანელს საკუთარი გამგებლობის ქვეშ იქცევდა და 20 ივლისიდან, ფაქტობრივად, ქალაქში ყველაფრის წარმმართველი გახდა.

და მაინც, სტალინი საკუთარი ძალაუფლების გაზრდასა და განმტკიცებას ლამობდა. მან მოსკოვში, ბოლშევიკთა ცეკაში გაგზავნა ტელეგრამა, სადაც წერდა: „....საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, სამხედრო უფლებამოსილება მესაჭიროება. ამის შესახებ ადრეც გწერდით, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. ძალიან კარგი. რაკი ასეა, მე თვითონ, ყოველგვარი ფორმალობის გარეშე, იმ მეთაურებისა და კომისრების გადაყენებას მივყოფ ხელს, ვინც საქმეს ღუპავს. ამისკენ სწორედ საქმის ინტერესები მიბიძგებს და, რასაკვირველია, ტროცკის ხელმოწერილი ქაღალდის უქონლობა ამაზე ხელს არ ამაღებინებს“.

„ქაღალდის უქონლობაში“ სტალინი გულისხმობდა იმას, რომ ტროცკის, როგორც სამხედრო-რევოლუციური საბჭოს (სრს) თავმჯდომარეს, სამხედრო უფლებამოსილება მისთვის არ მიუნიჭებია. მაგრამ სტალინი მართლაც, ვერ შეაჩერა დოკუმენტისა და კანონიერი უფლებამოსილების უქონლობამ. მისი ბრძანებით, დააპატიმრეს ფრონტის სარდალი, გენერალი სნესარევი და შტაბის ოფიცრები, მათი ნაწილი კი მოგვიანებით დახვრიტეს...

1918 წლის შემოდგომაზე „თეთრების“ ჯარები ცარიცინის მისადგომებს მიუახლოვდა და ადგილ-ადგილ, ვოლგისპირეთს მიადგა. განსაკუთრებით კრიტიკული მდგომარეობა 1919 წლის იანვრისთვის შეიქმნა: „თეთრების“ სარდალმა, გენერალმა კრასნოვმა ბრძოლებში ახალი ძალები ჩართო, „წითლების“ თავდაცვითი ხაზი გაარღვია და ცარიცინს მიუახლოვდა. იმ დროისთვის ახალშექმნილი, სამხრეთის ფრონტის სარდალს სიტინსა და რევსაბჭოს წევრ სტალინს ამ ძალებისთვის საჭირო რესურსი არ ჰქონდათ. მაგრამ ურთულესი მდგომარეობის მიუხედავად, სტალინი მაინც არ დაბნეულა და გამოსავალიც მალე მოძებნა. სწორედ მაშინ გამოამჟღავნა პირველად ოპერატიულ-სტრატეგიული მასშტაბით აზროვნების უნარი.

იმ დროს სალონ-ვაგონში მის გვერდით ნამყოფი ადამიანები შემდგომში იხსენებდნენ, რომ სტალინი ჩვეულებრივზე მეტად აგზნებული იყო, გამუდმებით აბოლებდა ჩიბუხს, მაგრამ მტკიცე, მშვიდი ტონით საუბრობდა და ამით გარშემო მყოფებსაც სიმტკიცეს მატებდა. მას კარგად ესმოდა — რაკიღა მთელი ხელმძღვანელობა საკუთარ ხელში აიღო, დამარცხების შემთხვევაში პასუხისმგებლობაც სრულად მას დაეკისრებოდა. არადა, მდგომარეობა თითქმის გამოუვალი იყო: რეზერვები არ ჰქონდა და მოწინააღმდეგეს უპრობლემოდ შეეძლო ცარიცინის აღება.

სტალინმა გამოთქვა ვარაუდი: გენერალ კრასნოვის ნაწილები ალბათ უკვე გამარჯვებას ზეიმობენ, ამას კი ყოველთვის, მოდუნება და „ღრუბლებში ფრენა“ ახლავს თან. ისტორიას არაერთი მაგალითი ახსოვს იმისა, როცა გამარჯვებით წინასწარ ტკბობას თითქმის მიღწეული წარმატების დაკარგვა მოჰყოლია.

— რა ხდება ახლა გენერალ კრასნოვის დისლოკაციის ადგილას? — იკითხა სტალინმა ისე, რომ კონკრეტულად არავისთვის მიუმართავს. ფრონტის შტაბის წარმომადგენელმა უპასუხა:

— ცარიცინში შემოსასვლელად ემზადებიან. მთავარი ძალები, დუბოვკის რაიონში კოლონებად ეწყობიან. მათ წინ გაუძღვება მცირერიცხოვანი ავანგარდი — ჩვენი ჯარის ნარჩენების გასანადგურებლად...

სტალინმა ბრაზიანად დაჰკრა ჩიბუხი მაგიდას და წამოიძახა:

— ძალიან კარგი! უნდა გამოვატაროთ ეს ავანგარდი და ჩვენთან, სიღრმეში შემოჭრის შემდეგ გავანადგუროთ.

— მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ გზა მთავარ ძალებსაც გავუხსნათ!..

— სავსებით მართებული შენიშვნაა, — მიუგო სტალინმა. ის ძალზე თავდაჯერებულად გამოიყურებოდა და აშკარად ეტყობოდა, რომ ბოლოს და ბოლოს, იპოვა გამოსავალი გამოუვალი მდგომარეობიდან; გაუღიმა კიდეც დამსწრეებს: — მოწინააღმდეგის მთავარი ძალები არა ქალაქის, არამედ საკუთარი დაღუპვის გზას დაადგებიან.

— მაგრამ ვინ...

— არტილერიის მეთაურო, ამხანაგო კულიკ, რამდენი ზარბაზანი გაქვთ დუბოვკის რაიონში?

— აქ მე არაფერი... — გაუბედავად დაიწყო კულიკმა.

— სულ, მთელ ფრონტზე, რამდენი გაქვთ? — სიტყვა გააწყვეტინა სტალინმა.

— ასამდე ზარბაზანი მოიძებნება...

— ყველა ეს ზარბაზანი დაუყოვნებლივ, დუბოვკის რაიონისკენ დაძარით. გაგზავნეთ სანდო ხალხი და უთხარით, რომ არც ერთი წუთი უქმად არ დაკარგონ. უცილებელია, ერთ ღამეში ყველა ზარბაზანს დუბოვკაში მოვუყაროთ თავი. გასაგებია, რა გითხარით?.. მოწინააღმდეგე ეიფორიაშია, გამარჯვებამ მას თავბრუ დაახვია. ჰოდა, ამ გამოჩერჩეტებულ თავებს დავაყრით მთელი ჩვენი არტილერიის ჭურვებს! ასევე დუბოვკაში მივუჩინოთ ადგილი დუმენკოს საცხენოსნო დივიზიას. მისი ამოცანა იქნება — დამატებითი დარტყმა მიაყენოს და დაედევნოს მოწინააღმდეგეს მას შემდეგ, რაც მას ჩვენი არტილერია შემუსრავს!

ღამის განმავლობაში მთელი არტილერია დუბოვკასთან გადაისროლეს და საცეცხლე პოზიციებზე განალაგეს. სტალინის ფსიქოლოგიური ანალიზი აბსოლუტურად ზუსტი აღმოჩნდა. გენერალ კრასნოვის ჯარი, კოლონებად დაწყობილი, ავანგარდს მიჰყვებოდა. ასე, კონცენტრირებულად თავმოყრილ

დიდ მასაზე მიყენებული საარტილერიო დარტყმა, რასაკვირველია, გამანადგურებელ ზიანს მიაყენებდა მოწინააღმდეგეს. ჭურვები ჯარისკაცების თავმოყრის ადგილებში ფეთქდებოდა და ქვას ქვაზე არ ტოვებდა. მთელი არემარე გვამებით დაიფარა, ხოლო ვინც ახერხებდა, გაქცევით შველოდა თავს. ცოტა ხანში ბოლშევიკთა საჯარისო შენაერთები იერიშზე გადავიდნენ და გაქცეული მტრის ნარჩენების განადგურებას მიჰყვეს ხელი.

ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ სტალინის ავტორიტეტი უმალ გააათმაგა: ქალაქი დაცემას გადაურჩა, „თეთრები“ უკუაგდეს — და ეს ყველაფერი იოსებ სტალინის გამჭრიახობის წყალობით მოხდა! მის გარდა, კიდევ ერთი ტრიუმფატორი, კულიკი გახლდათ, რადგან სწორედ მისი მეთაურობით მოქმედმა არტილერიამ შეასრულა მთავარი, გადამწყვეტი ამოცანა. ამის წყალობით, კულიკი მრავალი წლის მანძილზე ინარჩუნებდა სახელსა და ავტორიტეტს.

რაც შეეხება სტალინს, ის უფრო მტკიცე, ხისტი და სასტიკიც კი გახდა ყველა საკითხის გადაჭრისა თუ ადამიანების ბედის გადაწყვეტისას...

1918 წლის სექტემბერში, ახალშექმნილი სამხრეთის ფრონტის სარდლად პაველ სიტინი დანიშნეს, რომელიც ასევე, რევოლუციის მხარეს გადასული, სამეფო არმიის გენერალი გახლდათ. პირველი დღეებიდანვე სტალინს მასთან კონფლიქტური ურთიერთობა ჩამოუყალიბდა. სულ ცოტა ხანში კი, ისე, რომ ამის შესახებ არავისთვის არაფერი უკითხავს, ფრონტის სარდლობიდან გადააყენა. ამით სტალინმა ფაქტობრივად, დაუმორჩილებლობა გამოუცხადა სრს-ს თავმჯდომარეს ლევ ტროცკის, რომელიც იმ დროს პარტიასა და სახელმწიფოში უდიდესი გავლენით სარგებლობდა. ტროცკიმ ეს ამბავი ცეკაში გააპროტესტა.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ) თავმჯდომარემ სვერდლოვმა ტელეგრამა გაუგზავნა სტალინსა და ვოროშილოვს, სადაც წერდა: „სამხედრო-რევოლუციური საბჭოს გადაწყვეტილებები ფრონტების საბჭოებისთვის სავალდებულოა. ბრძანებების შეუსრულებლობა არმიისთვის დაუშვებელია... კონფლიქტები არ უნდა დავუშვათ“. მაგრამ სტალინმა არც სვერდლოვის შეგონებას დაუგდო ყური და საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედებას განაგრძობდა.

სიტუაციის განსამუხტავად, ცეკამ სტალინი მოსკოვში გამოიძახა. ფრონტის სარდლად გენერალი სიტინი დატოვეს.

პატარა ნადია...

მცირედი ლირიკული გადახვევა: აუცილებელია, აღინიშნოს — ისტორიულ პიროვნებათა ცხოვრების აღწერისას, ბევრი ავტორი უყურადღებოდ ტოვებს მათი პირადი ცხოვრების ეპიზოდებს. არადა, ამ მომენტებს ხშირად, ძალზე მნიშვნელოვანი, ზოგჯერ კი გადამწყვეტი როლიც კი აკისრია, გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებაზე მათი გავლენის თვალსაზრისით.

ის, რასაც ახლა მოგითხრობთ, ბევრმა არ იცის. მე კი მგონია, რომ ამ შემთხვევამ, ცარიცინში სტალინის საქმიანობაზე გარკვეული ფსიქოლოგიური გავლენა მოახდინა. საქმე ის გახლავთ, რომ 1917 წელს გადასახლებიდან დაბრუნებული სტალინი თავისი ძველი ნაცნობის — ალილუევის ოჯახში დაბინავდა. მანამდე 2 წლით ადრე, ამ ოჯახს ერთხელ უკვე ჰქონდა მიცემული თავშესაფარი სტალინისთვის, როცა ის გადასახლებიდან გაიქცა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იოსები კვლავ ალილუევებთან, როგორც კონსპირაციულ ბინაზე, ისე ცხოვრობდა და შემდგომშიც, როცა ოქტომბრის რევოლუციის ცხელი დღეები დადგა, იქვე რჩებოდა, — ახალი ბინის საძებრად ვის ეცალა?!.

თუმცა არსებობს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ ამის მიზეზი ოდენ ბინის საკითხი როდი იყო. საქმე ის გახლავთ, რომ ალილუევების ოჯახში მომხიბვლელი გოგონა — ნადია იზრდებოდა, რომელიც იმ დროს 16 წლის იყო. რევოლუციონერის ოჯახის შვილი, ხალასი და მგრძნობიარე ბუნების ნადინკა მამის სახლში მოსულ მის პარტიელ ამხანაგებს, როგორც რომანტიკულ გმირებს, ისე აღიქვამდა და იმაზეც ოცნებობდა, რომ რაღაცით დამსგავსებოდა მათ. და აი, მის სახლში გამოჩნდა ლეგენდარული პიროვნება, რომელიც რამდენჯერმე გამოქცეულა პატიმრობიდან და ადრე უკვე ნამყოფი იყო მათ ოჯახში!..

ბუნებრივია, 16 წლის ნადეჟდა ალილუევა მოიხიბლა გამოჩენილი რევოლუციონერით. მაშინ უკვე 38 წლის სოსო ჯუღაშვილსაც არ გამოჰპარვია რომანტიკული გოგონას აღფრთოვანებული მზერა... მალე სტალინმა ნადია ცარიცინში თან წაიყვანა... ჰოდა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სტალინმაც ვერ გაუძლო ცდუნებას, თავისი ნორჩი შეყვარებულის წინაშე რაც შეიძლება უკეთ წარმოეჩინა თავი: ცარიცინში მგზავრობისას, მათ პერსონალური ვაგონ-სალონი გამოუყვეს, იქ ჩასული ნადია კი, შეყვარებულის საქმეთა საგმიროთა მომსწრე გახდა, რომელსაც იოსები თავად ვლადიმირ ლენინის მანდატით სჩადიოდა!..

1919-დან 1921 წლამდე

ცარიცინის შემდეგ, იოსებ სტალინი კვლავ სამხედრო ამოცანებს წყვეტდა სამოქალაქო ომის სხვადასხვა ფრონტზე, სადაც ცეკა და პირადად ლენინი გზავნიდნენ. 1919 წლის მაისში, იუდენიჩის არმიისგან რეალური საფრთხე პეტროგრადს დაემუქრა და იქ სწორედ სტალინი მიავლინეს. სექტემბერში ის უკვე სამხრეთის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრად დანიშნეს, სადაც ახალგაზრდა რესპუბლიკას დენიკინის ჯარი უტევდა. ამ ფრონტზე სტალინი არა რომელიმე ერთი ოპერაციის, არამედ მთელი სამხედრო კამპანიის წარმართვაში მონაწილეობდა. 1920 წელს საბჭოთა რუსეთი პოლონეთთან ომობდა, რომელზეც მთელი დასავლეთი დიდ იმედს ამყარებდა. და იქაც, ამჯერად უკვე სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სრს-ს წევრად, იოსებ სტალინი მოგვევლინა. მართალია, პოლონეთი ბოლშევიკებმა ვერ დაიპყრეს, მაგრამ ამას არ შეურყევია სტალინის ავტორიტეტი და ლენინი მას კვლავ ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრას ავალებდა.

1920 წლის ოქტომბერში ბაქოში მივლინებულ სტალინს ლენინი სწერდა: „...ანტანტა ბაქოსკენ გეზის აღებას აპირებს. მოიფიქრეთ და სასწრაფოდ მიიღეთ ზომები, ხმელეთიდან და ზღვიდან ბაქოს გასამაგრებლად. შემატყობინეთ ამ საკითხებზე თქვენი აზრი“. 1920 წლის ნოემბერში სტალინს მისი ახალი ტელეგრამა მიუვიდა: „როგორ მიმდინარეობს ბრძოლა ბანდებთან?.. მიგაჩნიათ თუ არა შესაძლებლად, საქართველოსა და სომხეთთან ურთიერთობის მშვიდობიანად მოგვარება და როგორ?.. მიმდინარეობს თუ არა ბაქოს მისადგომების გამაგრება? გთხოვთ, მაცნობოთ აგრეთვე, თურქეთისა და სპარსეთის შესახებ“.

ამის პასუხად, სტალინი ატყობინებდა ლენინს კონტრრევოლუციონერებთან ბრძოლის, ქართველი მენშევიკებისა და სომეხი დაშნაკების ქმედებების შესახებ, ითხოვდა დამატებით ძალებს. ნოემბერში ის პირდაპირი ხაზით ელაპარაკა ლენინს, უპასუხა შეკითხვებს — ამიერკავკასიაში, სპარსეთში, თურქეთში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, აცნობა ინგლისელთა გააქტიურების თაობაზე, რომლებსაც ძალიან უნდოდათ, ხელში ჩაეგდოთ აზერბაიჯანის სანავთობე სიმდიდრეები, კვლავ სთხოვა დამატებითი ძალების გამონახვა.

ამის შემდეგ ლენინმა დაავალა ტროცკის, დაეჩქარებინა სტალინისთვის დახმარების გაწევა; თავად სტალინს კი ურჩია, დაუყოვნებლივ ჩამოეყალიბებინა საკუთარი წინადადებები პოლიტბიუროში განსახილველად და რაც შეიძლება მოკლე ხანში, მოსკოვში ჩასულიყო.

38 წლის სოსო ჯუღაშვილსაც არ გამოჰპარვია რომანტიკული გოგონას აღფრთოვანებული მზერა...

ასე და ამგვარად, ლენინი ძალზე აფასებდა სტალინს, როგორც უნარიან ხელმძღვანელსა და თანამოაზრეს, ამასთანავე, მუდამ იჩენდა ყურადღებას მის მიმართ მაშინ, როცა საქმე სტალინის ჯანმრთელობის მდგომარეობას, მისთვის, სამუშაო ან, გნებავთ, საცხოვრებელი პირობების შექმნას ეხებოდა, რასაც პარტიელი ამხანაგებისთვის გაგზავნილი არაერთი დეპეშა და წერილი მოწმობს...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს უფლის მოციქულებთან დაკავშირებით. მოგვითხრობს არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე):

— 12 იულისი მოციქულთა თაყვა — პეტრეს და პავლეს ხსენების დღეა ვიცით, რომ პავლე მოციქული არ მიეკუთვნება თუფლის თორმეტ მოციქულთა რიგს ის თუფლის ზეცად ამაღლებისა და მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ მოექცა ქრისტიანულ სჯულზე, მაგრამ სულიდესი მოციქულებრივი ღვაწლის, მხურვალე რწმენისა და მოშურნეობის გამო, მოციქულთა შორის სულიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა და ერთი შეიქმნა მოციქულთა თაყვა წოდებისა. რაც შეეხება პეტრე მოციქულს — ის თაყვა მაცხოვრის სიცოცხლეშიც მოციქულთა თავი იყო — მათ შორის, ასეთია ყველაზე უფროსი გახლდათ. როდესაც მოციქულებზე სულიწმიდა გადმოვიდა, პირველად პეტრე წამოდგა და იქადაგა ეს იმაზეც მიანიშნებს, რომ მის სიტყვას მოციქულებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ასე და აძევარად, პეტრე და პავლე მოციქულთა თავნი არიან არა იერარქიულად, არამედ — პატივით.

რატომ მიიჩნევენ პეტრე და პავლე მოციქულებს მოციქულთა თავებად

ᲛᲝᲠᲔᲜᲐ ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ

ცნობილია — პეტრე მოციქულს სვიმონი ერქვა. მას „პეტრე“ უფალმა უწოდა, — რაც ბერძნულად, „კლდეს“ ნიშნავს — მისი მტკიცე და მხურვალე სარწმუნოების გამო. უფალი ასე მიმართავს მას: „ნეტარ ხარ შენ, სვიმონ, რამეთუ ხორცთა და სისხლთა არა გამოგიცხადეს, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან... შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“. უფალი „კლდეს“ უწოდებს არა პეტრე მოციქულს, არამედ მის რწმენას ძე ღვთისას მიმართ: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღვთისა ცხოველისა“ — ანუ შენს მსგავს მტკიცე სარწმუნოებაზე დავაფუძნებ ეკლესიასო. კიდევ ერთი ადგილი გავიხსენოთ „სახარებიდან“ — უფალი წყალზე სვლით რომ ეცხადება მოციქულებს, როდესაც მათ ნავს, ძლიერი ქარის გამო, გასაჭირი ადგას ტალღებისგან. მოციქულებს შეეშინდათ. „გამხნევდით, მე ვარ, ნუ გეშინიათ!“ — მიმართავს მაცხოვარი, რაზეც პეტრე მიუგებს: „უფალო, თუ შენ ხარ, მიბრძანე, მოვიდე შენთან წყალდაწყალ“. — „მოდი“, — ეუბნება უფალი და პეტრე ნავიდან გადმოდის, წყალზე სვლით მიდის უფლისაკენ. ესეც პეტრეს მხურვალე სარწმუნოებაზე მიანიშნებს. და მაინც, ესოდენ მხურვალე სარწმუნოების მიუხედავად, უფლის სიტყვისამებრ, მან მამლის ყივილამდე სამჯერ უარყო იესო. როდესაც ჯვარცმის ჟამი მოახლოვდა, უფალმა უთხრა პეტრეს: „სვიმონ! სვიმონ! ჰა, სატანამ ითხოვა, რომ ხორბალივით გაგცხრილოს. მე ვილოცებ, რომ არ დაილიოს შენი რწმენა და როცა კვლავ მოიქცევი, გაამხნევე შენი ძმები“. პეტრემ კი მიუგო: „თუნდაც ყველანი ცდუნდნენ, მაგრამ მე — არა, უფალო“... პეტრე მაშინ მართლაც, ასე ფიქრობდა, დარწმუნებული იყო თავის ძალებში და ამიტომაც არ უთქვამს — უფალო, თუ შენ ინებებ, ამას არ ვიზამო. მაგრამ როდესაც აღსრულდა მაცხოვრის სიტყვები — მამლის ყივილამდე სამგზის უარყო, რომ იცნობდა მას, ამით უფალმა დაანახვა, რომ თვითონ კაცს არაფრის გაკეთება არ შეუძლია...

პეტრე უდიდესმა სინანულმა მოიცვა და მამლის ყოველ ყივილზე მწარე ცრემლით ტიროდა. უფალმაც არ მიატოვა საყვარელი მოწაფე — მკვდრეთით აღდგომის შემდეგ, თომას და ნათანაელთან ერთად სათევზაოდ ტიბერიის ზღვაზე გასულ პეტრეს გამოეცხადა და მიმართა: „სვიმონ, გიყვარ მეა უფროის ამათსა?“ პეტრემ მიუგო: „ჰე, უფალო, შენ უწყი, რამეთუ მიყვარ შენ“. „დამწყსე ცხოვარი ჩემი“, — უთხრა ქრისტემ. უფალმა სამჯერ გაუმეორა შეკითხვა და წმინდა მოციქულმაც სამჯერ იგივე გაუმეორა. ამით პეტრეს მიანიშნა, რომ სინანულის სანაცვლოდ, სულმოკლეობას მიუტევებდა და იმ ღვაწლზე მიუთითა, რომლითაც ის თავისი ცოდვის გამოსყიდვას მოახერხებდა. მართლაც, პეტრე ამის შემდეგ მხურვალე მქადაგებელი გახდა. ვიცით, რომ პირველად, მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლის დღეს იქადაგა და ამის შედეგად, 3000 ადამიანი მოექცა. ერთხანს, სხვა მოციქულთა მსგავსად, ისიც იერუსალიმში ქადაგებდა, შემდეგ — ანტიოქიაში, მცირე აზიაში, რომში, საბერძნეთში, ესპანეთსა და ბრიტანეთში. მის ქადაგებებს უამრავი სასწაული ახლდა თან. სნეულნი მისი ჩრდილის დაცემითაც კი იკურნებოდნენ. იონიაში ყოფნისას, პეტრეს უფლისგან სასწაულით ენიშნა, წარმართთვისაც ექადაგა ქრისტეს მოძღვრება — ისინიც უფლის შვილები არიანო, — ამცნობდა უფალი. ამის შესახებ „საქმე მოციქულთა“ მოგვითხრობს. პეტრე, კორნელიოს ასისთავის სახლში შევიდა და იქ შეკრებილ უცხოტომელებს შორის ქრისტეს სჯული იქადაგა. ქადაგებისას მსმენელებზე ხილული სახით გადმოვიდა სულიწმიდა. მათ ენების ცოდნა შეიძინეს და სიხარულით განადიდეს უფალი. პეტრემ ყველა იქ მყოფი წარმართი მონათლა და ახალმოქცეულთა დასამოძღვრავად იონიაში კიდევ რამდენიმე დღე დარჩა... ამის შემდეგ პეტრე მოციქული ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ქადაგებდა ქრისტეს სჯულს...

ქრისტეს შობიდან 64 წელს რომის იმპერიაში, იმპერატორ ნერონის ბრძანებით, ქრისტიანთა სასტიკი დევნა დაიწყო, რაც მის გარდაცვალებამდე ანუ 4 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ეს, ისტორიაში ქრისტიანთა პირველი დევნის სახელწოდებითაა ცნობილი: ქრისტიანებს მხეცების ტყავში ახვევდნენ და საჯიჯგნად ძაღლებს უგდებდნენ, ჯვარზე აკრავდნენ ან სხეულზე ფისს უსვამდნენ, ბოძზე აბამდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ... სწორედ იმ პერიოდში ჩავიდა რომში პეტრე მოციქული (ამავე დროს, იქ ჩავიდა პავლე მოციქულიც) და უშიშრად ქადაგებდა ქრისტეს სჯულს. მისმა სიტყვამ იმპერატორის სასახლეშიც შეაღწია და ქრისტიანულ სჯულზე მოექცა ნერონის ცოლიც. გადმოცემა გვაუწყებს, რომ იმ პერიოდში რომში სვიმონ მოგვიც იმყოფებოდა, რომელიც თავს ღმერთად, ხანაც — სამყაროს შემქმნელ ღვთაებრივ ძალად აცხადებდა. მან ცრუსასწაულებით მრავალი რომაელი აცდუნა და ნერონზეც დიდი ზეგავლენა მოიპოვა. სწორედ მისი მცდელობის შედეგად შეიძულა იმპერა-

ტორმა ქრისტიანები. სვიმონ მოგვი პეტრე მოციქულმა ჯერ კიდევ სამარიაში ქადაგებისას ამხილა, მაგრამ — ამაოდ. როგორც ძველი მწერლები მოგვითხრობენ, რომში ყოფნისას მან პაექრობა დაუწყო პეტრე მოციქულს. სვიმონ მოგვი ამტკიცებდა, რომ თავად იყო ღმერთი, რომელიც სამყაროს სიბნელიდან გამოსახსნელად ზეციდან ჩამოვიდა. რომაელები თავის ყოვლისშემძლეობაში რომ დაერწმუნებინა, განაცხადა: — ყველას თვალწინ ზეცად ავმაღლდებიო. „სასწაულის“ სახილველად უამრავი ადამიანი შეიკრიბა, მათ შორის, იყვნენ პეტრე და პავლე მოციქულებიც. ისინი გულმხურვალედ შესთხოვდნენ უფალს, დაემხო ბოროტი ძალა, რომელიც სვიმონს ეხმარებოდა და ცდომილებიდან ეხსნა ადამიანები. სვიმონი, რაღაც დონეზე, მართლაც ამაღლდა, მაგრამ შემდეგ ჩამოვარდა, ფეხი მოიტეხა და მოკვდა. წარმართებმა მისი მარცხი იქ მყოფ მოციქულებს დააბრალეს და ქრისტიანთა დევნა კიდევ უფრო გაძლიერდა. სვიმონის სიკვდილით განრისხებულმა ნერონმა მოციქულების სიკვდილით დასჯა ბრძანა. ქრისტიანებმა პეტრე მოციქული დაარწმუნეს, რომ რომი უნდა დაეტოვებინა, მაგრამ როდესაც ქალაქიდან გადიოდა, რომისკენ მიმავალი ქრისტე იხილა: „ვიდრე ხუალ, უფალო?“ — ჰკითხა პეტრემ, მაცხოვარმა კი მიუგო: „შევალ ჰრომელ ჯუარ-ცუმად“. გაკვირვებულმა მოციქულმა მიმართა: „კუალად ჯუარ-ეცემია, უფალო ჩემო?“ როდესაც გაოცებისგან გამოერკვა, უფალი უკვე ზეცად მაღლდებოდა. პეტრემ ეს ჩვენება მოახლოებული აღსასრულის ნიშნად მიიღო და რომში დაბრუნდა... მას ჯვარზე გაკვრით სიკვდილი გადაუწყვიტეს. წმინდა მოციქულმა ჯვარზე თავდაღმა მიმსჭვალვა ითხოვა, რადგან თავი უფლის მსგავსად სიკვდილის ღირსად არ მიაჩნდა. მას ეს თხოვნა შეუსრულეს. უფლის მოციქულს სულის ამოხდომამდე არ შეუწყვეტია ქადაგება... პეტრე მოციქულმა ორი ეპისტოლე დაგვიტოვა და მათგან ერთ-ერთი მოწამებრივ აღსასრულამდე ცოტა ხნით ადრე დაწერა...

როგორც მოგახსენეთ, პავლე მოციქული უფლის თორმეტ მოციქულთა რიგს არ მიეკუთვნება. ის მეცამეტე მოციქულია უფლისა. ქრისტეს სჯულზე მოქცევამდე მას სავლე ერქვა. პავლე მოციქული ებრაელი იყო, ბენიამინის ტომიდან, აღმსარებლობით კი ფარისეველი გახლდათ. იგი კილიკიის ქალაქ ტარსუსში დაიბადა და რომის მოქალაქედ მიიჩნეოდა. მშობლიურ ქალაქში საერო მეცნიერებების დაუფლების შემდეგ განიზრახა, ებრაული — მოსეს სჯული უკეთ შეესწავლა. ამ მიზნით რომში გაემგზავრა ცნობილ რაბინ გამალიელთან (გამალიელი სვიმონ ღვთისმიმრქმელის გაზრდილი იყო ანუ ის გახლდათ „ძველი აღთქმის“ რჩეული ხაზის გამგრძელებელი). ის მართლაც, განისწავლა მოსეს სჯულში და, როგორც ფარისეველი, მისი მტკიცე აღმსარებელი შეიქმნა.

როდესაც იერუსალიმში ქრისტიანთა სასტიკი დევნა დაიწყო, განსაკუთრებით აქტიურობდა სავლე, რომელიც მაშინ იუდეველთა რაბინი გახლდათ. ის ქრისტიანთა სახლებში შედიოდა, ძალით გამოჰყავდა ისინი და საპყრობილეში ყრიდა. დევნის ჟინმა იმდენად შეიპყრო, რომ იუდეველთა მღვდელმთავარს სთხოვა, დამასკოს სინაგოგებისთვის წერილობით ეთხოვა, რათა მისთვის ქრისტეს მიმდევართა შეპყრობის ნება დაერთოთ. სავლე დამასკოსკენ გაემართა, მაგრამ როდესაც ქალაქს მიუახლოვდა, ზეციდან გარდამომავალი ნათელი იხილა, რომლის ბრწყინვალეებასაც ვერ გაუძლო და მიწაზე დაეცა. მოესმა ზეციური ხმა: „საულ, საულ, რად მდევნი მე?“ გაოცებულმა სავლემ მიმართა: „შენ ვინ ხარ, უფალო?“ (ანუ — „ბატონო ჩემო“) — „მე ვარ იესო, რომელსა შენ მდევნი“, — მიიღო პასუხად. თან, აუწყა — ქალაქში შესულიყო და დანარჩენს იქ განუცხადებდა. სავლე წამოდგა, მაგრამ ვეღარაფერს ხედავდა. ქალაქში თანმხლებმა პირებმა შეიყვანეს. ტაძარში შესვლა ითხოვა, სადაც 3 დღე-ღამის მანძილზე განუწყვეტლივ ლოცულობდა. უფლის ბრძანებით, მესამე დღეს მასთან დამასკოელი ქრისტიანი, ანანია მივიდა, თვალებზე ხელი შეახო და სავლეს თვალისჩინი დაუბრუნდა. ის უმალ, ქრისტეს სჯულზე მოექცა, სახელად პავლე ეწოდა და ქრისტეს მტკიცე აღმსარებელი შეიქმნა.

ნათლისღების შემდეგ პავლე არაბეთში გაემგზავრა. გარდამოცემა გვაუწყებს, რომ ამ ქვეყანაში 3 წლის მანძილზე ყოფნის ჟამს მას თავად მაცხოვარი ეცხადებოდა, სჯულს ასწავლიდა, ქრისტიანობის საქადაგებლად ამზადებდა. არაბეთიდან პავლე მოციქული იერუსალიმში ჩავიდა — პეტრე, იოანე და იაკობ მოციქულებთან — მაგრამ იქაურმა იუდეველებმა სასტიკად შეიძულეს, ვერ შეეგუვნენ, რომ პავლე ქრისტეს მიმდევარი შეიქმნა. მას უფალი გამოეცხადა და აუწყა, რომ იერუსალიმს განშორებოდა და ქრისტიანობა წარმართებს შორის ექადაგა. ერთხანს, საბერძნეთსა და მაკედონიაში ქადაგებდა უფლის სჯულს. პავლე მოციქულს თან გაჰყვნენ შილა, ტიმოთე და ლუკა მახარებელიც. მოციქული და მისი მოწაფეები უპირველესად, სინაგოგებში შედიოდნენ, „სახარების“ საქადაგებლად. ის ათენშიც ჩავიდა, მაგრამ იქ მის ქადაგებას დიდი წარმატება არ მოჰყოლია, რადგან ამ უდიდესი ფილოსოფიური ტრადიციების მქონე ქალაქის მცხოვრებნი მეტისმეტად ამაყობდნენ თავიანთი კაცობრივი სიბრძნით და ეს ხელს უშლიდა მათ, რომ გულისყურით მოესმინათ ღვთაებრივი მოძღვრებისთვის. ათენიდან პავლე მოციქული ჯერ კორინთოში, შემდეგ — ეფესოში გაემგზავრა; ერთხანს იქ ქადაგებდა, მერე კი იერუსალიმში დაბრუნდა, რათა სიღარიბეში მცხოვრებ ქრისტიანთათვის სხვადასხვა მხარეში შეგროვებული დახმარება ჩაეტანა; მალე კვლავ დატოვა იერუსალიმი, თან ლუკა, ტიტე და ტიმოთე წაიყვანა. ეს იყო პავლე მოციქულის მესამე მოგზაურობა...

ქრისტეს არც ერთ მოწაფეს არ დაუთმენია პავლეს მსგავსი ვნება და ტანჯვა ქრისტეს სარწმუნოებისთვის. თავადაც წერს კორინთელთა მიმართ მიწერილ ეპისტოლეში: „ხუთჯერ მივიღე იუდეველთაგან ორმოცზე ერთით ნაკლები დარტყმა, სამჯერ კვერთხით მცემეს, ერთხელ ჩამქოლეს, სამჯერ გემის დამსხვრევის გამო ღამე და დღე შუა ზღვაში დავყავი, მრავალი მოგზაურობა, განსაცდელი მდინარეებზე, განსაცდელი ყაჩაღებისგან, განსაცდელი თანატოლებისაგან, განსაცდელი ქალაქად, განსაცდელი უდაბნოდ... შრომა და გაჭირვება, შიმშილი და წყურვილი, ხშირი მარხულობა, ყინვა და სიშიშვლე ვნახე“... სანაცვლოდ, წუთისოფელშივე შეიქმნა ღირსი ენითაუწერელი ნეტარებისა — უფლის ნებით, მესამე ცაზე იქნა აღტაცებული, სადაც სამოთხის სიტკბოება იგემა. თუმცა, როგორც თავად პავლე მოციქული ბრძანებს, რაც მესამე ცაზე აღტაცების ჟამს იხილა, ვერც ენა გადმოსცემს, არც კაცთა ყურს სმენია და არც ადამიანის თვალს უხილავს.

პეტრე მოციქულის მსგავსად, პავლე მოციქულიც რომში აღესრულა, იმპერატორ ნერონის დროს. ისინი ერთად აღესრულნენ, უფლის რწმენისთვის — პეტრე ჯვარს აცვეს, პავლეს თავი მოჰკვეთეს (მისი მოკვეთილი თავიდან რძე გადმოდინდა), რადგან ისეთი სამარცხვინო სასჯელით, როგორადაც ჯვარცმა მიიჩნეოდა, რომის მოქალაქეების დასჯა იკრძალებოდა. პავლე მოციქულმა ქრისტეს სჯული ფაქტობრივად, მთელ ცივილიზებულ სამყაროში იქადაგა — დამასკოდან დაწყებული, რომამდე დამთავრებული. მან უდიდესი მოციქულებრივი ღვაწლი მიწიერი განსწავლულობის გამოც გასწია — საერთოდ, მიწიერ განსწავლულობას არაფერი აქვს საერთო სულიწმიდის მადლთან. სულიწმიდის მადლს შეუძლია, ერთნაირად იმოქმედოს მიწიერად განსწავლულ და ამის გარეშე დარჩენილ ადამიანზეც, მაგრამ რადგან პავლე მოციქული მიწიერადაც განსწავლული იყო, მოციქულად გახდომამდეც ავტორიტეტად მიიჩნეოდა იმდროინდელ ებრაულ საზოგადოებაში და მას ფაქტობრივად, ყველა იცნობდა; როცა მოციქული გახდა, მისი ქადაგება უფრო მჭრელი გახლდათ. თანაც, ის, რომ პავლე რომის მოქალაქე იყო, დიდ უპირატესობას აძლევდა. მისი ცხოვრებიდან ვიცით, რომ ამ გარემოებამ არაერთგზის იხსნა სასჯელისაგან...

პავლე მოციქულმა 14 ეპისტოლე დაგვიტოვა.

რადგან პეტრე და პავლე მოციქულები მოწამებრივად ერთსა და იმავე დღეს აღესრულნენ, წმინდა ეკლესიამ მათ სახსენებლადაც ერთი დღე დაადგინა.

P.S. *უფლის მოციქულებზე საუბარს „გზის“ მომდევნო ნომერში განვაგრძობთ.*



საქართველოს ნაკრებისა და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ 20 წლის ფეხბურთელი — ბექა გოცირიძე რამდენიმე კვირის წინ სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა. ავტოავარიის შედეგად, ფეხბურთელის მანქანა მდინარეში, თავად ბექა კი საავადმყოფოში აღმოჩნდა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა — საფრთხე არც გოცირიძის სიცოცხლეს ემუქრება და არც მის საფეხბურთო კარიერას. რამდენიმე თვის შემდეგ, ახალგაზრდა მოთამაშე ვარჯიშს შეძლებს და „დნეპრის“ ძირითად გუნდში მოსახვედრად, ახალ იერიშს წამოიწყებს. შეგახსენებთ, რომ უკრაინულ კლუბში ბექა „ზესტაფონიდან“, 1 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა. რამდენიმე წელია, ქართველ ფეხბურთელში ასეთი თანხა აღარავის გადაუხდია და სიმართლე რომ ითქვას, არც გოცირიძისთანა მებრძოლი ხასიათის მოთამაშეებით ვართ განებივრებული. ჰოდა, რა თქმა უნდა, მისი კარიერის რაც შეიძლება მალე გაგრძელება გვსურს. ბექა ამჟამად თბილისშია და ექიმების ნებართვას ელის...

„მილიონერი“ ქართველის „ფრენა“ ავტომობილით

და კინოკარიერის დასაწყისი

რატი შელეგია

— ავტოსაგზაო შემთხვევა 13 ივნისს, საღამო ხანს მოხდა. ცხვარიჭამიაში აგარაკი გვაქვს და იქიდან თბილისში მარტო ვბრუნდებოდი. დიდი სიჩქარით მოძრავმა, ხიდთან მკვეთრად დავამუხრუჭე. ავტომანქანა ნაწვიმარ გზაზე მოცურდა და ხიდიდან მდინარეში გადავარდა. ჩემდა ბედად, ჯერ ძალიან გვიანი არ იყო და შემთხვევითმა გამვლელებმა დაინახეს, თუ როგორ გადაფრინდა ჩემი მანქანა ხიდიდან. „სასწრაფო“ და სამაშველო სამსახურიც მათ გამოიძახეს და ამობრუნებული ავტომობილიდან გამოიყვანეს. მანქანა ისეა დამტვრეული, ბევრს არც სჯეროდა, ცოცხალი რომ გადავრჩი...

— გონება არ დაგიკარგავს?

— თავდაპირველად, დარტყმისგან გავითიშე, მაგრამ როგორც გითხარით, მდინარეში ჩავვარდი და წყალმა გამომაფხიზლა. თუმცა, ხალხი რომ არ მომშველებოდა, ავტომანქანიდან გადმოსვლას ვერაფრით შეძლებდი. საავადმყოფოში მითხრეს, — ნახევარი საათით გვიან რომ მოეყვანე, ვერ გადარჩებოდიო.



როგორც აღნიშნეს, ძალიან კარგად ვითამაშე

ელენთა მქონდა გამსკდარი და მუცლის ღრუდან 1,5 ლ მოწამლული სისხლი ამომიღეს. უფალმა გადამარჩინა... სასწაულია, მაგრამ ერთი მოტეხილობაც არ მაქვს. მიუხედავად ამისა, ვარჯიშის დაწყებას მინიმუმ, 4 თვის განმავლობაში ვერ შევძლებ, რადგან ელენთა ამომკვეთეს და მისი ფუნქცია ღვიძლმა უნდა შეასრულოს. ექიმებმა მირჩიეს: ვარჯიშის დაწყება არ იჩქაროო და მეც, იძულებული ვარ, დავიცადო...

— მთავარია, რომ გადარჩი და არც ფეხბურთელის კარიერის დასრულების საფრთხე გემუქრება. კლუბიდან თუ შეგეხმიანნენ?

— რა თქმა უნდა. მსგავსი შემთხვევისგან არავინაა დაზღვეული და ეს „დნეპრშიც“ კარგად იციან. კლუბში ყველა გაგებით მოუკიდა მომხდარს, გუნდის პრეზიდენტმა კი ისიც აღნიშნა, — ბექას არანაირი პრობლემა არ შეექმნება, მთელი გუნდი მხარში ვუდგავართო.

— მსგავსი შემთხვევა სასიამოვნო არასდროს არის, მაგრამ შენ განსაკუთრებით ცუდ დროს შეგემთხვა — ის იყო, უკრაინულ კლუბს გაუშინაურდი და იძულებითი, რამდენიმეთვიანი „შვებულება გამოიწერე“...

— თავიდან „შახტართან“ მომეცა თავის გამოჩენის შანსი და, როგორც აღნიშნეს, ძალიან კარგად ვითამაშე, მერე კიევის „დინამოსთან“ მატჩში „ავიკიდე“ პენალტი და... ეგ იყო და ეგ — მას მერე მწვრთნელს ჩემთვის შანსი აღარ მოუცია. ეს გასაკვირი არცაა — „დნეპრი“ შემადგენლობით, მხოლოდ კიევის „დინამოსა“ და „შახტარს“ თუ ჩამოუვარდება. ჩემს გუნდში უკრაინის ნაკრების არაერთი ფეხბურთელი თამაშობს. განსაკუთრებით დიდი კონკურენცია შემტევი ტიპის ფეხბურთელებს შორისაა — კალინიჩენკო, ნაზარენკო, როტერი, ბელიკი, ვორობეი — თითოეული მათგანი გამოცდილი მოთამაშეა და რაც მთავარია, უკრაინელები არიან...

— ვიცი, რომ დუბლშემადგენლობაში თამაშს გერჩივნა, „დნეპრს“ სხვა კლუბში გაენათხოვრებინე...

— მეშვიდე თვეა, უკრაინულ კლუბში ვირიცხები და ძირითადად, დუბლშემადგენლობაში მიწევდა თამაში. მესმის, რომ ჯერ ახალგაზრდა ვარ და იმასაც ვაცნობიერებ, რომ ჩემ გამო უკრაინის ნაკრების ამა თუ იმ ფეხბურთელს შემადგენლობიდან არავინ ამოაგდებს, მაგრამ მე თამაში მსურს და ამიტომაც, თუ შევატყობდი, რომ ჩემ მიმართ მიდგომა არ შეცვლილა, „დნეპრის“ ხელმძღვანელობისთვის სხვა კლუბში განათხოვრება უნდა მეთხოვა.

— შემადგენლობაში მოსახვედრად ბრძოლა ყველა კლუბში ჩვეულებრივი ამბავია. ისე, ურთიერთობაში როგორი ბიჭები არიან?

— ყველა მოთამაშესთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს. ისინი უშუალო, კარგი ბიჭები არიან და რაც მთავარია, ცხვირი არც ერთ მათგანს არა აქვს აწეული. ყველაზე ახლო ურთიერთობა ვორობეისთან, ბელიკთან, ნაზარენკოსთან მაქვს. რა თქმა უნდა, ქართველ თანაგუნდელებს არ ვგულისხმობ...

— ჯაბა კანკავასთან და სანდრო კობახიძესთან დიდი ხანია, მეგობრობ. ალბათ, „დნეპრთან“ ადაპტირებაში ისინი დაგეხმარებოდნენ...

— რა თქმა უნდა! ერთმანეთს დიდი ხანია, ვიცნობთ და სულ ერთად ვართ. ჯაბამ „დნეპრის“ შემადგენლობაში ფეხის მოკიდება მოახერხა, მაგრამ ბოლო დროს ტრავმებმა გააწამა — მოტეხილი ფეხი ცუდად შეუხორცდა და იძულებული გახდა, ოპერაცია ხელმეორედ გაეკეთებინა. ამჟამად, ისიც თბილისშია და როგორც ვიცი, გუნდს აგვისტოში შეუერთდება. რაც შეეხება სანდროს, ძირითადად, დუბლშემადგენლობაშია და დროგამოშვებით, მთავარ გუნდში თავის გამოჩენის შანსს მასაც აძლევენ.

— დნეპროპეტროვსკი არც ისე დიდი ქალაქია, არა?

— ჰო, პატარა, წყნარი ქალაქია. მე, ჯაბა და სანდრო, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის

ბინებიც დაქირავებულია, ძირითადად, „დნეპრის“ ბაზაზე ვცხოვრობთ.

— როგორ ერთობით ხოლმე?

— იქაურობას ვიკლებთ-მეთქი, რომ გითხრა, მოგატყუებ. დროის ძირითად ნაწილს ბუნებრივია, ერთად ვატარებთ, მაგრამ ჩვენი ძირითადი გასართობი მაინც კომპიუტერია. ხანდახან, კინოთეატრში თუ წავალთ...

— ფეხბურთის გარდა, კიდევ რა გიტაცებს?

— მეგობრებთან ერთად ყოფნა, მუსიკის მოსმენა. ყველაზე დიდ სიამოვნებას „ქართული ხმების“ მოსმენა მანიჭებს. საქართველოში ყოფნისას გამუდმებით ქართულ სიმღერებს ვუსმენდი და როცა საზღვარგარეთ ვარ, მით უმეტეს...

— რას გრძნობს 20 წლის ბიჭი, რომელშიც 1 მილიონ ევროს იხდიან?

— ეს ძალიან კარგი შეგრძნებაა (*იცინის*). პირველ რიგში, რა თქმა უნდა, უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ. ისე, ცოტა არ იყოს, გულდაწყვეტილიც ვარ — მეგონა, თავის გამოჩენის გაცილებით მეტი შანსი მექნებოდა. მართალია, „დნეპრში“ ჩემზე გამოცდილი ფეხბურთელები არიან, მაგრამ უკრაინულ კლუბში მხოლოდ ხელფასის ასაღებად ხომ არ გადავსულვარ?! მე თამაში მინდა! ვნახოთ, რა იქნება მომავალში. თუ ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა, მირჩევნია, რომელიმე ისეთ გუნდში გამანათხოვრონ, სადაც გაცილებით მეტი სათამაშო პრაქტიკა მექნება. რაც მთავარია, ყურები არ ჩამომიყრია და მომავალს იმედით შევყურებ...

— „ყურების ჩამოყრას“ რაც შეეხება, ეგ ნამდვილად არ უნდა გეშაყრებოდეს — პატარა ასაკის მიუხედავად, საქართველოს ნაკრებში ერთ-ერთი ყველაზე მებრძოლი და „ულკიანი“ მოთამაშის სახელი გაქვს...

— ავარიის შემდეგ, ცოტა არ იყოს, უხასიათოდ ვარ, მაგრამ რაც მთავარია, საფეხბურთო კარიერის გაგრძელება შემიძლია და რამდენიმე თვეს როგორმე მოვითმენ (*იცინის*).

— როგორც ცნობილია, უკრაინელი ქომაგები ხშირად გამსგავსებენ მსახიობ ტომ კრუზს.

— ამას მხოლოდ უკრაინელები რომ მეუბნებოდნენ, რაღა მიჭირდა (*იცინის*)?!. მეცინება, როცა ასეთი რამ მესმის — ამიწყვია ცხოვრება და ეგაა!..

— არა, მთლად ტომ კრუზი არა ხარ, მაგრამ ერთ-ერთ მხატვრულ ფილმში ეპიზოდური როლის შესრულება უკვე მოასწარი...

— ჰო, მე და ირაკლი კლიმიაშვილს დაგვირეკეს და ფილმში მონაწილეობა შემოგვთავაზეს. მართალია, კადრში სულ რამდენიმე წუთით გამოვჩნდით, მაგრამ მაინც, გადაღების პროცესი ძალიან საინტერესო იყო. სხვათა შორის, მსახიობებმაც ძალზე თბილად მიგვიღეს...

— ახლა, „ჩამჭრელ“ კითხვებზე გადავიდეთ — შეყვარებული თუ გყავს?

— მყავდა...

— უკრაინელ გოგონებზე რას იტყვი?

— მათ ჩემი დასაწუნი ნამდვილად არაფერი სჭირთ. სხვათა შორის, დნეპროპეტროვსკი მთელ უკრაინაში განთქმულია ულამაზესი გოგონებით, რომლებსაც ქართველი ბიჭები ძალიან უყვართ (*იცინის*)...

— საუბრის ბოლოს, ეროვნულ გუნდზეც ვისაუბროთ, მით უმეტეს — ყველა ასაკობრივი ნაკრების მაესური მოგირგია...

— კლუბს სხვა სპეციფიკა აქვს, ნაკრებს — სხვა, მაგრამ პირადად მე, ნაკრებში თამაშისას მეტ სტიმულს ვგრძნობ. იქ პასუხისმგებლობაც მეტია და სიამაყის გრძნობაც, მაგრამ მეორე მხრივ, სათქმელიც არაფერი გვაქვს — ეროვნულ გუნდს ძალიან ცუდი შედეგები აქვს...

— და შენი აზრით, რა არის ნაკრების ასეთი უსუსური თამაშის მთავარი მიზეზი?

— აბა, რა გითხრათ?.. ამდენი ხანია, მაგის გარკვევას ვცდილობთ... რასაც პირადად ვხედავ, ის არის, რომ ნაკრების თითოეული წევრი გამარჯვებისთვის ყველაფერს აკეთებს, მაგრამ... ვიდრე ბავშვთა ფეხბურთი, საქართველოს ჩემპიონატი და ინფრასტრუქტურა სათანადო სიმაღლეზე არ იქნება, სულ ასეთ დღეში ვიქნებით...

— „ზესტაფონიდან“ „დნეპრში“, „დნეპრიდან“... პირდაპირ საოცნებო კლუბში მოხვედრა გაგიჭირდება, მაგრამ ამ ეტაპზე, ის მაინც გაგვიმხილე — რომელია ბექა გოცირიძისთვის ოცნების გუნდი?

— საყვარელი კლუბი ჩემთვის „ბარსელონაა“, მაგრამ იქამდე ძალიან შორია. მთავარია, ძლიერ ევროპულ გუნდში შევძლო თამაში და მერე, ვინ იცის... ■



მანქანა ისეა დამტვრეული, ბევრს არც სჯეროდა, ცოცხალი რომ გადავრჩი...

ვაკეთილს ნანახი სჯობია ანუ ლაშქრობა ლაგოდეხის ნაკრძალში



თამარ ჯიშკარიანი

დამღლელი სამუშაო კვირის შემდეგ, უქმე დღეებში, ბევრი ალბათ, გართობას გამოძინებას ამჯობინებს. სიმართლე გითხრათ, მეც ადამიანთა ამ კატეგორიას მივეკუთვნები, მაგრამ გარემოს დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის შემოთავაზებამ — დამეთვალიერებინა ლაგოდეხის ნაკრძალი, იმდენად მაცდუნა, რომ ძილი სულ გადამავიწყდა და დათქმულ დროს გარემოს დაცვის სამინისტროს წინ ვიდექი.

ორსართულიანი ავტობუსი ნელ-ნელა, საქართველოს 7 უმაღლესი სასწავლებლის „აქტიური გარემოს დამცველი“ სტუდენტებით და „მწვანე კლუბის“ წევრებით შეივსო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში „მწვანე კლუბი“ 2008 წლის 5 დეკემბერს, ე.წ. მოხალისეთა დღეს დაარსდა. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ დაარსებულ ამ თარიღს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, 1985 წლიდან აღნიშნავენ და თარიღთან დაკავშირებულ აქციებში ეკოლოგი მოხალისეებიც

დასაწყისი იხ. გვ. 7

— თქვენ თუ გაქვთ მოქმედების კონკრეტული გეგმა?

— რა თქმა უნდა, მაქვს. უფრო მეტსაც გეტყვით — ჩვენ პრეზიდენტისთვის შესათავაზებელი წინადადებები დანარჩენ ოპოზიციურ სპექტრს წინასწარ გავაცანით. გვინდოდა, ხელისუფლებისთვის მოგვეთხოვა: სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნა, მედიასივრცის გათავისუფლება და ეროვნული კრების მიერ არჩეული, ალტერნატიული მთავრობის დაფუძნება. ეს ჩვენთვის დიდი უპირატესობა იქნებოდა, იმიტომ, რომ ალტერნატიული მთავრობის წარმომადგენლები საზოგადოებას კარგად ჩამოყალიბებულ, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას შევთავაზებდით და, სამართლიანი საარჩევნო გარემოს პირობებში, ბანკროტი ოფიციალური მთავრობა კონკურენციას ვეღარ გაგვიწევდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოდელის საწინააღმდეგო არგუმენტები ოპოზიციის არც ერთ ლიდერს არ ჰქონდა, ეს იდეა არ გაიზიარეს. მოვიწვიეთ დანარჩენი ოპოზიცია „ალტერნატიული მთავრობის“ პრეზენტაციაზე. ჩვენთან მოსვლაზე უარი არავის უთქვამს.

— მაგრამ არც თქვენი მოსაზრებები გაიზიარეს...

— ამის მიზეზი მე სხვა რამე მგონია. ჯერ მითხრეს, რომ ორხელისუფლებიანობის იდეა მოსახლეობისთვის რთულად გასაგები იქნებოდა და მხარდაჭერას ვერ მიიღებდნენ. როდესაც ყველაფერი დეტალურად ავუხსენი და ცხადად დავანახვე, რომ სწორედ ალტერნატიული მთავრობის შექმნა დაასამარებდა სააკაშვილის რეჟიმს, მიპასუხეს, მოსაფიქრებლად ორი დღე მოგვეციო. ორ დღეში ხელისუფლებამ სისხლიანი გიორგობა მოგვიწყო და ჩემი იდეისთვის აღარავის ეცალა. მერე სააკაშვილს ის პოლიტიკური ძალა შეხვდა, რომელმაც ერთი რადიკალური მოთხოვნის გარდა, სხვა წინადადებების წარმოდგენა ვერ შეძლო. სხვათა შორის, „ბიბისის“ ერთ-ერთ გადაცემაში, საქართველოში არსებული ვითარების გაანალიზებისას, ჩვენი იდეა (ალტერნატიული მთავრობის არჩევა) პოლიტიკურ სიმწიფედ შეფასდა. ჩვენ რომ პრეზიდენტისთვის, დიალოგის დროს, ალტერნატიული მთავრობის შექმნა მოგვეთხოვა, ის ვეღარ იტყოდა, — ოპოზიცია არასერიოზულია და ჩემი გადადგომის გარდა, არანაირი მოთხოვნა არა აქვსო.

— პრეზიდენტთან შეხვედრისას სხვა ოპოზიციონერ ლიდერებს შორის თქვენ რატომ არ იყავით?

— ვერ გეტყვით. მართალია, მაგ დროს თავგატეხილი ვიწექი სახლში, მაგრამ შეიძლებოდა, ჩვენი კოალიციიდან კონსტანტინე გამსახურდიას, გუგული მაღრაძეს ან აკაკი ასათიანს მიეღო დიალოგში მონაწილეობა. როგორც ჩანს, ოპოზიციაში ვიღაც, სააკაშვილის საქმეს აკეთებს და იმისათვის მუშაობს, რომ ოპოზიცია არაკონსტრუქციულად და კონკურენტუუნაროდ წარმოჩნდეს. აბა, ის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომელიც მე ოპოზიციურ სპექტრს შევთავაზე, რატომ დაბლოკეს ყოველგვარი არგუმენტის გარეშე? დღეს ოპოზიცია დაქსაქსულია, საპროტესტო მუხტი შემცირებულია, ხალხი კი — იმედგაცრუებული.

— თქვენი აზრით, ვინ არის პიროვნება, რომელიც ოპოზიციაში ხელისუფლებისთვის „მუშაობს“?

— ჯერ ვერ გეტყვით: მტკიცებულებები არ მაქვს, ცილს კი ვერავის დავწამებ. ამ ხელისუფლებას კარგად ვიცნობ და ვიცი, როგორ მანიპულირებს ადამიანების მოქრთამვით, შანტაჟითა და მუქარით. დღეს ოპოზიციაში თავის პროფესიაში არშემდგარი ადამიანების მომრავლება შემთხვევითი არ არის. ასეთი სისტემა სააკაშვილის გამზრდელმა შევარდნაძემ შექმნა და ახლაც კარგად მუშაობს. მე ამ გამზრდელის ამოძირკვა მინდა.

— ბატონო გია, სხვა ოპოზიციონერი ლიდერები სულაც არ ფიქრობენ, რომ საპროტესტო მუხტი შემცირებულია. უფრო მეტიც — 26 მაისისთვის გრანდიოზული გეგმის განხორციელებას აპირებენ.

— მერწმუნეთ, მათ რეალური ხედვები არ აქვთ. 26 მაისისათვის გეგმა კი არა, გრაფიკი აქვთ შედგენილი: მხოლოდ ის აქვთ გათვლილი, სად და როდის ჩაატარებენ მიტინგს.

— თქვენ დანარჩენ ოპოზიციას ემიჯნებით?

— არა, პირიქით. ძალიან მინდა, რომ ჩვენი ერთობა აღდგეს. ახლა ჩვენს ქვეყანას მხოლოდ ეს თუ გადაარჩენს. ოპოზიციას კიდევ აქვს გაერთიანების შანსი. უახლოეს მომავალში ჩვენ მათ ახალ წინადადებას შევთავაზებთ და მოსაფიქრებლად 72 საათს მივცემთ. ჩვენ მიერ შეთავაზებული ყველა წინადადება ერთობაზე იქნება გათვლილი. გვინდა, ოპოზიციურ სპექტრში არსებული აზრთა სხვადასხვაობა ჩარჩოში მოვაქციოთ და პროცესები ორგანიზებულად წარვმართოთ. დღეს მარჯვენა ხელმა არ იცის, მარცხენა რას აკეთებს, ასე რას მიაღწევენ?!.

— თუ თქვენი წინადადება ისევ არ მიიღეს?

— მაშინ დამოუკიდებლად ვიმოქმედებთ, მაგრამ გაცილებით უკეთესი იქნება, თუ ერთობას შევინარჩუნებთ. ძალიან მინდა, ოპოზიციურ ძალებს შორის ჩუმი დაპირისპირება დამთავრდეს, ჭორაობასა და შუღლს ბოლო მოეღოს. კარგად ვიცნობ სააკაშვილს და ვიცი, რომ ის ცალ-ცალკე ყველას დაგვამარცხებს. ძალიან ცბიერი ადამიანია.

— თავის დროზე, საქართველოში სამუშაოდ, სწორედ სააკაშვილმა მოგიწვიათ, მაგრამ შემდეგ თქვენს წინადადებებს აღარ ითვალისწინებდა. როგორ ფიქრობთ — რა იყო ამის მიზეზი?

— ეს ალბათ მას უნდა შეეკითხოთ.

— თქვენი ვერსიაც საინტერესო იქნება.

— ჩემი ვერსია ასეთია: მე მის მონურ გარემოცვას დისკომფორტს ვუქმნიდი. არასრულფასოვნების კომპლექსის მქონე ადამიანებს ჭკვიან ადამიანთან მუშაობა ძალიან ეჩოთირებათ. სხვათა შორის, დიდად არც სააკაშვილს ხიბლავდა ჩემთან ურთიერთობა, იმიტომ, რომ მისი ბრძანებების უსიტყვო შემსრულებელი არ ვიყავი. ეკონომიკის განვითარებისა და კონფლიქტების მოგვარების კონკრეტულ გეგმებს ვთავაზობდი, მაგრამ ის ყველაფერს ბლოკავდა. რაღა აზრი ჰქონდა მასთან მუშაობას?! უკვე ოპოზიციაში ვიყავი გადასული, როდესაც რუსეთმა საქართველოს მიერ აფხაზეთსა და ცხინვალზე დაწესებულ ემბარგოს იგნონირება გაუკეთა და სეპარატისტულ რეგიონებთან ოფიციალური ურთიერთობა დაამყარა. მივხვდი, რომ ჩვენი ქვეყანა უდიდესი საფრთხის წინაშე დადგა და მოსკოვის მორიგი ნაბიჯი — საქართველოზე თავდასხმა იქნებოდა. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩემი ოპოზიციონერობა დავივიწყე და სააკაშვილს კონფლიქტის თავიდან აცილების კონკრეტული გეგმა შევთავაზე. მან კი ჩემი შეთავაზება მაშინაც მხოლოდ ოპოზიციის დისკრედიტაციისთვის გამოიყენა, პრობლემის მოსაგვარებლად კი ერთი ნაბიჯიც არ გადადგა.

— რას გულისხმობთ?

— როდესაც ჩემი გეგმა წაიკითხა, აღფრთოვანდა: ვიმე, ეს რა კარგი რაღაცაა, შენ გენაცვალე, ვამაყობ შენითო (ამ შეხვედრას გოგი თოფაძეც ესწრებოდა)!.. მე ვუთხარი: თუ ეს გეგმა თქვენთვის მისაღებია, ქართულ არასამთავრობო დელეგაციას ჩამოვაყალიბებ და აფხაზებსა და ოსებთან ნდობის აღსადგენად მუშაობას დავიწყებ-მეთქი. — ძალიან კარგი, გადასარევი აზრია, კიდევ როდის შევხვდეთო? ვუპასუხე — პრეზიდენტი შენ ხარ და როცა მეტყვი, მაშინ შეგხვდები-მეთქი. იმის მერე მე ისევე არ შემხვედრია, როგორც თქვენ... რა გამოვიდა? საზოგადოებას დაანახვა, რომ ოპოზიცია ერთიანი არ იყო და მისი ერთი ნაწილი პრეზიდენტთან კონკრეტულ საკითხებზე მუშაობდა. ამით დამთავრდა ყველაფერი... ■

Zonda Cinque-ს ღია მოდიფიკაცია

სპორტული ავტომობილების იტალიურმა მწარმოებელმა — Pagani — სუპერავტოს — Zonda Cinque — ღია მოდიფიკაცია წარმოადგინა, რომელიც მხოლოდ სარბოლო ტრასებისთვის განკუთვნილი სატრეკო კუპეს — Zonda R — საგზაო ვერსიაა. როდსტერი ზეშეზღუდული ტირაჟით, 5 ეგზემპლარად გამოვა და გაყიდვაში უახლოეს მომავალში იქნება. იმასთან დაკავშირებით, რომ ღია ავტომობილების ძარას სიმტკიცე შედარებით დაბალი ხარისხისაა, ვიდრე ანალოგიური დახურული მანქანებისა, რაც ნეგატიურად აისახება მართვაზე, კომპანიის ინჟინრებმა შასისა და სუპერავტოს — Zonda Cinque — კარბონო-ტიტანის მონოკოკის მოდერნიზება განახორციელეს. კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, ამის წყალობით, როდსტერი პრაქტიკულად, აღარაფრით ჩამორჩება კუპეს. სუპერავტო კომპანია AMG-ის მიერ შექმნილი, 7,3-ლიტრიანი, 12-ცილინდრიანი ძრავათია აღჭურვილი, რომელიც 678 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს და სიჩქარის გადაცემათა სეკვენტალური, 6-საფეხურიანი კოლოფით იმუშავებს. Pagani-ს მონაცემებით, 100კმ/სთ სიჩქარეს Zonda Cinque 3,4 წამში განავითარებს, ხოლო 200 კმ/სთ სიჩქარის განსავითარებლად 9,6 წამია საჭირო, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 350 კმ/სთ გახლავთ. როდსტერის ფასი 1,3 მილიონი ევროა. ■

„ოპელი“ სამკარიან ჰეტჩბეკს გამოუშვებს

კონცერნ „ჯენერალ მოტორსის“ დიზაინის განყოფილების ხელმძღვანელმა, მალკოლმ უორდმა სამკარიანი ჰეტჩბეკის — Opel Astra — ახალი თაობის — Astra OPC — გარეგნული დეტალების შესახებ ერთ-ერთ კორესპონდენტს გაუმხილა. ამის წყალობით ცნობილი გახდა, რომ ჰეტჩბეკს აგრესიული ძარა ექნება. სავარაუდოდ, ახალი Opel Astra OPC-ის კაპოტის ქვეშ იგივე მოტორი დამონტაჟდება, რაც ავტომობილის ამჟამინდელი თაობის მოდელს უყენია — ეს არის 240 ცხ.ძ. სიმძლავრის ტურბოძრავა, რომელიც სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი კოლოფით მუშაობს. წინასწარი ინფორმაციით, Astra OPC ევროპულ ბაზარზე 2011 წლისთვის გამოჩნდება. ■

ტიუნინგირებული Porsche 911 Turbo

შვეიცარიულმა ტიუნინგ-ატელიემ 480 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე სპორტავტოს — Porsche 911 Turbo — გასაახლებელი პროგრამა წარმოადგინა. 3,6-ლიტრიანი, 6-ცილინდრიანი ძრავას პრაქტიკულად სრული მოდერნიზაციის ხარჯზე, რომელსაც ბევრი დეტალი ტიტანის ანალოგებით შეუცვალეს, მოტორის სიმძლავრე 858 ცხ. ძალამდე გაიზარდა. სრულამძრავიანი ტიუნინგირებული სუპერავტოს მასა, რომელსაც კარბონისა და კევლარის შენადნობისგან დამზადებული ძარას ახალი პანელები უყენია, 1345 კგ-ია, ხოლო სიმძლავრის მასასთან ფარდობა ტონაზე 637 ცხ.ძ. გახლავთ. ნარდოს სარბენ ტრასაზე კომპანიის — Sportec — მიერ ჩატარებული გამოცდის შედეგების მიხედვით, ტიუნინგირებულ Porsche 911 Turbo-ს 100 კმ/სთ სიჩქარის 3 წამში განვითარება შეუძლია, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 380 კმ/სთ გახლავთ. უნდა აღინიშნოს, რომ ავტომობილის გაუმჯობესების პროგრამაში ასევე, კერამიკისდისკებიანი, უფრო მძლავრი სამუხრუჭე მექანიზმების, უსაფრთხოების კარკასისა და 20-დუიმიანი ბორბლების დისკების დაყენებაც შედის. ■

„ალფა რომეოს“ სიახლე



იტალიურ ინტერნეტგამოცემას — Autoblog — ხელში ჩაუვარდა „ალფა რომეოს“ ახალი მოდელის, კომპაქტური ჰეტჩბეკის — Milano — პირველი არაოფიციალური ფოტო. ავტომობილი, რომელიც იტალიური ავტომწარმოებლის ქარხნის კონვეიერზე გადაიღეს, Alfa Romeo 147-ის მემკვიდრედ იქცევა და მას სექტემბერში, ფრანკფურტის მოტორშოუზე წარადგენენ. Alfa Romeo Milano კონცერნ „ფიატის“ ახალ პლატფორმას და ძრავათა ფართო გამას მიიღებს, რომლებშიც შევა სერიის — Multijet — დიზელი და 120 და 158 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე, 1,4-ლიტრიანი ბენზინის ტურბომოტორები T-jet-ის ოჯახიდან. სიახლე გამოვა როგორც წინა, ასევე, სრულამძრავიან ვარიანტებად, აგრეთვე — 3 და 5-კარიან ვერსიებად. გარდა ამისა, მოსალოდნელია Milano-ს „ცხელი“ მოდიფიკაციის გამოშვება ატმოსფერული მოტორით — V6. ევროპაში Milano-ს მოდელების გაყიდვა, რომელიც კონკურენციას Audi A3-სა და BMW 1-Series გაუწევს, მომავალი წლიდან დაიწყება. ■



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. სკომოროხი; 2. სოხუმი; 3. მუზა; 4. რელიგია; 5. ლიბია; 6. ფიუზელაჟი; 7. ეოკეი; 8. ლამბი; 9. ლელო; 10. ჰანოი; 11. იაგუარი; 12. აგარაკი; 13. ტაეპი; 14. კოპოლა; 15. ენისეი; 16. ირიბი; 17. დანია; 18. რესტორანი; 19. ნამუსი; 20. ურმული; 21. ნიამორი; 22. ლეპტოპი; 23. კობრა; 24. სურა; 25. წიქარა; 26. თალგამი; 27. სირ; 28. ჭოგრიტი; 29. პელე; 30. ტერაკოტა; 31. სტატია; 32. რკო; 33. ხვალ; 34. ელვა; 35. იუდა; 36. სარი; 37. სალვადორი; 38. მალარია.

სურათებზე: სოფია კოპოლა; სტივენ სპილბერგი.

ჰოროსკოპი

(9 - 15 ივლისი)

ვაზი:
წარმატების მისაღწევად ბევრი შრომა მოგიწევთ და დრო საოჯახო საქმეების მოსაგვარებლადაც უნდა გამონახოთ. უქმე დღეები ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ.

ალუჩი:
ამ კვირაში თავს ჯადოსნურ სამყაროში იგრძნობთ და თითქმის ყველა ნატვრა აგისრულდებათ. სიფრთხილე გამოიჩინეთ ავტომობილით მგზავრობისას.

ტყუპები:
მოგზაურობისას ახალ მეგობრებსა და თანამოაზრეებს შეიძენთ. მიუხედავად იმისა, რომ გაგიჩნდებათ დამატებითი შემოსავლის წყარო, ხარჯების გაკონტროლებას გირჩევთ.

ქიბიტალიტი:
კარგია, თუ დროს წიგნების წასაკითხადაც გამონახავთ. სასიყვარულო ურთიერთობაში სტაბილურობა გელით, მაგრამ შეეცადეთ, პარტნიორი ეჭვიანობით არ დატანჯოთ.

ლომი:
კარგად დაფიქრდით როგორც საქმიან, ასევე სასიყვარულო ურთიერთობაში დაშვებულ შეცდომებზე და მათ გამოსწორებაზე იზრუნეთ. უქმე დღეები საყვარელ ადამიანს დაუთმეთ.

ქალწული:
კარგია, თუ ამ კვირაში სამკურნალო-პროფილაქტიკურ მკურნალობას ჩაიტარებთ. კვირის მეორე ნახევარი მეგობრებთან ერთად, ქალაქგარეთ გაატარეთ.

ხარი:
მუსიკა, ცეკვა და შემოქმედებითი საქმიანობა თქვენს სულიერ მდგომარეობაზე დადებით ზეგავლენას მოახდენს. ბავშვებთან ერთად გატარებული დრო ენერგიას შეგმატებთ.

ბრიტანეთი:
წარმატებული იქნება საქმიანი ვიზიტი საზღვარგარეთ. სასიყვარულო ურთიერთობაში ჰარმონია დაისადგურებს. კარგია, თუ უცხო ენას შეისწავლით.

ბუდა:
ამ კვირაში დაიბრუნეთ ვალები და ნუ დააბანდებთ ფულს. გამონახეთ დრო ვარჯიშისთვის (კარგია, თუ ცურვითა და იოგით დაკავდებით). მოერიდეთ აზარტულ თამაშებს.

ლომი რეკ:
მოსალოდნელია ახალი, თავბრუდამხვევი რომანის დაწყება. უკვე დაოჯახებულებმა კი ყურადღება არ მოაკლოთ მეუღლეს და უქმე დღეებიც მასთან ერთად გაატარეთ.

ბეარწყუნდი:
საზღვარგარეთიდან ისეთ სასიამოვნო ინფორმაციას მიიღებთ, რომელიც ძირფესვიანად შეცვლის თქვენს ცხოვრებას. კარგი პერიოდია ახალი სამსახურის დასაწყებად.

ოვეზეტი:
კარგი პერიოდია შემოქმედებითი საქმიანობისთვის. ხატვა და ლიტერატურა სულიერ სიმშვიდეს მოგანიჭებთ. დროა დასვენებაზეც იფიქროთ და შვებულებაში გახვიდეთ.

პატარები გენიოსობენ

გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან

3 წლის ანა ცისკარიშვილი 3 თვეა, ამერიკაში ცხოვრობს. შეკითხვაზე: როგორ მოგწონს საბავშვო ბაღი? პასუხობს:

— ყველანი ინგლისურად ლაპარაკობენ, ქართულად მარტო იცინიან და ახველებენ.

ნინო მუკბანიანი უყურებდა ბებიას, რომელიც ამოლესილ ლობიოს ამზადებდა. მან დედასთან მიირბინა და ახარა:

— დე, ბებია ნაცემ ლობიოს აკეთებს.

4 წლის სოფიკო მაგრაქველიძე ფეხმძიმე დედას ეკითხება:

— სათამაშო რომ გადაყლაპო, ბაია მუცელში ითამაშებს?

უფროსებმა საუბარში ქალის სახელი — პეპელა ახსენეს. 4 წლის გიორგი შუბითიძე დედას ეკითხება:

— დედიკო, პეპელა დეიდას ფრთები აქვს?..

3 წლის სალომეს უთხრეს — პირში წებო არ ჩაიდო, თორემ ტუჩები დაგეწებება და ვეღარ ილაპარაკებო. ამ დროს ტელეფონი რეკავს. ყურმილი სალომემ აიღო, მაგრამ მას ხმა არავინ გასცა.

— რა იყო, წებო ჭამე? რა ცოდო ხარ... — ჩასძახა ყურმილში გოგონამ.

პატარა ზურა ბერელიძე ბებიას კალთაში უზის. ამ დროს მოდის ახალგაზრდა კაცი, რომელსაც თავზე არც ერთი ღერი თმა არ აქვს.

— ბებო, ბებო, იმ კაცს თავი იდეებით აქვს გამოტენილი და თმა იმიტომ გასცვივდა? — ხმამაღლა იკითხა ზურამ.

— ჩუმად, ზურა, არ გაიგონოს, — ჩასჩურჩულა ბებომ.

— რატომ, იდეები გაეფანტება?

დათა თადუმაძე დედას ეკითხება:

— ბებიკომ ხაჭაპურში ამდენი ყველი „ჭუვაჩკა“ რატომ ჩადო?

პატარა დათო გოგიჩაიშვილს უზომოდ უყვარს ძაღლის ლეკვები. დედა ეკითხება:

— დათო, ვინ გინდა, გაგიჩინო — ძამიკო თუ დაიკო?

— აუუ, ლეკვი გააჩინე, რა, — ეხვეწება დათო.

— დათო, მე ლეკვს ვერ გავაჩენ, — ეცინება დედას.

— ძაღლის საჭმელიც რომ ჭამო, მაინც არ გაგიჩნდება?..

დასაწყისი იხ. გვ. 14

ში ინფორმაციის მიღების ყველაზე მასობრივი საშუალების სრული გაკონტროლების შესაძლებლობა შექმნა. რადიოწერტილები პრაქტიკულად, ყველა სახლში გაჩნდა.

რადიოპროპაგანდის საბჭოთა სკოლის ნაცისტებსაც კი შეშურდებოდათ. როცა 1942 წელს ჰიტლერმა უკრაინაში თავისი შტაბი მოინახულა და ისიც გაიგო, რომ იქ თითოეულ ქოხში რადიოწერტილი იყო, თქვა: „საბჭოებმა მარტო დროულად კი არ შეაფასეს რადიომაუწყებლობის მნიშვნელობა, არამედ ისიც შეიგნეს, თუ რაოდენ დიდი და ფარული საფრთხის შემცველიცაა იგი“. ეს „ფარული“ და „დიდი“ საფრთხე, რომელიც სტალინმა დროულად, ჰიტლერმა კი ცოტა დაგვიანებით შეიგნეს, პირველ რიგში, იმაში მდგომარეობდა, რომ ის საზღვარგარეთული რადიოს მოსმენის საშუალებას იძლეოდა. ხაზის რადიომაუწყებლობა ამას გამორიცხავდა. საბედნიეროდ, ვერც საყოველთაო რადიოფიცირებამ და ვერც საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანის სხვა ხრიკებმა გასული საუკუნის 80-იან წლებში კრახისგან კომუნისტური სისტემის ხსნა ასევე ვერაფრით შეძლო.

სახელმწიფო პროპაგანდის მიზნით სახელმწიფოს ხელში მედიარესურსების კონცენტრაცია — რეჟიმის საშიში დეფორმაციის დამადასტურებელია. სამწუხაროდ, დღევანდელ რუსეთში ეს, ავტორიტარიზმისკენ მიბრუნების ერთადერთი ნიშანი როდია; შემდგომი ლოგიკური ნაბიჯი — ინტერნეტით სარგებლობის შეზღუდვა იქნება. თანაც, თავიდან ეს „მოზარდ თაობაზე ზრუნვის“ ანდა „საზოგადოებრივი ზნეობის შენარჩუნების“ საბაბით, შემდეგ კი — ყოველგვარი საბაბის გარეშეც მოხდება. ტყუილად როდი ამბობდა დოქტორი გებელსი, რომ არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რიგიანად გამოიყურება თუ არა პროპაგანდა, „მთავარია, მან წარმატება მოიტანოს — ეს არის და ეს“...

რუსეთი და ჭარბი ალკოჰოლი

რუსეთში ესოდენ გავრცელებულ ალკოჰოლიზმზე ლაპარაკისას, გერმანულ „დი ველტს“ ფრიად დრამატული სტატისტიკა მოჰყავს, რომლის თანახმადაც, 15-დან 54 წლამდე ასაკის მოქალაქეთა შორის სიკვდილის შემთხვევათა 52% ალკოჰოლის გადაჭარბებული მიღებითაა გამოწვეული. იმავე მიზეზითაა ესოდენ დაბალი — 59 წელი — რუსი მამაკაცის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაც. სტატიის ავტორის თქმით, ამ გადაუდებელი პრობლემის მოგვარება თავად დმიტრი მედვედევმა გადაწყვიტა და „გაოცებულმა“ ისიც აღმოაჩინა, რომ ახლა რუსეთში უფრო მეტს სვამენ, ვიდრე საკმაოდ მძიმე, 1990-იან წლებში. ზემოთ მოყვანილმა სტატისტიკურმა მონაცემებმა გულგრილი ვერც საბჭოთა კავშირის ყოფილი პრეზიდენტი მიხაილ გორბაჩოვი დატოვა, რომელმაც 1980-იან წლებში ანტიალკოჰოლური კამპანიის გაშლა სცადა. „ჩვენ საკუთარ თავს ვანადგურებთ“, — აღშფოთება გამოთქვა გორბაჩოვმა. „დი ველტის“ თქმით, სპირტიანი სასმელების გადაჭარბებულ გამოყენებას რუსეთში, სხვა ყველაფერთან ერთად, საკმაოდ სერიოზული ეკონომიკური მიზეზებიც აქვს. „საქმე ისაა, რომ როგორც მეფის, ისე საბჭოთა რუსეთში, ალკოჰოლის გაყიდვით მიღებული შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტის 20-30%-ს შეადგენდა და დღესაც სწორედ ამიტომ ეწევა სპირტზე სახელმწიფო მონოპოლიის შემოღების აქტიურ აგიტაციას საპარლამენტო ფრაქცია „ედინაია როსიას“ ხელმძღვანელი ბორის გრიზლოვი, რომელთან შედარებითაც, არყის მოხმარების შემცირებასთან დაკავშირებული მედვედევისეული იდეები საკმაოდ უსუსურად გამოიყურება“, — დაასკვნის გერმანული გამოცემა.

მოამზადა **რუსუდან ლებანიძემ**

იაპონური სენსაციის სუდოკუ

„გზის“ №27-ში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

6	8	4	7	3	9	2	1	5
7	2	9	5	6	1	3	8	4
1	3	5	4	2	8	9	6	7
4	9	6	3	1	7	8	5	2
8	1	2	6	5	4	7	9	3
3	5	7	9	8	2	6	4	1
2	4	3	1	9	6	5	7	8
5	6	1	8	7	3	4	2	9
9	7	8	2	4	5	1	3	6

8	9	1	2	6	3	5	7	4
3	4	5	1	7	9	8	2	6
2	7	6	5	8	4	3	9	1
1	2	7	6	5	8	9	4	3
4	6	3	9	1	7	2	5	8
5	8	9	4	3	2	1	6	7
7	5	4	3	9	1	6	8	2
9	1	2	8	4	6	7	3	5
6	3	8	7	2	5	4	1	9

7	8	2	4	3	1	5	6	9
5	3	9	7	6	8	4	2	1
4	1	6	5	2	9	3	7	8
1	9	7	8	5	4	6	3	2
8	5	3	2	9	6	1	4	7
2	6	4	3	1	7	8	9	5
3	2	8	6	7	5	9	1	4
9	7	5	1	4	3	2	8	6
6	4	1	9	8	2	7	5	3

* მარტივი

					5		1	
	3				1		4	
7			9					2
6				1		4		
		8	6			9		
		1	5	3				6
3					8			7
	6		2				8	
	5		1					

** საშუალო

		1	3			6		
		7	6				9	
			8				1	
	2		4	7				1
		3			2	8		
7			9				3	
	5				6			
	7				5	9		
		9			8	2		

*** რთული

	3				6		7	
					3	8		
1					4		6	
	7				1		2	
		6	4		2	3		
	5			8			9	
	4		1					9
		5	3					
	6		7				8	

ფოტოკუთხეები

NAFNAF
MEDI მედიასოფტიკის ქსელიკავშირ ჯგუფი

ოსკარი

„მის თინეიჯერი"

WELEDA
ველედა

გაფხულის სეზონი

კონკურსი მის თინეიჯერი უკვე დაიწყო!

იმისათვის, რომ ხმა მისცეთ თქვენს რჩეულს, SMS ველში აკრიფეთ სასურველი კონკურსანტის კოდი და გააგზავნეთ ნომერზე: 8886.

თამაშდება: ტურისტული საგზური, ძვირფასი სამკაული საიუველირო მაღაზია „დელფოსისგან", პერსონალური პორტფოლიო, ფოტოსესია ჟურნალ „ბომონდში", კონტრაქტი სამოდელო სააგენტოსთან, თინეიჯერული ხაზის გერმანული კოსმეტიკა „ველედასაგან", სოლარიუმ „ერგოლაინის" აბონემენტი, სამედიცინო ცენტრ „მედისა" და ფიტნეს კლუბ „პრაიმ ფიტნესის" სასაჩუქრე კუპონები, შუზკაფე „მადონას" ფეხსაცმელი, საჩუქარი მაღაზია „ნაფნაფისგან" და კიდევ ბევრი ძალიან კარგი პრიზი.

კონკურსანტთა ფოტოები იბეჭდება ჟურნალ „ოსკარში" და განთავსდება ინტერნეტპორტალზე: www.ambebi.ge

კონკურსანტების სილამაზეზე ზრუნავს სალონი „ნიცა დე ლუქსი" და სტილისტი ლუდა.

ლუბანარე ვინ, ოჩეულ, გაზლეს, ზაფხულის სეზონის გამარჯვებელი!

105
სალომე სალუქვაძე, 15 წლის

106
ანი ზაქარიაძე, 15 წლის

107
ოსკარ კოტანგელაზაქარიძე, 16 წლის

108
ფეოფანა ფეფიკაძე, 19 წლის

SMS

დამატებითი ინფორმაციისათვის იკითხე ჟურნალი „ოსკარი".